მურმან თავდიშვილი

გიორგი გოგოლაშვილის კულტუროლოგიური ღვაწლი

თბილისი 2023

რედაქტორი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ქეთევან თავდიშვილი

გარეკანი **ირაკლი ავალიანისა**

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ეთერ გოგოხია**
რუსუდან გრიგოლია

© მურმან თავდიშვილი
გამომცემლობა, „მერიდიანი“ 2023

ISBN 978-9941-34-298-1

სამეცნიერო კვლევა-ძიება

მუდამ აქტიური აზროვნების, დაუდეგარი მოღვაწის **გიორგი გოგოლაშვილის** სამეცნიერო კვლევა-ძიება ძირითადად ოთხი მიმართულებით გაიშალა: 1. ქართული ზმნა; 2. ქართული დიალექტოლოგია; 3. ენა და მწერალი; 4. იაკობ გოგებაშვილი და მისი „დედაენა“ (აქ, ერთი მხრივ, წარმოდგენილია სამეცნიერო ნარკვევები უკვდავი პედაგოგის თემებზე, ხოლო, მეორე მხრივ, კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატიები „დედაენის“ საკითხებზე).

ამთავითვე ითქვას:

გოგი გოგოლაშვილმა დაიცვა საკანდიდატო (1982) და სადოქტორო დისერტაციები (1992), ხოლო, საზოგადოებრივი მოღვაწეობის თვალსაზრისით, ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი სარედაქტორო საქმიანობა („ბურჯი ეროვნებისა“), ასევე — დედაუნივერსიტეტის დაშლის მოსურნეთა წინააღმდეგ მისი ბრძოლა.

ქართული ზმნის ერთგული მეცნიერი

უკვდავი აკაკი წერეთელი წერდა: „ვინ არ იცის, რომ ქართული ენის სიმდიდრეს შეადგენენ ზმნები, მათი უღვლილება და მიმოხრა“...

ასე მაღალი აზრისა იყო ჩვენს ზმნაზე ილია ჭავჭავაძეც.

ეგ ვითარება იმთავითვე კარგად გაითვალისწინა გ. გოგოლაშვილმა და ამიტომ მთელი თავისი სამეცნიერო ცხოვრების დიდი ნაწილი ზმნის ჯერ კიდევ შეუსწავლელი სფეროების გამოძიება-გამორკვევას მიუძღვნა. მას მეხსიერებაში კერეონივით ანთებოდა, ახსოვდა და აწვალებდა არისტო ქუთათელაძის თითქმის საუკუნის წინათ ნათქვამი: **„დღემდის მაინც ვერ ვიგდეთ ხელში ის კლიტე, რომელიც აღებს ყველა ზმნების კარს, რომ, შიგ რა არის, გავიგოთ; მაინც ვერ გავხსენით დღემდის ის საიდუმლო ნასკვი, რომელსაც ჰქვია უღვლილება“** (გ. გოგოლაშვილი, ,,ქართული ზმნის უღვლილების სისტემა“, 1988).

მაშ, საუკუნის ისტორია მაინცა ჰქონია ზმნის უღლებით დაინტერესებას და მისი საკითხების გამოძიებას, როდესაც ამ პრობლემებზე სერიოზული მუშაობა დაიწყო ახალგაზრდა მკვლევარმა და თამამად დაადგა ნიკო მარის, აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ყარლამ თოფურიასა და გრამატიკის სხვა „ზეპურ მამათა“ ნაკვალევს.

მეცნიერების გზა-წვავარნებს გამოდევნებულს ასევე მუდმივად ჩაესმოდა ყურში თავისი დროის უდიდესი მოქართულის დიმიტრი ყიფიანის ხმა: **„ზმნა ყოველი ენისათვის სულია მაცოცხლებელი... ყოველს გრამატიკოსს დიდად უჭირს იმისი ხელში მოგდება“**... ამიტომაცო: **„იმისი უმთავრესი და დაუცხრომელი მცდელობა ის არის, საბუდარი ამ სულისა მაინც მოიხელთოს როგორმე და ამის შემწეობით დაადგინოს მისი ხასიათი“.**

ეროვნული ზმნის ხასიათის დადგენა!

საამისოდ მომავალ დისერტანტს 3 ნაშრომი მაინც უნდა ჰქონოდა გამოქვეყნებული. ათჯერ მეტი დაჰგროვებოდა 1982

წლისათვის, რადგან უკვე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზეც კი არაერთი საგულისხმო საკითხი წამოუჭრია და გადაუწყვეტია. ასე რომ, იმდენი პუბლიკაცია დაჰგროვებოდა, არათუ საკანდიდატო, სადოქტორო ნაშრომსაც დასტურ ეყოფოდა.

საკანდიდატო დისერტაცია 27 ოქტომბერს დაიცვა. ეს აღმოჩნდა იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღე. ესეც სიმბოლური ფაქტი გამოდგა — მოგვიანებით ამ უდიდეს პედაგოგ-განმანათლებელს არაერთი სამეცნიერო გამოკვლევა, პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა და, კიდევ მეტი, პედაგოგიკის კლასიკოსი უკეთურთა გამოხდომებისაგანაც დაიცვა.

პირველი დისერტაციის თემა ერთობ მნიშვნელოვანია — „დრო-კილოთა მეორე სერიის ნაკვთეულთა წარმოება ახალ ქართულში“.

ნარკვევი მოგვიანებით (1984) ბეჭდურად გამოიცა და ეგ იყო მკვლევრის პირველი წიგნი. უინტერესო არ იქნება, გავეცნოთ გამოხმაურებებს.

აკად. არნოლდ ჩიქობავა ბრძანებდა: **მეორე სერია უმნიშვნელოვანესი სფეროა... ის ბევრ რთულ საკითხს აღძრავს... ამავე დროს, საკითხი აქტუალურია... დისერტანტის სამეცნიერო მსჯელობა შეესაბამება თანამედროვე სამეცნიერო დონეს...**

პროფ. თედო უთურგაიძე მიუთითებდა: **ნაშრომი შეიცავს სიახლეებს... ახალია პრინციპი II სერიის განხილვისა... გოგოლაშვილის სახით კვალიფიციური ენათმეცნიერი შეგვემატა... ნარკვევს აქვს თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება... სასურველია იგი მალე გამოქვეყნდეს...**

პროფ. ანტონ კიზირია კი შენიშნავდა: **კარგად, ნიჭიერად შესრულებული გამოკვლევაა... დისერტანტი ღრმად და ფართოდ იცნობს საკვლევ სფეროს...**

პროფ. არამ მარტიროსოვი შემდეგს მიაქცევდა ყურადღებას: ნაშრომი კვლევის მეთოდიკით სიახლეა... იგი ენათმეცნიერული კვლევა-ძიების მაღალი დონის მაჩვენებელია.

დოც. ეკატერინე ოსიძის აზრია: II სერიის მწკრივები თითქოსდა ბოლომდეა გამოკვლეული და გარკვეული, მაგრამ ეგ ნაშრომი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ გაღრმავებულმა კვლევამ შეიძლება ამოატივტივოს ახალი საკითხები, ახლებურად გადაწყვიტოს ზოგიერთი მათგანი, დამატებითი არგუმენტები დაუძებნოს უკვე არსებულ შეხედულებას ან შეცვალოს მისი ფორმა...

პროფ. ბესიკ ჯორბენაძე ნარკვევს ასე გამოეხმაურა: აქ კრიტიკულად არის შეფასებული არსებული მიღწევები... წამოყენებულია პრობლემები, რომლებიც გვაიძულებენ, ახალი პოზიციიდან შევაფასოთ II სერიის მწკრივთა წარმოება... ავტორმა შეძლო წარმოეჩინა II სერიის ფორმათა წარმოების წმინდა მორფოლოგიური მექანიზმი, განესაზღვრა მისი პრინციპები...

დოც. გულნარა ნინუა უფრო კონკრეტულ საკითხებსაც გადასწვდა... საინტერესოა ახალშემოღებული „საყრდენი მორფემის“ ცნება... იგი მეტად მოხერხებულია და სიტყვის სტრუქტურის შესწავლას აადვილებს.

პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე მნიშვნელოვნად მიიჩნევს: დისერტანტის დამსახურებაა იმის დადგენა, რომ II კავშირებითი წყვეტილის ფუძეს კი არ ემყარება, არამედ ორივეს ერთი საყრდენი ფუძე აქვს...

პროფ. ბაქარ გიგინეიშვილი დაასკვნიდა: II სერია დღემდე სავსებით გარკვეული და ამოწურული გვეგონა, ოღონდ ასე არ აღმოჩნდა... ნაშრომი კარგადაა გააზრებული... განსა-

კუთრებით უნდა აღვნიშნო „საყრდენი მორფემის“ ცნების შემოტანა სამეცნიერო ბრუნვაში.

ძალმედვა, ეს საკვალიფიკაციო ნაშრომი მე თვითონ უფრო გამოწვლილვითაც განმეხილა, მეჩვენებინა მისი ავ-კარგი, ოღონდ ნარკვევის არსის ჩვენების ასეთი გზა ავირჩიე, რაკიღა ეგ გზა უფრო მოკლეა და თანაც მკაფიოდ უჩვენებს იმ არსებითს, რაც ღირსსაცნობია, თანაც მკაფიოვდება გამოჩენილ ენათმეცნიეროა დამოკიდებულება გამოკვლევისა და მისი ავტორის მიმართ, სამუქფოდ, ვითვალისწინებ რა ყოველივეს, რაც ზემორელე ითქვა, დავასკვნი:

პირველმა სამეცნიერო გამოკვლევამ მკვლევართა დადებითი გამოხმაურებები გამოიწვია, ოღონდ ეს გამოხმაურებები ზომიერია, სრულიად საკმაო საკანდიდატო ზღურბლის გადასალახავად, ოღონდ მათში არ ჩანს ის აღფრთოვანება, სენსაციურ სამეცნიერო გარღვევებს რომ მოჰყვება ხოლმე. თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის კვირაძალს ჩვენი მკვლევარი გახლდათ ფიგურა, მომავალი ჩვეულებრივი, სტანდარტული პროფესორის ანარეკლს რომ ასხივებდა.

სადოქტორო სადისერტაციო თემამ უკვე მთელი უღელება მოიცვა. წიგნი „ქართული ზმნის უღვლილების სისტემა“ 1988 წელს გამოვიდა.

აქ წარმოდგენილ დასაბუთებულ დებულებებზე თავიანთი მოსაზრებები გამოხატეს წამყვანმა სპეციალისტებმა.

პროფ. ციალა ქურციკიძე აღნიშნავდა: **მართებულია დასკვნა, რომ აწმყოს ხოლმეობითი, I და II ბრძანებითები ძველ ქართულში არაა დამოუკიდებელი მწკრივები... მყოფადის მწკრივები ნაკვთთა სათვალავში რომ არ უნდა მოქცეულიყო, ეგ ბევრს აღუნიშნავს, ოღონდ არავის დაუსაბუთებია...**

პროფ. მიხეილ ქავთარია მიუთითებდა: საყურადღებო სიახლეა, რომ ახალი საკვალიფიკაციო ნიშნის საფუძველზე გამოყოფილია უღვლილების ტიპები... ნამდვილად გაირკვა, რომ დრო და კილო არაა მორფოლოგიური კატეგორიები...

სამეცნიერო საბჭოს (თავმჯდომარე აკად. თ. გამყრელიძე, სწავლული მდივანი პროფ. გ. წიბახაშვილი) დასკვნაც მკაფიო გამოდგა: მწკრივთა დაჯგუფების მორფოლოგიური პრინციპის გატარება იძლევა შესაძლებლობას, ახლებურად შეფასდეს ზმნის ზოგი კატეგორია (დრო და კილო).... დისერტანტი საინტერესოდ გამოყოფს უღვლილების 3 ტიპს... მკვლევარს შემოაქვს ახალი სამუშაო ტერმინი „საყრდენი მორფემა“...

პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის აზრით, ერთობ შთამბეჭდავად გამოიყურება ანალოგია მწკრივისა და ბრუნვის კატეგორიებს შორის.... საკითხები დასმულია გაბედულად.... ლოგიკურია მსჯელობა, არის სამეცნიერო არგუმენტაცია...

პროფ. გუჩა კვარაცხელია ფიქრობს: ჩამოყალიბებულია დებულებები, ზოგჯერ – წესებიც კი.... ნაშრომი თეორიულია, დაფუძნებულია კონკრეტულ ენობრივ მასალაზე... მეტად საგულისხმოა დებულება-წესი: „მწკრივი ისეთივე კატეგორიაა ზმნისა, როგორც ბრუნვა – სახელისა“... დისერტანტი ბევრ არსებულ მოსაზრებას აზუსტებს...

პროფ. გენადი ბურჭულაძე დისერტანტს იმად ემადლიერება, რომ ბევრი ისეთი მკვლევარი წარმოაჩინა, რომლებიც დღემდე უსამართლოდ იყვნენ მივიწყებული....

პროფ. ალექსანდრე ონიანი მიუთითებდა: დისერტანტმა „ყამირი თემა“ კი არ აიღო, არამედ ათასგზის ნათელი და სწორედ აქ თქვა ახალი რამ. ეს ურთულესი საქმეა და აქედან

გამოჩნდა მკვლევრის შესაძლებლობა... ძალიან სწორად არის დასმული დროისა და კილოს საკითხი... კარგად არის გადასინჯული წარსული დროის მარკერად მიჩნეული ფორმანტების საკითხი...

ბევრი მკვლევარი, დაიცავს რა დისერტაციებს, მოიგდებს რა ხელში შესაბამის თბილ თანამდებობას, გაყუჩდება, შემოქმედებით საქმიანობას შეწყვეტს და მიღწეულით ტკბობას ეძლევა. ჩვენს დაუდეგარ და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე სწავლულს ასე არ დამართვია. მისი ინიციატივით ჯერ კიდევ 1980-იან წლებში გადაწყდა მორფოლოგიური ლექსიკონების შედგენა. უნდა გამოცემულიყო ოთხი სიტყვარი — მასალა ქართული ენის მორფოლოგიის აკადემიური კურსისათვის. ესენია:

1. მორფემების ლექსიკონი
2. სახელურ ფუძეთა ლექსიკონი
3. ზმნურ ფუძეთა ლექსიკონი
4. სახელზმნურ ფუძეთა ლექსიკონი

მესამე და მეოთხე სიტყვართა შედგენა იტვირთა გ. გოგოლაშვილმა. მან დაუყოვნებლივ შეკრა სწავლულთა ჯგუფი (ციცინო კვანტალიანი, დალი შენგელია) და ორივე სიტყვარი გამოსცა. პირველი — 1989, ხოლო მეორე — 1991 წელს.

ფაქტობრივად ეგ იყო ჩვენში პირველი მორფოლოგიური ლექსიკონი.

დღეს უკვე თამამად აცხადებენ, რომ ამ ნაშრომებმა დიდი როლი შეასრულეს ქართული ენის კომპიუტერული მოდელების შემუშავებაში, ხოლო იმხანად ზმნურ ფუძეთა სიტყვარის წინასიტყვაობაში აკად. ქეთევან ლომთათიძე წერდა: ლექ-

სიკონში აღრიცხულია ამა თუ იმ ზმნის მარტივი ფუძე თავისი ვარიანტებითურთ, ფუძის გართულების სხვადასხვა სახეობა გარდამავლობა-გარდაუვლობის, სტატიკურობა-დინამიკურობის, მოქმედებითობა-ვნებითობის და სხვათა მიხედვით, ყოველი აღებული ფუძის სხვადასხვა საწარმოებელ აფიქსთან შეხამების უნარის მიხედვით...

სისტემიზებულ ნაშრომს წინ უძღვის გ. გოგოლაშვილის „ლექსიკონის აგებულება და დანიშნულება“.

სახელზმნურ ფუძეთა ლექსიკონსაც აკად. ქ. ლომთათიძის წინასიტყვა უძღვის, რომელშიც მითითებულია ნაშრომის საჭიროებასა და მისი შედგენის პრინციპების შემმუშავებლის ღვაწლზე. ამ სიტყვარსაც ერთვის გ. გოგოლაშვილის „ლექსიკონის დანიშნულება“.

მოგვიანებით გამოსულმა „ქართული ენის ენციკლოპედიამ“ მაღალი შეფასება მისცა ფუძეთა ზემონახსენებ ლექსიკონებს... აქ საგულისხმოა ა) აღწერითი და ბ) შეფასებითი ნაწილები.

ა) „ფუძეების ლექსიკონი. სიტყვაწარმოებითი ლექსიკონი, რომელშიც ასახულია ფუძეთა მორფემული შედგენილობა და დერივაციული სტრუქტურა“...

ბ) „სახელზმნურ ფუძეთა ლექსიკონი“ მორფოლოგიური ლექსიკონია, რომელიც ავსებს ზმნურ ფუძეთა ლექსიკონს და მთლიანად წარმოგვიდგენს ზმნურ ფორმათა წარმოების შესაძლებლობებს“...

ორივე სიტყვარს გამოეხმაურა პროფ. ქეთევან დათუკიშვილი. აი, სათანადო ამონარიდები მისი რეცენზიიდან:

ეგ ლექსიკონები მნიშვნელოვან ეტაპსა ქმნიან ქართული ენის ფორმალიზაციის თვალსაზრისით...

აქ სქემის სახით არის მოცემული ინფორმაცია თითოეული ზმნური ფუძიდან ნაწარმოები ყველა სიტყვაფორმის შესახებ...

სქემაში ერთგვარად კოდირებულია ქართული ზმნის მახასიათებლები: გვარი, სტატიკა, ქცევა, ზმნისწინი და მათი კომბინაციები თითოეული ფუძისათვის; შესაძლებელია სრული ინფორმაციის მოძიება ამა თუ იმ ზმნური ფუძიდან ნაწარმოები ნებისმიერი ზმნური სიტყვაფორმის შესახებ...

დიდი მნიშვნელობა აქვს ლექსიკონს კვლევისას, ოღონდ უფრო მნიშვნელოვანია ქართული ენის მოდელირებაში...

ამ ლექსიკონებმა ნიადაგი მოამზადეს ქართული ენის მოდელირებისა და კომპიუტერული სისტემების შექმნისათვის...

ქართული ზმნის სიყვარული არც ამით დამთავრებულა. იგი გაგრძელდა. სწორედ ამან განაპირობა რამდენიმე ათეულ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა, ასზე მეტი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება და, აი, 2010 წ. გამოვიდა 520-გვერდიანი შემაჯამებელი მონოგრაფია „ქართული ზმნა“ (ფორმაწარმოების საკითხები). ამ ფუნდამენტური შრომის რედაქტორები არიან ავთანდილ არაბული და მიხეილ ქურდიანი. მათ ამ წიგნს უწოდეს „ქართული ზმნის სარკკევი“.

ზოგიერთი ამონარიდი ამ მოკლე ესედან:

ავტორი განსაკუთრებით გამოირჩევა ზმნური სისტემებისა და სტრუქტურების ფორმალური ანალიზის ერთგულებით...

მკვლევარმა ჩამოაყალიბა ქართული ზმნის უღლების რვამწკრივიანი პარადიგმა...

დაინტერესებული პირი ამიერიდან ამ ერთ წიგნში იხილავს თავმოყრილს არსებითად ყველა საკითხს, დაკავშირებულს სამივე სერიასა და მათში შემავალ მწკრივებთან...

წიგნი ახალ ენერგიას შემოიტანს ქართული ენის გრამატიკული აგებულების შესწავლაში...

უცხოურ ჟურნალ „გეორგიკაში“ დაიბეჭდა გერმანელი ენათმეცნიერის ვინფრიდ ბოედერის რეცენზია. მოგვყავს გამოხმაურების რამდენიმე ამონარიდი: **ავტორი წამოჭრის საკითხებს, რომლებიც სულაც არ არის მარტივი და მორფოლოგიური თეორიის მნიშვნელოვან პრობლემებს ეხება... ამ საკითხების დასმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათზე გაცემული შესაძლო პასუხები...**

ახლა მივხედოთ იმ თემებს, რომლებზე მუშაობასაც ჩვენი მკვლევარი არც აპირებდა, ოღონდ გარემოებათა გამო იძულებული გახდა, მათზეც ეზრუნა.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაგეგმილი იყო მორფოლოგიის აკადემიური კურსის შედგენა. გეგმა-პროსპექტი ჩამოაყალიბა პროფ. ბესარიონ ჯორბენაძემ. მასვე დაევალა ამ საშური საქმის მოგვარება, ოღონდ, სამწუხაროდ, იგი 1993 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. მის მიერ შედგენილი გეგმა-პროსპექტი 1995 წ. გამოსცა გ. გოგოლაშვილმა. მანვე ითავა შეწყვეტილი საქმის დაგვირგვინება. და აი, 2011 წ. კიდევაც გამოვიდა „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“, პირველი ტომი. მასში განხილულია სალიტერატურო ენა. ამ აკადემიურ გამოცემაში **ზმნის ძირითადი მონაკვეთის** ავტორი ჩვენი მკვლევარია.

მალევე გადაწყდა „ახალი ქართული ენის“ ოთხტომეულის გამოცემა. I და II ტომები უნდა დასთმობოდა სალიტერატურო ენის, ხოლო III-IV ტომები – დიალექტების მორ-

ფოლოგიას. ეს იქნებოდა ამ ეტაპზე ქართული ენის კვლევის შედეგების შემაჯამებელი კორპუსი.

რაოდენ გახარებული უნდა დარჩენილიყო იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი გოგოლაშვილი, რომ ბოლოს ეს საქმეც წარმატებით დაგვირგვინდა. აი, როგორ შეეგება ამ ამბავს პროფესორი როინ ჭიკაძე: **ჩვენს ხელთაა გიორგი გოგოლაშვილისა და ავთანდილ არაბულის რედაქციით ოთხ წიგნად გამოცემული ფუნდამენტური ნაშრომი „ახალი ქართული ენა“... ეს გრამატიკული კორპუსი ფაქტობრივად არის ახალი ქართული ენის ერთიანი შემაჯამებელი კურსი... მასში განხილულია ქართული ენის მორფოლოგიის კარდინალური საკითხები...**

„მორფოლოგია“ უკვე გვაქვს... კვლევა გრძელდება. ამ პროექტის შემოქმედნი გვაიმედებენ, რომ მომდევნო წიგნები მიეძღვნება ფონეტიკას, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიასა და სინტაქსს...

ნაშრომის მეცნიერული ღირებულებაა ის, რომ ავტორები სათანადოდ აფასებენ მემკვიდრეობით მიღებულ მონაპოვარს, თუმცა საკუთარ თვალსაზრისსაც გვთავაზობენ...

და ბოლოს უმთავრესი სათქმელი:

ახალი ქართული ენის სრული კურსის მრავალტომეულის შექმნა არის XXI საუკუნის ვალი ქართული სახელმწიფო ენის წინაშე...

ქართულ დიალექტთა მკვლევარი

სალიტერატურო ენას კვებავენ, აძლიერებენ და ამდიდრებენ დიალექტები. ჩვენი პროვინციული მეტყველება ერთობ

მრავალფეროვანია. ეთნოგრაფიული კუთხეების სიმრავლე და ენობრივი სივრცის მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის უარუთქმელი სიმდიდრეა. ევროპელთა წინაშე სწორედ ამით იწონებდა თავს გრიგოლ რობაქიძე, როცა ბრძანებდა: „ევროპელ მკითხველს უნდა ვუთხრა: საქართველო სხვადასხვა კუთხეს აერთიანებს. აქ ცხოვრობენ კახელები, ქართლელები, იმერლები, გურულები, მეგრელები და აჭარლები: ასევე მთის ხალხები: სვანები, ხევსურები, ფშავლები და თუშები. ისინი, ყველანი, ქართველები არიან და ქართულად მეტყველებენ, გარდა სვანებისა და მეგრელებისა, რომელთაც, გარდა ქართულისა, საკუთარი ენებიც აქვთ. ეგ ენები ფუძექართული ენის საფუძველზე არსებობენ. საერთოდ კი ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულში ერთიანი სალიტერატურო და საეკლესიო ენა მოქმედებს“ („მეგი – ქართველი გოგონა“).

ამიტომაცაა: პროფესორი გოგოლაშვილი იკვლევს, ერთი მხრივ, ერთიან სალიტერატურო ენას, ხოლო, მეორე მხრივ, – მის დიალექტურ ნაირსახეობებს, რაკიღა ისინი ერთიანი ენობრივი სივრცის ნაწილებია.

როგორც ძველი, ისე ახალი სალიტერატურო ენის კვლევის ნიმუშია გამოკვლევები ზმნის შესახებ („ქართული სალიტერატურო ენა – ისტორია და თანამედროვეობა“, 2009 და „ქართული სალიტერატურო ენა, ნარკვევები.“ მათში გამოკვეთილია საკითხები: ქართული, როგორც სახელმწიფო ენა; ენის პერიოდიზაცია; ენის ნორმირების ისტორია და პერსპექტივა; ი. გოგებაშვილის როლი სალიტერატურო ენის ისტორიაში; სამეცნიერო ენის ჩამოყალიბება და განვითარება; საეკლესიო ტერმინოლოგიის გაქართულების ამბავი; ენა და

მწერალი; ენობრივი ცვლილებები და ნორმატიული რეკომენდაციები.

მკვლევარი 1970-იან წლებშივე დაინტერესდა დიალექტოლოგიით. მისი პირველი სერიოზული ნაშრომი სწორედ დიალექტოლოგიური ხასიათისა გახლდათ. იგი იკვლევს პროვინციული მეტყველების ფონეტიკის, მორფოლოგიის საკითხებს, განსაკუთრებული გულისყურით კი — პროვინციული ზმნის პრობლემებს. მისი ინტერესის საგანია ქართველურ დიალექტთა გამოყოფისა და განვითარების საკითხი; დიალექტური და სალიტერატურო ნორმები...

მეცნიერი 1980-იანი წლებიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს დიალექტოლოგიაში, მანვე შემოიღო საგანგებო კურსი — ენის ისტორია და დიალექტოლოგია (მაგისტრთათვის). მკვლევარმა კარგად იცის: სალიტერატურო ენაში ხშირად იჩენს თავს დიალექტიზმები და, პირიქით, სალიტერატურო ენა გავლენას ახდენს დიალექტებზე. ეს აუცილებელი კავშირი რომ დაიგულისყურა, ამიტომაც აღადგინა ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო გამოცემა „დიალექტოლოგიური კრებული“.

მეცნიერი მონაწილეობს ყველა დიალექტოლოგიურ სემინარში, კონფერენციასა და დისკუსიაში. ასე, მაგალითად: 2000-2007 წლებში გაიმართა ფართო მსჯელობა — „ქართველური ენები და დიალექტები“. კრებულად გამოსული მასალების თითქმის ნახევარი ჩვენს მკვლევარს ეკუთვნის.

ყველა ამ ნაშრომს თუ დავითვლიდით, ასამდე მაინც გამოვიდოდა.

2013 წ. შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა პროექტი — „თანამედროვე ქართული ენის

დიალექტთა მორფოლოვია“ (ხელმძღვანელი გ. გოგოლაშვილი). წიგნი 2016 წ. გამოიცა. თუ მანამდე ცალკეული საკითხების ცალკეულ დიალექტებში ხდებოდა კვლევა, აქ ყველა დიალექტის მორფოლოგიის ყველა საკითხია შესწავლილი, ყველა მონაცემია გათვალისწინებული; კრებსითი ანალიზია წარმოდგენილი.

დიალექტების ასე გამოწვლილვით შესწავლამ გააჩინა შესაძლებლობა, გამოცემულიყო ეროვნული მნიშვნელობის ოთხტომეული: 1. ახალი ქართული ენა, 1, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, სახელები, 2016, 404 გვერდი; 2. ახალი ქართული ენა, 2, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, ზმნა, 2016, 568 გვერდი; 3. ახალი ქართული ენა, 3, დიალექტთა მორფოლოგია, 2017, 480 გვერდი; 4. ახალი ქართული ენა, 4, დიალექტთა მორფოლოგია, პარადიგმები, 2017, 512 გვერდი (გ. გოგოლაშვილისა და ა. არაბულის რედაქცია).

როგორცა ვხედავთ, კვლევის ისტორიაში პირველად მოხერხდა დიალექტთა კრებსითი მორფოლოგიური ანალიზის ცალკე წიგნში ასე ფართოდ წარმოდგენა. ისიც დასაგულისყურებელია, რომ ცალკე ტომი დაეთმო 18 დიალექტის ბრუნებისა და უღლების პარადიგმებს. ესეც კარგი სიახლეა ჩვენს ენათმეცნიერებაში.

ამრიგად, ერთ წიგნში მოიყარა თავი სახელის ბრუნებისა და ზმნის უღლების მასალებმა ყველა დიალექტიდან.

მაშ, ეს გახლავთ ქართულ და არა მარტო ქართულ დიალექტოლოგიაში პირველი მსგავსი გამოცემა...

საგულისხმოა: ამ წიგნებში დიალექტოლოგიის ზოგადი საკითხების განხილვა და ზმნის შესახებ ძირითადი ნაშრომები ეკუთვნის პროფ. გ. გოგოლაშვილს.

* * *

არსებობს ასეთი ცნება – სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა: სამეცნიერო თემებზე საუბარი არასამეცნიერო, პოპულარული ენით; მეცნიერების თანამედროვე მიღწევების – კვლევის შედეგების – პოპულარიზაციისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის მიზნით. შთამბეჭდავია ამ სფეროში გიორგი გოგოლაშვილის მოღვაწეობა.

2022 წელს მკვლევარმა გამოსცა ლამაზად ილუსტრირებული, ორიგინალური სახელწოდების წიგნი „ქართული ენის წუთისოფელი“ (რედაქტორი მურმან თავდიშვილი). ამ გამოცემით დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს:

რა არის ქართული ენა; რა გზა განვლო მან, ვიდრე ჩვენამდე მოაღწევდა; ვის გადაეყარა თავის გრძელ გზა-შარაზე სამტროდ თუ სამოყვროდ; ვინ რა კვალი დაამჩნია მის ცხოვრებას; ვის ენათესავება და ვის ემეზობლებოდა ოდითგანვე... როგორ დაიცვა და შემოგვინახა ქართულმა ენამ და ქართულმა ანბანმა ქართველობა; ვინ და როგორ ემსახურა მუხლჩაუხრელად დედაენას; როგორია ქართული ენის განვითარების პერსპექტივა – ესაა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ჩვენმა მკვლევარმა ამ წიგნში აღწერა. ეს არის გადამუშავებული და გავრცობილი ვარიანტი წიგნისა „ქართული – ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“ (2013 წ.); ვფიქრობთ, ეს სამაგიდო წიგნია ქართული ენის ყველა მოყვარულისათვის, გულ'შემატკივრისათვის...

ამ სახის წიგნები ხშირად უნდა გამოიცეს... მკვლევარს მადლობა ეთქმის იმისათვის, რომ ამ წიგნის დასაწერად მოიცალა!..

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების შესწავლა და დაცვა

ჩვენში მთავარ სამოციანელებად (1860) ძირითადად მიიჩნევდნენ ორ მოღვაწეს: ილიასა და აკაკის, და სწორედ ამათი დაწყვილება იქცა მოდად. ამის ნიმუშია ამ წყვილის ცნობილი ძეგლი რუსთაველის პროსპექტზე. პროფ. გ. გოგოლაშვილმა ეს ტრადიცია დაარღვია და მკვეთრად განსაზღვრა: მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას **დუეტი** კი არა, **ტრიო** განსაზღვრავდა. მესამე გამოჩენილ წევრად მან სამართლიანად აზიდა ფარზე **იაკობ გოგებაშვილი** – ქართველთა იან ამოს კომენსკი და პესტალოცი, ქართველთა უშინსკი და მაკარენკო, პედაგოგიკის კლასიკოსი. მკვლევარს მოჰყავს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ის გამოთქმები, რომლებიც ზედმიწევნით განსაზღვრავენ პედაგოგიკის კლასიკოსის როლსა და ადგილს **ქართული ენისა** და, ამდენად, **ქართველი ერის** გადარჩენაში. ილიაცა და აკაკიც აღნიშნავდნენ, რომ იაკობი მათზე უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ეროვნულ საქმიანობაში. და ეგ არ გახლდათ გამოვლენა მათი პირფერობისა. მათ დიახაც ესმოდათ გოგებაშვილის როლი ახალი თაობის აღზრდა-განათლებაში, მის მიერ ხნულში გადაგდებული თესლის სამომავლო მნიშვნელობა. ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ მკვლევარმა გამოსცა ზემოაღნიშნულის მოდასტურე სათაურის მქონე წიგნი: „მეოხად ჩვენდა – ილია და აკაკი, იაკობი!“ – (2020).

აღნიშნულმა აზრობრივმა მოძრაობამ ბუნებრივად გამოიწვია ჯერ გრიგოლ ორბელიანის მიერ წამოსროლილი, შემდეგ კი ილიას მიერ აფორიზმად ჩამოყალიბებული და აკაკის მიერ გაზიარებული ლოზუნგის — **მამული, ენა, სარწმუნოება** — „რევიზია“. ასე მივიღეთ საბოლოო და, მე ვიტყოდი, მართალი და სამართლიანი ლოზუნგი:

მამული, ენა, ეროვნული სკოლა, სარწმუნოება.

ვფიქრობ, ახალი (შესწორებული) დებადი საკვებით გამოკვეთს გოგებაშვილის როლს ერის გადარჩენის საქმეში.

მიმაჩნია, რომ **გიორგი გოგოლაშვილმა აღნიშნული მოქმედებით მართებული, სწორი სადინარი მისცა ქართველთა აზროვნებას. ამიტომ მისი ეგ ღვაწლი საგანგებო აღნიშვნის ღირსია.** აქ კი საგანგებოდ აღვნიშნავ: ეგ მიგნება ისე სანეტაროა, როგორც ახალდაწნეხილი კაჭიჭის მაჭრის სურნელება.

ავტორმა მთელი თავისი ნაფიქრი, კვლევა-ძიების შედეგები და „დედაენის“ სკოლიდან განდევნის წინააღმდეგ მოქმედების ამბავი ერთ ვრცელ წიგნად შეკრა და გამოაქვეყნა. დიდი ფორმატის ფოლიანტი 405 გვერდს მოიცავს (სიბრძნე იაკობისა, 2014).

ამ გამოცემით ავტორმა პედაგოგიკის კლასიკოსს კიდევ ერთი ძეგლი დაუდგა, ოღონდ — ახალი და უკეთესი. კვალდაკვალ ჩავსდიოთ მას.

შესავალი: აქ საგანგებოდ ხაზგასმით არის დაბეჭდილი აკაკისა და ვასილ ბარნოვის შეფასებანი. აკაკი გვმოძღვრავდა: **„ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წი-**

ნაშე... ის ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას“ (8).

ცნობილია: აკაკი ფრიად და ფრიად ძუნწი იყო ეპითეტების ჩამორიგებისას. აქაც იგი სწორედ იმას ამბობს, რასაც ფიქრობს, რისიცა სჯერა.

ვასილ ბარნოვი აღიარებდა: **„იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით უფრო დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს“ (8).**

ნაწილი I. ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა: ჯერ დასაბუთებულია, რომ პედაგოგმა ნათელი და მკაფიო გეგმა-პროგრამა პირნათლად და სრულად განახორციელა (9-10); შემდეგ ნაჩვენებია, როგორ ესმოდა ოთხი საუნჯიდან პირველის არსი იაკობს, ანუ რა არის სამშობლო, მამული და როგორ უნდა ვემსახუროთ მას. საამისოდ იაკობი მრავალმხრივ ირჯებოდა: უანგაროდ ემსახურა მამულს; ყველა საჭირბოროტო საკითხს ეხმაურებოდა და იძლეოდა გონივრულ რჩევებს; შეადგინა უკვდავი სახელმძღვანელოები და ეროვნული გრძნობით დამუხტა მთელი ახალი თაობა. „იმდროინდელ ორკლასიან სკოლებში „დედაენა“ ისწავლებოდა, ოთხკლასიანში – „ბუნების კარიც“. იაკობის გენიალური ნიჭის წყალობით, „დედაენა“ და „ბუნების კარი“ ისე იყო შედგენილი, იმდროინდელმა კურსდამთავრებულმა უკვე იცოდა საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია, ენა, ლიტერატურა და იცოდა უკეთ, ვიდრე დღევანდელმა საშუალო განათლების მქონემ იცის... ამასთანავე, მისი სხვა ცალკე კრებულები („კოკორი“, „კუნწულა“, „ხომლი“, „აკიდო“, „კონა“), მხატვრულ-ისტორიული მოთხრობები აღვიძებდა ქართულ

სულს“ (10-11); ახლა როგორ ესმოდა ენა და მისი როლი: ენას მან „ბურჯი ეროვნებისა“ უწოდა; სტატიებში კი მიუთითებდა, ერის განვითარება დამოკიდებულია ენის განვითარებაზეო. მერმე კი ნაჩვენებია, თუ როგორ შეძლო დიდაქტიკოსმა ერთიანი სალიტერატურო ენის დამკვიდრება მთელი საქართველოს მასშტაბით, ხოლო, როცა ენის განვითარების ცენტრალურ ნიშანსვეტებზეა საუბარი, იქ გამოკვეთა უმთავრესები: სახარება, რუსთველი, სულხან ორბელიანი, იაკობ გოგებაშვილი... მოყვანილია სხვათა და სხვათა აზრი, რომ გოგებაშვილის წიგნებმა არა ოდენ ქართული მეტყველება ისწავლეს, არამედ შეაფერხეს რუსიფიკატორული პოლიტიკა, მოახდინეს ქართველურ ტომთა კონსოლიდაცია, გაავრცელეს მწიგნობრობა, ხელი შეუწყვეს წერა-კითხვის გავრცელებას, ხალხის გონებრივ განვითარებას; აუხსნეს ერსა და ბერს, რა დამოკიდებულებაა სალიტერატურო, ანუ დედაენასა, და პროვინციულ ენებს (სვანური, მეგრული) შორის; რას წარმოადგენს ქართულის დიალექტები (კახური, ქართლური, გურული...); შემდეგ გაშლილია მსჯელობა უკვდავი წიგნის სათაურზე — „დედაენა“, მის პირდაპირ და სიმბოლურ მნიშვნელობებზე; დადგენილია, რომ ეგ სათაური ისევე გენიალური მიგნებაა, როგორც მისი პირველი გაკვეთილი „აი ია“ (14-15); ნაჩვენებია, თუ ვითარ გამოცხადდა მისივე ძალისხმევით **ეროვნული სკოლა** ცნობილი ტრიადის ბუნებრივ დამატებად (15-16); იქვე ნახსენებია, თუ როგორ ჩამოიცილა გზიდან „დედაენამ“ მანამდე არსებული ათზე მეტი დასახელების საანბანე სახელმძღვანელო და 1876 წლიდან დღემდე უკონკურენტოა (16-17); შემდეგ დასაბუთებულია, რომ პირველი საგაკვეთილე მასალა — **აი ია**

– გახლავთ გენიალური მიგნება, ყველაზე დიდი აღმოჩენა კულტურის ისტორიაში... რომლის მსგავსი მსოფლიო პედაგოგიკის ისტორიამ არ იცის (17-19). ამასთანავე, ნათქვამია: იაკობმა მოიწადინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა, შექმნა კიდეც და ამით განათლება მოჰფინა ყველა ფენას, მთელ ქვეყანას (18-19). იაკობი ზრუნავდა სარწმუნოებაზე, უხსნიდა ხალხს ქრისტიანობის არსს, ცალკეულ საკითხებს, ქართული ეკლესიის როლს. შეიძლება, ზოგს აღარც კი ახსოვდეს მისი საოცარი გამონათქვამი რწმენაზე, ამიტომ მოვიყვანოთ იგი: **„სარწმუნოება გულის სუფრაა, ხოლო გულზე ზემოქმედებს მარტო დედაენა... ყოველი უცხო ენა აქ უძლურია. როგორც პოეტობა არ შეიძლება უცხო ენაზე, ისე სარწმუნოებრივი გრძნობა“** (21); იაკობი არა მარტო ღვთისმეტყველების ქართულ ენაზე სწავლებას მოითხოვდა, არამედ საამისოდ სახელმძღვანელოც შეადგინა. ესაა „საღმრთო ისტორია“; მანვე შექმნა „სასულიერო სწავლანი“, დიდად მნიშვნელოვანი ნაშრომები „ქართველთა მოქცევა ქრისტიანობაზე“, „წმინდა ნინო“ და სხვ.

ერთი სიტყვით, ამ მხრივ დიდაქტიკოსი გაჰყვა „სამოთხის კარისა“ და „სწავლანის“ ავტორის – სულხან ორბელიანის გზას.

პროფ. გ. გოგოლაშვილი ცდილობს წარმოაჩინოს პედაგოგიკის კლასიკოსის წამქეზებლური დამოკიდებულება ლიტერატურის კორიფეებისადმი. გაანალიზებულია ილიასა და იაკობის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ურთიერთობა (24-26). ვხედავთ, როგორ ებრძოდნენ ერთხმად რეაქციონერ იანოვსკის; რა სწორ პოზიციაზე (ამჟამად გაზიარებულზე) იდგა

დიდაქტიკოსი, თუ როდის უნდა დაეწყო ყმაწვილს უცხო ენების შესწავლა: ჯერ კარგად უნდა გააცნობიეროს მშობლიური ენის ბუნება და ამის მერეა შესაძლებელი უცხო ენის დაუფლებაო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც ერთს ვერ შეითვისებს ჯეროვნად და პიროვნულადაც დამახინჯდებაო; გოგებაშვილი ინიციატორი იყო ხალხური სიმღერების შეკრებისა და ნოტებზე გადატანისა, რადგან მიაჩნდა, რომ მუსიკა ხელს უწყობს გონებრივ განვითარებას. ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი სწავლებისას ნახატს. საგულისხმოა, რომ იაკობი შესანიშნავად მსჯელობდა შრიფტზე, ანაწყობზე, სიტყვათა დაშორებაზე (28). მისი ეგ მსჯელობა თანამედროვე ოფთალმოლოგებსაც კი აკვირვებთ. ახლა კი იმის თაობაზე, თუ როგორ განაცვიფრა დიდაქტიკოსმა საქვეყნოდ სახელგანთქმული ბიუხერის მოსწავლე პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი. იგი იგონებდა: სახტად დავრჩი, იაკობის შენიშვნა რომ წავიკითხე — საძი მომკელი, ერთმანეთს აყოლილნი და „ჰოპუნით“ მომუშავე, იმდენს გააკეთებს, რამდენის გაკეთებაც ხუთ ცალ-ცალკე მომუშავეს შეუძლიაო... ის აზრი, რომელზედაც ჩემმა ბიუხერმა მთელი წიგნი ააგო, იაკობს ასე სხარტად გამოუთქვამსო(29).

წიგნში მოყვანილია არტურ ლაისტის, ფილიპე გოგიჩაიშვილის შეფასებები, რომლებშიც იკვეთება პიროვნული თვისებები: პირუთვნელობა, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, ასკეტური ბუნება, მოწესრიგებულობა, გულწრფელობა, სიკეთე, სხვისადმი უანგარო დახმარების წადილი, პატრიოტიზმი...

ცალკე თემაა გოგებაშვილის ქველმოქმედება. ყველა ხელმოკლეს ეხმარებოდა, ოღონდ ისე კი, რომ შეურაცხყოფილი არ დარჩენილიყო, ხშირად — ფარულად, გაუცხადებლა-

დაც; ეხმარებოდა მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც, ერსაც და ბერსაც, მწერალსაც და წერა-კითხვის უცოდინარსაც, განათლებულსა და უბირს... და, ბოლოს, სიკვდილის შემდეგ, ანდერძით საკმაო ქონება არგუნა ცალკეულ პირებს, საზოგადოებებს, უწყებებს...

დიდაქტიკოსის საბიოგრაფიო ფაქტების შესწავლის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა: მისი ცხოვრება — ეს იყო ნამდვილი მოწამის ცხოვრება (33). ასე სრულყოფილი დახასიათება ამ დიდი ქართველის პიროვნებისა არ მეგულება...

მკვლევრები მიუთითებენ იაკობის მიერ თვითმკვლელობის მცდელობაზე, ოღონდ არვის ურკვევია, რამ მიიყვანა აქამდე გ. გოგოლაშვილმა დაადასტურა: თვითმკვლელობის განზრახვამდე ის მიუყვანია არაერთ იმედგაცრუებას. 1861 წელს სამგზის გაუცრუვდა იმედი; 1863 წელს — კიდევ ერთხელ (უმუშევარი დარჩა); 1866 წელს გორის სასულიერო სემინარიაში ითხოვს ადგილს. უარი სტკიცეს; 1868 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად იყრის კენჭს. მან 39 თეთრი და 1 შავი მიიღო, მეტოქემ — პირიქით. ადგილი მაინც არ არგუნეს; 1873 წელს იგი შეჰყავთ არასაიმედო პირთა სიაში; იმავე წელს სრულიად უსამართლოდ იწუნებენ მის მუშაობას — აი, თუ რა გახდა მიზეზი მისი სულიერი კრიზისისა (45-46). და აი, დადგა ღირსსახსოვარი 1876 წელიც. სწორედ ამ წელს გამოვიდა „დედაენა“, გამოვიდა და გვერდზე მიყარ-მოყარა მანამდე არსებული ათიოდე მსგავსი სახელმძღვანელო. იგი მალე აღიარეს, ოღონდ ამან გარეშე და შინაური მტრები აამოძრავა. იანოვსკიმ უთხრა: შენი წიგნი ვრცელია, ბევრ დროს იკავებს და ამიტომ სკოლაში რუსულ

ენას ავიწროებს. საჭიროა მისი შემოკლებაო! „უფრო აბეზარი, უფრო ხანგრძლივი, დამქანცავი და შეურაცხმყოფელი შინაური მტრის წინააღმდეგ ბრძოლა გამოდგა“ (51). შემდეგ ნაჩვენებია ამ დაუღალავი ბრძოლა-პოლემიკის ამბავი, ის უსამართლო ბრალდებები, რომელთა უარყოფაც ამ ბროლივით წმინდა კაცს უხდებოდა.

ერთიც უნდა შევნიშნო:

ავტორი ყოველ საგულისხმო ფაქტს, ციტატას, მოვლენას თან ურთავს შესაბამის წყაროს, ლიტერატურას და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მათ უფრო ფართოდ და უშუალოდ გაეცნოს (58-59).

ნაწილი II. ქართული და ქართველური ენობრივი სივრცე: აღნიშნული ნაწილის ნიშანსვეტებია — XVII-XVIII საუკუნეებში ერი დაიქსაქსა და ეგ ენასაც დაეტყო: ის შეიკუმშა, დაჩიავდა, დაკნინდა, როგორც ქვეყანა. ეგ ჭირი ანტონ კათალიკოსმა პირველმა შენიშნა და თავისებური რეფორმა შემოგვთავაზა, ოღონდ შემდეგ აღმოჩნდა — სავალალო (60); XIX ასწლეულში ბუნებრივ ენობრივ კრიზისს რუსიფიკატორული პოლიტიკაც ზედ დაერთო. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა თავს იდეს სამოციანელებმა. ეგ მოძრაობა იმავე მნიშვნელობისა გამოდგა, რა მნიშვნელობაც თავის დროზე ჰქონდა რუსთველისეულ ენობრივ წინსვლას, და ეგების, უფრო მეტიც. ენის რეფორმის პირველი ეტაპი (60-იანი წლები) დასრულდა 70-იან წლებში ი. გოგებაშვილის „დედაენის“ გამოსვლითა (1876) და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებით (1879)... შემდეგ ნაჩვენებია იაკობის ბრძოლა სკოლაში დედაენის პოზიციების გასამტკიცებლად, რაკიღა

ბევრი ქართველიც კი ფიქრობდა, რომ იმპერიაში ქართული უსარგებლო ენაა, რუსული კი – საერთაშორისო და მისი მცოდნე ადამიანი სამსახურს უკეთ იპოვისო (62-63).

ეს იყო რეალური ცხოვრების სიმართლე და ეგ სიმართლე უნდა დაემარცხებინა იაკობის მსჯელობებს, ახსნა-განმარტებებს. განსაკუთრებით ყურადსაღებია **ოთხი ბურჯის** განმარტება: პირველი ბურჯია მამული, მეორე – ენა, მესამე – სკოლა, მეოთხე – რწმენა (64-65). და ასეთი მსჯელობის შემდეგ გამოჰყავს თაურმდგენი დასკვნა: **მოზარდს დედაენა უნდა შეაყვაროს სახელმძღვანელომ** (65); იმისათვის, რომ სახელმძღვანელო დასავლეთ საქართველოს პაწიებისთვისაც მისაწვდომი ყოფილიყო, იაკობი (ქართლელი) მასალებს აკითხებდა აკაკის და იმერელთათვის გაუგებარ ლექსიკასა და თქმებს ერიდებოდა. მაშ, მის სახელმძღვანელოში გაუგებარი არაფერი უნდა ყოფილიყო დასავლელი მოზარდისათვის (66-67); საგულისხმოა: იაკობი სახელმძღვანელოთა შესახებ შენიშვნებს ყველასაგან იღებდა. წიგნში შეცდომის აღმომჩენს ჰონორარად შაურს აძლევდა და ეს მაშინ, როცა თვით წიგნი ორი შაური ღირდა (67-68). სახელმძღვანელოთა ავტორი აქტიურად ერთვება მართლწერის ირგვლივ გამართულ პოლემიკაში, გვთავაზობს საინტერესო ტერმინებს: **მთავარი მართლწერა, სასკოლო მართლწერა, ინდივიდუალური მართლწერა, პროვინციული მართლწერა**... (69). იგი მომხრეა საყოველთაო მართლწერის დამკვიდრებისა. მისი აზრით, რომელიმე ერთ კუთხეში არსებული ფორმა არ შეიძლება მივიჩნიოთ სალიტერატუროდ, თუნდაც მას მხარს უჭერდეს ისეთი ავტორიტეტი, როგორიცაა აკაკი (71). კიდევ მეტი, ავტორიტეტულმა მწე-

რალმა ასეთი ფორმები უნდა აირიდოს, რადგან მას ბევრი წაბაძავსო (72); ყველაფრიდან ჩანს: გოგებაშვილს საერთო ლიტერატურული ენის ჩამოყალიბება და გავრცელება იმად მოსწონს, რომ ეს კიდევ უფრო მეტად შეკრავს ქართველი ერის სხვადასხვა ტომსა და პროვინციას (74). გოგებაშვილის თვალთახედვით, თავისებურია თვით ქართველური ენობრივი სივრცე: მას კარგად აქვს შეგნებული, რომ **დედაენა** არის ქართული, ხოლო მეგრული და სვანური — არა დიალექტები, არამედ მოძმე ენები, არასამწერლო, შინაური ენები. ღრმად განსწავლულმა ლინგვისტმა კარგად იცის, რა განსხვავებაა ენებსა და დიალექტებს შორის (75). მეგრულ-სვანურს რომ დიალექტებად არ მიიჩნევს, ამაზე მეტყველებს იაკობისავე ტერმინები: **ქართული სალიტერატურო ენა; ლიტერატურული დედაენა; ძირითადი ქართული ენა; ძირითადი მშობლიური ენა; მთავარი ენა; მთავარი დედაენა; საერთო ენა; ზოგადი დედაენა; ზოგადქართული კულტურული ენა; საღმრთო ენა** (76); მეგრული და სვანური კი მისთვის ქართულის განშტოებებია (78). აქედან გამომდინარე, პროფ. გ. გოგოლაშვილი დაასკვნის: „ლინგვისტური თვალსაზრისით, იაკობის აზრი სრულიად თანამედროვე და მისაღებია. თავად ტერმინები — მეგრული შტო ქართული ერისა, სვანური შტო ქართული ენისა საგულისხმოა დღევანდელი სოციოლინგვისტური თვალსაზრისითაც“ (81).

ნაწილი III. „დედაენა“ — ძეგლი სამარადისო: იაკობის სახელმძღვანელო ამ დარგში რევოლუცია გამოდგა. აქ უკვე მოცემულია ყველა ის პრინციპი, რომლებიც აუცილებელია: **შეგნებულობა, მისაწვდომობა, თვალსაჩინოობა, აქტივობა, სის-**

ტემატურობა, ნაცნობიდან უცნობზე, ადვილიდან ძნელზე, მარტივიდან რთულზე თანდათანობით გადასვლა...

პროფ. ვალერიან რამიშვილი ყოველივე ამას „რევოლუციას“ უწოდებდა (85). მკვლევრებმა მეორე რევოლუცია უწოდეს „ბუნების კარს“. ორივე წიგნზე გალაკტიონმა ასე ბრძანა: ესენი არა სახელმძღვანელოები, არამედ უდიდესი პოემებიაო (86); გ. გოგოლაშვილმა გამოიკვლია, რომ ტერმინი დედაენა იაკობამდე არც ილიას, არც აკაკის არ მოუმარჯვებიათ. **ეგ სენსაციური მიგნება გოგებაშვილისაა!** (90-92). იგივე ვითარებაა აკაკის ნაწერებშიც (91-92); კიდევ მეტი, გოგოლაშვილმა დაადგინა: არც იაკობს გამოუყენებია ეს ტერმინი „დედაენის“ გამოსვლამდე. ამრიგად, მივიღეთ ერთობ საგულისხმო დასკვნა: **„დედაენა“ მშობლიური ენის მნიშვნელობით იაკობ გოგებაშვილის შექმნილია: „დედაენა“ მიზნობრივად შეიქმნა საანბანე წიგნისათვის ისეთი სიტყვების ანალოგიით, როგორიცაა დედამიწა, დედაბოძი, დედაბურჯი, დედაქალაქი, დედააზრი. იმდენად მარჯვე აღმოჩნდა კომპოზიტი, რომ უსწრაფესად გავრცელდა და დამკვიდრდა მშობლიური ენის გაგებით.**

აქ უმნიშვნელოვანესია შემდეგი: ტერმინი სინონიმია სალიტერატურო ენისა. ევროპულ ენებში კი დედაენა დედის (მშობლის) ენასა ნიშნავს.

ეს აზრი გაიზიარა გერმანელმა მეცნიერმა ვინფრიდ ბოედერმა.

მაგრამ ამ სათაურისა და, საზოგადოდ, იაკობის მეთოდის გამოყენებამ სხვისი იდეების მიმტაცებელთა მიერ მოგვიანებით დიდი აურზაური გამოიწვია: **დედაენა** საანბანე წიგნის სათაურად არაერთმა მოიმარჯვა; გამოიყენეს იაკობისეული

ბევრი ხერხი და მეთოდი (ავტორის მიუთითებლად...). ამ უმსგავსობის წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრა ჩვენმა მკვლევარმა. მან იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თანადგომით თვით საკანონმდებლო ორგანოში მოიგო საქმე და ამჟამად დედაენა ჰქვია მხოლოდ იმ სახელმძღვანელოს, რომელსაც ავტორად გოგებაშვილი აწერია (98-102).

პედაგოგიკის კლასიკოსი აცხადებდა: ბევრად უფრო დიდი დრო შევსწირე ჩემი წიგნებისა და მეთოდის დაცვას, ვიდრე მათ შექმნასო. გ. გოგოლაშვილმა გამოწვლილვით განიხილა ამ პერიპეტიების ამბავი და მთელი ამ ბრძოლის სურათი აღადგინა, რაც მნიშვნელოვანია პედაგოგიკის ისტორიისათვის (134-153).

„დედაენის“ პირველი გაკვეთილი — **აი ია** — სახელდებულია **ცის გაზსნად** და **ეპოქალურ მიგნებად** (103-104). მერე კი გაშლილია მსჯელობა, თუ რატომ არის **აი ია** გენიალური მიგნება, წიგნის სათაურის გააზრებაზე უკეთესიც კი. ჯერ ერთი, ორი ასო-ბგერით ნორჩი იგებს ორი ცნების შინაარსს; მეორეც, სწავლება იწყება ორი უმარტივესი ხმოვანი ასო-ბგერის გაცნობით; მესამეც, ორი სიტყვა სარკისებურად ასახავს ერთმანეთს და ეგ იწვევს სილამაზისა და სიმეტრიის შეგრძნებას; მეოთხეც, **აი** და **ია** ყმაწვილისათვის ერთობ ნაცნობი და გასაგებია; მეხუთე, **ია** საყვარელი, სათუთი, სანიაზო და ფრიად ესთეტიკური მცენარე-ყვავილია და ამ მხრივაც სასურველი და სანეტაროა; მეექვსე, აქვე ხდება ასო-ბგერათა განმეორებაზე ვარჯიში და თანაც სრულიად ბუნებრივად; მეშვიდე, **აი ია** პალინდრომია და, შეცდომაც რომ მოუვიდეს ნორჩს, სანამ კითხვის მიმართულება ჩვევაში გადავა, ფრაზა მაინც სწორი

გამოვა (აი ია; ია აი). მაშ, ნორჩის მცდარ გზაზე დადგომაც გამორიცხულია; მერვე, მარჯვნიდან წაიკითხავ თუ მარცხნიდან, ფრაზა ნანინასავით მღერის, აკვანივით ირწევა. ამ მხრივ მას მხოლოდ რუსთველის მიგნება თუ დაუდებს ტოლს: „ერთი წავა და სხვა მოვა...“ მეცხრე, ნება-უნებლიეთ (თავისდა უნებურად) ყმაწვილი არა მარტო ორ ასო-ბგერას, არამედ მთელ წინადადებასაც სწავლობს: **ეს არის ია!**

მაშასადამე, **ცხრა სიკეთე ცხრათვალა მზესავით თავს დაჰფოფინებს და დაჰგოგოჩებს ამ უნიკალურ მიგნებას.**

საგულისხმოა და ეს ჩვენს ავტორს არ უნდა დავუკარგოთ: მან პირველმა გამოთქვა ფრიად და ფრიად საყურადღებო აზრი:

საანბანე პირველ სიტყვად ია-ს მიგნება უტოლდება სხვა სფეროში ყველა დროის ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენას; რაც არის პოეზიაში „განთიადი“ და მუსიკაში „დაისის“ შესავალი, იგივეა პედაგოგიკაში „დედაენის“ საწყისი გაკვეთილი „აი ია“.

ვეთანხმები ავტორს და თან დავსძენ: არაერთხელ დამიბეჭდავს და ლექციებზე ხაზგასმით აღმინიშნავს: გალაკტიონის **სილაში ვარდი** და **სილაჟვარდე** იმავე ძალისაა პოეზიის თეორიაში, რა მნიშვნელობისაცაა **ნიუტონის ბინომი** რიცხვთა თეორიაში-მეთქი!

არსებობს ცნობილი ხალხური ლექსი, მწარე გამოცდილებაზე დაფუძნებული:

„დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი აგიგია?“

ასე დაემართა დიდ დიდაქტიკოსსაც: მუდამ ებრძოდნენ მის გენიალურ წიგნს, ოღონდ განსაკუთრებით დაუნდობლად — დამოუკიდებელი საქართველოს ვითარებაში. გამართლდა დიდი ფლორენციელის ნათქვამი: ადამიანი საკუთარი მამის მკვლელობას უფრო იოლად გაპატიებს, ვიდრე ქონების ხელყოფასო. და, აი, დაიწყო „დედაენის“ ორი გენიალური მიგნების მითვისება, იაკობის მეთოდების ფარული თუ ცხადი მოპარვა, და რისთვის? — მატერიალური სარგებლის მოსახვეჭად.

ამ აღვირახსნილობას რომ წინ გადაღობებოდა, პროფ. გ. გოგოლაშვილმა სამი მიმართულებით იღვაწა: 1. **ქარცეცხლიანი სტატიებით დაუპირისპირდა მეკობრეთ**; 2. **საამისოდ დააარსეს იაკობ გოგებაშვილის** საზოგადოება; 3. **დააარსა ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“** და ამ სამი პლატფორმიდან, ამ სამი ბასტიონიდან გაუხსნა ცეცხლი უკეთურთ. კიდევ მეტი, იმდენი იზრუნ-იბობოქრა, 2019 წელს „დედაენა“ დაბრუნდა ქართულ სკოლაში.

ეს იყო დიდი გამარჯვება!

პროფ. გოგოლაშვილმა გამოცდილებით იცის: ეგ ბრძოლა არც აწი შეწყდება, რადგან „სახსრის ტრფიალითა და კუჭის პრინციპით ბევრს რამ ავს საქმეს სჩადიან“.

დიახ, უკვდავია დიდი ფლორენციელის ნასიბრძნი: „ხელის ჭუჭყისათვის“ მშობლებსაც კი გაწირავენო.

იაკობის ინტერესების დასაცავად მკვლევარმა არაერთი სტატია დაწერა. მარტო მათი ჩამოთვლაც საკმარისია იმ დიდი გარჯის დასანახავად, რაც მან ამ მხრივ გასწია: „დილეტანტიზმი და არაკომპეტენტურობა დაღუპავს სკოლას“;

„ი. გოგებაშვილის „დედაენას“ სკოლაში შეუშვებენ?“ „ათი „დედაენის“ კონკურენცია“; „განათლების სამინისტრომ გოგებაშვილის „დედაენას“ ცხრა ლახვარი ჩასცა გულში“; „მიმართვა განათლების მინისტრ შაშკინს“; „აი ია“ შეუცვლელია“; „მეფის რუსეთში უფრო ადვილად დაიცავდი ქართულ ენას, ვიდრე დღეს!“ „განმარტება განათლების სამინისტროს პასუხზე“; „დედაენა და უცხო ენანი“; „მჯერა, იაკობ გოგებაშვილი ახლაც გაიმარჯვებს!“ „იაკობის „დედაენის“ პატრონი რას დაეძებთ?“ „დედაენის“ ავტორი იაკობ გოგებაშვილია“; „ვისია „დედაენა?“ „სიტყვა „დედაენა“ და წიგნი „დედაენა“; „დედაენის“ პრობლემები“...

კირკიტა კაცი ვარ, დავინტერესდი და უცნაური რამ გაირკვა: პროფ. გოგოლაშვილს აღნიშნულ „საბასრობელ“ თემაზე 6 წიგნი, 25 სტატია და რამდენიმე რეპლიკა გამოუქვეყნებია (აღარას ვამბობ სატელევიზიო გამოსვლებზე...).

ბევრ მათგანს ერთობ მოსწრებული სათაური აქვს, ოღონდ მათ შორის განსაკუთრებით ორს გამოვარჩევდი: „მეფის რუსეთში უფრო ადვილად დაიცავდი ქართულ ენას, ვიდრე დღეს დაიცავ“. იგი დაწერილია 2012 წელს; „იაკობის „დედაენა“ თუ აყუნა-ბაყუნა?“ ის დაიბეჭდა 2019 წელს.

სათაურები თავად გვამცნევენ: დამოუკიდებელ საქართველოში ეროვნული ენა-მეტყველების საქმე ცუდადაა.

აღნიშნულ ბრძოლაში ჩაბმული მკვლევარი იძულებული გახდა „დედაენის“ კონკურენტი წიგნები (წარსულშიც და დღესაც) სკრუპულოზურად შეესწავლა და სათანადოდ ეჩვენებინა იაკობის ნაშრომის უპირატესობა. ამიტომ მან სერიოზულად განიხილა იაკობის დროინდელი ნაშრომები და თვალსა-

ჩინოდ გამოკვეთა მათი ნაკლი; საბოლოოდ კი დამარწმუნებლად დაადგინა: გოგებაშვილის ნაშრომი იმ სახელმძღვანელოებზე ათი თავით მაღლა დგას. „ათი თავით“ აქ ლამაზი ბგერწერისათვის არ მისწენებია. მართლა ასეა! იხ. „სიბრძნე იაკობისა“. გარდა ამისა, მკვლევარმა გვიჩვენა გოგებაშვილის პოლემიკის მაღალი დონე, მოპაექრეთა მიმართ მისი თავდაჭერა და ღირსების ყველა შემთხვევაში შენარჩუნება. აქ საინტერესოა ნ. ნიკოლაძესთან მისი შერკინების ამბავი. გოგოლაშვილი წერს: ნიკო ნიკოლაძესაც გაუმართავს კამათი დიდაქტიკოსთან. ამ ფაქტს ასე იხსენებს იაკობი: „მე ერთობ მკვახე სიტყვებით მოვიხსენიე ერთი მოწინავე „ობზორისა“, რომლის გამომცემელიც ნიკოლაძე იყო მაშინ; მაგრამ შემდეგში, როცა პოლემიკის ცეცხლი განელდა, მან ისარგებლა ჩემი რუსული სახელმძღვანელოს გამოსვლით და დაწერა სტატია, რომელშიც ასე დაახასიათა პოლემიკის შედეგები: „მე ისეთ დარტყმებს ვთავაზობდი მას, რომ კამეჩსაც წააქცევდა, მაგრამ იგი არამც თუ არ წაქცეულა, დიდ სიმაღლეზე აღიმართაო“... სწორედ ესაა „ღირსეული მტრის“ რეალური გამოვლინება“, — დაასკვნის მკვლევარი (142).

იმავე წესითა და მეთოდით განიხილავს მეცნიერი იაკობის თანამედროვე კონკურენტების ნაღვაწსაც; გვიჩვენებს „დედაენის“ ყოველმხრივ უპირატესობას და, ამავე დროს, სხვა სახელმძღვანელოების ე. წ. სახარხარო-სახოსმარიკო ადგილებსაც (143-169). აი, ერთ-ერთი ამონარიდი „დედაენის“ თანამედროვე კონკურენტი სახელმძღვანელოდან:

გივი დილაობით დარბის და საუზმეზე სულ იგვიანებს;
დიმიტრიმ ვერ მოითმინა და ცხელი ღვეზელი შესანსლა;

მათე სათამაშოს მტერია, ამ ტრაქტორს სულ მალე დაამტვრევს და ა. შ.

ნუთუ ეს ქცევები მისაღებია, წასაბაძავია; ზნეობის რა გაკვეთილს იძლევა მსგავსი წინადადებები?

არადა, იაკობის აზრით, ეროვნული სკოლის საფუძველი ზნეობრიობაა (ეროვნულობასთან ერთად)!

ამგვარ „იაღლიშებს“ იაკობი გაურბოდა.

ერთ-ერთ თანამედროვე სახელმძღვანელოში ასეთი კურიოზი გაჰპარვიათ:

ქათამმა კაკანი იცის... იკაკანებს, იკაკანებს და მერე კვერცხს დადებს.

არადა ქათამი ჯერ კვერცხსა დებს და მერე კაკანებს!

მესამე კონკურენტის სახელმძღვანელო გვატყუებს. დახატულია გოგონა. მის წინ დიდი **ლურჯი** ბურთია. ამას ახლავს ტექსტი:

— აი მთვარე. მზე ჩავიდა და მთვარე ამოვიდა.

— რა თეთრია!

— დედა, მოდი! აი თეთრი მთვარე.

მაშასადამე, თეთრი და ლურჯი ვერ განუსხვავებიათ ავტორებს. მაშ, სიცრუით ზრდიან ბავშვებს (167).

ერთი ცრუსახელმძღვანელოს თვითმარქვია „ავტორს“ საანბანე ნაწილში ერთი ასო-ბგერა გამორჩენია და 32 ასოს ასწავლიდა ბავშვებს!..

ახლა კი ისა ვნახოთ, თუ რა ფართო საქვეყნო თვალსაზრისით ასწორებდა გამოჩენილ მწერალთა ტექსტებს დიდი დიდაქტიკოსი. დუტუ მეგრელის უკედავი ლექსის პირველი ორი სტროფი დატოვა, სხვა უკუაგდო. მერე ახსნა ეგ ამბავი:

„ჩვენი კალმოსანი გამოტოვებულ სტრიქონში საქართველოს ქვეყნის თვალად თვლის და ეს კი გადაჭარბებული ქებაა; იქვე საქართველოს იხსენებს როგორც ღვთისმშობლის წილხვდომილს ქვეყანასა; ჩვენ კი „დედაენაში“ უკანასკნელს სასულიერო განყოფილებამდინ ქრისტიანული ელემენტი გამოტოვებული გვაქვს, რათა ქართველს მაჰმადიანებს და ქართველს ურიებს მიეცეთ შეძლება, დაუბრკოლებრივ იხმარონ საერთო სახელმძღვანელო ქართულის ენისა“ (152).

ასევე საქმიანად და ჭკვიანურად ჩაასწორა ხალხური „კურდღელი ჩამოცანცარდა“, რომელსაც ზურგზე ეკიდა **ღვინის გუდა**. განა ნორჩ აღსაზრდელს ასეთი მაგალითი სჭირდება?! დიდაქტიკოსმა **ღვინის** მაგიერ **სტაფილო** აჰკიდა ცხოველს.

შემდეგ ნაჩვენები და დასაბუთებულია: იაკობი დიდ ყურადღებას უთმობდა ნახატებს, მათ განლაგებას; შრიფტს, ასოების დაშორიშორებას და ა. შ.

წიგნის III ნაწილს ამთავრებს **„აპოლოგია დედაენისა“** (182). აქ მოყვანილია დ. ყიფიანის, აკ. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის გამონათქვამები იაკობის ღვაწლზე; თედო სახოკიას, გალაკტიონის აღტაცებული გამოხმაურებები; გ. ლეონიძის ლექსი „დედაენა“; შალვა დადიანის, დემნა შენგელაიას, გრიგოლ აბაშიძის, ვალერიან რამიშვილის, მუხრან მაჭავარიანის, ნინო ნაკაშიძის გამონათქვამები. აქედან საგანგებო გამოყოფის ღირსია დემნა შენგელაიას ნათქვამი: მეორე ათასწლეულში ორი დიდი წიგნი დავწერეთ — „ვეფხისტყაოსანი“ და „დედაენაო“ (187).

ქართველი ერის გადარჩენაში ჩვენს ავტორს სამი კაცის როლი მაინც განსაკუთრებულად წარმოუდგენია. ესენია ილია, აკაკი, იაკობი. ამიტომაც იგონებს ზოგად სათაურს **მთავარმოღვაწენი**. ესეც ერთგვარი მიგნებაა. ჩვენ ყური შევაჩვიეთ ცნებას **მთავარმოწამე**, ოღონდ **მთავარმოღვაწე** სიახლეა, თანაც ეროვნულ სამეტყველო თარგზე გამოჭრილი. ამ შესანიშნავი სათაურის ქვეშ გაშლილთა მსჯელობა ილიასა და იაკობის, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, აკაკისა და იაკობის შემოქმედებითი და ადამიანური ურთიერთობების შესახებ (189-241). ეგ ნაშრომი ასეთი სათაურით „მეოხად ჩვენდა – ილია და აკაკი, იაკობი“ ცალკეც გამოიცა.

აღნიშნული „მთავარმოღვაწენი“ წიგნის IV და საკმაოდ საინტერესო ნაწილია, ხოლო V მონაკვეთი (242) ეძღვნება გ. გოგოლაშვილის პოლემიკას სხვადასხვა პიროვნებასთან პედაგოგიკის კლასიკოსის თემაზე. კერძოდ, აქ განხილულია ედიშერ ჭელიძის ბროშურა, რომელშიც გამოთქმულია მოსაზრება – იაკობ გოგებაშვილის წმინდანად შერაცხვა შეუძლებელია. ძირითადი დებულება ასეთია: პედაგოგი ისე ირჯებოდა და ეკლესიის წინააღმდეგ ისე მიუღებელ, რეაქციულ აზრებს ავითარებდა, მისი წმინდანად კანონიზება მიუღებელია (183-249).

პედაგოგიკის კლასიკოსს გამოექომაგა პროფ. გოგოლაშვილი. ის შეეცადა ეჩვენებინა, რომ წიგნაკის ავტორი უკუღმა იგებს გოგებაშვილის წაღმართად ნათქვამს და სცოდავს; უფრო მეტიც, ცამდე მართალ კაცს ცილსა სწამებს: „ეს არის დიდი ქართველი მოღვაწის... შეურაცხმყოფელი ნაშრომი, ცილისმწამებლური ბრალდებანი: არასწორი, განგებ დამახინჯებული წაკითხვა ი. გოგებაშვილის ტექსტისა...“ (244).

ამის შემდეგ გ. გოგოლაშვილს მოჰყავს საბრალდებო დებულებანი და ცდილობს ისინი განაქარწყლოს. ე. ჭელიძემ არ მიიღო ჩვენი მკვლევრის დებადები და თავის აზრზე დარჩა.

მე, როგორც ნეიტრალური პიროვნება და ღვთისნიერი ათეისტი, პირუთვნელად, ობიექტურად განვიხილავ ამ დავას.

დიდაქტიკოსის კრიტიკოსის ერთი „მეწინავე" დებულება ასეთია: იაკობ გოგებაშვილი... **იშვიათი** პატივითაა შემკობილი. მისმა მთავარმა ნაშრომმა, „დედაენამ", დროის გამოცდას **მეტნაკლებად** გაუძლო" (244).

აქ შეინიშნება რამდენიმე წინააღმდეგობრივი ეპითეტი, რომლებიც გ. გოგოლაშვილს მხედველობიდან არ გამოჰპარვია: 1. რატომ ჰგონია ვინმეს, რომ იაკობს **„იშვიათი პატივი"** ხვდა წილად? მაშ, გამოდის, რომ ტყუოდა აკაკი, როცა აცხადებდა: ილიასა და ჩემი დამსახურება არაფერია გოგებაშვილის დამსახურებასთან შედარებითო! ამ ვითარებაში ვის დავუჯეროთ: ე. ჭელიძეს თუ დ. ყიფიანს, ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ზ. ჭიჭინაძეს, თ. სახოკიას, გალაკტიონს, გოგლას, შ. დადიანს, გრ. აბაშიძეს, დ. შენგელაიას, მ. მაჭავარიანს?!

გოგოლაშვილს მოჰყავს ამ მოღვაწეთა შეფასებები (245-247). ყველას ვერ გამოვეკიდები, მხოლოდ რამდენიმეს გაახლებთ:

ი. ჭავჭავაძე: „დედაენა" პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი";

გალაკტიონი: „დედაენა" და „ბუნების კარი" სახელმძღვანელოები კი არა, უდიდესი პოემებია";

გოგლა: „ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული; ვარდნაბამი ფურცელი, ჩვენს ყრმობაში ჩართული!“

დ. შენგელაია: „თუ ქართველი კაცი აქამდე მტერსა და დუშმანს „ვეფხისტყაოსნით“ იგერიებდა, ამიერიდან მას ხელში „დედაენა“ ეჭირა და თავის ნამუსს, კაცურკაცობასა და ქართველობას იმით იცავდა“ (246).

განსაკუთრებით საგულისხმო ეგ ბოლო შეფასებაა: „დედაენა“ შეტოლებულია „ვეფხისტყაოსანთან“. სხვათა შორის, ეს შეწყვილება ილანდება ილიას შეფასებაშიც!

ამრიგად, დიდი პედაგოგის გამაკრიტიკებლის პირველი არგუმენტი დამაჯერებლად გაბათილდა.

იოლად გაბათილდა მეორეც: დღეს, როცა განხორციელებულია „დედაენის“ უთვალავი გამოცემა, გამოთქმა „დროის გამოცდას **მეტ-ნაკლებად** გაუძლო“ უადგილო და აშკარად მცდარია. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ილიას, გალაკტიონის, დ. შენგელაიას შეფასებების შემდეგ სიტყვა **მეტ-ნაკლებად** სრულიად უადგილოდ და როყიოდ ნათქვამად გამოიყურება.

შეტევის მეორე მიმართულებაა, წარმოჩნდეს იაკობი, როგორც მართლმადიდებლობის მტერი.

იაკობი ირძოდა იმისათვის, რათა **ბერძნულ-ლათინურ-სლავური სემინარია** შევიწროებულიყო და მასში **ქართულს** მეტი ადგილი დასთმობოდა, რადგან ფიქრობდა: ერის გულთან რელიგია უფრო უკეთ და ძლიერად მივა, თუ ქადაგება, წირვა-ლოცვა ეროვნულ ენაზე შესრულდება.

მიზანი გასაგებია: ბურჯი ეროვნებისა (ენა) სასულიერო სფეროშიც გაძლიერდეს. ამიტომაც იაკობი მოითხოვს: **„თუ**

ორივე ძველი ენა არა, ერთი, ბერძნული, მაინც უნდა იქნეს გაუქმებული" და მისი ადგილი ქართულს დაეთმოსო.

აქ ე. ჭელიძე ცდილობს, „გამოიჭიროს" გოგებაშვილი და, გ. გოგოლაშვილის აზრით, „აკეთებს გამაოგნებელ დასკვნას": „თუ ბერძნულ-ლათინურის სწავლება უნდა გაუქმდეს, წმინდა მამების შრომები ან, გნებავთ, წმინდა წერილი, კერძოდ ახალი აღთქმა... რა ენიდან უნდა ითარგმნოს თანამედროვე ქართულზე?" (249)

ამაზე გ. გოგოლაშვილი დასძენს: „პოლიტიკაში კითხვის ამგვარად დასმას დემაგოგიას უწოდებენ", – მერე კი აგრძელებს: „რა კავშირშია სემინარიის სასწავლო გეგმა და „ქართულად თარგმნის უძველესი და უწმინდესი ტრადიცია?" წმინდა წერილი ქართულად V-VI საუკუნეებში ითარგმნა... რა, მაშინ სასულიერო სემინარიებში ძველი ბერძნული განა ისწავლებოდა? თარგმნის მნიშვნელობა და საჭიროება დავით აღმაშენებელს, არსენ იყალთოელსა და იოანე პეტრიწს რომ ესმოდათ, დაგვეთანხმება ე. ჭელიძე, მაგრამ გელათის აკადემიის საგანთა ჩამონათვალში არ არის ძველი ბერძნული ენა!" (249).

გოგოლაშვილს არც ის მოსწონს, რომ: იაკობი საუბრობს სემინარიის სასწავლო გეგმიდან საგნის – ძველი ბერძნული ენის – **ამოღებაზე**, ხოლო ე. ჭელიძე მას ბრალად სდებს ბერძნული ენის **გაუქმების** წადილს (250).

იაკობი ებრძვის სქოლასტიკას, აცხადებს: „ბერძნულ და ლათინურ ენას, მაგალითად, აქვს 39 გაკვეთილი მაშინ, როდესაც ქართული ენისათვის... მიუგდიათ ოთხი საცოდავი გაკვეთილი... " (252).

იაკობის აზრით, სასწავლებელში უნდა ისწავლებოდეს:
ქართული გრამატიკა,
ქართული საერო ლიტერატურა,
ქართული სასულიერო ლიტერატურა,
საქართველოს გეოგრაფია,
საქართველოს ისტორია,
ქართული ეკლესიის ისტორია,

ხოლო, სასწავლო გეგმაში არსებული ლათინური და ძველი ბერძნული ენებიდან დარჩეს მხოლოდ ლათინურიო.

იაკობმა იცის იმდროინდელი პედაგოგიკის მიღწევები, კერძოდ ის, რომ მოზარდს ძალუძს ერთდროულად **ორი უცხო ენის** სწავლა და არა სამისა (ლათინური, ბერძნული, რუსული). ამიტომაც სთავაზობდა ბერძნულის მაგიერ ქართულის შემოღებას. ამას (ბერძნულზე უარის თქმას) ე. ჭელიძე მკრეხელობად და მართლმადიდებლობის მტრობად უთვლის იაკობს. ამასთან დაკავშირებით გ. გოგოლაშვილი დასძენს: პედაგოგის ნაწერს „ე. ჭელიძე კითხულობს ისე, როგორც მას სურს, და არა ისე, როგორც უწერია“ (253).

ე. ჭელიძის ეს ნაკლი – წაღმართულის უკუღმართულად წაკითხვა – სხვაგანაც აშკარავდება. მისი აზრით, იაკობი „უარყოფს საქართველოს ეკლესიის სამოციქულო დაფუძნებულობას, მიიჩნევს მას მხოლოდ IV საუკუნეში წარმოშობილად“ (254).

ამ ბრალდებას გოგოლაშვილი იოლად აბათილებს: ჯერ ერთი, ისტორიოგრაფია ქრისტიანობის „სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად IV საუკუნეს მიიჩნევს დ», თუ გოგებაშვილი ასე ფიქრობს, რა არის აქ გასაკვირი? ნუთუ ეს

მართლმადიდებლობის წინაშე მკრეხელობაა? მაგრამ არის მეორე არგუმენტიც. დიდი პედაგოგი ივ. ჯავახიშვილს სწორედ იმას საყვედურობს, რომ მან „ეჭვი შეიტანა ანდრია მოციქულის საქართველოში ყოფნის ამბავში და თითქოს „ქართული ეკლესია მოკლებულია ღირსებას სამოციქულო ეკლესიისას“ (254).

პროფესორი გოგოლაშვილი დასძენს: ეგების ე. ჭელიძე გასცნობოდა ამ წერილს და მერე ბოდიში მოეხადაო! (255).

ჩემი კრიტიკული სინდისი მიკარნახებს, მივუთითო: ვფიქრობ, საპასუხო წერილში ე. ჭელიძეს ეს ფაქტი უნდა ცნობად მიეღო და ბოდიში მოეხადა, ოღონდ ეს არ მომხდარა. ალბათ საამისო ვაჟკაცობა არ ეყო.

ე. ჭელიძე ბრალსა სდებდა დიდაქტიკოსს, რომ ის თითქოსდა მტრულად უცქერის სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებს, და მას მიაწერს იდეას: „საქართველოს ეკლესიას IV საუკუნიდანვე ირგვლივ შემოსჯარვია მისდამი უაღრესად მტრულად განწყობილი სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები, როგორც მისი ეროვნულობის ალმოფხვრის მოწადინე „უცხო, გარეგანი ძალები“.

გოგოლაშვილის ფიქრით, ესეც ფაქტის გაყალბებაა, გოგებაშვილის ციტატების უკუღმა წაკითხვის შედეგია. სინამდვილეშიო „იაკობი საუბრობს მხოლოდ ანტიოქიის ეკლესიისა (V ს.-ის მდგომარეობით) და რუსული ეკლესიის უპირატესობაზე XIX ასწლეულში და ამის თაობაზე მსჯელობს იმ კონტექსტში, რომ მათ ხელყვეს ჩვენი ეკლესიის ავტონომიურობა. მართლაცდა, აი, როგორია ფაქტობრივი ვითარება. ანტიოქიურ პერიოდს კლასიკოსი ასე ახასიათებდა: „პირველი — ანტიოქი-

ური პერიოდი გრძელდებოდა საუკუნეზე მეტს და ატარებდა ბიუროკრატიულ, ჩინოვნიკურ ხასიათს, რადგან ქართული ეკლესიის შეთაური ინიშნებოდა გარეგანი ძალის, უცხო ხელისუფლის, ანტიოქიის პატრიარქის, მიერ; ინიშნებოდა არა ქართველთაგან, არამედ ბერძენთაგან, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ქართველ მრევლთან... გორგასლის ეპოქაში ქართული ეკლესია ღებულობს ავტონომიას, ხოლო მისი ეპისკოპოსი – კათალიკოსის ტიტულს, მაგრამ ეს იყო ბიუროკრატიული, ჩინოვნიკური ავტონომია, რადგან ანტიოქიის პატრიარქმა დაიტოვა უფლება, თვითონვე შეერჩია და დაენიშნა კათალიკოსი, ხოლო კათალიკოსად მუდამ ბერძენი ინიშნებოდა... **ამიტომ ქართული ეკლესია მკვდარ ორგანიზმს წარმოადგენდა ჩინოვნიკური, ბიუროკრატიული პერიოდის მანძილზე**".

მაშ, ეგ არის ფაქტის კონსტატაცია, ჩვენთვის არასასურველი რეალობის აღწერა და არა ქართული ეკლესიისა და რწმენის გინება. ე. ჭელიძე კი აქედან უკუღმართ დასკვნას აკეთებს: იაკობიო IV-V საუკუნეთა საქართველოს ეკლესიას უარყოფითი ტერმინებით ახასიათებს, უწოდებს რა მას „ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკურს" (256).

ბატონი ე. ჭელიძე აქ უნებლიეთ იმ კაცს გვაგონებს, რომელიც თეთრზე ამბობს, შავიაო; შავზე – თეთრიაო!

არადა სინამდვილეში ამ უარყოფითი ტერმინებით დიდაქტიკოსი ახასიათებს არა ქართულ ეკლესიას, როგორც ასეთს, არამედ ამ ეკლესიის ყოფის ერთ მონაკვეთს, პერიოდს, ფაზას, როცა მას არა ჰქონდა საკუთარი ხმა და საკუთარი ნება. სამუქფოდ, ასე როდი ახასიათებს დამოუკიდებლობის ეპოქის ქართულ ეკლესიას (VI-XVIII საუკუნეები), ხოლო, როცა

ისევ შევედით სხვაზე დამოკიდებულების ფაზაში (XIX ს.), ისევ იყენებს ნეგატიურ ტერმინებს, შეფასებებს. აი, იაკობის საამდროო პროტესტი: „იწყება ქართული ეკლესიის ახალი ფაზა, მაგრამ როგორი? **კიდევ უფრო ბიუროკრატიული, ვიდრე ანტიოქიური**“... ამ დროს საქართველოს პატრიარქი ძალადმმართველ სინოდს ემორჩილება და მის ბიუროკრატიას უწევს ანგარიშს... ერთგან იაკობი აცხადებს: **„საქართველოს ეკლესია სულ დაიმონეს და რუსული სინოდის კანცელარიად აქციეს**“ და ამას წერს მას შემდეგ, რაც უფრო ადრე ეგზარქოსისადმი მიწერილი წერილის გამო დიმიტრი ყიფიანი გადაასახლეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. გ. გოგოლაშვილი აქ სამართლიანად დასძენს: ეს გმირობა, თავგანწირვა იყო; ამისთვის პედაგოგს მადლობა ეკუთვნის და არა დემაგოგიური ცილისწამებაო (262).

მომდევნო ბრალდება ამადარია: იაკობს ახასიათებს **სხვადასხვა აღმსარებლობათა სრული განურჩევლობა**. მისთვის... სომხური მონოფიზიტური სარწმუნოებაც „მაღალი“ და „წმინდაა“ (264).

ეს ბრალდება ასე ბათილდება: მეზობელი სომხების მაგალითი იაკობ გოგებაშვილს არაერთგზის მოჰყავს, როგორც ჩვენთვის სანიმუშო და წასაბაძი. რა აქვთ წასაბაძი? ესაა სომხური ენის, სარწმუნოების, სომხური ეკლესიის, განათლების, სომეხთა საერო და საეკლესიო ისტორიისადმი სომეხთა დამოკიდებულება. სომხური მონოფიზიტური სარწმუნეობის მიმართ გამოთქმული ეპითეტები „წმინდა“ „მაღალი“ არის არა გოგებაშვილის რწმენის გამოვლინება, როგორც ეს მიაჩნია ჭელიძეს, არამედ სომეხთა დამოკიდებულების გამოვლენა საკუ-

თარი რელიგიისადმი, – უმტკიცებს მოპაექრეს ჩვენი მკვლევარი. და, ეგ რომ მართლაც ასეა, იქვე მოჰყავს პედაგოგის სხვა მსჯელობა: „აქვე, ჩვენს გვერდით, ჩვენს მეზობლად არსებობს მეორე ადგილობრივი ეკლესია, **ეკლესია სომეხთა**. მას პატრონობს ღვიძლი მამა, **არჩეული სომხის ხალხის მიერ**, და ნახეთ, რა სწრაფად, რა ადვილად მიანიჭა თავის სამწყსოს **ის საუნჯე**, რისთვისაც ამაოდ იბრძვიან დღემდის საქართველოს შვილნი... **აი, ღირსეული და მისაბაძი საქციელი**“ (266).

აქ იმას კი არ ამტკიცებს კლასიკოსი, რომ **სომეხთა ეკლესია და რწმენა ქართველთაზე უფრო სწორი და უკეთესია**, არამედ იმას, **რომ სომეხთა დამოკიდებულება ეკლესიისადმი ქართველთა დამოკიდებულებაზე უკეთესია**.

აღნიშნულის მერე იძულებული ვართ, დავეთანხმოთ გოგოლაშვილის მძიმე განაჩენს: **ე. ჭელიძის ეს მორიგი ბრალდებაც ბინძური ცილისწამებაა და მეტი – არაფერი!** (266).

კიდევ არაერთი მსგავსი მაგალითი მოჰყავს პროფესორ გოგოლაშვილს. ერთს კიდევ გავუსინჯოთ კბილი. იაკობი გვამცნევს: თბილისის ცენტრში არის საეკლესიო მაღაზია. ის სავსეა ბიბლიის წიგნებით. არის რუსული, სომხური, არაბული, ფრანგულ-გერმანული. ერთი სიტყვით, თითქმის ყველა ენაზეა, ოღონდ ქართულზე არაფერია და ეს ხდება საქართველოს დედაქალაქში, ცენტრალურ პროსპექტზეო. ამის შემდეგ განიხილავს 1884 წ. თბილისში გამოცემულ „დაბადების“ ძველ ქართულ თარგმანს, უჩვენებს ამ ტექსტის უხეშ შეცდომებს, ხარვეზებს, კორექტურულ ზადს, ცუდ გაფორმებას, დიდ ფასს და ბოლოს დაასკვნის: „ამისთანა დაბადების ქონა უდრის არქონასა“ (271).

ე. ჭელიძეს ამ სავსებით ნათელი, სწორი და საჭირო კრიტიკიდან გამოაქვს სულ სხვა აზრი: იაკობი „მყისვე ახდენს ამ ფაქტის განზოგადებას საკუთრივ წმინდა წერილის ქართული თარგმანისადმი“ (271). კიდევ უფრო ცხარეა მისი სხვა შეფასება: იაკობის აზრითო, მართლმადიდებლობა ყოფილა ის კოშმარი, რომელიც სწორედ შავ ჭირად ევლინება ქართველ ერს და ხელს უშლის მას, მოიპოვოს სინდისის თავისუფლება (272). სულ მთლად გაუტია კლასიკოსის კრიტიკოსმა შემდგომ: „ზემორე აზრი უპირობოდ ანათემას ექვემდებარება... ქართულ ეკლესიას იგი „შავ ჭირად“ აღიარებს“ (273). ამიტომ ასეთი პიროვნება არ შეიძლება წმინდანად შევრაცხოთო. სინამდვილეში იაკობი „შავ ჭირად“ აღიარებს არა მართლმადიდებლობას, არამედ მის ისე შერყვნილ სახეს, როგორიც XIX საუკუნეში ჰქონდა. კარგად მოუყარა თავის აზრს თავი პროფ. გოგოლაშვილმა, როცა განაცხადა:

„მართლმადიდებლობა –

რომელსაც წართმეული აქვს სინდისის თავისუფლება;

რომელსაც წართმეული აქვს ეკლესიის თავისუფლება;

რომელიც ვერ ამყარებს დამოუკიდებელ მართვა-გამგეობას;

რომელიც ვერ ირჩევს თავის მეთაურს;

რომლის მეთაურიც ვერ ესაუბრება მრევლს მრევლის ენაზე;

რომელიც ვერ ირჩევს თავის საეკლესიო კრებულს, **არ არის მართლმადიდებლობა**. ამიტომ მთელი ქართველობა უნდა ებრძოლოს ამ შავ ჭირს, რათა მოვიპოვოთ ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა“ (276).

მაშ, **თავად მართლმადიდებლობას კი არ ებრძვის იაკობი, არამედ იბრძვის წამდვილი მართლმადიდებლობის დასამყარებლად.**

პატ. ე. ჭელიძე კი ყოველივე ამას უკულმა ხედავს. **იგი თავით მიწაზე დგას და ფეხებს ჰაერში აქნევს. საჭიროა მისი გადმობრუნება და მიწაზე ფეხებით დაყენება!**

გ. გოგოლაშვილს მოუწია მეორე სტატიაც დაებეჭდა გოგებაშვილის კრიტიკოსის წინააღმდეგ – „კიდევ ერთხელ ე. ჭელიძეზე, ამპარტავნებასა და უკიდეგანო ამბიციებზე“. უნდა ვაღიარო: ამ მასალის ლიდი ერთობ საინტერესოა. ის ჰეროსტრატეს ამბავს ეხება. აქვე ნაჩვენებია, რომ პატივცემულ ე. ჭელიძეს არც ქართული ენა სცოდნია ჯეროვნად. იგი წერს: **„თავით-თხემამდე განიგმირა“** (279). მას არა სცოდნია, რომ **თავი** და **თხემი** ერთი და იგივეა, რომ **თხემი** თავის უკიდურესი ზედა ნაწილია. არადა კლასიკოსის მტერს ეწადა ეთქვა, **თავიდან ფეხებამდეო** ან **თავიდან ტერფამდეო**, თქვა კი სისულელე: **თავიდან – თავის უკიდურეს ზედა ნაწილამდეო.**

თავის მეორე წერილში ე. ჭელიძე გაურბის და პასუხს არ აძლევს გ. გოგოლაშვილის უმნიშვნელოვანეს შეკითხვებს: 1. განა იაკობი ერთი ჩვეულებრივი რიგითი სახელმძღვანელოს ავტორი იყო? 2. იაკობი ბერძნულს ებრძვის თუ ქართულ ენას იცავს? 3. ნუთუ იაკობის „მოჩვენებითი მართლმადიდებლობა“ ე. ჭელიძემ შენიშნა და ი. ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა, დ. ყიფიანმა, გაბრიელ ეპისკოპოსმა ვერ შენიშნეს? ამ კითხვებზე მას პასუხი არ გაუცია (280-283).

ამ ბოლო კითხვასთან დაკავშირებით პროფ. გოგოლაშვილს მოჰყავს საქართველოს კათალიკოსის, კალისტრატე

ცინცაძის, სიტყვები, თქმული პედაგოგის კუბოსთან: იაკობი „ფრიად სწუხდა, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენში შესამჩნევად იკლო ღვთის სასუფევლის ქადაგებაზე ზრუნვამ. ამ მოვლენას იგი სთვლიდა ფრიად სამწუხაროდ და შიშობდა, ვაითუ სარწმუნოებრივ გულგრილობას ზედ მოჰყვეს ზნეობის დაცემაო“ (282).

როცა იგრძნო, რომ სიმართლე მის უკან იდგა და კამათში იმარჯვებდა, გ. გოგოლაშვილი გალაღდა და იუმორისთვისაც მოიცალა: „ერთსაც შევნიშნავდი ღიმილით: ე. ჭელიძე წერს — „გადავიკითხე ჯერ მარცხნიდან მარჯვნივ, მერე მარჯვნიდან მარცხნივ“.. — ადრევე მივხვდი, რომ უკუღმა კითხულობდა და ამიტომაც გამოჰქონდა ასე უკუღმართი დასკვნებიო“, — დასძენს იაკობის დამცველი. ბოლოს გოგოლაშვილი ხატავს მოპაექრის საბოლოო პორტრეტს: „ე. ჭელიძე იმ პატარა ბავშვს მაგონებს, ცუდს რასმე რომ ჩაიდენს და სიხარულით აჭყლოპინდება — ეს მე ვქენი, ეს მე ვქენიო!“ (289).

პროფ. გოგოლაშვილი სამართლიანად მიმართავს განათლების სამინისტროს წარმომადგენელ სიმონ ჯანაშიას: „დედაენის“ დაცვა მე და ჩემნაირებს არ უნდა გვიხდებოდეს. უწინარეს ყოვლისა, სამინისტრო უნდა იყოს პატრონი „დედაენისა“ და მისი ავტორისა“ (293).

საუსებით სწორი შენიშვნაა!

„დიდად განათლებულ“ ს. ჯანაშიას ისიც კი არა სცოდნია, თუ რა სენსაციური აღმოჩენაა „აი ია“ და ამიტომაც წერს: „დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ბავშვი „აი ია“-ს ისწავ-

ლის თუ „აი მე“-ს. მთავარია, წერა-კითხვა ისწავლოს“ (294).

დილეტანტიზმი და სიბრიყვე ამაზე შორს ვეღარ წავა!

ამხანაგო ჯანაშია! სწორედ იმიტომ, რომ იოლად და კარგად ისწავლოს წერა-კითხვა, საჭიროა ნორჩმა ეგ სწავლა აი ია მიგნებით დაიწყოს!

გოგოლაშვილის სხვა წერილის საწუხარი სათაურმა ასე გამოხატა: **დედაენა სკოლაში ბრუნდება, შეუშვებენ?** და აქვეა გამოთქმული ვეებერთელა ეჭვი:

„მძიმე დღეში აღმოჩნდება იაკობის სახელმძღვანელო – ავტორი ვერ შეძლებს იზრუნოს საკუთარი წიგნის გავრცელებაზე“ (297).

სხვაგან (ინტერვიუში) ჩვენს მკვლევარს სინათლე და გარკვეულობა შემოაქვს საგანგებოდ გაბუნდოვანებულ საკითხში: **არ შეიძლება ავტორი ეწოდოს იმ ადამიანს, ვინც „დედაენის“ მიხედვით აკეთებს ახალ სახელმძღვანელოს. ის არის შემდგენელი და არა ავტორი; ამავე დროს, წიგნს თუ „დედაენა“ ჰქვია, ის აუცილებლად უნდა იყოს აგებული „აი იას“ პრინციპზე. ასე რომ, სხვა პრინციპებზე აგებული წიგნების შემქმნელნი არიან ავტორები, ხოლო „დედაენის“ პრინციპის მიმდევარნი – შემდგენელნი** (299).

კლასიკოსის დამცველის ერთი წერილი თვითონვე ღაღადებს თავის თავზე: „განათლების სამინისტრომ გოგებაშვილის „დედაენას“ ცხრა ლახვარი ჩასცა“ (903) (აქ იგულისხმება საკონკურსოდ წარმოდგენილი 9 უვარგისი საანბანე სახელმძღვანელო). ამ სტატიაში ასევე დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ **ბოლშევიკები უფრო მეტ ყურადღებას** აქცევდნენ „დედაენასა“

და პირველდაწყებით განათლებას, ვიდრე თავისუფალი საქართველოს მესვეურნი“ (306). სხვა მასალაში ჩვენი მკვლევარი განათლების მესვეურთ უხსნის: „ბავშვი არ არის საექსპერიმენტო მასალა“ (308).

კიდევ უფრო გ:ულის მომკვლელია სხვა განაცხადი: „მეფის რუსეთში უფრო ადვილად დაიცავდი ქართულ ენას, ვიდრე დღეს დაიცავ“ (312).

მეც ჩემი გამოცდილებით დასტურ ვიცი: ნამდვილად ასეა!

კიდევ ერთ მეთოდოლოგიურ შენიშვნას იძლევა ჩვენი სწავლული: „ინგლისურის წიგნი გადმოვაქართულეთ და ამით ვასწავლით. იაკობმა კი რუსულის შესასწავლად „რუსკოე სლოვო“ შეადგინა, რომელიც „დედაენას“ დაეფუძნა და უნიკალური იყო იმით, რომ ითვალისწინებდა იმ გარემოს, რა გარემოშიც ბავშვი იმყოფებოდა“ (315).

ჩვენი იაკობისტი კიდევ ერთ განზოგადებულ თეზას გვთავაზობს: „გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით მე-4 კლასამდე ასწავლიდნენ. ის თავისი სახელმძღვანელოებით ასწავლიდა **ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას, საქართველოს ეთნოგრაფიას, გეოგრაფიას. მაშინდელ 4-კლასდამთავრებულს ამ საგნებში ბევრად უფრო მეტი ცოდნა ჰქონდა, ვიდრე დღევანდელი 12-წლიანი საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეს აქვს** (316).

„დედაენა“ და „უცხო ენანი“ (824) ებება ცნობილ თემას – როდის დავაწყებინოთ ნორჩს უცხო ენის შესწავლა? სააკაშვილის რეჟიმმა წაიტრაბახა, ჩვენ ინგლისურს ხუთი წლის ნორჩებს ვასწავლით და ამით მსოფლიოს გავუსწარი-

თო. პროფ. გოგოლაშვილი კითხვას აყენებს: „ხუთი წლის ბავშვებს უცხო ენას რომ ვასწავლით პირველ კლასში, ამით მართლა გავუსწარით განათლებულ მსოფლიოს?!“ (325) და ამ შეკითხვას იქვე უპასუხებს: „რუსიც კი რუსეთის იმპერიაში თავისი ენის (ჩვენთვის უცხო ენის) სწავლას რვა წლის ბავშვებს მეორე კლასიდან აწყებინებდაო“ (325). მკვლევარი გაკვირვებასაა: იმპერიაც კი ამ მხრივ მართებულად იქცეოდა და დღეს, როცა დამოუკიდებელი გავხდით, რა გვჭირსო?!

აქედან დასკვნა: რუსიც კი უფრო პატივისცემით ეკიდებოდა ქართულ ენას, ვიდრე დღევანდელი გათავისუფლებული ქართველი!

პარადოქსია, ოღონდ ფაქტია!

აი, ასე იბრძოდა და იბრძვის ჩვენი მკვლევარი იაკობის წიგნებისა და პედაგოგიკური ხაზის დასაცავად.

წიგნის VI ნაწილია „სიბრძნე იაკობისა“. უზარმაზარი ფოლიანტის ავტორმა აქ შეიტანა პედაგოგიკის კლასიკოსის ბრძნული გამონათქვამები მამულზე, ენაზე, სარწმუნოებასა და ეროვნულ სკოლაზე, გამოკრებილი ი. გოგებაშვილის ათტომეულიდან (338-399). თუ ვისმე აღნიშნულ საკითხებზე ბრძნული ფრაზა დასჭირდება, ამ ნაწილში მას უსვად იპოვის.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე უნდა დავასკვნა: **არასდროს გასჩენია იმდენი მტერი იაკობს, რამდენიც დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არც არავის ისე არ გამოუდგია თავი მის დასაცავად, როგორც პროფესორ გიორგი გოგოლაშვილს.**

* * *

სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის მნიშვნელობაზე ვისაუბრეთ ზემოთ.

განსაკუთრებით გაისარჯა მკვლევარი „დედაენისა“ და მისი ავტორის პოპულარიზაციისათვის. რამდენიმე ნაშრომი შეიქმნა ამ მიზნით; ზოგ მათგანზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას:

„დედაენა“ – წიგნთა წიგნი“ (2002 წ.). ესაა ლამაზად დასურათებული, პლაკატებით დამშვენებული მოთხრობა „დედაენაზე“. პლაკატების იდეა გ. გოგოლაშვილისაა, შესრულება – დიზაინერ ირაკლი ავალიანისა; ერთი-მეორეზე შთამბეჭდავი თემებია პლაკატებისა: „გზა ტაძრისაკენ“, „ხელში აგიღებ!“ „ფრთხილად, „დედაენაა“!“ „მე წიგნთა ზღვაში წიგნი ჩავდგი როგორც ფაცერი“... „ფარად დაგიდგები“, „და რა წიგნი, ხელის გულზე სატარები!“ და სხვა.

2012 წელს პროფესორმა გამოსცა „ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა“. წიგნში მთხრობელი საინტერესოდ აღწერს დიდი ქართველის ცხოვრების გზას; ბევრ ისეთ ფაქტზე, ეპიზოდზე არის გამახვილებული ყურადრება იაკობის ცხოვრებიდან თუ შემოქმედებიდან, სხვას რომ ყურადღება არ მიუქცევია; მაგალითად: იაკობის „ოფთალმოლოგიური ძიებანი“, „ეკონომიკური აღმოჩენები“ და სხვა...

„დედაენის“ თავგადასავალი“ (2015 წ.) – ესაა ლამაზად მოთხრობილი ცხოვრების გზა ქართველთა ერთი მთავარი წიგნისა (მკვლევრის აზრთ, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სწორი გეზი განსაზღვრა სამმა დიდმა წიგნმა:

„ოთხთავის“ უძველესმა ქართულმა თარგმანმა, „ვეფხისტყაოსანმა“ და „დედაენამ“)“...

განსაკუთრებით მინდა ყურადღება გავამახვილო 2020 წელს გამოცემულ წიგნზე – „მეოხად ჩვენდა – ილია და აკაკი, იაკობი“... ეს არის შევსებული და გადამუშავებული გამოცემა წიგნისა „მარადიულნი თანამედროვენი“ (2000 წ.)... წიგნი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ ამ ჩვენმა მთავარმოღვაწეებმა როგორი გაკვეთილები ჩაგვიტარეს ერთმანეთის პატივისცემისა, სიყვარულისა, ურთიერთთანადგომისა საქვეყნო საქმეში... როგორ იღვწოდნენ ერთმანეთის აზრის პოპულარიზაციისათვის, დამკვიდრებისათვის; საქვეყნო იდეალებისგასამარჯვებლად... მართლაც რომ საოცარი მაგალითებია საქმის ცოდნითა და სიყვარულით გახსენებული...

ამ წიგნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, თუ რა საშური და საჭირო საქმეა სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურით ჩვენი წიგნის სამყაროს გამდიდრება...

ბრძოლა ქართული ენისა და ეროვნული განათლებისათვის

განათლების ცალკეულ საკითხზე, შესაძლოა, გამოკვლევა დაწერო, მსხვილტანიანი მონოგრაფია შექმნა, ოღონდ, როცა **განათლების სწორ გზაზე დასაყენებლად ბრძოლას იწყებ,** იქ უკვე გამოკვლევა და მონოგრაფია არადსაღირალია. მათ ოდენ დამხმარე როლის შესრულება (ვთქვათ, დამოწმება, მითითება...) ძალუძთ და მეტი — არაფერი. აქ უკვე წინა პლანზე გადმოდის პუბლიცისტიკა, ანუ ქადაგება იმ აწ უკვე არსებული პედაგოგიკური ჭეშმარიტებებისა, რომელთაც გვერდს უვლიან, უკუღმართად იგებენ, ამრუდებენ და ა. შ.

ამრიგად, თავისი მიზნის განსახორციელებლად აქტიურმა პიროვნებამ ხელთ იპყრო პუბლიცისტის მახვილი კალამი და ჯეროვნად გაისარჯა, აქტიური სამეცნიერო პოზიცია დაიკავა. ეს კი ყველას როდი ძალუძს. თვით ისეთი კორიფეებიც კი, როგორებიც არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, აკ. შანიძე ბრძანდებოდნენ, ნაკლებად ერეოდნენ პოლემიკაში, პუბლიცისტიკურ დავიდარაბას თავს არიდებდნენ. ამ მხრივ პროფ. გ. **გოგოლაშვილის შემოქმედება მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და მოცულობით ვრცელია.**

როგორც ერთ-ერთ მონოლოგში გამოტეხილად აცხადებს, გიორგი გოგოლაშვილი ქართულსა და მის პრობლემებს სწავლობდა, ახლაც სწავლობს და კვლავაც შეისწავლის. ამასობაში კიდევაც ასწავლის და იკვლევს მშობლიურ ენას. ამ

სწავლამ, შესწავლამ, სწავლებამ და კვლევამ თვალნათლივ დაანახვა არსებული საგანმანათლებლო პრობლემები და ასე გახდა იგი პუბლიცისტი. ძირითადი სფერო ამ მხრივ ორია: **ქართული ცხოვრებაში და ქართული საგანმანათლებლო სისტემაში.**

ასე შეიქმნა კრიტიკულ-პუბლიცისტურ ნაწერთა წრე. ესაა 200-ზე მეტი სტატია, შენიშვნა, რეპლიკა და 20-მდე წიგნი და წიგნაკი. ხშირად ავტორი ერთსა და იმავე საკითხს დასტრიალებს თავს (ამის თაობაზე არაერთხელ მივუთითებ), ოღონდ ამასაც თავისი საფუძველი და გამართლება აქვს: ზოგჯერ გადაუწყვეტელ პრობლემას მეორედ, მესამედ და მეოთხედაც კი უბრუნდება. ბუნებრივია, ერთსა და იმავე საკითხზე მსჯელობისას ერთი და იგივე დებულებები, ციტატები და ლოგიკური კითხვა-პასუხია მოსალოდნელი.

1988 წლიდან გ. გოგოლაშვილი ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა. ეს ხანა ეროვნული აღმავლობით გამოირჩევა. გაჩნდა იდეა **ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის** შემუშავებისა (ბ. ჯორბენაძე, გ. გოგოლაშვილი). მართლაც შემუშავდა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“. იგი განსახილველად გამოქვეყნდა 1988 წლის დეკემბერში, დამტკიცდა 1989 წლის აგვისტოში.

ეს გახლდათ კომუნისტების ეპოქაში **პირველი ეროვნული** პროგრამა. მან მაღალი შეფასება დაიმსახურა. 1990 წლის არჩევნებში გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ“. მოვიდა თუ არა ეროვნული მთავრობა, პროგრამამ კომუნისტების დროს წარმატებით დაწყებული მოძრაობა შეწყვიტა. ერთმა „პატრიოტმა“ მოღვაწემ განაცხადა: ეს კომუნისტური პროგრამაა, ჩვენ უკეთესს შევადგენთო!

და დაიწყო საინფორმაციო-განმარტებითი ომი. ამ „ომის“ გამოძახილია სამი ვრცელი პუბლიცისტური სტატია. მათში გ. გოგოლაშვილი შეახსენებდა მავანთ, თუ რა საშური საქმე ფერხდებოდა. მიუხედავად ამისა, პროგრამა შეჩერდა.

წავიდა ეროვნული მთავრობა...

მოვიდა შევარდნაძის ხელისუფლება...

ისევ ამოძრავდა გ. გოგოლაშვილი, ისევ აქვეყნებს სათანადო წერილებს, თხოვნებს. ერთ-ერთ სამთავრობო სხდომაზე გოგოლაშვილს რეპლიკა სტყორცნეს: „რა დროს ენააო!“ და ეგ რეპლიკა ტელეეთერშიც კი გახმიანდა!

რაკიღა წერილების სერიამ შედეგი ვერ გამოიღო, საქმის საშველად გ. გოგოლაშვილმა დააარსა „ბურჯი ეროვნებისა“ და მთელი ფრონტით შეტევა დაიწყო პროგრამის საშველად. გაზეთში ქვეყნდება არაერთი ფრიად აქტუალური კორესპონდენცია.

საქმეს ვერც ამან უშველა.

საჭირო გახდა პირადი ნაცნობების ძიება.

ირაკლი მენაღარიშვილის წახმარებით მოხერხდა ის, რომ შევარდნაძემ შექმნა (თუმცა უწადინოდ) „სახელმწიფო ენის კომისია“.

გ. გოგოლაშვილი და კ. დანელია ადგენენ საჭირო დოკუმენტს — „ქართული ენის პროგრამას“, თუმცა პრობლემით მაინც ვერავინ დააინტერესეს. ისევ გ. გოგოლაშვილის წერილების სერია. უფრო მეტიც: მოეწყო კონფერენცია „ქართული ენა, ჩვენ და ხელისუფლება“ (1999). როგორც იქნა, პრეზიდენტთან შეიქმნა სახელმწიფო კომისია, ენის პალატა (ლ. ღვინჯილია), ოღონდ პრობლემები მაინც დარჩა, თითქმის არც შემცირებულა. „ბურჯი ეროვნებისა“ (იმჟამად უკვე ჟურ-

ნალი) გამუდმებით იბრძვის, ბოლს ბოლქვა-ბოლქვად უშვებს, შედეგი არა ჩანს! ზედიზედ ქვეყნდება რედაქტორის წერილები. ზოგი მათგანის სათაურიც კი საგულისხმოა: „ქართულ ენას სახელმწიფომ უნდა უპატრონოს“; „საიდანაც ქარი მოუბერავს, დედაენას იქიდან უნდა ჩამოეფაროთ“...

2003 წლამდე რომ ამ ფრონტზე ხდებოდა, მონაგონია იმასთან შედარებით, რაც 2003 წლის მერე მოხდა. პირველი, რაც მოიმოქმედა ახალმა ხელისუფლებამ, ეს იყო შემდეგი: უმაღლესი განათლების კანონპროექტში გაქრა მუხლი **სწავლების ენა ქართულია**. ისევ საჭირო გახდა ახალი ძალისხმევა, ისევ მკვეთრი სტატიები. საგულისხმოა ერთი მათგანის სათაური: „ასეთი შეტევა ქართულ ენაზე არ ყოფილა არც XIX საუკუნეში“. ამ მხრივ გაშლილი ფრონტი მალე შეუერთდა თბილისის უნივერსიტეტის დაცვის ფრონტს. ორივე ფრონტი კი ბუნებრივად უერთდებოდა დედაენის დასაცავად გაშლილ მოძრაობას... სინამდვილეში ეს იყო არა სამი, არამედ ერთი ფრონტი – **ბრძოლა დედაენის გადასარჩენად**.

რაკიღა ცხოვრების მიზნად ქართული ენის **სწავლა, შესწავლა, სწავლება და დაცვა** დაისახა, ბუნებრივია, სწავლულს საამისოდ დასჭირდებოდა სხვადასხვა სახის შრომა და გარჯა. ერთი ასპექტი ასეთია: როგორ ვიცით ენა? და აი, ამ თვალსაწიერიდან იწერება არაერთი წერილი, შენიშვნა, რეპლიკა. ენის დამცველი იყენებს ჟურნალ-გაზეთებს: „ქართველი ერი“, „კრიტიკა“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „დროშა“, „ჩვენი მწერლობა“...

იმ ხანებშივე წინა პლანზე გადმოვიდა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პრობლემები. გაიშალა კამათი სასწავლო პროგრამებისა და მისაღები გამოცდების საკით-

ხთა შესაბამისობაზე... მისაღების პროგრამებიდან ამოიღეს მ. ჯავახიშვილი, შემდეგ შეიტანეს მისი ახალი ნაწარმოებები. წარმოადგინეს ის, როგორც სოციალური მწერალი, და შეავიწროეს. ამან გამოიწვია გოგოლაშვილის სტატია „დიდი მწერლის რეპრესია გრძელდება“...

მისაღები გამოცდების შესახებ გაშლილ კამათში პრობლემად იქცა უცნაური დაპირისპირება — ლიტერატურა თუ ენა? ანუ, თუ რას მიეცეს უპირატესობა გამოცდაზე — ენასა თუ ლიტერატურას?

უნდა ითქვას სიმართლე: გრამატიკოსები საბანს თავისკენ ექაჩებოდნენ, ლიტერატორები — თავისკენ. პროფ. გ. გოგოლაშვილმა იმთავითვე სწორი პოზიცია დაიკავა: **ორივე თანაბარ ყურადღებასა და დაფასებას საჭიროებს.**

1990-იან წლებში გაჩნდა იდეა: უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩაერიცხათ აბიტურიენტები. ექსპერიმენტი დაუშვეს ქუთაისის უნივერსიტეტში. გ. გოგოლაშვილმა, რომელიც იმთავითვე წინააღმდეგი იყო ამგვარი სულელური ექსპერიმენტისა, საკითხი გამოიკვლია და მიიღო სავალალო შედეგები. ეს შედეგები ააშკარავებდა უამრავ კურიოზს. გამოკვლევამ უჩვენა: უგამოცდოდ მიღებულთა ცოდნა მეტისმეტად დაბალია. აბიტურიენტებს საგამოცდოდ მომზადების მოტივაცია აღარ ჰქონდათ და მისაღები გამოცდებისთვის არ მომზადებულან. ამიტომაც უმეტესობამ ვერ ჩამოთვალა 10 ქართველი პოეტი; ვერ დაასახელა 10 თანამედროვე მწერალი; ბევრმა „მთვარის მოტაცების“ ავტორად ივანე ჯავახიშვილი დაასახელა; მრავალმა არ იცოდა, რომელ ტექსტს ეწოდება პროზა, რომელს — პოეზია...

დადასტურდა: წიგნთან რომ ყმაწვილი მიიყვანო, აუცილებელია საუნივერსიტეტო გამოცდები.

აღნიშნულმა მკვახე ექსპერიმენტმა ცუდი სამსახური გაუწია როგორც უნივერსიტეტს, ისე სკოლას.

თავისი კვლევის შედეგები პროფ. გოგოლაშვილმა მრავალ ორგანოში დაბეჭდა და ხელი შეუწყო გამოცდების აღდგენას.

ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ საჭიროდ ცნეს ქართულში მისაღები გამოცდების მოდელირება. თსუ რექტორატმა მიიღო გადაწყვეტილება – წერით გამოცდაზე ორ სალიტერატურო საკითხთან ერთად ყოფილიყო მესამე, გრამატიკული საკითხი, კერძოდ, წინადადების გარჩევა.

და ისევ ატყდა კამათი ლიტერატორებსა და ენათმეცნიერებს შორის.

ენათმეცნიერთაგან ბრძოლის ველს შემორჩა ოდენ გ. გოგოლაშვილი. აქ გამოვლინდა მისი პოლემიკური ოსტატობა, სალექტორო გამოცდილება... საქმე ისაა, რომ გოგოლაშვილი იმთავითვე იკვლევდა XIX საუკუნის პოლემიკურ კულტურას, კერძოდ, ილიას, აკაკის, იაკობის, სხვათა სადისკუსიო ხელოვნებას და ამანაც შეუწყო ხელი, კარგ პოლემისტად ჩამოყალიბებულიყო. როგორც წინამორბედ პოლემისტთა, ისე მისი პრინციპებია:

1. სადისკუსიო თემატიკის ღირებულება;

2. მოპაექრის ღირსების დაცვა;

3. საკუთარი ღირსების დაცვა და პასუხისმგებლობის შეგრძნება.

სწორედ ამ პრინციპების დაცვას ცდილობს საპოლემიკო მოედანზე გასული გიორგი გოგოლაშვილი. აღნიშნულ საკით-

სზე იგი ეკამათება რევაზ თვარაძეს, გურამ ბარნოვს, რევაზ სირაძეს, გრიგერ ფარულავას, ვახტანგ როდონაიას, სხვათა და სხვათა. მართალია, მისი მოკამათენი სულ ლიტერატორები იყვნენ და ენათმეცნიერთაგან დაცვა არა ჰქონია, მაინც მისმა იდეამ გაიმარჯვა და გამოცდებზე შენარჩუნდა ის ვითარება, გოგოლაშვილი რომ იცავდა.

აღნიშნულ საკითხებზე გ. გოგოლაშვილმა არაერთი მასალა გამოაქვეყნა. მათ შორის საინტერესო და მრავლისმთქმელია ამგვარი სათაური — „მისაღები გამოცდების „სეზონური" პრობლემები"...

საგულისხმოა: ამ ბატალიებში ჩვენმა რედაქტორმა ფართოდ ჩართო „ბურჯი ეროვნებისა".

საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩამოყალიბდა **ეროვნული საგამოცდო ცენტრი**. მან ერთი პრობლემა დასტურ მოაგვარა — გამოირიცხა კორუფცია, ოღონდ სწავლისა და სწავლების დონე მაინც ვერ აამაღლა, პირიქით, დასცა კიდეც. განა რითა, ძმანო? იმით, რომ ძალიან დაბლა დაწია თამასა — ფაქტობრივად უნივერსიტეტს გარეთ აღარავინ რჩება. ამან კი წიგნიერებისა და წერითი კულტურის დონე დაადაბლა, პლინტუსს გაუთანაბრა, რამაც გამოიწვია ახალი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების დასტამბვის საჭიროება. აქ უნდა ჩავერთო და მოგახსენოთ: მეც დავუბეჭდე სამინისტროს მის მიერ ხელდასხმული სახელმძღვანელოების კრიტიკა, რამდენიმე რეპლიკა და, კიდევ მეტი, წკეპლიკაც კი!

ამ შეხლა-შემოხლიდან ჩვენმა პროფესორმა გამოიტანა დასკვნა: **ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ, ვისაც ევალება მითითებულ საქმეზე ზრუნვა, სწორედ ის აფერხებს განათლების წინსვლას.**

ერთი საჭირბოროტო საკითხია აბიტურიენტთათვის ძველი ქართული ლიტერატურის „თარგმნა“ თანამედროვე ენაზე. ეს, რა თქმა უნდა, სჭირდებათ სომხებს, ბერძნებს, რამეთუ იმათი ძველი და ახალი ენა სრულიად განსხვავებულია, ოღონდ მოუთმენელია ჩვენთვის, რაკიღა რუსთველი დღესაც ისე გასაგებია, როგორც მე-12 საუკუნეში. ამგვარი თარგმანი აპრიმიტივებს ტექსტს, აცლის მას მთელ მხატვრულ და ესთეტიკურ ხიბლს. აღნიშნული ტენდენციის წინააღმდეგ გაილაშქრა გ. გოგოლაშვილმა. მან არაერთი წერილი დაბეჭდა, მოაწყო გამოკითხვა („ბურჯი ეროვნებისა“, №3, 1998). მის იდეას დაეთანხმნენ ლევან მენაბდე, მარიამ ლორთქიფანიძე, მზექალა შანიძე, რევაზ მიშველაძე, რევაზ ბარამიძე, ზურაბ სარჯველაძე..

ჩვენმა მკვლევარმა ბევრ სტატიაში გვიჩვენა, თუ რა კურიოზები მოსვლიათ მთარგმნელებს. საბოლოდ ეს მახინჯი პრაქტიკა შეწყდა. მაშ, მკვლევრის ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო.

გოგოლაშვილს აწუხებს ქართული ენის ბედი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ქართულის ბედი არაქართულ სკოლაში, ქართულისა და უცხოური ენების თანაფარდობა, ენათა თანაფარდობა არაქართულენოვან სკოლაში.

დამერწმუნებით, ამ სფეროს ვიღაცა მაინც უნდა ადევნებდეს თვალყურს და მასზე ვიღაცა უნდა ზრუნავდეს. სწორედ ასეთი **ვიღაცაა** პროფესორი გოგი გოგოლაშვილი. დიახ, როცა ჩვენ მშვიდი ძილით გვძინავს, ის ფხიზელ გუშაგად უდგას ჩვენს ენას. და აქ არ შემიძლია, არ გავიხსენო ვაჟა-ფშაველას „კაი ყმის“ ერთი გამონათქვამი:

დარაჯად ედგას ლაშქარსა,

როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს.

საბოლოოდ მან დაადგინა: „საქართველოს სკოლებში ირღვევა სტანდარტებით დადგენილი თანაფარდობა ქართულის — სახელმწიფო ენის — საზიანოდ“.

როგორც იქნა, ამგვარი დასკვნების საფუძველზე შეიმუშავეს ახალი თანამედროვე სტანდარტები (2009-2010).

ბევრი სტატია, წერილი, შენიშვნა, რეპლიკა, რომლებიც 2004 წლამდე გამოაქვეყნა ჩვენმა სწავლულმა, შევიდა საკმაოდ სქელტანიან კრებულში „ქართული — ენაი შემკული და კურთხეული“ (2004). აქ წარმოდგენილია 87 მასალა. უინტერესო როდი იქნება ზოგი მათგანის თვით სათაურიც კი: „საიდანაც ქარი მოუბერავს, დედაენას იქიდან უნდა ჩამოეფაროთ“, „ბრეჟნევიდან „კოკა-კოლამდე“ ქართულ ანბანზე გადავლით“; „სადა გვაქვს სკოლა, რის რეფორმაზეა საუბარი?“ „ვის შევჩივლო, იაკობი მკვდარია!“ „ენათმეცნიერის ასტრონომიული დაკვირვებანი“; „მისაღები გამოცდების „სეზონური“ პრობლემები“...

ზემოთ ვაჟა-ფშაველას ქმნილების ერთი მნიშვნელოვანი სტროფის პირველი ნაწილი მოვიშველიე. დამჭირდა მისი მეორე კარედიც:

ქართული ენის არეალის გასაფართოებლად, მისი სივრცის გასათავისუფლებლად, ეროვნების ამ უპირველესი ბურჯის გასამაგრებლად ყოველი ჩვენგანი ისევე უნდა ირჯებოდეს და იხარჯებოდეს, როგორც გიორგი გოგოლაშვილი, ანუ

სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,
ცდუნება არა სძირავდეს!

მწერალი, მწერლობა და ენობრივი პრობლემები

დედაენა ეროვნების ბურჯია – იაკობ გოგებაშვილის ეს ფრთიანი ფრაზა გულისფიცარზე დაიწერეს ქართველმა სამოციანელებმა. მათ უშურველად დაიწყეს ამ ეროვნული ბაღჩა-ბაღის მარგვლა და მოვლა. საშვილიშვილო სვრელის თავში იდგა დიდი სამეული: ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი. ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, ოღონდ, თუ არ შეახსენე, ხალხი ძველ ცოდნას იოლად ივიწყებს. სწორედ ამ ცოდნის შეხსენების, კიდევ უფრო გაფართოებისა და განმტკიცების მიზნით დაიწერა საგანგებო წიგნი „მეოხად ჩვენდა – ილია და აკაკი, იაკობი“ (2020). მისი ავტორი ენათმეცნიერი და მწერალი გიორგი გოგოლაშვილია. ვინ ვინ და ცნობილმა მკვლევარმა შესანიშნავად უწყის: ენას ქმნის მწერალი, ხოლო მას უვლის ენათმეცნიერი. ამ განამდვილებული იდეის მკაფიოდ წარმოსაჩენად აგერ ახლახან მანვე გამოაქვეყნა ზოგადთეორიული წერილი, რომელიც ეხება ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლას წინანდელ საქართველოში („საქართველოს რესპუბლიკა“, 24-25 მარტი, 2021). აქ კონკრეტული მასალების მოხმობით ნათლად არის წარმოჩენილი 150 წლის განმავლობაში გაშლილი საქმიანობა და ამ გარჯის შედეგები. რაც მთავარია, საგნობრივად არის გამოკვეთილი მხატვრული სიტყვის ოსტატთა და მეცნიერთა ერთობლივი შრომის არსი, ბუნება, აუცილებლობა, საბოლოო ხელშესახები შედეგები; გა-

მოთქმულია სინანული, რომ ორთა ეგ კავშირი დამოუკიდებელ საქართველოში დაირღვა და აღარ მოქმედებს; სამწუხაროდ, ფაქტს ვერსად გავექცევით: ძალად გაკომუნისტებული ქართველები უკეთ უვლიდნენ ეროვნების ბურჯს, ვიდრე — დღევანდელი თავისუფალი ივერიელნი.

პროფესორის ეგ თეორიულ-განმაზოგადებელი სტატია დაფუძნებულია ამავე ავტორის სალექციო კურსზე, შემოქმედისა და ენათმეცნიერის საამრიგო ურთიერთობას რომ მიმოიხილავს, ასევე იმ წიგნებზე, რომლებიც უკვე გამოცემულია სერიით „ენა და მწერალი“.

მკვლევარს მოუსწრია და უკვე გამოუქვეყნებია ცხრა წიგნი. პირველში გარკვეულია ენისადმი დავით კლდიაშვილის, მეორეში — მუხრან მაჭავარიანის, მესამეში — ანა კალანდაძის, მეოთხეში — ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება...

ეგ საგულისხმო ნარკვევები ჩვენც ამ თანამიმდევრობით მიმოვიხილოთ.

* * *

„შვენებით საცხე ქართული“ (2019) განიხილავს დავით კლდიაშვილის როგორც ენობრივ სამყაროს, ისე ზოგადად პროზაიკოსის დამოკიდებულებას ენის ფენომენისადმი. ასე რომ, ნაშრომში ერთურთს ებმის და ეწმახვნის ბიოგრაფიული და წმინდა ენობრივი მონაცემები, ფაქტები...

ამ სერიით გამოსულ ყოველ წიგნს თან ახლავს (ანდა უნდა ახლდეს) წინასიტყვა, რომელშიც მოხმობილია მ. ჯავახიშვილის ფრთიანი ნათქვამი — ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავსო; ასევე აქვე გამოსჭვივის თავად მკვლევრის აზრი — ენაში იმალება შემოქმედის ინდივიდუა-

ლობა. ნარკვევი ორ ვრცელ მონაკვეთს შეიცავს: 1. დავით კლდიაშვილი და ქართული ენა; 2. კაცი, რომელსაც გული მეტი ჰქონდა, ვიდრე თვითონ იყო. ყოველ მათგანს აქვს შიდა დასათაურებები. ისინი საქმის არსს უფრო აკონკრეტებენ. ავტორს მოჰყავს პ. უმიკაშვილის მოსაზრება „ქამუშაძის გაჭირვებაზე“: საკუთრივ ამბავს რომ იწონებს, ოღონდ ენას უწუნებს პროზაიკოსს. აქ გავლებულია მარჯვე პარალელი: დავითი მოკრძალებულია, თავმდაბალია, კრიტიკისათვის მადლობას სწირავს ენის დამწუნებელს და ეგ მაშინ, როცა ვაჟა-ფშაველამ იუცხოა აკაკისეული კრიტიკა (5-6). აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ი. გრიშაშვილის შენიშვნა: „ვაჟა ამაყი იყო და მედიდური, ოღონდ ასეთი არ უნდა ყოფილიყო ახალგაზრდების მიმართ, რადგან იგი გულწრფელად გვიყვარდა. მას არც ერთი ახალგაზრდა პოეტი არ წაუხალისებია და ყოველთვის ზევიდან დაჰყურებდა მათ. არამც თუ ახალგაზრდა, თვით აკაკისადმი პასუხშიც ნაწყენობა ეტყობოდა“ (გ. გვენეტაძე, კომუნიკაციურ-პედაგოგიური პარადიგმები, 2020, გვ. 73).

საინტერესოა, რომ გ. გოგოლაშვილს მოჰყავს თავად დავითის მოგონება, თუ როგორ დარდობდა ამ ამბავს „მთის არწივი“, ოღონდ, როცა „თავად დავითს დაუწუნეს ენა, დაეთანხმა, მეტიც, „შეამაგრა“ კრიტიკოსის აზრი: „მართალია, ენა ყოველთვის კოჭლობდა ჩემს ნაწერებშიო...“ (გ. გოგოლაშვილი, 6).

ამის შემდეგ მკვლევარი კითხულობს: კლდიაშვილმა მიიღო შენიშვნები, ოღონდ არაფერი გაუსწორებია, ვერ ახერხებდა ამას თუ არ ეწადა? დამარწმუნებელი მსჯელობის შედეგად გამოტანილია მართებული დასკვნა: „მწერალი ისე წერს, როგორც „ეწერება“. საამისოდ მკვლევარი იხსენებს თვითონ და-

ვითის ნათქვამს: „ვწერდი, როგორც იწერებოდა“, ასევე — ანა კალანდაძის აღსარებას, „სათქმელი ხშირად თვითონ მოძებნის თავის გამოხატვის ფორმას“ (7). ამ ძიების შედეგად იქმნება მწერლისეული სტილი, რომელიც რთული შემცველობისაა და, ამავე დროს, ამოუცნობი და განუმარტავიაო (7). სათანადო ანალიზის შემდგომ ყალიბდება განზოგადებული დასკვნა, რომელშიც მკაფიოდ ჩანს მოკრძალებული და უპრეტენზიო მწერალი: „მომთხოვნელობა, პრეტენზია საკუთარი თავისადმი არის აუცილებელი წინაპირობა იმისა, რომ მოთხრობა იყოს უპრეტენზიო“ (8).

„არ გავრუსდები!“ — პირობა დადო დავითმა აკაკის წინაშე, როცა რუსეთში სასწავლებლად მიემგზავრებოდა. პროფ. გ. გოგოლაშვილი საუბარს ისე წარმართავს, რომ გვიჩვენოს: ნორჩ პატრიოტს ყველანაირად უცდია, ეს დაპირება არ გაეტეხა. იგი ბევრს გარჯილა, რათა დედაენა არ დაევიწყებინა: უჭირდა, ოღონდ მაინც კითხულობდა ქართულ ტექსტებს, ყურს უგდებდა კარგ მოქართულეთა საუბარს, იღებდა ქ-ნი ქეთევან ჟურულის გაკვეთილებს, მონაწილეობდა თეატრალურ დადგმებში და, ბოლოს, გასაოცარი სწორედ ეგ არი — „ქართული არ იცოდა ისე, როგორც უნდა სცოდნოდა (შიდაფსიქიკური დეფიციტი!)... და წერდა“. აქ კი მკვლევარს უხდება გიუნტერ კურენტის შეწუხება. გერმანელ მოაზროვნეს უთქვამს: „რატომ წერს მწერალი? ფსიქოანალიზმა ეს საიდუმლო ამოხსნა: წერა ნაკლის (შიდაფსიქიკური დეფიციტის) კომპენსაციაა“ (12).

კლდიაშვილის არგარუსების მთავარ მიზეზად მკვლევარი ენისადმი მის „იწრო“ (ფაქიზ) დამოკიდებულებას წარმოისახავს.

ამ კუთხით, ჩემი ფიქრით, „სამანიშვილის დედინაცვლის“ ავტორი ჯერ არვის შეუთვალიერებია.

„ენა — პიროვნების მახასიათებელი“ კიდევ უფრო აკონკრეტებს სათქმელს. მოკლედ დაკვირვება ამადარია: „კლდიაშვილი არ ამახვილებს ყურადღებას პიროვნების გარეგნულ მხარეზე, ხილვად სიმშვენიერეზე. მისი აზრით, ადამიანის სილამაზე, მშვენება, მომხიბვლელობა მისი ენით, მისი საუბრით ვლინდება — რა მოქართულეა, როგორი მოსაუბრეა, როგორი ხმა აქვს“ (14).

აღნიშნული დებულების დასტურად დამოწმებულია არაერთი საგულისხმო ფაქტი (14-15); მერე მოყვანილია მრავალი მაგალითი, თუ რა ეპითეტებით ამკობს პროზაიკოსი ქართულ ენას: **საუცხოო, შნოიანი, არაჩვეულებრივად ლამაზი, საოცრად ლამაზი, მშვენებით სავსე, მშვენიერი, სიმშვენიერითა და სიძლიერით აღვსილი, წკრიალა, განსხვავებული, ტკბილი, მოხერხებული, მოკლე, ალერსიანი, ხალისიანი და ა.შ.**

ამ დაკვირვების დასაბუთების შემდეგ აღარ გვეჩოთირგვეუცხოება დასკვნა: ქართული ენის, ქართული სიტყვის, ქართული საუბრისადმი კლდიაშვილის დამოკიდებულება საგანგებოა, განსაკუთრებულია... ასე გულწრფელი გულშემატკივარი ქართული ენისა სხვა ნაკლებად მეგულვის (17).

ენისადმი მწერლის დამოკიდებულებას, მკვლევრის ფიქრით, ზედმიწევნით წარმოაჩენს გრ. რობაქიძის **ქართულენოვანი ლექციები.**

უწინარეს ყოვლისა, ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა: დავითს თეორიული წერილი არ შეუთხზავს ენის თაობაზე, ოღონდ ის მონაკვეთი მემუარებისა, რომელშიც გრ. რობაქიძის

ქართული ლექციებია აღწერილი, მავანთა ათობით წერილს აიწონისო (17).

იყო დრო, ქართული ენის შესაძლებლობებში ეჭვი შეჰქონდათ. ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების მოწინააღმდეგეთა (ამათ შორის ერია ნიკო მარიც) ერთ-ერთი არგუმენტი ესეც იყო. ამ „ცხელ ვითარებაში“ ბრწყინვალე რუსულ ლექციებს კითხულობს გრ. რობაქიძე. ქუთაისის მოწინავე საზოგადოება „გულმოჭეჭკილი“ დაიარება. მათ შორის დავითი პირველია. ამიტომაც მისი ნაბიჯი არ გვიკვირს: „კლდიაშვილის ინიციატივითა და აქტიურობით ვარლამ ბურჯანაძე და გიორგი თუთბერიძე მიუგზავნეს ლექტორს, შეუთვალეს, ლექციები ქართულად წაეკითხა“ (19). ქუთათელთა ნატვრა აღსრულდა! საგულისხმოა ინიციატორის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი; ყურადღება მიაქციეთ - დავითი არა ლექტორის ნიჭიერებას, არამედ ქართული ენის ეშხსა და გერგილიანობას გამოკვეთს: „ლექტორის **საუცხოო ქართულზე** საზოგადოების აღტაცება თანდათან მატულობდა; ლექტორის **არაჩვეულებრივი ლამაზი ქართულის** გამგონე მსურველოა რიცხვი შესამჩნევად იზრდებოდა... ყურებს არ უჯერებდნენ, თუ **ასეთი შნოიანი ქართულით** შესაძლებელი იყო ლექციების კითხვა. ლექტორის **საოცარი ლამაზი ქართული** უსაზომოდ ხიბლავდა და იტაცებდა მსმენელს“ (19).

კლდიაშვილი მხოლოდ საკუთარ თავს არ ენდობა; მოჰყავს სხვათა მოსაზრებებიც: „მოხუცი კაცი (პ. თუმანიშვილი) პირდაპირ აფრენილი იყო სიხარულით. – **აი, ჩვენი ლამაზი ქართული, ლამაზი ქართული,** რომელსაც ვივიწყებთ და ფასს არა ვსდებთ“ (19).

სხვათა გამოთქმებიც მოუმარჯვებია პროზაიკოსს. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი მართებულად დაასკვნის: „ცხადია, რასაც სხვას ათქმევინებს, ეს დავით კლდიაშვილის სათქმელიცაა“ (20).

„არ მეგულება მეორე მწერალი, ასე რომ ეფერებოდეს, ასე რომ უყვარდეს და ასე დიდი ბოდიშებით ესაუბრებოდეს ქართულ ენას“, - დასძენს ამ გამოკვლევის გამომჭედელი თოქმაჩი და ჩვენც იძულებული ვხდებით მის ნაუბარს დამქაშებივით კვერი დავჰკრათ.

მეტად საინტერესოა ენათმეცნიერის მსჯელობა სახელ-გვარულ სინტაგმებზე. გამოტანილია ფაქიზად გასასინჯავი დასკვნა: ისინი ზუსტად შეესატყვისებიან პერსონაჟთა ხასიათს და სემანტიკურ-მუსიკალურად კიდევაც აზუსტებენო მას. ამას მოჰყვება მტკიცების „სახეობრივი“ ფორმა, ერთობ შნოიანი და გერგილიანი: „პერსონაჟის ბუნება-ხასიათთან სახელ-გვარის შესაბამისობის საკითხი როგორ დგას დავითთან? – როგორც აზნაურები იტყვიან, სახელ-გვარი ტიპს „შემოწკეპილი“ უნდა ჰქონდეს და გვარიანად მორგებული ამშვენებდეს... დიახ, პერსონაჟს სახელ-გვარი საკუთარი უნდა ჰქონდეს, „ნათხოვარივით“ არ უნდა ჩანდეს...“ (26). ძიება ბოლოს სახელგვარული სინტაგმის მუსიკის დადასტურებით სრულდება. კიდევ მეტი, იქამდეც კი მიდის, რომ მკვლევარი იმერიზმების მუსიკასაც გვასმენინებს (34-35).

ეს გახლავთ ისეთი ენათმეცნიერული განზოგადება, რომელიც ენათმეცნიერების ფარგლებს იოლად ტოვებს და მხატვრული სტილისტიკის სფერო'ში მძლავრად იჭრება.

პროფესორი წამოაყენებს საინტერესო საკითხს და მას მომავალ მკვლევარებს საკვლევაძიებო ესტაფეტად გადასცემს:

კლდიაშვილს თუ ჰყავს სეხნია პერსონაჟები და თუა რაიმე საინტერესო მათ ბუნება-ხასიათში?! (28)

მკვლევარი მკვეთრად ემიჯნება იმ გრამატიკოსებს, რომლებიც მხატვრულ ტექსტებს ენათმეცნიერული მიზნით იყენებენ. მისი პოზიცია სხვაგვარია: ამგვარი კვლევა დიახაც იძლევა ენათმეცნიერულ, ოღონდ არამც და არამც — მხატვრულ-შემოქმედებით შედეგს. კვლევის ეს ორივე წესი მისაღებია, ოღონდ გ. გოგოლაშვილი მეორე, თანამედროვე, კვლევის გზას ადგას. **მისი მიზანია არა ენათმეცნიერულ ჭეშმარიტებათა მოდასტურე ფორმების მოძებნა მწერლის ტექსტში, არამედ ენობრივ ფორმათა მხატვრულ-სტილისტური ფუნქცია და შემოქმედებით პროცესში მათი როლის განსაზღვრა; არა ფორმათა წმინდა გრამატიკული ანალიზი, არამედ ამ ფორმათა მომარჯვების მხატვრული მიზნობრიობა. ყველა მიხვდება, რომ ეს მეორე მიმართულება კვლევის უფრო მაღალ და თანამედროვე დონეს გულისხმობს** (31-32).

ამ თვალსაზრისით, პირდაპირ მიგნების დონეზე ადის მსჯელობა სინტაგმებზე: „პლატონ გაიხსენე“ და „პეტრე გეიხსენე“ (36).

აქ საინტერესოა მცდელობა, დ. კლდიაშვილის მხატვრული ოსტატობა შეაფასოს ხულიო კორტასარისეული განმარტებით: „ვცდილობ ჩემი ნაწერები ავაგო მუსიკალურ ნაწარმოებთა კანონით: ყველა ბგერის ურთიერთკავშირი, მათი განუწყვეტლობა...“

სწორედ მაღალ ლიტერატურულ და არა ვიწრო გრამატიკულ მიზნებს ემსახურება ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ დიალოგში „მდაბალი“ უფრო მეტ დიალექტიზმს იყენებს მეტყველებისას, ვიდრე „მაღალი“ და ამიტომაც ეს ხერხი

„ათავისუფლებს ავტორს პერსონაჟთა შორის ასეთ დამოკიდებულებაზე საგანგებო მინიშნებისაგან... ურთიერთდამოკიდებულება მეტყველების მანერით იხატება“ (40).

საგულისხმოა, რომ მეცნიერი კლდიაშვილის თავმდაბლობას მის სტილშიც აღმოაჩენს. ავტორის დაკვირვებით, მემუარებში საკუთარ თავზე ლაპარაკისას პროზაიკოსი საგულდაგულოდ მალავს ნაცვალსახელს „მე“. მოყვანილია მრავალი მაგალითი (60-61).

ჩემი დასკვნა პეტრე ოცხელის დოჟივით შეუვალია:

გიორგი გოგოლაშვილის მიერ ჩაფიქრებული სერიის („ენა და მწერალი“) პირველი წიგნი ნამდვილად გვიხატავს დავით კლდიაშვილის ენობრივ პორტრეტს, ოღონდ ისე კი, რომ გამოასხივებს როგორც ავტორის აღტაცებას ქართულის გერგილიანობით, ისე მოკრძალებული ენობრივი ფორმებით გამოხატულ მის თავმდაბლობასაც.

* * *

კვლევის იმავე პრინციპს მისდევს მუხრან მაჭავარიანზე დაწერილი წიგნი „ქართული ქართველთ რწმენაა“ (2019).

სათაური ამოღებულია ცნობილი ლექსიდან, რომელიც მკვლევარს პოეტის ურყევ ენობრივ კრედოდ და აფრიალებულ დროშად წარმოუდგენია:

ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა,
იმოდენაა!

მაგრამ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა იცის, რომ ენის ურყევმა მცველმა მეორე დროშაც ააფრიალა. ამიტომაც მის შრიალსაც დაგემოვნებით უგდებს ყურს და ამით ჩვენც გვიხედნის სმენას:

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს!

სანამ კონკრეტულ ფაქტებზე ისაუბრებდეს, მანამ მკვლევარს მოჰყავს პოეტის გამონათქვამები, თეორიული მოსაზრებები ენობრივ პრობლემებზე და ამით ამკაფიოებს მგოსნის მიმართებას ტკბილქართულისადმი. ეგ მუხრანული იდეებია: ვინც ქართული არ იცის, ქართველი არაა; რომ არა ყოვლისგამომხატველი და მოქნილი ქართული, შოთაც ვერას დაწერდა; ჩვენი მეტყველების სიღრმე-სიგანე რუსთველის შემოქმედებაში სრულად გამოიხატა (7); სალიტერატურო ენის რეფორმა რუსთველმა განახორციელა; რუსთველი და საბა ორბელიანი — აი, სალიტერატურო ენის განვითარების გენერალური ხაზი (8). და აქ ავტორმა ამ თქმას მარჯვედ გადააბა ლექსი-შედევრი „საბა“: „ქართულ სიტყვაზე უზომოდ შეყვარებული პოეტისათვის საბა უპირველესი ავტორიტეტია“. არც ის არის მიყურისძირებული, რომ ლირიკული შედევრების შემოქმედს საგანგებო ენათმეცნიერული გამოკვლევები მიუძღვნია არაერთი ლექსიკური ფორმისათვის (9).

ამის შემდეგ მოდის საგულისხმო და ბევრისმთქმელი დაკვირვებები სასვენ ნიშანთა იმ სისტემაზე, რომელიც „უცნაურად თავისებური“ გნომების ავტორს შეუმუშავებია. თეორიული მხარდაჭერა ასეა გამოხატული: „ჩემი რჩევა კოლეგა

ენათმეცნიერებს: ნუ შეეცდებით მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში... სასვენ ნიშნებს მიუსადაგოთ გრამატიკით დადგენილი წესები; ავტორს თავისი სისტემა აქვს, თავისი წესები, პირობითი ნიშნები – ლექსის ინტონაციით ნაკარნახევი“ (9); მკვლევარი სამართლიანად მსჯელობს „სიტყვის ყადრზე“ სწორედ მუხრანისეულ ტექსტებთან დაკავშირებით. მაშ, კვლევის გეზი სწორად არის აღებული!

მერე ნაჩვენებია იმერიზმების როლი კოლორიტის შექმნაში. და უცაბედად შესანიშნავი პარალელი, წუნდაუდებელი შედარება: „დავით კაკაბაძის მიერ დახატული იმერეთი არ გაგახსენდათ? ვინ უკეთ ხმარობს - მხატვარი ყალამს თუ პოეტი კალამს? ძნელია ამის თქმა... დავით კლდიაშვილის შემდეგ იმერული დიალექტის მეშვეობით იმერული ხასიათები ასე არავის დაუხატავს“ (11).

რამდენიმე კონკრეტული ნიმუში და უზუსტესი განსაზღვრება: „აბსოლუტური სმენა, გამჭრიახი თვალი, უმდიდრესი ლექსიკა - ესაა მუხრან მაჭავარიანი“ (11).

გ. გოგოლაშვილი მინიშნების ოსტატიცაა. მურმან ლებანიძეზე მუხრანის ნათქვამს ისე გვაწვდის, უმალვე ვგრძნობთ: მთქმელი ამით საკუთარ თავზეც ლაპარაკობს: „ენა ქართული, – ბევრის ხელში შესაბრალისი, – ბედნიერია მურმანის ხელში, ისე ბედნიერი, როგორც თევზი წყალში და ფრინველი ცაში“ (12).

მკვლევარი საგანგებო ყურადღებას უთმობს მაჭავარიანისეულ „ალმოჩენებს“: „ენაშია ჩვენი ქართველობა! ენაა ჩვენი სარწმუნოება! ნახავთ სომეხს, არ იცის სომხური და არის სომეხი! ნახავთ ებრაელს, არ იცის ებრაული და არის ებრაე-

ლი! ვერ ნახავთ ქართველს, ქართული არ იცოდეს და ქართველი იყოს“ (7).

და, ვიდრე კონკრეტულ ენობრივ ძიებებზე გადავიდოდეს, მკვლევარი მოთელვის პროცედურას ასე აგრძელებს: „საქართველო, ქართველი და ქართული თავის პოეზიაში იმდენჯერ არავის უხსენებია, რამდენჯერაც მუხრან მაჭავარიანს“ (14).

ამის შემდეგ მოდის დაკვირვებათა მთელი კასკადი. გამოწვლილვით არის შესწავლილი ხმა, ინტონაცია, სიტყვა, წერტილი, დატეხილი სტრიქონი და მისი თავისებურება

მაჭავარიანის სტროფში უმთავრესია ინტონაცია, ინტონაცია მანამდე უცდელი, ცოცხალი, მოულოდნელი. ამიტომაც არ უნდა გვეტოშოს მგოსნის „უცნაური“ განაცხადი: „ლექსში სასვენ ნიშნებს ვანიჭებ, მეტი რომ არა ვთქვა, დიდ მნიშვნელობას“ (16). დიახ, სასვენი ნიშნები ამიტომაც არის აქ მნიშვნელოვანი და კვლევა-ძიებაც ამ კუთხით უნდა გაღრმავდეს. ამ ძიებისას ავტორს მოუწევს ანა კალანდაძის გახსენებაც, მარინა ცვეტაევას პუნქტუაციური გამოცდილების გათვალისწინებაც, ოთარ ჩხეიძის პრაქტიკის განჩხრეკაც...

აქედან თითქოსდა მოულოდნელი დასკვნა: არასტანდარტულ ავტორებს სტანდარტულ პუნქტუაციას ვერაფრით მიუსადაგებ

კონკრეტულ ფაქტთა საგნობრივი კვლევა და ისევ „მოულოდნელი“ დასკვნა: „ოთხი რამ — ხმა, სიტყვა, წერტილი, დატეხილი სტრიქონი — არის ურთიერთკავშირში და ქმნის იმ რეალობას, რომელსაც მუხრან მაჭავარიანის სტილის თავისებურება ჰქვია“ (18).

მაგალითების ანალიზისა და სათანადო მსჯელობის გზით საქმე იქამდე მიდის, რომ კეთდება დასკვნა: მ. მაჭავარიანის

ტექსტებში წერტილსაც კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება: „დიახ, წერტილის დასმა ნიჭია, სწორად გათვლილი და დაგეგმილი სამუშაოს ფინალი!“ (20).

და აქ, მეტი რომ არ შეიძლება, ისე მიყივის და მეძახის ერთი მოგონება. მაგონდება კი აი, რა: ოდესღაც ერთდროულად გამოქვეყნდა ორი პროფესორის ერთნაირი მოცულობის წერილი სულხან ორბელიანზე. ერთია ალ. ბარამიძე, მეორე – აკაკი გაწერელია. ორივე მასალაში დაახლოებით ერთი და იგივე ეწერა, დასკვნებიც თითქმის იდენტური იყო, ოღონდ ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მაინც აკაკი გაწერელიას სტატიამ მოახდინა და აი, რატომ: მასში მკაფიოდ იყო გამოკვეთილი დროული წერტილის მნიშვნელობა მეიგავის შემოქმედებაში, ხოლო ესე მთავრდებოდა ამ მომენტის დიდოსტატური ხაზგასმით: **ბევრ სხვა ხელოვნებასთან ერთად სულხან-საბას ახასიათებს კიდევ ერთი ხელოვნება – წერტილის დროზე დასმის ხელოვნებაო.**

სათანადო აუცილებელი მაგალითების განხილვისა და შემდგომ განზოგადების გზით მკვლევარი ადგენს: „ჩვეულებრივი ცხოვრებისეული სიტყვა პოეტმა უნდა გახედნოს, თავისი დამღა დაასვას“ (21).

არაერთი საამრიგო მაგალითია მოყვანილი გალაკტიონის, მაჭავარიანის, ანა კალანდაძის შემოქმედებიდან, ოღონდ მგონია, ჩემმა მაგალითმა ყველა გადაწონოს: ნებისმიერი სიტყვა სახალხოა, საყოველთაოა, ოღონდ ზოგჯერ ისე გახედნის მას მავანი, მერე სხვა ამ სიტყვის ხმარებას ვეღარ გაბედავს; გაბედავს და ეპიგონის ეპითეტსაც აიწებებს. მაგალითად, გრ. ორბელიანისაა და სამარადისოდ მისადვე დარჩება ზმნა „აღჩნდეს“: „ვინ **აღჩნდეს** გმირი?“ ერთი ფრიად კოლორიტული

სიტყვა შექმნა რუსთველმა ჯერ კიდევ XII საუკუნეში, ოღონდ მას შემოქმედნი სათოფეზე უვლიან: „დისაგანცა უფრო დესი“. დესი უკვე „პრივატიზებულია“ და მისი მომარჯვება არაფრით შეიძლება! „ვეფხისტყაოსნის“ ერთ უცნაურად უკარება ნეოლოგიზმსაც დავასახელებ. ეგ სიტყვა არც მანამდე გამოუყენებია ვისმე, არც რუსთველის შემდეგ და მეეჭვება, ოდესმე ვინმემ გაბედოს მისი გამეორება. ცნობილი ამბავია: შესაძლოა, ადამიანი სხეულით არ იყოს უმანკო, ოღონდ, თუ სულიერად კეთილშობილია, რუსთველისთვის იგი შეიძლება გახდეს დადებითი პიროვნება. სწორედ ასეთია ფატმანი. ის **ტანბოზია**, ოღონდ არა — **პირბოზი**; თუ ადამიანი სულიერად არ არის უმანკო, ის ვერასოდეს იქნება დადებითი. სწორედ ასეთნი არიან პირუმტკიცი და სიტყვისგამტეხი რამაზ ხატაელი და ფატმანის ქმარი უსენი. ისინი პირბოზები არიან და ამიტომაც უარყოფით ტიპებად ჩამოყალიბდნენ. სწორედ პირისგამტეხ, ცრუ და მუხთალ რამაზს მიმართავს ტარიელი რუსთველისეული ნეოლოგიზმით, რომელიც უკვდავ, მარადიულ, ოღონდ განუმეორებელ ნეოლოგიზმად დარჩა:

პ ი რ ბ ო ზ ო, ჩემი მორევნა რა დია დაგიქადიან;
მე ჩაბალახად გახმარნე, რაცა გიმუზარადიან!

მკვლევარმა კარგად იცის: სისულელე იქნება წერტილმძიმისა და ტირე-დეფისის დიდი მნიშვნელობის ძიება ყველა პოეტის ტექსტებში, ოღონდ იმასაც ხედავს, რომ ზოგი მგოსნის ლექსში ამ ნიშნებს საგანგებო დანიშნულება ენიჭება. თუ ამას გავითვალისწინებთ, სრულიად საჭაშნიკო გახდება საბოლოო დასკვნა: „ხმა, სიტყვა, წერტილი, დატეხილი სტრიქონი... — ესაა მუხრან მაჭავარიანის პოეზიის საიდუმლო, დამ-

ხმარე საშუალება პოეტური სათქმელის მკითხველამდე ზედმიწევნით მისატანად“ (43).

თუმცა ენათმეცნიერული ნათქვამი არაა და მაჭავარიანის ენისადმი მიმართებაზე არას გვეუბნება, მაინც თვალს ვერ მოვარიდებ ენათმეცნიერის ამ ლიტერატურულ აფორიზმს:

„სულხან-საბას არ ელირსა ქართული მიწა, მაგრამ დაემკვიდრა ქართულ პოეზიაში... ამ „სატანძიე“ კაცის საუკუნო სამყოფად მუხრანის პოეზია იქცა“ (52).

ერთი საგულისხმიერო პრობლემა დააყენა მოაზროვნე ავტორმა, თუმცა არც ეგ გახლავთ საენათმეცნიერო თემა: რატომ არის, რომ ფშავ-ხევსურეთში ესოდენ მაღალია პოეტური სიტყვის კულტურა, ხოლო მუსიკალური ესოდენ მოკრძალებული, ხოლო გურიაში – პირიქით? (64)

ეს შეკითხვა ავტორს ანა კალანდაძისთვისაც დაუსვამს, მაგრამ პასუხი ვერ მიუღია.

არადა საკითხი მრავალმხრივ დაკვირვებასა და გადაწყვეტას საჭიროებს!

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ:

პოეტიკურ-საენათმეცნიერო თვალსაზრისით რაც კი რამ სათქმელი და მისათითებელი იყო „საბას“ ავტორის შემოქმედებაში, პროფ. გ. გოგოლაშვილმა ზედმიწევნით ზუსტად და ამომწურავად მოგვახსენა.

* * *

ანა კალანდაძის ენობრივ სამყაროს ეხება „ენა – ბედისწერა“ (2019). საკვლევაძიებო პათოსი აქაც იგივეა. ეგ გამოჩნდა პირველივე, საწყის, წინადადებაში: „მშობლიური ენის

სულზეა მორგებული ანა კალანდაძის ხმა", — ბრძანებს მუხრან მაჭავარიანი" (5).

ვხედავთ: მკვლევარი მიმართავს ეფექტიან ხერხს — ენობრივად საინტერესო ერთ შემოქმედს ენობრივად საგულისხმიერო მეორე მწერლის მოსაზრებას მიუყენებს ხოლმე. რა თქმა უნდა, საინტერესო მწერალი-გრამატიკოსი მ. მაჭავარიანი თუ რასა ბრძანებს ანა კალანდაძეზე, ასევე სანიმუშო მწერალ-მოენეზე, ფრიად და ფრიად საყურადღებოა! სხვათა შორის, ეს საქმეს დიდად უადვილებს თვითონ მკვლევარს. კვლევა-ძიება აქაც ორი ძირითადი მიმართულებით იშლება: „ერთია ლექსში გამომწყვდეული სილამაზე და სიდიადე ქართული ენისა და სხვაა პროზაული შეგონებანი ქალბატონი ანასი დედაენის თემაზე" (5). იქვე ერთობ საყურადღებოა შენიშვნა: ჯავახიშვილ-გამსახურდიას შემდეგ იმდენი არავის უფიქრია ენაზე, რამდენიც ანა კალანდაძესო!

ახლა სათაურიც განვმარტოთ: რატომ ჰქვია წიგნს „ენა — ბედისწერა"?

საქმე ისაა, რომ უნივერსიტეტში ლიტერატორად შესული ანა სრულიად შემთხვევით მოხვდა ენის განყოფილებაზე და „ბედისწერა იყო ისიც, რომ მაღალი პოეტური სულის მქონე სტუდენტ გოგონას ენის ურთულეს ლაბირინთებში დაატარებდნენ არნოლდ ჩიქობავა და აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია და ქეთევან ლომთათიძე, გიორგი როგავა" (6). თავად პოეტი გულწრფელად აღნიშნავდა: პროფესიულმა ენათმეცნიერულმა ცოდნამ გაამდიდრა ჩემი შემოქმედებაო (7). ამ კავშირის პირდაპირი შედეგი: მგოსნის პოეტური ფრაზის ენობრივ სიმდიდრეს სწორედ ის განაპირობებს, რომ ანა მთელი ცხოვრება ლექსიკოლოგიის დარგში ტრიალებდა (8).

და ანას კოლორიტული შემოქმედებითი სტილის გასაღები – მისივე აღსარება: „ძველი ქართულისა და უმამაცეს მთიელთა ენის სურნელი ნაზად ერწყმოდა ერთმანეთს და ჩემს პოეტურ ფანტაზიას ასაზრდოებდა“ (9).

აღნიშნული თეორიული დებადის კონკრეტულ. საგულისხმო მაგალითებს დაეძებს მკვლევარი და კიდეც პოულობს.

ენისადმი პოეტის დამოკიდებულების საუკეთესო გამომხატველია ეგ შედარება: **ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალყურის დევნება ენას** (16).

გრამატიკულ ფორმებზე ნიადაგ მზრუნველ სიტყვის ოსტატს დიახაც უნდა დასცდენოდა აფორიზმი, რომელიც რუსთველის ბარეორ შეგონებას ტოლს არ დაუდებს:

ენას უნდა ჰყავდეს პატრონი,
რომ არ გაუჩნდეს ბატონი!

ეგ მხატვრული ფიგურა თამამად აგრძელებს გრ. ორბელიანის, ილ. ჭავჭავაძის მსგავს ფიგურათა იდეურ-მხატვრულ სულისკვეთებას.

საგულისხმო ფაქტია: დაწინაურებული მუსიკალური, ოღონდ მოკრძალებული სიტყვიერი კულტურის მხარის გურიის წარმომადგენლები აკაკი შანიძე და ანა კალანდაძე ყველაზე მეტს ირჯებიან ფშაურ-ხევსურული სიტყვიერი კულტურის შენარჩუნება-გადასარჩენად. ხომ არ არის ეს აღნიშნული ნაკლის შევსების მცდელობა?!

აკაკი შანიძემ მთელი ხევსურული პოეზია ჩაიწერა და ეგ დიალექტი გამოწვლილვით შეისწავლა. კაპიტალურმა წიგნმა „ქართული ხალხური პოეზია. I, ხევსურული“ (1931) სათავე დაუდო ჩვენს ეროვნულ ფოლკლორისტიკას. ამავე

დროს, ახალგაზრდა მკვლევრებს გაუხსნა ფშავ-ხევსურეთის ბილიკები. ანა კალანდაძეც ერთი იმათგანია, ოღონდ მან, უწინარეს ყოვლისა, შექმნა ფშაური ციკლის ლექსები (1955).

პროფ. გ. გოგოლაშვილი პოეტის სწრაფვას ფშაური კილოკავისადმი ამჩნევს, მოჰყავს პოეტის საამრიგო კომენტარი: „ფერი“ და „კილო“ ყოველ ქართულ დიალექტურ სიტყვას თავისებური, განუმეორებელი აქვს... ფშავ-ხევსურული სიტყვის „ფერი“ და „კილო“ ჩემთვის საკმაოდ უცხო აღმოჩნდა, თანაც „უმაღლესი პოეზიით“ გაჯერებული... თავი მთვარეზე მეგონა“ (39).

ოღონდ მკვლევარი ფაქტის დაფიქსირებით შემოიფარგლა, მისი ახსნა არ უცდია. სინამდვილეში აღნიშნულს იოლად განმარტავს ჰეგელი. „ესთეტიკაში“ (1973) მითითებულია: არქაული სიტყვები და გამოთქმები გვაშორებს აწმყოს და ამგვარი გაუცხოების გზით იწვევს პოეზიისა და ამაღლებულის განცდასო.

აი, თუ რამ აგრძნობინა „თავი მთვარეზე“ ანა კალანდაძეს!

ბარემ ესეც ითქვას: მ. მაჭავარიანისთვის ადრე დასმულ კითხვაზე პოეტური კულტურის მუსიკალური კულტურისადმი მიმართების შესახებ „პასუხის გაცემას“ თავად მკვლევარი შეეცდება ანა კალანდაძისეული მსჯელობის საფუძველზე: „ფშავ-ხევსურული კილო — პოეზიის ენაა და არა სიმღერის... გურული კილო — სიმღერის ენაა და არა პოეზიის“ (42) და იქვე ეჭვიან კითხვასაც დააყოლებს: „ასეა ვითომ?“

გ. გოგოლაშვილი ა. კალანდაძისეულ ერთ შენიშვნასაც მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას: ფშავ-ხევსურული ლექსის „კილოზე“ როცა საუბრობს, ქ-ნი ანა კითხვას დასვამს:

„ხომ არაა ეს ის, რასაც **გარემოს კარნახი** შეიძლება ეწოდოს?“ და ეს „გარემოს კარნახის“ „პრინციპი“ მკვლევარს მიაჩნია ვაჟა-ფშაველას პოეტური ენის გასაღებადაც...

მკვლევარმა იცის უმთავრესი: ინტონაციურად მდიდარი მოშაირის ნააზრევში მრავალწერტილი ოდენ მრავალწერტილი როდია! იგივე ითქმის ორწერტილზე, ოთხწერტილზე, მძიმესა და ორწერტილზე, მძიმესა და სამწერტილზე, ძახილის ნიშნით გამდიდრებულ წერტილებზე (50-56). სასვენ ნიშანთა „ანასეული სისტემის“ კარგად გააზრების საფუძველზე გამოტანილია უარუთქმელი დასკვნა: გულუბრყვილო და გამოუცდელ რედაქტორს შეიძლება შეეშალოს და ეგ არასტანდარტული ნიშნები „კანონიერად“ ჩაასწოროს. ეს იქნებაო „უკანონო კანონიერება“!

თუმცა ზოგი მარჯვე ნათქვამი გრამატიკა-ენის საკითხებს არ ეხება, ოღონდ მკვლევრის წიგნს ამკობს და მინდა ჩემი ნაშრომიც დაამშვენოს. გ. გოგოლაშვილს ერთი შესანიშნავი, აზრმაღალი პარალელის გავლებაში მიუღია მონაწილეობა.

ქ-ნი ანა ფოთს ესტუმრა. ღამე ინგა ღუტიძისას გაათია. გ. გოგოლაშვილს მასპინძლისთვის მაღვალაკურად გადაულაპარაკებია: დიდებული რეკლამაა გასათხოვარი ქალისათვის - „ჩემს ოჯახში ქალბატონ ანას აქვს გათეული!“ ინგას მოსწრებული პასუხი მიუგებებია: გაიმეხმაუროს ის სასიძო, ვის ოჯახშიც გალაკტიონს გაუთევიაო (68).

ერთგან საქმემ მოითხოვა და ავტორი მ. ჯავახიშვილის ჩანაწერს იხსენებს: „ორი ჯურის მწერალი არსებობს. ერთი სიკვდილის შემდეგ იზრდება, მეორე კლებულობს. მე პირველს ვეკუთვნი, რობაქიძე – მეორეს“ (77

დღეს მკაფიოდ ვხედავთ: რა მართალი მსჯავრია!

ამ წიგნში ასევე ყელყელაობს შესანიშნავი პარალელი, ფილოსოფოს დავით გეგეშიძის მიერ გავლებული: „საქართველოში ნიკორწმინდის ორი ტაძარია – რაჭასა და გალაკტიონის პოეზიაში; საქართველოში დავით აღმაშენებლის ორი საფლავია – გელათსა და ანა კალანდაძის პოეზიაშიო“ (94).

დასკვნა: **მკვლევარი ყველა იმ სამიჯნაო საკითხს შეეხო, ანა კალანდაძის შემოქმედების გაცნობისას რომ წამოიჭრება.**

* * *

სერიის მეოთხე წიგნია „ერი დედაა ენისა“ და ეხება ვაჟა-ფშაველას შემოქმედების პოეტიკურ-საენათმეცნიერო საკითხებს.

უწინარეს ყოვლისა, მიმოხილულია სალიტერატურო ენა აკაკიდან ლუკა რაზიკაშვილამდე (5-7). შემდეგ კი დაყენებულია კითხვა: რატომ ჰქონდათ პოლემიკა ენის თაობაზე აკაკისა და ვაჟა-ფშაველას, „რატომ ვერ ეგუება ერთმანეთს აკაკისა და ვაჟას თვალთახედვა?..“ (8)

გარკვეული მსჯელობის შემდეგ მკვლევარმა ააგო ხიდი მომდევნო მოსაზრებებთან მისასვლელად: „აკაკი წერეთელი, თანამებრძოლებთან ერთად, ორი ათეული წელი იბრძოდა იმისათვის, რომ ვაჟას თაობას ქართული ენის ასპარეზი მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული დახვედროდა...“ (9).

რა ხდებოდა ლუკა რაზიკაშვილის გამოჩენამდე?

ქართული იდევნებოდა სკოლაში, ოჯახში, შეხვედრებზე, საზოგადოებაში; მოგვიანებითაც კი ქუთაისში ქართულად წაკითხული ლექცია ზღაპარი ეგონათ. გრ. რობაქიძე მასების

განათლებას რუსული ლექციებით ცდილობდა; „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის ერთ-ერთი მიმართულება ენობრივ პრობლემებს გულისხმობდა; ამ დროს ძველი და ახალი თაობები ერთმანეთს აბრალებდნენ ეროვნული ენის წახდენას. და, ამავე დროს, ორივე მხარეს მიაჩნდა, რომ **ენის გადარჩენა ერის გადარჩენაა, ქვეყნის გადარჩენაა!** (9)

სწორი და დროულია მკვლევრის შენიშვნა: ენას ებრძვიან ორი მხრიდან – ჯერ ერთი, **ქართულმა დაკარგა სახელმწიფო ენის ფუნქცია;** მეორეც, **ანტონ კათალიკოსის რეფორმამ ქართული სალიტერატურო ენის გენერალური ხაზი გაამრუდა.**

აი, ამ ორ პრობლემას შეუტიეს სამოციანელებმა: ილიამ, აკაკიმ, იაკობმა. და ეგ იყოო **ენობრივი რეფორმის დასაწყისი** (15). მისი დევიზი ასე ჟღერდა: **„სალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთი და ემყარებოდეს საერთო-სახალხო ენას“** (15).

ამის შემდეგ მოყვანილი და განხილულია აღნიშნული „ბრძოლის“ სათანადო მაგალითები, ფაქტები; დადგენილია: სამოციანელები აშენებდნენ და კიღევაც წამომართეს საერთო-სალიტერატურო ენის „ბაბილონის გოდოლი“.

ამასობაში (1880-იან წლებში) ასპარეზზე გამოდის ვაჟა-ფშაველა, რომელმაც უპირატესობა მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპს მიანიჭა და არა გენერალურ ენობრივ ხაზს. ამით კი „ბაბილონის გოდოლის“ საძირკველს აგური გამოაცალა.

მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპის გატარება მოგებიანია მწერლური თვალსაზრისით (ამ დროს პროვინციული სიტყვა-თქმების მომარჯვებით მხატვრულ მარგალიტებს იოლად შექმნი), ოღონდ წაგებიანია სალიტერატურო ენის გენერალური ხაზიდან გადახვევის თვალთახედვით (პროვინციალიზმის მოძა-

ლება ვნებს საერთო-სახალხო სალიტერატურო ენის განვითარებას).

სწორედ ამ დიქოტომიის (გამიჯვნის, განსვლის) შედეგია აკაკისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა კრიტიკული დამოკიდებულება რაზიკაშვილების ენისადმი.

გ. გოგოლაშვილი საკითხის ისტორიას ფართოდ მიმოიხილავს. რაზიკაშვილების ენობრივ პოზიციას ბევრი უპირისპირდებოდა (25-30).

მკვლევარი აანალიზებს „მთის არწივის" ზოგადთეორიულ მოსაზრებებს ერის, ენის, მეტყველების განვითარების საკითხებზე; მართებულად ბრძანებს: „ვაჟა-ფშაველას მიაჩნია, რომ აუცილებელია, „ბავშვი პირველ დაწყებით სწავლას ორსა და სამს წელს მაინც მშობელ ენაზე ითვისებდეს" და იქვეა დართული კომენტარი: „შთაბეჭდილება რჩება, ვაჟა იაკობ გოგებაშვილის იდეებს კარგად იცნობს და მას ემყარება" (34).

ამის მერე მკვლევარი უკვირდება რ. ერისთავის ზეგავლენას „მთის სკოლის" მგოსნებზე და ბევრი საგულისხმო დასკვნა გამოაქვს. ჩემი აზრით, კვლევის ეს ასპარეზი ძლიერ საინტერესოა „მთის სკოლის" შინაგანი დინებების გარკვევის თვალსაზრისით; იკვლევს ვაჟა-ფშაველას მოსაზრებებს ენობრივი სივრცის შესახებ, მგოსნის ენობრივ სტატიებს.

პროფესორს მოჰყავს იმ ავტორების მოსაზრებები, რომლებიც აკაკის პოზიციას ამართლებდნენ, ოღონდ არა ყველა. ამ ნაკლს მე გამოვასწორებ. ესენი არიან: ი. ვართაგავა, პ. მირიანაშვილი, ალ. ბარამიძე, ივ. ქავთარაძე, შ. ძიძიგური, პრ. კეკელიძე, ივ. გიგინეიშვილი, მ. ზანდუკელი, გ. გოგოლაშვილი, მ. თავდიშვილი, გ. გვენეტაძე... პოლიტიკოსებიდან — ი. სტალინი, კ. ჩარკვიანი...

მართალია, ჩვენი მკვლევარი არსებითად აკაკის მხარეზეა, ოღონდ საკითხის ღრმად შესწავლის შემდგომ იძულებულია, აღიაროს: „ვაჟა-ფშაველა ქართულ მწერლობაში ერთერთი შემოქმედია, რომელსაც აქვს საკუთარი ენობრივი პოზიცია“ (68), ამიტომაც „ენობრივი გოდოლის“ მესაძირკვლე-დამცველთა თავდასხმები მეტად მკაცრი და მოუზომავი გამოვიდაო (68). იქვე ნაჩვენებია, რომ შემუშავდა აზრი: „ვაჟა-ფშაველა თავის ლექსებსა და პოემებს ფშაურ კილოზე წერდა, ხოლო პროზაულ ნაწარმოებებს ლიტერატურულ ენაზე“ (69).

ამის თაობაზე ჩვენი მკვლევრის აზრს ქვევით მოგახსენებთ, ოღონდ მე აქ განვაზოგადებ არსებულ ვითარებას: ქართული ინტელიგენციის ე.წ. **ესთეტიკური ფრთა** რაზიკაშვილების ენობრივ პოზიციას მხატვრულ მონაპოვრად წარმოისახავდა და იცავდა (კ. გამსახურდია, ტ. ტაბიძე, თ. ჩხენკელი, ა. კალანდაძე, რ. თვარაძე, თ. ჭილაძე...), ხოლო ე.წ. **სამეცნიერო და პოლიტიკური ფრთა** (ალ. ბარამიძე, ივ. ქავთარაძე, სტალინი...) მასში კუთხურ მიდრეკილებას ხედავდა.

მეცნიერებსა და პოლიტიკოსებს არ მოსწონდათ რაზიკაშვილების ენობრივი პარტიკულარიზმი. საერთოდ, ისტორიულად დაქუცმაცებულ და არაერთიან საქართველოში ვიწრო-კუთხური ტენდენციებისა ეშინოდათ. ეს გასაგები ამბავია. განა ჩვენში არ შეიქმნა ანტიპარტიკულარისტული შედევრები – რ. ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“; აკაკის „ჩანგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“; დ. მეგრელის „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო – ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო!“ საბა ორბელიანის

საამრიგო იგავები: „ძალა ერთობისა“, „მოშუღლარი ძაღლები“ და სხვები?!

და, ვიდრე ანა კალანდაძე თავისი ფშაური ციკლის ლექსებით მოეფერ-მოეგოგოჩებოდა ამ კუთხეს, მანამდე დიდი ხნით ადრე სხვა გურული გამოექომაგა „მთის არწივს“. ეს გახლდათ ილია ნაკაშიძე. მან დაბეჭდა ვრცელი სტატია „ვაჟა-ფშაველას პოეზია“. ნაშრომის დედააზრია: **მგოსნის პოეზიის სიდიადეს განაპირობებს ფშაური კილოს გერგილიანი მომარჯვება!**

რა არის ამის საფუძველი?

აი, თუ რა:

ფშაური კილო სუფთად შემონახული უძველესი ქართულია. მას სხვა კილოებთან შედარებით უპირატესობა აქვს. აქ ცენტრალური გამოდის ორი ცნება: **თქმის ხატოვანება და ლექსიკური სიწმინდე**. .

ჩემი დაკვირვებით, მოგვიანებით ი. ნაკაშიძის ამ თეზას დაეყრდნო „მთის არწივი“, როდესაც საკუთარი ენობრივი პოზიციის დაცვას შეეცადა.

1899 წ. გამოვიდა საყმაწვილო სახელმძღვანელო, რომელშიც საუკეთესო მწერლების ტექსტები მოთავსდა. პროფ. პრ. კეკელიძე სამართლიანად ბრძანებდა: აკაკი უარზე იდგა, რათა **სანიმუშო საყმაწვილო სახელმძღვანელოში** ენობრივი პარტიკულარიზმის შემცველი ნაწარმოებები შესულიყო, რადგან შიშობდა: ამას ეროვნული პარტიკულარიზმი არ შეემზადებინა და დიდი სამეულის მიერ აშენებული გოდოლი არ დაენგრია.

აკაკიმ დაიწუნა არა მხატვრული მხარე აღნიშნული ტექსტებისა, არამედ ავტორთა ენობრივი პოზიცია. ემოციურ-

მხატვრული თვალსაზრისით, ცაში აჰყავს „მთის სკოლა“, ოღონდ კილოკავის ზედმეტი გამოყენება მიუღებლად მიაჩნია. თანაც, მიაქციეთ ყურადღება, ცალკეული პროვინციული სიტყვების (სახელების) შემოტანას აქებს, ენის გამდიდრებად სახავს, ოღონდ კუთხური ზმნების გამოყენებას კრძალავს. ამ მსჯელობისას წერეთელი გამოწრთობილ, გამოჯანდრულ ენათმეცნიერსა ჰგავს. აკაკი მაშინვე ჩახვდა იმას, რაც გამოჯანდრულმა ენათმეცნიერმა გ. გოგოლაშვილმა ამ წიგნში დაადგინა: ლუკა რაზიკაშვილი ზოგჯერ ლიტერატურულ ფორმებს (რომლებიც თავდაპირველად დაწერა) შემდგომ საგანგებოდ ჩაასწორებდა ხოლმე და ასე საგანგებოდ აპროვინციულებდა სათქმელს.

ილიასა და აკაკის ჰქონდათ ასეთი წესი: საგულისხმიერო აზრებს ჯერ წერილებით გამოთქვამდნენ, ხოლო შემდეგ, გარკვეული დროის გასვლისას, ლექსადაც გარდათქვამდნენ. მაშ, იგივე აზრები და იდეები „სულიკოს“ ავტორმა გამოხატა საყოველთაოდ ცნობილ ლექსში, რომელიც ასე იწყება: „ენას გიწუნებ, ფშაველო!“

გ. გოგოლაშვილი შენიშნავს: „ესაა „პოეტური რეზიუმე“ 14 წლის წინათ აკაკის მიერ ვაჟას ენის მიმართ გამოთქმული მკაცრი კრიტიკისა და უფრო ადრე „გადაკვრით“ თუ „კულუარულად“ თქმული შენიშვნებისა“ (91).

ჩემი მხრივ, უნდა დავსძინო:

არავის არასოდეს ისე ძლიერ არ შეუქია ვაჟა-ფშაველა, როგორც იგი შეაქო ამ ლექსის ავტორმა. ეს ფაქტია. აქ კრიტიკული მხოლოდ პირველი ტაეპია – „ენას გიწუნებ, ფშაველო!“ დანარჩენი კი (სულ 19 სტრიქონი) გამაოგნებელი ქებაა „მთის არწივისა“ და მისი მხარისა!

მაგრამ აკაკი იმხელა ავტორიტეტი გახლდათ (1913 წელს საქართველოში პირველი კაცი სწორედ ის იყო), რომ მისმა მეწინავე და ერთადერთმა სტრიქონმა შხამიანი ისრის ფუნქცია იტვირთა.

ამას მოჰყვა გამწარებული მთიელის „დაგვიანებული პასუხი აკაკის".

შესანიშნავად გაუხსნია მკვლევარს ამ სათაურის საიდუმლო: საპასუხო ქმნილება დაიბეჭდა სამი თვის შემდეგ. მაშ, „რატომ ჰქვია ლექსს „დაგვიანებული პასუხი", როცა სულ რაღაც სამიოდე თვის შემდეგ გამოქვეყნდა? ვფიქრობთ, რომ ეს არ არის პასუხი მხოლოდ ამ ლექსისა... როგორც ჩანს, ვაჟა-ფშაველას აკაკის მიერ ადრე არაერთგზის გამოთქმული კრიტიკული აზრი აფიქრებდა" (93).

საპასუხო ლექსში თავმოყრილია ის დებულებები, რომელთა მომარჯვებითაც ამართლებდნენ „არწივის" ავტორს კრიტიკოსები ანდა თავად პოეტი იცავდა თავს.

საგულისხმოა გ. გოგოლაშვილის საბოლოო მოსაზრება:

„თუ აკაკის ლექსი შეიძლება მივიჩნიოთ „პოეტურ დასკვნად" აკაკის პოზიციისა ვაჟას ენის მიმართ, ვაჟას საპასუხო ლექსი ასევე შეიძლება მივიჩნიოთ „პოეტურ დასკვნად" ვაჟასეული ენობრივი პოზიციისა..." (93

გარდა ამისა, შესაძლოა, კიდევ ერთი დასკვნაც ჩამოვაყალიბოთ: **ორივე სადავო ქმნილება ქართული პოეზიის უდავო შედევრია!**

აქვე ერთი განმაზოგადებელი დებადი უნდა გამცნოთ: აკაკის ლექსის ღერძული მომენტია: გაუმარჯოს ერთიან სალიტერატურო ენას! „მთის არწივის" ქმნილების ცენტრალური დევიზია: „მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ".

დრომ აკაკის დევიზი გაამართლა და არა ვაჟა-ფშაველასი!

ისტორიის სამართალი მიხ. ჯავახიშვილმა გააჟღერა, როცა აღნიშნა: „გავიხსენოთ თუნდაც სამი მწერალი – ვაჟა-ფშაველა, ე. ნინოშვილი და დ. კლდიაშვილი. პირველი ფშაურ კილოზე წერდა... მეორე – გურულზე, მესამე – ქვემო იმერულზე; სამივე დიდი მწერალია, მაგრამ დაამჩნია რომელიმე მათგანის კუთხურმა კილომ შესამჩნევი კვალი სალიტერატურო ქართულს?.. არც ერთი ოდნავ მაინც გამოჩენილი ლიტერატორი აღარ სწერს ამ კილოთი“ (102).

დიდი მოენე და სტილისტი მ. ჯავახიშვილი არც აღნიშნულით შემოფარგლულა. უფრო კატეგორიულია მისი მომდევნო დებადი:

„კუთხურით წერა მეტად სახიფათო ხერხია – ერთი თუ გაიმარჯვებს, ათი დამარცხდება... ვაჟა-ფშაელას ფანდი: „ჩაფიქრებულა მინდია, ყალივან აჩრავ პირშია“ – საუკუნეებს გაუძლებს, მაგრამ სალიტერატურო ენაში ვერ შემოვა“ (103).

ლუკა რაზიკაშვილის ცნობილი მკვლევარი გრიგოლ კიკნაძე ფიქრობს, რომ მგოსნის ესთეტიკურ-მხატვრული სიძლიერე მნიშვნელოვანწილად სწორედ კილოკავმა განსაზღვრა (115).

ამ იდეას სამართლიანად დაუპირისპირდა ცნობილი მწერალი გრიგოლ აბაშიძე: „დიალექტი კი არ განსაზღვრავს თხზულებათა სიდიადეს, არამედ ვაჟას ნიჭის სიდიადე სძენს ელვარებას დიალექტს“ (115). იგივე სწორი თვალსაზრისი დაიცვა და გარკვეულად კიდევაც განავითარა ცნობილმა მწერალმა რევაზ ჯაფარიძემ (115). საინტერესოა მისი დასაბუთება: ვაჟა-ფშაველას მსგავსი ნიჭიერი წარმომადგენლები რომ

ჰყოლოდათ თუშურ, ეურულ, აჭარულ ან სხვა დიალექტებს, ისინიც ისე ამაღლებულად გამოიხატებოდა, როგორც ფშაურ-ხევსურულიო.

პირადად მე კი სულ სხვა კუთხით დავაზუსტებ ამ დებადს: ფშაურ-ხევსურული მანერითა წერდნენ „მთის არწივის“ ძმებიც, ოღონდ არც ერთი მათგანი ვაჟა-ფშაველას სიმაღლეზე არ აწეულა. ვის ახსოვს ახლა ბაჩანა ანდა თედო რაზიკაშვილი? ისინი საშუალო მწერლებსაც კი ჩამორჩებიან, ცნობადობისა და მნიშვნელობის მიხედვით. აქედან ლოგიკური თეზა: **ფშაურ-ხევსური დიალექტი კი არ ხდის ვაჟა-ფშაველას ტალანტად, არამედ დიდი ტალანტის მქონე მწერალმა გახადა თვალსაჩინო ეგ კუთხე და მისი კილოკავი.**

შემდეგ მკვლევარი დაწვრილებით განიხილავს კონკრეტულ მაგალითებს (120-135) და გვიჩვენებს, თუ რაა „მთის არწივის“ ნაწერებში დიალექტური, რა ქმნის ილუზიურ დიალექტიზმს, რაა დასაშვები და დაუშვებელი პარალელური ფორმები და როგორ იყენებს მათ მგოსანი. რაც მთავარია, ერთურთისაგან გამიჯნულია დიალექტური ფორმების მიზნობრივი და არამიზნობრივი გამოყენება, თუმცა ეგ კვლევა აღწერითი ხასიათისაა და დიდი მგოსნის ავტორიტეტით დათრგუნულ გ. გოგოლაშვილს უჭირს არამიზნობრივი ფაქტების გაკრიტიკება. ამიტომაც „ჩვენც ნურას ვიტყვით, გადავხედოთ და გაუიაროთ!“ (დანტე, „ინფერნო“).

მკვლევარს ასევე გამოწვლილვით შეუსწავლია პოეტის პროზა, პუბლიცისტიკა და დრამატურგია, ამ ტექსტებში მიმოფანტული დიალექტიზმები, ახდენს მათ კლასიფიკაციას და საბოლოო შედეგს ასე წარმოადგენს: სხვაგვარია პროვინცია-

ლიზმისადმი მგოსნის დამოკიდებულება პოეზიაში, სხვაგვარი - პროზაში.

მკვლევარი არ იზიარებს გავრცელებულ აზრს ვაჟას პროზის ენის თაობაზე და დაასკვნის: „დიალექტიზმების საკითხი ვაჟა-ფშაველას პროზაში ისევე მნიშვნელოვანი და საინტერესოა, როგორც დ. კლდიაშვილის, ა. ყაზბეგის შემოქმედებაში“... (140) მაშინ რა ქმნიდა იმ შთაბეჭდილებას, რომ პროზისა და პოეზიის ენა სხვაობდა ვაჟასთან? ამ კითხვაზე გ. გოგოლაშვილის პასუხი ასეთია: „დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით ერთნაირი ვითარებაა პროზასა და პოეზიაში. პოემებშიც ის დიალექტიზმები გამოიყენება, რაც პროზაში. არის ერთი არსებითი ხასიათის სხვაობა: **პროზაში ვაჟა-ფშაველა ცალკეა და პერსონაჟები – ცალკე**; ვაჟა სალიტერატურო ქართულით მეტყველებს; პერსონაჟები მიმართავენ დიალექტიზმებს...

პოემებში ასეა: **ვაჟაც და პერსონაჟებიც ერთნაირად მეტყველებენ; ვაჟაც „პერსონაჟია“ და მრავალი პოემა „გარემოს კარნახით“ იწერება“** (159)...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

პროფ. გ. გოგოლაშვილმა უფრო ღრმად და სრულად წარმოგვიდგინა ვაჟა-ფშაველას ენობრივი სამყარო, ვიდრე დღემდე ვიცოდით. პოეტის ენობრივ მრწამსს მკვლევარი მხატვრულ ფენომენთან დაკავშირებულად განიხილავს. ეს კი მის ნააზრევს მთლიანობის იერსახეს ანიჭებს; გარდა ამისა, საგნობრივად არის ნაჩვენები აკაკისა და ვაჟა-ფშაველას ენობრივი პოლემიკის მთელი ისტორია.

საზოგადოდ, უნდა მკაფიოდ განვაცხადო: **აღნიშნული სალექციო კურსის შემოღებით უფრო საინტერესო ხდება რო-**

გორც მწერლის მხატვრული შემოქმედება, ისე მისი ენობრივი სამყარო, ხოლო სტუდენტი ერთდროულად იღებს როგორც ენობრივ ცოდნას, ისე ესთეტიკურ ტკბობას.

თუმცა კი შორეული პარალელია, ოღონდ როგორ არ გამახსენდეს აქ ალბრეხტ დიურერის გამონათქვამი: კარგია, როდესაც ისმენ, ოღონდ უკეთესია, როცა ერთდროულად **კიდევაც ისმენ და კიდევაც ხედავო.**

* * *

მავანი იტყვის: მურმან თავდიშვილი პროფესორ გიორგი გოგოლაშვილს მეხოტბედ დასდგომია და ენათმეცნიერის ნაშრომებში ვერანაირ სარეზს ვერ ხედავსო.

აგერ ის მცირე ნაკლი, რომელიც სერიის მომდევნო წიგნებში უნდა გავითვალისწინოთ, ხოლო განხილული ნაშრომების ხელმეორე გამოცემისას იოლად გამოსწორდება. საერთოდ კი აქ უნდა გავიხსენო კლასიკოსის საამრიგო შეგონება: „ენა ისეთი უცნაური ფენომენია, რომ არც ერთი, თვით სიტყვის უდიდესი ოსტატიც, არაა დაზღვეული, რომ მას რაიმე ლაპსუსი ან შეცდომა არ გაეპარება“ (კ. გამსახურდია). უწინარეს ყოვლისა, თვალში საცემია გამეორებები. მაგალითად, ანა კალანდაძის დებულება — ვწერ ისე, როგორც მეწერებაო — ამ ტიპის პირველ ოთხ წიგნშია მოხმობილი.

ჯერ რამდენიმე სერიოზული შინაარსობრივი შენიშვნით დავიწყებ.

მკვლევარი წერს: „დავით კლდიაშვილთან არა გვაქვს ე.წ. მეტყველი სახელ-გვარები“, როგორიც ე. ნინოშვილთან (მუნჯაძე, უიშვილი, ძალაძე, დროიძე...), ან გ. წერეთელთან

(ფულავა, წარბა, ჯიბიაშვილი). თითქოს ჩვეულებრივი, იმერეთში გავრცელებული სახელ-გვარებია..." (1, 24).

ეს დებულება მეტად მეთამამა, რადგან ნახევარსიმართლეა. კი, ბატონო, ისე ხშირად არაა ეგ წესი მომარჯვებული, როგორც ნინოშვილ-წერეთელთან, ოღონდ მაინც საკმაოდაა.

საქმე ისაა, რომ დ. კლდიაშვილი მოღვაწეობდა გ. წერეთლის, ე. ნინოშვილისა და სხვა იმგვარ მწერალთა გვერდით და პარალელურად, როცა მოდაში იყო საკმაოდ პრიმიტიული და საკმაოდ ეფექტური ილეთი - გვარითა და სახელით პერსონაჟის დახასიათება. ბუნებრივია, ამ ხერხს ვერ გაექცეოდა ვერცა დავითი. ამიტომაც შეარქვა ზოგ პერსონაჟს „მეტყველი", „მოლაპარაკე" გვარი. ცნობილია, რომ ძველად (და ახლაც) ქეიფი და ქორწილი იმართებოდა შაბათობით. შაბათს იქეიფებს კაცი, კვირას დაისვენებს და ორშაბათს საქმიანობას შეუდგება. ამიტომაც შეარქვა კლდიაშვილმა „სამანიშვილის დედინაცვლის" ერთ პერსონაჟს **შაფათაძე**. ეგ ხერხი ერთობ გამჭვირვალეა და დიდ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. იმავე მოთხრობაში ერთი პირი გახლავთ **ქვაშავიძე**. მას არავითარი ქონება არ გააჩნია, გარდა შავი ქვისა (მარგანეცისა). იმ დროს „შავი ქვა" არადსაღირალი იყო, ავის, უმაქნისის, ჭუჭყის სინონიმი გახლდათ. დღეს ღირს მარგანეცი ოქროს ფასი, თორემ იმხანად ჭუჭყსა და მტვერთან იყო გათანაბრებული; თვით **სამანიშვილიც** ქვეტექსტიანი გვარია და ამ გვარის საიდუმლოს გახსნა ნაწარმოების მთელი მიზანდასახულობის გახსნას უტოლდება. პლატონის მთელი მუშაობა, წვალება და მურმალი იქითკენ არის მიმართული, რომ ძმა, ისედაც მცირე მამულის მოზიარე, არ გაუჩნდეს; არ მოხდეს ისე, რომ კანო-

ნიერმა ძმამ მამისეული მიწის ნაკვეთზე **სამანი** გაუტაროს. **სამანი** იგივე სამიჯნაო ხაზია. ამიტომაც მისცა ავტორმა მას ასეთი გვარი — **სამანიშვილი**. კიდევ მეტი, სოლომანი **მორბელაძე** იმად არის, რომ მორბედი ბიჭივით წინ და უკან დარბის; **მიმინოშვილი** (ანთუ მიმინაშვილი) იმად ეწოდება ერთერთ გმირს, რომ ჭამა-სმასა და ქეიფ-გართობებს **მიმინოსავით** დააცხრება თავს. თვითონვე ხსნის და აცხადებს თავისი გვარის არსს, როცა გაჰყივის: მიმინოსშვილი ვარ, ჰო, მიმინოსიო! ღარიბი აზნაურის გვარი **ქამუშაძე** ირონიულ ქვეტექსტს ატარებს, რაკიღა ქვეშეცნეულად გამოასხივებს ცნებას მუშა: ქა — **მუშა** — ძე. ასევე „მოლაპარაკე“ გვარებია „მსხვერპლის“ **კარუგდებაძე**, „სამანიშვილის დედინაცვლის“ პავლია **ღომიაშვილი**, ელენეს პირველი ქმრის გვარი **უცნობლაძე**...

მაშასადამე, კლდიაშვილიც იმ მწერალთა ფარვატერში დგას, რომლებიც „მოლაპარაკე“ გვარებს იყენებენ. სწორედ აღნიშნული თვალსაზრისით იმსახურებს I წიგნი მეორე შენიშვნასაც. წერია **„სოლომონ მორბელაძე“** (61). სინამდვილეში უნდა იყოს **სოლომან**. საქმე ისაა, რომ „სოლომანი“ დამამცირებელი, დამაკნინებელი ფორმაა სახელისა „სოლომონ“. მწერალი კი სწორედ ასე დამცირებულ, წელში გატეხილ, დაჩაჩანაკებულ **სოლომანს** გვიხატავს და არა წელგამართულ ამაყ თავად **სოლომონს**.

ეს აზრი ადრევე გავუზიარე მკვლევარს, მაგრამ იგი გაჯიუტდა და არ გაიზიარა ჩემი აზრი!.. განსაჯოს მკითხველმა...

მკვლევრის თითქმის ყველა წიგნს ახასიათებს ეგ ნაკლი: ერთგვარი ნაჩქარეობა...

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს წინადადებების დაბანვა-დავარცხნას. ისინი ჩვენი შვილებია და მათი დაუხვეწავად გამოშვება იგივეა, თითქოსდა ჩვენი შვილები შინიდან გარეთ დაუბანელ-დაუვარცხნელნი გამოგვეყაროს.

რა თქმა უნდა, ყველა წვრილმანი ლაფსუსი, მექანიკური თუ სხვა სახის შეცდომა არ აღგვინუსხავს. არც ერთი მსგავსი უზუსტობა აღარ გაჭაჭანებულა პროფ. გიორგი გოგოლაშვილის მომდევნო წიგნში, რომელსაც ურედაქტორა **მურმან თავდიშვილმა.**

* * *

სერიის მე-5 წიგნი მიხეილ ჯავახიშვილის ენისადმი დამოკიდებულებას ეხება. ვფიქრობ, **მთელი საენათმეცნიერო ციკლის მწვერვალი ეს გამოცემაა.** ჯერ ერთი, იმიტომ, რომ „ჯაყოს სიზნების“ ავტორი კლასიკოსთა შორის პირველი მოქართულეა; მეორეც, იმიტომ, რომ ის არა ოდენ დიდებული მოქართულე იყო, მეცნიერული თვალსაზრისითაც კარგად ერკვეოდა საკითხებში; მესამეც, გასლდათ **ენობრივი პატრიოტიზმის იალბუზი.** ერთი სიტყვით, მკვლევარს აქ დიდი შესაძლებლობა და მაძღრიანი მასალა ეძლეოდა საკუთარი უნარისა და დაკვირვებულობის გამოსავლენად. ასეც მოხდა: გიორგი გოგოლაშვილმა მარჯვედ ისარგებლა ამ ვითარებით და მრავალი საინტერესო დაკვირვება თუ დასკვნა შემოგვთავაზა. უწინარეს ყოვლისა, მოსაწონია მასალათა დალაგების პრინციპი: ჯერ საუბარია „ქართული ენის ფანატიკოსი“ მწერლის ეროვნულ პორტრეტზე (3-8); შემდეგ მოყვანილია პროზაიკოსის კლასიკური გამონათქვამები მწერლისა და ენის ურთიერთობაზე: „თუ საშუალო ნიჭის ავტორმა ზედმიწევნით იცის ქართული,

ის ქართულის უცოდინარს ძლიერ ნიჭიერ მწერალსაც აჯობებს“ (12); მკვლევარი თანამედროვე შემოქმედთა გასაგონად საგანგებო აქცენტს აკეთებს ჯავახიშვილის გამოცდილებაზე: სანამ რომანის წერას დავიწყებდე, კარგა ხანს უცხო ენაზე დაწერილს არაფერს ვკითხულობ და ამით „ტვინის ენობრივი აპარატი სუფთა ქართულ მეტყველებაზე“ გადმომაქვსო (12).

ეგ მითითება ყველა თანამედროვე მწერალმა უნდა გაისიგრძეგანოს!

მკვლევარი ლოგიკურად მისდევს უხვ ფაქტობრივ მასალას, უჩვენებს პროზაიკოსის მთელ საამრიგო ღვაწლს, თუ როგორ ირჯება იგი, რათა:

„ერთი მხრივ, დაანახოს და განუმარტოს საზოგადოებას, რა პრობლემების წინაშე დგას ქართული ენა;

მეორე მხრივ, დაარისხოს განგაშის ზარები ქართული ენის „წახდენის“ გამო;

მესამე მხრივ, გაუცნობიეროს მკითხველს არსი დედაენისა; ნათელი წარმოდგენა შეუქმნას ქართული ენის ისტორიაზე; დაანახოს ყველა ის სიკეთე, რომლებითაც ქართულია დაჯილდოებული;

მეოთხე მხრივ, წარმოაჩინოს კონკრეტული ენობრივი დარღვევის ფაქტები, მოახდინოს მათი კლასიფიკაცია, განმარტოს საამისო მიზეზები;

მეხუთე მხრივ, თავად მიიღოს აქტიური მონაწილეობა... ენის ნორმათა დადგენაში... რაც მთავარია, განსაზღვროს მწერლის როლი დედაენის გადარჩენაში“ (8).

მკვლევარი კარგად ხედავს:

არც ერთ იმ მწერალს, რომელზედაც მას ამ სერიის წიგნები შეუქმნია, ერთად აღებულს არ გაუწევია იმხელა

დახმარება დედაენისათვის, რამხელაც გაუწია მარტო ერთმა კაცმა – „თეთრი საყელოს“ ავტორმა; არც ერთ მათგანს არ გამოუყენებია ქართული სინტაქსი ისე მარჯვედ, როგორც „ჩანჩურას“ ავტორს; არც ერთ მათგანს არ გაუნაყოფიერებია „ღრმა ქართული სიტყვებით“ მეტყველება ისე, როგორც ჯავახიშვილს; არც ერთ მათგანს ისე ორგანულად არ შეუწყვილებია ერთურთისათვის ხალხური გამართული ენა და ენათმეცნიერული ცოდნა, როგორც „ლამბალო და ყაშას“ დამწერს; და არც ერთ ქართველს არ ჰქონდა იმხელა უფლება ქართულის პრობლემებზე ელაპარაკა, რამხელაც მიხეილ ჯავახიშვილს.

არც ერთი ეგ (და კიდევ ბევრი სხვა) ღვაწლი არ დაუკარგა კლასიკოსს მკვლევარმა. ამიტომაც თუა, რომ ეგ ნარკვევი გაცხოველებული ინტერესით იკითხება, ისე ღიდი ინტერესით, რომ ჩვენი ავტორის მძიმე და ხშირად „უპასუხისმგებლო“ სტილი და ენობრივ-პუნქტუაციური უყურადღებობაც კი ყურადღების მიღმა რჩება.

მკვლევარს არ ავიწყდება, არც არის დასავიწყებელი და ვერც ჩვენ მივაყურისძირებთ იმ სააფორიზმე კლასიკურ გამოთქმებს, რომლებიც ჩირაღდნებად ანთია: **„ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღი. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს“; „ენა უმთავრესი სამწერლო იარაღია“; „ვისაც კარგად გამართული ქართული არ ეხერხება, ის... შორს ვერ წავა“, „სალიტერატურო გამარჯვებისათვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერე – კარგი ქართული და, ბოლოს, – ისევ კარგი ქართული“** (14).

მკვლევარი სათანადოდ აჯამებს ამ თეორიულ გამონათქვამებს, მათ პროზაიკოსის მხატვრულ ნიმუშებს უწამებს და

გამოაქვს სწორი დასკვნები; შემდეგ აჩვენებს იმასაც, თუ როგორ არჩევდა ჯავახიშვილი სხვათა ნამუშევრებს და ურჩევდა, როგორ ეწერათ გამართულად, მორეოდნენ კალკებს, შტამპებს, ბარბარიზმებს, გაუმართლებელ დიალექტურ ფორმებს და ა. შ. ჯეროვნად არის ახსნილი, რატომ აქებს ვ. ბარნოვისა და ღ. შენგელაიას, ხოლო იწუნებს რ. გვეტაძის ენას (20-23); გამოწვლილვით არის შესწავლილი მ. ჯავახიშვილის აქტიური მონაწილეობა სალიტერატურო ენის საკითხებზე გაშლილ დისკუსიებში (27 და სხვ.); ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს უჭირს, აღიაროს: კ. გამსახურდიასთან კამათშიცა და გრ. რობაქიძის მძიმე სტილის კრიტიკაშიც ჯავახიშვილი მართალია (29); ენათმეცნიერს ხაზგასმით მოჰყავს ჯავახიშვილის კლასიკური შენიშვნა: **„რობაქიძის სტილი მკითხველს თევზის ძვალივით აქვს სულში გახირული“** (29). არადა იქვე, ქვემორელე, „არსენა მარაბდელის“ ავტორი ეთანხმება სტენდალს: კარგი სტილი ის არის, რომელსაც ვერც კი გრძნობო.

გ. გოგოლაშვილს გამოწვლილვით შეუსწავლია პროზაიკოსის წერილები ქართული ენის შესახებ, განიხილავს მათ და გამოაქვს სახამსო დასკვნები. უწინარეს ყოვლისა, მოცემულია ნუსხა ამ სტატიებისა 1909 წლიდან 1935 წლამდე, მითითებულია, რომ, „გარდა ამისა, 40-ზე მეტ პუბლიკაციაში არის საუბარი ქართული ენის შესახებ“ (35); პროზაიკოსის თეორიული თვალსაზრისის უკეთ გასაგებად და მისი მოსაზრებების ევოლუციის უკეთ გასააზრებლად მასალა სამ ნაკვთად არის მოწოდებული და განხილული:

1. საგაზეთო წერილები 1909-1928 წლებისა;

2. ფუნდამენტური სტატია „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“;

3. საგაზეთო წერილები 1932-1935 წლებისა (36).

მკლევარი თანამიმდევრულად იკვლევს ამ მდიდარ მასალას და ადგენს, რომ არ არის გადაჭარბებული პროზაიკოსის განაცხადი: „ქართველმა მწერალმა არ იცის ქართული ენა“ (38); ჩემი მხრით, დავსძენდი: ეს დებულება დღესაც აქტუალურია!

მკვლევარმა დაადგინა: „ჯავახიშვილის პოზიცია მკაცრია... მის შეშფოთებას იწვევს ის, რომ ილია ჭავჭავაძის თაობის მიერ მოპოვებული დიდი ენობრივ-კონსოლიდაციური გამარჯვება ხელიდან გვეცლება“ (39);

ვფიქრობ, ეგ ერთობ საყურადღებო დაკვირვებაა.

მეცნიერის მთავარი მიღწევა და ამ წიგნის საფირნიშნო წარწერა, მგონია, ეს უნდა იყოს: „დედაენისათვის ბრძოლის ველზე „მეწინავე დროშა“ მიხვეილ ჯავახიშვილმა აღმართა!“ (41).

განსაკუთრებით ფართოდ არის მიმოხილული კლასიკოსის ცენტრალური სტატია „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“. ენათმეცნიერი აცხადებს: „ეს ნაშრომი ფაქტობრივად არის ახალი სალიტერატურო ქართულის დაბადების ისტორია, მოთხრობილი კლასიკოსი მწერლის მიერ“ (48);

ა. შანიძისა და არნ. ჩიქობავას მოსაზრებები ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული, როცა ანტონ კათალიკოსის ღვაწლზე ასე საუბრობდა მიხ. ჯავახიშვილი: ანტონ კათალიკოსი შავი ლანდივით ჩადგა ძველ და ახალ ქართულს შორის და მათი შეერთება დააგვიანა. მისი მშრალი, განყენებული და ორჩოზე შემდგარი ქართულის სუსხი ალ. ჭავჭავაძეს, ნიკო ბარათაშვილს და გრ. ორბელიანსაც კი ახმობსო (48).

გ. გოგოლაშვილი ყურადღებას აქცევს იმას, რომ სწორედ ამ სტატიაშია ვამოთქმული ფუძემდებლური დებადი: „მარტო გრამატიკოსს ჯერ არსად შეუქმნია ენა. საჭიროა დიდი შემოქმედიც“ (50);

შემდეგ მიხეილი აფასებს ამ ენობრივ მოძრაობაში ილიას, ახალი და ძველი თაობების როლს, სწავლულის აზრით, ზომიერად და ზუსტად. მკვლევარს ისიც აღნიშვნის ღირსად მიაჩნია, რომ პროზაიკოსი ძველი ენის გარდაცვალების თარიღად მიუთითებს „ცისკრის“ დახურვას 1875 წელს (53);

ამ მნიშვნელოვანი სტატიის მეორე მიმართულებაა კუთხური ელემენტის მოძალება ლიტერატურაში. მკვლევრის ფიქრით, ჯავახიშვილი აქაც საღად აზროვნებს და მისი მოსაზრებანი დღესაც აგნარიშგასაწევია (55); მიხეილის აზრით, საერთო ენისა და კილოკავების ურთიერთმიმართება დაკავშირებულია გეოგრაფიულ, სოციალურ და ისტორიულ პირობებთან (55); „ასეთია მანძილის, ტრამალებისა და მთების ძალა და ბუნება“ (56); ქართული ვითარება მაინც სანუგეშოა, რაკიღა „საერთო სჭარბობს კუთხურს, ზოგადი – ნაწილს, სალიტერატურო ქართული – კილოკავს“ (56); მკვეთრად დააყენა კლასიკოსმა საკითხი: კულტურა მწიფდება ერის ცენტრში. პირველად დააყენა საკითხი იმისა, რომ ცენტრის ცენტრი კი თბილისია. გ. გოგოლაშვილი დაასკვნის: „მ. ჯავახიშვილის მიერ ტფილისის როლის შემოტანა ამ მსჯელობაში უაღრესად საინტერესო სიახლეა“ (62). ამ მიმართულებით უფრო მკვეთრია ეს განცხადება: „დასკვნა, რომელსაც მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი აკეთებს თავის უმნიშვნელოვანეს პუბლიცისტურ ნაშრომში... მეცნიერებაში გაზიარებულია!“ (63).

ჩვენი მკვლევარი საგანგებოდ გამოკვეთს კლასიკოსის ზოგ მოსაზრებას და ამით თავის დასტურსაც გვამცნევს: ვაჟა-ფშაველამ, ე. ნინოშვილმა, დ. კლდიაშვილმა შედევრები შექმნეს თავ-თავიანთ კილოებზე, თაყვანისმცემლებიც ბლომადა ჰყავთ, მაგრამ „არც ერთი ოდნავ მაინც გამოჩენილი ლიტერატორი აღარ წერს“ ამ კილოებითო (69). გარკვეული მსჯელობის შემდეგ კი მოდის ახალი „ბმა“, ლოგიკური დასკვნა, რომელსაც ჩვენი მკვლევარი ეთანხმება: „ვაჟა-ფშაველას ფანდი: „ჩაფიქრებულა მინდია, ყალიყან აჩრავ პირშია“ – საუკუნეებს გაუძლებს, მაგრამ სალიტერატურო ენაში ვერ შემოვა“ (72). მიხეილმა ფაქტობრივად მხარი დაუჭირა აკაკის, როცა განაცხადა: ილია, აკაკი, იაკობი ერთიანი, კონსოლიდირებული ქართულისათვის იბრძვიან, ამით ეროვნულ ერთიანობას განამტკიცებენ, ხოლო მავანნი ამ საქმეს ძირს უთხრიანო (72). ჯავახიშვილი ზუსტად იმეორებს აკაკის იდეას: „პროვინცია ახალ საგრამატიკო ფორმებს ვერ მოგვცემს... სამაგიეროდ იგი ნამდვილი ლექსიკოლოგიური საგანძურია“ (72). ამ ლექსიკურ ფონდსაც გადარჩევა სჭირდებაო. ამ შერჩევის საზომ-საწონი? „მხატვრული ალღო და ენის ცოდნა – აი, ერთადერთი საზომი“ (76).

მკვლევარმა დამარწმუნებლად გვიჩვენა წინაპირობა, რამაც განსაზღვრა ჯავახიშვილის შესანიშნავი მოსაზრების გაჩენა, რომ **„ქართულმა ენამ დიდი ხანია დაასრულა ფორმაციის მთავარი პროცესი, ნელი დუღილი კი მაინც არ შეჩერებულა“** (77). ეგ ნიშნავს: ზოგი რამ დღესაც დგინდება და ამ პროცესში გადამჭრელი სიტყვის თქმა ძნელიაო.

წიგნის ავტორი წინ წამოწევს მიხ. ჯავახიშვილის მართებულ მოსაზრებას ბარბარიზმების თაობაზე. ერთი კარდინა-

ლური თეზა კი უსათუოდ უნდა მოვიყვანოთ: კუთხური ფორმების განურჩევლად შემოშვება არ შეიძლება, მაგრამ ეს ხიფათი თითქმის არაფერია უცხოური სიტყვების მოძალებასთან შედარებით. კუთხური ფორმები მაინც ჩვენი ბუნებისააო (79).

ეს დებულება დღესაც დროშასავით უნდა ავაფრიალოთ. უნდა გავბედო და დავიტრაბახო: არაერთხელ დამიბეჭდავს და გამოსვლებშიაც მოთქვამს: **ენა უნდა ამოგლიჯო იმას, ვინც დიალექტური ფორმის გამოყენებისათვის შენიშვნას შემომკადრებს მაშინ, როდესაც დღევანდელი (2000-იანი წლებია ნაგულისხმევი) ქართული წალეკა ინგლისურმა ლექსიკამ-მეთქი.**

უცნაური ხალხი ვართ ქართველები:

რუსეთის იმპერიის მარწუხებში მოქცეულნი ვაჟკაცურ რუსულ ფორმა **ბუტკას** მამაცურად ვებრძოდით, მაგრამ თავისუფლების მოპოვების შემდეგ უნირო ფრანგული ფორმა **ბუტიკი** უსიტყვოდ და ქალაჩუნურად შემოვიღლიავეთ.

თუ **ბუტიკი** გველოდა, მაშინ რაღას ვერჩოდით **ბუტკას**?!

აი, რა ფიქრებს აგვიშლის კლასიკოსის მოსაზრებები.

წიგნის ავტორი გვიჩვენებს, რომ არ დარჩენილა თითქმის არც ერთი სამიჯნაო-სასამანო საკითხი, რომელსაც დიდი პროზაიკოსი არ შეხებოდეს (ზმნის ადგილი ფრაზაში, ბარბარიზმი, არქაიზმი და ნეოლოგიზმი, ახალი სიტყვების შექმნის პრობლემა, ჰ და ს პრეფიქსები, აზროვნება-მეტყველება-წერის კავშირი, თარგმნის პრობლემა, საგაზეთო ენა, სათაურის საკითხი, უნივერსიტეტისა და მეცნიერების როლი ამ საკითხში — ამ მხრივ უკვდავი აფორიზმიც კი შექმნა: **მწერალი ქმნის, მეცნიერი აკანონებს** და ა. შ.).

და ზოგადი მითითება, რასაც საყოველთაო სასიათი ეძლევა: **„მარტო მწერალსა და მეცნიერს არ შეუძლიათ მისი**

შენახვა და გამდიდრება. ეს უღელი და განძი მთელი ხალხის საზიდავია“ (96).

ციკლის ეს მეხუთე ნარკვევი იმსახურებს „ორგემაგე“ (დ. გურამიშვილი) დასკვნას:

ა) პროფესორმა ამომწურავად გვიჩვენა: დიდ პროზაიკოსს საგანგებო ენობრივი ალღოც უწყობდა ხელს, წარმატებით ეკვლია რთული ენობრივ-სტილური საკითხები და საამისოდ საკმაო ენათმეცნიერული ცოდნაცა ჰქონდა.

ბ) პროფესორმა სარწმუნოდ დაამტკიცა: „ქართულ ენას XX საუკუნის I ნახევარში ასეთი ქომაგი და ჭირისუფალი არა ჰყოლია!..“ (111)

* * *

„ენა ერის თავდაცვის იარაღია“ – ასე ჰქვია სერიის მე-6 წიგნს. იგი ეძღვნება **კონსტანტინე გამსახურდიას** (2021).

უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას: როგორც წინა, ანუ მიხ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი ნარკვევი, ესეც **ცხოველი ინტერესით** იკითხება, ოღონდ განსხვავებაცაა – თუ პირველ შემთხვევაში ამას კვლვა-ძიების სიღრმე და საინტერესო დასკვნა-განზოგადებები განაპირობებდა, აქ ამ ინტერესსა ქმნის ოდენ კლასიკოსის ოსტატური ნასიბრძნი და გერგილიანად გამოხატული იდეები, ხშირად მცდარიც, ოღონდ უმაღლესი მხატვრული ოსტატობით გაჯერებული.

საქმე ისაა, რომ მიხ. ჯავახიშვილი რეალისტია. მიწაზე მოარული ამ მხატვრული მეთოდის შესადარ-შესაფერისია ენათმეცნიერება. თვით გიორგი გოგოლაშვილიც ამ მიწაზე მგოგავი მეცნიერების წარმომადგენელია. ამიტომაც მიხ. ჯავახიშვილის აზროვნებას, მის რეალისტურ იდეებსა და ენობრივ

წიაღსვლებს დიახაც ეგუება და სრულყოფილად განიხილავს. კ. გამსახურდია კი მიწას მოწყვეტილი, ცად მორონინე ავადმყოფი შევარდენია, ექსპრესიონისტ-მოდერნისტია. მიწაზე მგოგავი ენათმეცნიერების წარმომადგენელს კი ისე მძლავრი ფრთები არ აქვს, რომ შევარდენს ფრენაში გაჰყვეს, მის მიერ შეკრულ კამარას გამოედევნოს. ამიტომაც თუა, რომ, თუ წინა წიგნში ჩვენი ენათმეცნიერი თამამად წინ მიუძღოდა კლასიკოსს ენისადმი მწერლის დამოკიდებულების კარდინალური საკითხების რკვევისას, ამჟამად ქვემოთ და უკანა დგას, მოჰყავს მწერლის საუკეთესო გამონათქვამები, მარჯვე მიხვედრები და შორიდან შეუძახებს ხოლმე: ჰეი და ჰეი! აბა, ჰე, მიდი, ბიჭო! არიქა, შენ დაგენაცვლე! თვითონ კი ანალიზს არ იძლევა, ვეღარ ასწრებს: თვალის ერთი დახამხამება და შევარდენი თვალსაწიერზე აღარა ჩანს.

აი, კონკრეტული მაგალითი პირველის შევარდნისებრ ცაში ფრენისა და მეორის ქედნურებ მიწაზე გოგმანისა:

პროფესორი წერს: „ერთი საინტერესო ფაქტიც: კ. გამსახურდიას ძალიან კარგად ესმის XIX საუკუნის 60-იან წლებში მომხდარი რეფორმის არსი: ანბანის გამარტივებას ვგულისხმობთ; მაგრამ, ეტყობა, ენანება საუკუნეობით ნალოლიავები ასოების ასე „იოლად გამეტება“... — „ენა ისეთი ფენომენია, მას ორი რამ აყენებს ზიანს: როგორც ხელოვნურად გამარტივება, ისე ხელოვნურად მისი დაღვარჭნა... ხელოვნური გამარტივების ტენდენციამ გამოიწვია ოთხი ასოს ქართული ალფაბეტიდან გაძევებაც. ქართული ანბანი ათასი წლის შრომითა და ბრძოლით დაუცავს ქართველ ხალხს და მისი შემოკლების უფლება რუსთაველსაც არ ექნებოდა“ (VII 603)“.

ესაა უზარმაზარი ბრალი, რომელიც სამართლიანად დასდო მწერალმა ილიასა და მის მიმდევრებს. ამას, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა ჩვენი ენათმეცნიერის ფართო და ღრმა მსჯელობა. სინამდვილეში კი რა მივიღეთ? აი, ეს:

„ვთქვით, ქართული ანბანის სიყვარულია ამგვარი მსჯელობის საფუძველი: ენანება ასე გამეტება“ (40) და მეტი... არც არაფერი. ამით ამოიწურება მკვლევრის კომენტარი!

გ. გოგოლაშვილი მიიჩნევს, რომ ილია ჭავჭავაძისეული რეფორმა დროული იყო და მეცნიერულად გამართლებული; ამიტომაც ეძებს „არგუმენტებს“ კ. გამსახურდიას „გასამართლებლად“...

მე რომ მკითხოს კაცმა, ეს რეფორმა ნაჩქარევი იყო. სწორედ ამის შედეგია, რომ დღევანდელ ქართულს უჭირს იქ, სადაც საჭიროა **იოტა, დიფთონგი** და სხვ.

ეს აზრიც ადრევე გავუზიარე პროფესორს, მაგრამ ჩვენს „ჯიუტ“ მკვლევარს ძნელად თუ გადაარწმუნებ... ესეც მკითხველის მსჯავრისთვის მიგვინდვია...

ჩვენი მკვლევარი კვალში ჩასდგომია კლასიკოსს და თანამიმდევრულად გვიჩვენებს მის თვალსაზრისებს ამა თუ იმ საკითხის მიმართ, მის ენობრივ ფენომენს, რაიც კიდევაცა ქმნის გამსახურდიას სტილს, თუმცა პროზაიკოსის სტილის მთავარ კომპონენტებს რატომღაც საერთოდ არ იხსენებს. ესენია: ა) ვასილ ბარნოვის წაბაძვით რიტმული პროზის აღორძინება; ბ) სხვათა სიტყვის „ო“ ბგერის არასტანდარტული მომარჯვება...

ეს კი მოვისაკლისე, მაგრამ იქვე გამახსენდა, რომ მეცნიერი წიგნის შესავალში წერს: „ჩვენ ამ ნარკვევში არ ვისაუბრებთ კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული ენის შესახებ (ამიტომ, ცხადია, იმ ნაშრომებსაც გვერდს ავუვლით

რომლებშიც მწერლის ენა არის განხილული)... ჩვენ მწერლის შეხედულებები გვაინტერესებს ზოგადად ენის და, კერძოდ ჩვენი დედაენის შესახებ“ (4).

ამიტომ გავყვეთ მსჯელობას.

ნარკვევის ავტორი **ცხრა ქებას** უძღვნის ექსპრესიონისტს და ამით ამოწურავს პროზაიკოსის ენობრივ სათქმელს (პრაქტიკულსაც და თეორიულსაც).

ქება პირველი: აქ საუბარია მწერლის ნათქვამებზე საზოგადოდ ენისა და საკუთრივ მისი ენობრივი პოზიციის შესახებ. გაჟღერდა თეზისები: „მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოისა“ (7); „ჩემი ენობრივი პოზიციების გამო ხშირად თავს მესხმოდნენ ჩვენი სახელგანთქმული ენათმეცნიერები და კრიტიკოსები“ (8). ეს უკანასკნელი იძლევა დიდი მსჯელობის საშუალებას. კერძოდ: უცნაური იმად ეჩვენებოდათ გამსახურდიას ენობრივი პოზიცია, რომ ის ხმარობდა თავისი ლიტერატურული მოდერნისტულ-ექსპრესიონისტული სტილისათვის შესაფერის, შესამსგავს ემოციურ, შთამბეჭდავ ენობრივ საბრუნავებს, ილეთებს, ხრიკებს, სიტყვათა არაბუნებრივ წყობას, გაძლიერებულ რიტმს, სხვათა სიტყვის „ო“ ნაწილაკის უცნაურ ადგილას მომარჯვებასა და სხვათ.

ეს კი გამსახურდიას ენისა და ენობრივი სტილის გასაღებია, ეგ გასაღებია იმ ოთახისა, სადაც განძი ძევს!

პროფ. გ. გოგოლაშვილი მართებულად გარჯილა, დიდი მნიშვნელობა რომ მიუნიჭებია ყმაწვილკაცზე ილიას ზეგავლენისათვის, იმისათვის, რომ გამსახურდიას ქართულს (და, მაშასადამე, პატრიოტიზმს) ასწავლიდნენ იოსებ ოცხელი და სილოვან ხუნდაძე (8-9); ისიც სწორია, ყურადღებას რომ ამახ-

ვილებს ევროპაში მწერლის ყოფნისას მის მიერ ევროპელთა ენობრივი პატრიოტიზმის შეცნობაზე (9); შემდეგ თითქმის უკომენტაროდ მოყვანილია ცნობილი გამოთქმები: „ენა ინსტრუმენტია მთავარი“ (10); „არც ერთს დიდოსტატს ენისას ჩვეულებრივი მოქალაქისა და თუნდაც ლიტერატორის ლექსიკა... არ ეყოფა“ (11); მოყვანილია ციტატები, თუ როგორ სწავლობდა პროზაიკოსი ფოლკლორსა და ძველ ქართულ ტექსტებს, როგორ დადიოდა ხალხში უშუალო მეტყველების გასაცნობად, როგორ შეადგინა „იშვიათ სიტყვათა ლექსიკონი“, როგორ ცდილობდა საკუთარ თავში განემტკიცებინა „ენის კულტურის სურნელება“ (11); მკვლევარი ამჩნევს ამგვარ ძიებათა მსგავსებას ჯავახიშვილსა და გამსახურდიას შორის, ნამეტნავად მაშინ, როცა „მთვარის მოტაცების“ ავტორი ზუსტად ჯავახიშვილის დარად უბნობს: „ცუდი ქართულით მოუბართ შეძლებისამებრ ყურს ვარიდებ... როგორც უცხო ენებზე, ისე ქართულ დიალექტებზე ხანგრძლივად ლაპარაკს გავურბივარ, რადგანაც ვიცი: ეს ქართულ აქცენტს შემირყვნის უთუოდ“ (12); მართალია, მკვლევარი სიღრმისეულ კომენტარს არ ურთავს, თუმც კი შეუმჩნევია: გამსახურდია გამოთქვამს კრიტიკის მიმართ საყვედურს, რომ იგი არ ინტერესდება ამა თუ იმ მწერლის ენობრივი ფენომენით (13); ნარკვევის ავტორს მოჰყავს კრიტიკოსთა გამონათქვამები, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც აღნიშნავენ პროზაიკოსის **„გაპრანჭულ“** სტილს (14), ასევე იმათ გაკენწვლას უპირდაპირებს გამსახურდიას ფარ-ჯავშანს: მე არ მესმის, რას ეძახიან ჩემს **გაპრანჭულობას, მანერიანობასო** (15).

ჩემს მეგობარ მკვლევარს აქ რაიმე კომენტარი არ გაუკეთებია. წავეხმარები და ამას მე გავაკეთებ. აი, ეს ორფა შენიშვნა:

ა) ექსპრესიონისტ-მოდერნისტს არ აკმაყოფილებს წინამორბედი მეთოდის (კრ. რეალიზმი) დონდლო, უხატო, უსახო, მოშვებულ-მობოშებული მეტყველება. ამგვარი ენობრივი სტილით მიწაზე მცოცავ რეალიზმს ვერ განშორდება.

ბ) ამგვარი მანერული, „გადაპრანჭული", სტილიზებული სტილი ემსახურება ამაღლებულის გამოხატვას. სწორედ ამიტომაც თუა: **გამსახურდიას მანერული სტილი პროზაში იგივეა, რაც სცენაზე ვერიკო ანჯაფარიძის ამაღლებულ-პათეტიკური სტილი.**

სინამდვილეში ორივე ერთ მიზანს ემსახურებოდა: ემპირიულ ყოფიერებაზე ამაღლებას, ამაღლებულთან ზიარებას.

ქება მეორე. აქ მოყვანილია შემოქმედის ზოგადი გამონათქვამები ენის შესახებ. ძირითადად ისინი გამოხატავენ ნაციონალისტურ იდეებს (19); ამას მოსდევს გამონათქვამები, რომლებიც ამტკიცებენ ენისა და ერის ერთიანობას, მათს ურთიერთგანპირობებულობას (20); იქვეა ციტატები ეროვნულ ენასა და მწერლობაზე (20); საყურადღებოა გამონათქვამები ქართული ენის მედეგობასა, ხნოვანებასა და დომინანტურ როლზე ერის კულტურაში (22); შემდეგ წარმოდგენილია მსჯელობა ქართული ანბანის უნიკალურობაზე, მის სიმარტივე-სინატიფეზე (24); მკვლევარი მკაფიოდ მიუთითებს, რომ გამსახურდიამ შემოიტანა ცნება — „ქართული ენის გენერალური ხაზი" (26); ამ ხაზის ბურჯებად შერაცხული არიან იაკობ ხუცესი, გ. მერჩულე, გ. მთაწმინდელი, ს. თმოგველი, რუსთველი, საბა ორბელიანი, დ. გურამიშვილი, ილია, აკაკი,

ვაჟა-ფშაველა (26); მითითებულია, რომ ანტონ კათალიკოსს არც „ხოგაის მინდიას“ ავტორი აფასებდა დადებითად (27); ძალიან კარგი და სწორია გამსახურდიას მითითება, რომ ქართულის ერთგვარ ჩავარდნაში ხალხია დამნაშავე, კერძოდ, ქართველთა გულგრილობა ამ საუნჯის მიმართ (30).

ერთ შემთხვევაში გ. გოგოლაშვილი არ უფრთხის დღევანდელ კონიუნქტურას და მწარე სიმართლეს ღაღადებს: „გამსახურდია საგანგებოდ მიანიშნებს, თუ როგორ ზრუნავდა ბოლშევიკური მთავრობა ქართული ენის დახვეწაზე და ეგ არ იყო მთავრობისათვის გუნდრუკის კმევა. ეს გახლდათ ჭეშმარიტება. რამდენადაც დღეს არ უნდა გაგვიკვირდეს, გავხაზავთ: ბოლშევიკური (კომუნისტური) ხელისუფლება უფრო მეტად აქცევდა ყურადღებას ქართულ ენას, ვიდრე XXI საუკუნეში ხდება ეს“ (31).

ასეთია მწარე სინამდვილე. ამაზე კი, ვითარცა დავინახეთ, პირველმა კ. გამსახურდიამ მიუთითა.

ბოლოს, ისევ ღრმა კომენტირების თვინიერ, მოყვანილია პროზაიკოსის მოსაზრებები მთარგმნელის როლზე ენის განვითარებაში (32).

ქება მესამე. აქ წინ არის წამოწეული პროზაიკოსის ნათქვამები ქართულ ანბანზე, მის სილამაზე-სინატიფეზე, მის ერთადერთობა-განუმეორებლობაზე; გამოკვეთილია იდეა: მცირე ერებიდან მხოლოდ ორს (სომხებსა და ქართველთ) შეუქმნიათო ანბანი (34); ყურადღება მახვილდება იმაზეც, რომ ქართული ასოები ამშვენებენ კულტურის ძეგლებს ნიკოფსიიდან დარუბანდამდის, ასევე ჩერქეზეთსა და ანისში, მთელ კავკასიაში (34); შემდეგ მოყვანილია მწერლის აღსარება, როგორ ელაციცება, ესიყვარულება იგი ასოებს, რას აგონებს ა ან ბ, ან

კიდევ ღ, ყ, ლ და სხვანი (36); მოყვანილია „მთვარის მოტაცების“ მეორე კარის დასაწყისი, ცნობილი ქებათა ქება ქართული ასოებისა (37); მკვლევარს არ ავიწყდება გამსახურდიას დამოკიდებულება შრიფტისა და კალიგრაფიის მიმართ (39); არ არის მიყურისძირებული ფრიად საცნაური ფაქტი: აკაკი შანიძემ მოითხოვა, შემოგველო ასომთავრული. ეს, ჩემი აზრით, რა თქმა უნდა, გაამდიდრებდა ქართული შრიფტის არსენალს. ამ იდეას მწურვალედ დაუჭირა მხარი კლასიკოსმა (41). იყო იდეა: ასომთავრული ეხმარათ სამ შემთხვევაში: წერტილის შემდეგ, საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ბეჭდვისას.

ქება მეოთხე. აქ ნაჩვენებია კლასიკოსის დამოკიდებულება ლექსიკისადმი, მისი იდეა, რომ სიტყვათა მარაგი მოძრაობს, იცვლება, ერთი ნაწილი უკანა პლანზე გადადის, მეორე წინ წამოიწევს... (44); საუბარია სიტყვის სხვადასხვა ფერზე, სხვა თვისებებზე, გაცვეთილობასა და გამოფიტულობაზე, ჟანგმოდებულობასა და მივიწყებულობაზე... (45); მსჯელობა გაშლილია „ძველ“ და „ახალ“ სიტყვებზე. ეს ტერმინები პირობითაო (49); აქვე მიდის საუბარი დიალექტიზმებზე. ამ მხრივ, კლასიკოსი ჯავახიშვილისდარად ფიქრობს (50-52); პროზაიკოსი საგანგებოდ მსჯელობს იმაზე, თუ რად შემოუშვა თავის ნაწერებში ამდენი უცხო სიტყვა-ტერმინი (ამას ხსნის პროვინციული გასოფლურების საშიშროებით). ჩვენი მკვლევარი ფაქტს არ აზოგადებს, არ ამოდის მოდერნისტული კონცეფციიდან, არ უკვირდება იმას, რომ ეგ იყო პროვინციული, სოფლური ლიტერატურიდან მაღალესთეტიკური, ურბანისტული ლიტერატურისაკენ სწრაფვა, **ქართული მწერლობის ევროპული რადიუსით გაშლა**. ეს კი ამაღლებული ესთეტიზმისაკენ

სწრაფვას გულისხმობდა. სწორედ ამიტომაა დაჯრილი ამდენი უცხოური (ევროპული) ლამაზი და ჟღერადი სიტყვა გალაკტიონის (ტრიანონი, უვერტიურა, ქიმერები, შირაზის ვარდები, აპოკალიპსი, მოცარტი, სფინქსი, ლენორა, პაროლები, ომნიბუსები, ნიაგარა, ფანტაზმა, ფორტეპიანო, ეფემერები, სონეტი, ვერონეზი და ციციანი, პერგამენტი, არტისტი, ოლარების აელვარება, გაზელები, გრაალი, ლავრა, რევოლვერი, სამუმები, გემი „დალანდი“, ოფორტი, ოქტავები, ტფილისი, შუაზელი, ესტერგეზი, ვერსალის ბროლი, პასტორალი, პელიკანი, ლოენგრინე, შტანდარტი, სალიუტი, ინფანტები, ვინიეტკა, გილიოტინა და ეშაფოტი, ბელზებელი, ლურჯი მონტევიდეო, ორქიდეა, ვილანელი, ფაგოტების გატაცება, ვერსალი, სპლინი, ხანდრა. მელანქოლია, შელლი, მიუსე, ნიაგარები, ლალის კართაგენები, ინტეგრალები, კვიპაროსი, ნაზი ქრიზოლიტები, მაესტრო, ესტრადა, ვოლტორნა, მენესტრელი, დენდიზმი, ბეატრიჩე, რა დროს რომანსეროა, ტრანშეების ლაბირინტები, სამუმი, სარკოფაგი, მუმია, მარტიროლოგი, პალადინები, ბარმონტი, ბელი, შოპენი, ვერდი და პაგანინი, ბოჰემა, მანონი, ალოე, დიკკენსი, პრინცესა, ეფემერიდები, კრეისერი, ჰერალდიკა, კინოვარი, ატმოსფერა, სტანსები...), გაფრინდაშვილის, იაშვილის, ტიციანის ლექსებში; აღნიშნული **ევროპული ესთეტიზაციის** მაცნეა თვით სახელგვარული სინტაგმების გაევროპულება, გაუცხოურება: **პაველე** იაშვილი გახდა **პაოლო** იაშვილი; **კოლია** ნადირაძე გახდა **კოლაუ** ნადირაძე; **ტიტიკო** ტაბიძე გახდა **ტიციანი**; **გალაქტიონი** გახდა **გალაკტიონი** (ამიტომაც არის ერთადერთი, თორემ დანარჩენნი **გალაქტიონებად** დარჩნენ).

მაშ, ხელთა გვაქვს გასაღები ოთახისა, სადაც ოქროს უზალთუნებია გადანახული.

ამიტომაც აცხადებდა გამსახურდია: რაც პოეზიაში გალაკტიონმა გააკეთა (ქართული ლექსის ევროპეიზაცია), სწორედ ის გავაკეთე მე პროზაშიო!

ცხადია, ჩვენს ნარკვევში ეგ უმთავრესი მომენტი არ იხილვის. მიიჩნევს, რომ ამჯერად ეს არ არის მისი მიზანი (იხ. გვ. 4)... მე კი ვფიქრობ, რომ საჭირო იყო...

მკვლევარი პროზაიკოსს უქებს აზრს: ახალ იდეებს ახალი სიტყვები მოსდევენ, მაყრებივით მოჰყვებიანო (56). კარგი იყო ეთქვა, რომ ეგ იდეა ახალი არაა. ჯერ კიდევ ილიამ განაცხადა: **სადაც საგანი ჩნდება, იქვე იბადება მისი სახელიო.**

სხვათა შორის, XIX საუკუნის სამოციანელის ეგ მნიშვნელოვანი დებადი არც ილიასადმი მიძღვნილ ნარკვევშია მომარჯვებული.

გამსახურდია თავის დამსახურებად მიითვლის, რომ შექმნა, მოძებნა და გამოიყენა შემდეგი სიტყვები: **ქვემეხი, ხვანჯი, ირაო, ძგიდე, რილოჭრილო, გარღვეული, თანამეინახე, საქანელნი ცისანი, მონუსხვა, შრამელი, საჭრეთელი, ტვიფარი, უპოვარი, შინაბერა, მალემრწმენი...** (57-58).

ყველაფერი ეგ დია მოსწონს ჩვენს მკვლევარს და... — ყოველივე ამას შორიდან ადევნებს თვალს.

მიუხედავად ამისა, სასტუდენტო მუშაობაში, სალექციო კურსში ამგვარი **ჩვენებითი ლექციაც** მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

მკვლევარი მიუთითებს: კლასიკოსი მსჯელობს, ენის დაღვინება-დადგინებაში ვის რა როლი აკისრია და აქ წინა პლანზე აყენებს მწერალთა და ენათმეცნიერთა ერთობას,

ოღონდ მათ თავ-თავიანთ როლს განუსაზღვრავს: ენის რეფორმატორია მწერალი, ენათმეცნიერი კი ენის აგრონომია და არა ბაღის გამშენებელიო (65). მკვლევარს დროულად აგონდება, რომ სწორედ ამგვარად მსჯელობდა ჯავახიშვილიც. იქვე მითითებულია, თუ რა დიდად აფასებდა ბ-ნი კონსტანტინე ნ. მარის, აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას ღვაწლს. შეუძლებელია ვინმემ ისე მაღლა დააყენოს შანიძის მრომა, როგორც ეს გააკეთა გამსახურდიამ, როცა განაცხადა, შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ ისევე რთული და ღრმაა, როგორც ემანუილ კანტის „წმინდა გონების კრიტიკაო“ (67); ნარკვევში მწერლის ზოგიერთი მცდარი იდეა გაკრიტიკებულია (82).

მეექვსე ქება ეხება კლასიკოსის დამოკიდებულებას სახელმძღვანელოებისადმი (83). აქ მწერლის მოთხოვნაა: დავიცვათ სალიტერატურო ენის სიწმინდე; სკოლიდანვე უნდა დავიწყოთ მეტყველების უნიფიცირება; სახელმძღვანელოები ამ მხრივ უნდა იყოს უნიკალური: პროზაიკოსი მომხრეა ქრესტომათიებში შეტანილი მასალა გასწორდეს; აქ ნარკვევის ავტორს უნდა ჩაერთო შენიშვნა, რომ ამას უკვე აკეთებდა დიდი იაკობი.

მეშვიდე ქება უჩვენებს, თუ რა პატივს მიაგებდა „ხოგაის მინდის“ ავტორი ქართული ენის ამაგდართ; მკვლევარი სამართლიანად გამოყოფს კლასიკოსის ორ მეტად გაბედულ, ოღონდ მართებულ იდეას: ა) გრ. ორბელიანი უფრო ღრმა მცოდნე იყო ენისა, ვიდრე ილია და აკაკი; ბ) გ. ერისთავის ჟარგონული ენა მიუღებელია (94-95); სავსებით ვეთანხმები მკვლევარს, როდესაც გამსახურდიას შემდეგ აზრს იწონებს: ენობრივ პოლემიკაში ორბელიანი უფრო სწორი იყო, ვიდრე

ილია და აკაკი: „ის თაობა, რომელიც გრიგოლ ორბელიანის შემდეგ მოვიდა საქართველოში, პირველ ხანებში, ყოველ შემთხვევაში ქართულში მაინც, უსწავლელობას ამჟღავნებდა“ (100). აქ კ. გამსახურდია ცამდე მართალია. ძველი თაობის წარმომადგენელნი ბევრ უხერულ გამოთქმასა და უქართულო ქართულში ამხელდნენ ილიას, აკაკის, მესხს, მეველესა და მელიქ აღებს. ეგ ფაქტია! მკვლევარი ეთანხმება კლასიკოსს, როცა ერთ მესიტყვეს შენიშნავს: გმირისთვის **ლუხუმი** არ უნდა დაგერქმიათ და, თუ დაარქვით, მაშინ ვაჟა-ფშაველას გმირზე უფრო შთამბეჭდავი უნდა გამოგეყვანათო (104).

მართებული კრიტიკაა!

ჩემი მხრივ ვიტყვი: მე არ მიყვარდა გიორგი ნატროშვილი, რადგან, როგორც რედაქტორი, აღმოსავლეთიდან გამოსულ ახალგაზრდა მწერლებს ახალისებდა, ჩვენ, კოლხებს, ალმაცერად გვიყურებდა. განსაკუთრებით არ მწყალობდა მე. ამიტომაც მძულდა! ოღონდ ჭეშმარიტად გამახარა მისი ენის შესახებ კ. გამსახურდიას მოსაზრებამ: **ნატროშვილს კარგად გამართული ენა აქვსო** (104). დღეს მე, როგორც გამოცდილი სტილისტი, ვაცხადებ: ნატროშვილი, შესაძლოა, ერთადერთი გამონაკლისი იყოს, რომელსაც მე ენას ვერ ვუსწორებდი. არაერთხელ ვსცადე, ან მხატვრულ, ან პუბლიცისტურსა თუ სხვა რაიმე ტექსტში გამომეჭირა და ენობრივი თვალსაზრისით „მომეთხარა“, ოღონდ არასოდეს არაფერი გამომივიდა. იგი სტეფანე მსარგრძელივით, ვახტანგ ჭელიძესავით, ლევან ბრეგაძესავით უშეცდომოდ თხზავდა. ასე დახვეწილი მოქართულე მწერალი თითზე ჩამოსათვლელია.

მერვე ქება ეძღვნება პროზაიკოსის პოლემიკას ენა-ლიტერატურის საკითხებზე, მის მიმართებას მოპაექრეებისადმი, მის პატივისცემას ცნობილი მწერლების მიმართ.

ეს სალექციო მასალაც თავისებურად დააინტერესებს მსმენელს.

მეცხრე ქება წარმოგვიჩენს პროზაიკოსის დამოკიდებულებას ვაჟა-ფშაველასადმი ზოგადად და, კერძოდ კი – მისი ენისადმი; მოყვანილია სათანადო ციტატები და დადგენილია: ა) გამსახურდია „მთის არწივს“ აღმერთებს; ბ) ამბობს: კარგი იქნებოდა, დაილექტური ფორმები ოდნავ შეერბილებინაო; გ) კამათში უფრო მეტად იხრება ვაჟა-ფშაველასაკენ, ვიდრე – აკაკისაკენ.

მკითხველი იოლად შეამჩნევდა, რომ წიგნში ნამეტანი ბევრი რამ მეორდება. ზოგი მსჯელობა გადმოტანილია წინა წიგნებიდან, ზოგიც – ამავე ნაშრომის წინა გვერდებიდან. განმეორებებმა ისედაც ვრცელი ნარკვევი კიდევ უფრო გაზარდა. თუმცა ნათქვამია: ქათამმა წყალი დალია და მაღლა აიხედაო. სალექციო კურსში, შესაძლოა, ამგვარი განმეორებები ასატანი გახდეს. კიდევ მეტი, ეგების აუცილებელიც კი იყოს. ამიტომ ამგვარ წიგნებს მხოლოდ მეცნიერის თვალით არ უნდა შევხედოთ და გულის შემაწუხებელ განმეორებებს გაგებით მოვეკიდოთ!

* * *

ციკლის მე-7 წიგნად პროფ. გ. გოგოლაშვილმა აირჩია რთული პროზაიკოსის ოთარ ჩხეიძის შემოქმედება. ამ სანარკვევ განაკვეთს ეწოდება **„მწერალი სტილია... სტილი არსებაა“** (2022). იგი შეადგენს 169 გვერდს. ვხედავთ, საკმაო

მოცულობისაა. წინასიტყვა (5) ახლის არაფრის მთქმელია, რაკილა იმეორებს წინა წიგნებში არაერთხელ ნათქვამს, თუ რისთვის შეიქმნა ციკლი „ენა და მწერალი“, ამ ხერხით რა და რა წიგნები როდის გამოვიდა და ა. შ. კონკრეტული საქმე იწყება I კარით. ეს გახლავთ „ოთარ ჩხეიძის ლინგვისტური პორტრეტი“ (9). ამ სათაურს რომ თვალი დავკარი, ერთობ გამიხარდა, ოღონდ, ჩემი აზრით, ავტორმა ჩემს სიხარულს მოულოდნელად ცივი წყალი გადაასხა: სადაა ლინგვისტური პორტრეტი... თუმცა მოდით, ასე ვთქვათ: მე და ჩვენს მკვლევარს სხვადასხვაგვარი გაგება გვაქვს „ლინგვისტური პორტრეტისა“... მივყვეთ მისეულ „პორტრეტს“: სამუქფოდ, გახსენებულია მწერლის ანდერძი (9), თავისთავად საინტერესო, ოღონდ იგი არა ლინგვისტურ, არამედ მამულიშვილურ პორტრეტსა ხატავს, არა, შემეშალა — კი არ ხატავს, ქარგავს! შემდგომ მსჯელობა გაშლილია იაკობ გოგებაშვილის კულტზე ჩხეიძეთა საგვარეულოში (10); მესიტყვის ავტობიოგრაფიულ „ჩანაწერებზე“ (10-11). ესეც ფრიად და ფრიად მნიშვნელოვანია, ოღონდ კალმოსნის ენობრივ იერსახეს არამც და არამც არ ეხება; შემდეგ საუბარია კრიტიკოსებისა და პროზაიკოსის ურთიერთობებზე (12-13), თუ როგორ ჩაუხერგეს ავტორის ერთ რომანს გზა და აქ პატარა მბეჟუტავი სხივიც გამოჩნდა — მწერლის მოსაზრება მისსავე ენასა და სტილზე, თუნდაც ზოგადი, მაგრამ მაინც (13). აქ ჩვენი მკვლევარი მტკიცედ გვპირდება: „ჩანაწერებიდან“ მინდა დავინახო ჩხეიძის ლინგვისტური პორტრეტიო (13).

ვნახოთ, დანაპირებს ვით შეასრულებს და როგორ დაინახავს.

ამის მერე მოდის ქვესათაური „ქართული სიტყვის აპოლოგია“, ანუ ის შესავალი ძონაკვეთი, რომლითაც ადრე სხვა წიგნებს სამართლიანად იწყებდა. ამის შემდგომ ნაჩვენებია, რომ „ოთარ ჩხეიძისათვის ქართულ სიტყვას სხვა ფასი აქვს“ (13). მკითხველი აქ შესძახებს: ამას ხომ მუხრანის, ანა კალანდაძის შემთხვევაშიც დასძენდაო! კი, – ვუპასუხებ მე, – ოღონდ ვაცალოთ, იქნებ აქ რაიმე სხვას ან სხვაგვარად ამბობდეს! ამბობს კიდეც. აი, რას: კალმოსანი რედაქციაში მისულა თავისი თხზულების ბედის გასაგებად. იქ ვიღაცას სიტყვა „მატრაკვეცა“ გამოუყენებია („მატრაკვეცებმა“ დაიწყეს შენი ტექსტის გასწორებაო!). ავტორს სულ გადავიწყებია მისი ქმნილების ბედი და ამ ჟღერად და საინტერესო სიტყვის ძიება-რკვევას გამოსდევნებია (14). ამ ფაქტს პროფ. გოგოლაშვილი მარჯვედ შეუწყვილებს მეორე ამბავს:

აკაკი შანიძე ერთი გარდაცვლილი აკადემიკოსის პანთეონში ადგილის გამოსათხოვად მთავრობაში „დიდ კაცთან“ გაუგზავნიათ. იმას უთქვამს: პანთეონში ადგილი აღარ არისო და იქვე დაუმშვიდებია მოციქული: მალე ახალ პანთეონს გავხსნით და მერე რამდენიც გინდათ, **კვდით და კვდითო**. „კვდით“ უჩვეულო ფორმაა, „მოკვდით“ – ჩვეულებრივია. შანიძემ რომ ეს ფორმა გაიგონა, გაოგნდა, სასწრაფოდ ჩაიწერა, ყველაფერი გადაავიწყდა და ახალგაგონილი ფორმის ძახილით – **კვდით და კვდით, კვდით და კვდით!** – გარეთ გამოვიდა.

მკვლევარმა ეს ორი ამბავი ერთმანეთთან ოსტატურად შეაჯუფთა და საამდროო დასკვნაც ზედ მიაყოლა:

„მწერალს ლამაზი სიტყვის გაგონებამ თავისი რომანის ბედი გადაავიწყა; მეცნიერს უჩვეულო ფორმის გაგონებამ სამსახურებრივი დავალება დაავიწყა“ (23).

რა თქმა უნდა, ამ საგულისხმო ფაქტით მკაფიოდ გამოიკვეთა სიტყვისადმი შემოქმედთა დამოკიდებულების მთელი ალგებრა.

ამ წიგნში პროზაიკოსს უწონებენ იდეას, მწერალს სიტყვა საძებარი არ უნდა ჰქონდესო. ო. ჩხეიძე სამართლიანად აქილიკებს იმ კალმოსნებს, რომლებიც დიდის ამბით გვამცნევენ: სიტყვას ვებრძვი, მთელ ღამეებს ვუთევო და ა. შ. თუ სიტყვა საძებარი გაქვს, რაღა მწერალი ხარო?! (15)

ჩვენი „გამეორების დიდოსტატი“ მკვლევარი ამ წიგნში აღნიშნულ იდეას არაერთხელ ახმოვანებს, ოღონდ კარგი იყო მოჰგონებოდა, რომ ეს იდეა უკვე 1205-1207 წლებში თვალსაჩინოდ გამოხატა რუსთველმა: „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცირობაო“; ვინც ვეღარ „მიხვდეს ქართულსა“, რაღა შემოქმედიაო! ამის გახსენებით პროფესორი საკითხის ისტორიას საუკუნეებით წინ გადასწევდა, და ო. ჩხეიძის სიმართლესაც მეტ წონას შესძენდა.

თუ კ. გამსახურდიას ენობრივი პატრიოტიზმი ასოებისადმი აღვლენილი ჰიმნის დამოწმებით დაასაბუთა, ო. ჩხეიძის ენობრივი იერსახის წარმოსაჩენად მოჰყავს პროზაიკოსის „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა სიტყვისაჲ“ (მთელი ნახევარი გვერდი). იქვე ორიოდე კომენტარს (ზოგადს) დაურთავს და ისევ ციტატა იმავე „ქებიდან“ (16-17). და, ბოლოს, შავად გამოყოფილი ფრაზა, ბევრის მცნეველი: **„სიტყა აღმოჩნდა თავშესაფარიცა, ნუგეშიცა, იმედიცა და საშუალებაცა“**.

და, ბოლოს, დასკვნა: „ასე მასშტაბურად, ასე ფართოდ, ასე ღრმად ქართულ მწერლობაში არავის უცდია სიტყვის დახასიათება“ (17).

მართალია, ჩვენ ადრეცა გვქონია (კიდევაც მიუთითებს ენათმეცნიერი) ქება ქართულისა ენისაი, ქება ანბანისაი, ქება ერისა, მამულისა თუ სუფრისა, ოღონც ცალკე **სიტყვის ქება** ეკუთვნის ოთარ ჩხეიძეს და ამ უპირატესობას მას ვერავინ წაჰგვრისო.

მკვლევარი განიხილავს პროზაიკოსის დამოკიდებულებას რუსული კალკებისადმი, უჩვენებს, თუ რა სწორად მსჯელობს მესიტყვე იმის თაობაზე, რომ „ორი კვირის უკან" რუსულია, ხოლო „წინათ" – ქართული. საამისოდ მას მნიშვნელოვანი მსჯელობა მოჰყავს მწერლისა და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დაკვირვება დაუვიწყარი მიხეილ ქურდიანისა (19). **ორივე ეგ მოსაზრება**, ჩემი აზრით, **ოქროს ჩარჩოშია ჩასასმელი**, ხოლო, რასაც ახლა მე ვიტყვი, ჯერ არავის დასცდენია და არ შემიძლია დავიდუმო.

ზოგ მომენტში რუსული ენა სჯობს ქართულს, ზოგშიც, პირიქით, ქართული ფლობს უპირატესობას. მაგ., როცა ციფრებს ვაცხადებთ და მეორე მათ იწერს, ამ დროს რუსული ქართულსა სჯობს. გამომცხადებელი როცა აცხადებს, ვთქვათ, 39-ს, ასე იწყებს, ოცდა... და ჩამწერი იბნევა, ყოყმანობს, არ იცის, საწყის ციფრად რა დაწეროს: 2 თუ 3, რამეთუ **ოცდა** იწყებს **ოცდაცხრამეტსაც** და **ოცდაცხრასაც**. ამ ყოყმანსა და დაბნეულობას არც კი იჩენს რუსული: **ტრიდცათ დევით** (39) და **დვაცათ დევით** (29). სამაგიეროდ, ზემომითითებულ შემთხვევაში ქართული მიდგომა უფრო მართებული და ლოგიკურია. არ შეიძლება ვიფიქროთ და ვთქვათ, რომ რუსთველი ჩვენ უკანაა. ის წინაა, წინათ ცხოვრობდა. ამიტომ უფრო ლოგიკურია ქართული ფრაზა: „რუსთველი მოღვაწეობდა 8 საუკუნის **წინათ**" და არა „რუსთველი მოღვაწეობდა 8 საუკუ-

ნის **უკან**". ათელის საწყისი წერტილი ვართ ჩვენ, მოლაპარაკენი. მაშასადამე, რუსთველი ჩვენს დროსთან მიმართებით იყო **წინ** და არა — **უკან**.

ერთგან პროზაიკოსი მავანზე მიუთითებს: „**ნარგიზივით** შეჰყვარებია თვისი თავი" (25). ორაზროვნება რომ მოესპო, აუცილებელი იყო, მკვლევარს დაერთო კომენტარი — აქ შემოქმედი **ნარცისსა** გულისხმობსო.

მწერლის დედაენისადმი დამოკიდებულების ჩვენებას ენათმეცნიერი ლამობს 1978 წლის 14 აპრილისადმი მისი დამოკიდებულების გამჟღავნებით: ეს დღე დიდი დღეაო; ამ დღის მნიშვნელობა ვერ შეფასდება ეგრე ადვილადაო; სიტყვის ოსტატს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომანი დაეწერა ამ დღეზეო; ღმერთმა ეგების დამაცადოს და 14 აპრილზე დავწერო რამეო; 14 აპრილს რუსთაველზე ზღვა ხალხი გამოვიდა. იგი მოითხოვდა კონსტიტუციაში ქართულის სახელმწიფო ენად ძველებურად დატოვებას. ამ მოთხოვნის ფარვატერში იდგნენ აკაკი ბაქრაძე, ბესიკ ჯორბენაძე, იონა ვაკელი, მურმან ლებანიძე, ნოდარ წულეისკირი, თინათინ შარაძენიძე, არნოლდ ჩიქობავა... ამ გუნდში იხილვის ოთარ ჩხეიძე, რომელსაც საამისოდ „ამხილებს" თავისი „ჩანაწერები" (38-39). მკვლევრის დაკვირვებით, „14 აპრილზე ფიქრი გასდევს დღიურებს მთელი ათწლეულის განმავლობაში და მერეც" (42).

და ჩვენი მეცნიერი სინანულს გამოთქვამს, რომ შემოქმედმა ვერ მოასწრო ჩაფიქრებული მნიშვნელოვანი რომანის შეთხზვა (44).

შემდეგ მწერლის მშობლიური ენისადმი დამოკიდებულების გამოსაკვლევად მოყვანილია მისი წუხილი. ეს წუხილი კი გამოიწვია **„დისერტაციების რუსულად დაცვის"** დადგენილე-

ბამ, ასევე მითითებამ, რომ უნივერსიტეტებში ლექციები რუსულად წაეკითხათ (49). გ. გოგოლაშვილს მოჰყავს ავტორის სწორი თვალსაზრისი ენისა და ერის ურთიერთგანპირობებულობაზე. ძირითადი თეზისი ასე ჟღერს: „ერი ენაა, ენა ერია“; არის ენა და არის ხალხი; არ არის ენა, არ არის ხალხიც (51).

ეს ძალიან კარგია, ოღონდ ჩვენს მენარკვევეს აქ კარგი იქნებოდა გახსენებოდა, რომ ეგ პრობლემა უფრო ადრე დააყენა და კიდეცაც გადაწყვიტა ერთმა გურულმა კაცმა. ეგ გახლავთ სიმონ გუგუნავა — ძიმითელი. მისი პოპულარული ლექსი „დედაენა“ 1893 წელს დაიბეჭდა. იქ სწორედ ეგ იდეაა გამოხატული: შეიძლება დაკარგო სახლი, კარი, ქვეყანა, ქონება; მაინც ქართველად დარჩები; ოღონდ საკმარისია დაკარგო ენა, და ყოველივე ეს შეინარჩუნო, ეროვნებას დაკარგავო.

მკვლევარი საგანგებოდ შენიშნავს: ოთარ ჩხეიძე დიდ პატივს მიაგებდა რ. სტურუას, რაკი მან მოახერხა და ავინიონის, ლონდონის სცენები ქართულად აამეტყველაო (53); იმასაც უხსენებს, რომ დიდად გაიხარა, რაკი უცხოეთში რუსულის გამოუყენებლად ავლაპარაკდით (54). და, ბოლოს, მოჰყავს პროზაიკოსის იმედიანი შეძახილი: მაინც შეძლო მწერლობამ და გადაარჩინაო „ენაი ქართული: ენაი, ენაი, ენაი ქართული — გადაარჩინა. უფრო მეტი ღმერთსაც არ შეეძლო ამ ვითარებაში“ (56).

სანამ II კარის განხილვაზე გადავიდოდეთ, ვიტყვი ჩემს სათქმელს: ოთარ ჩხეიძე გახლდათ ერთობ ჭკვიანი, გონიერი პიროვნება; მას ჰქონდა ფართო განათლება, კარგად იცნობდა უცხოურ და ქართულ მწერლობას. ყოველივე ამან მიიყვანა სწორ დასკვნამდე: **მწერალი იქ იწყება, სადაც ავლენს საკუ-**

თარ, ორიგინალურ, გამორჩეულ სტილს. უამისოდ ხელთ შეგრჩება „უბრალოდ წყალთა მღვრევანი“. ამიტომაც გაფაციცებით დაეძებდა და იღვწოდა საკუთარი შემოქმედებითი მანერის ჩამოსაყალიბებლად. ამ ძიების გზაზე ის მიხ. ჯავახიშვილისაკენ კი არ გადაიხარა (ბუნებრივად გაჩენილი სტილი), არამედ ხელოვნური და მასერული გამსახურდიასაკენ (ნაძალადევად შემუშავებული სტილი). ასე აღმოჩნდა იგი ე. წ. რთულსტილიანთა ბარაქაში. მკაფიოდ გამოვყოფ ამ რთული მანერის სამ შემადგენელ კომპონენტს: 1) ერთი და იმავე აზრის შემცველი წინადადების ორი, სამი ან ოთხი ფორმით გამეორება. დავარქვათ ამას **აზრის ფორმობრივი წრებრუნვა**, ანუ **ფორმობრივი ტავტოლოგია**; ბ) მავრცობი, ანუ ემფატიკური, „ა“ ხმოვნის ჩვეულებრივზე უფრო ხშირი გამოყენება; გ) „ი“ ხმოვნის მომარჯვება ხმოვანფუძიან სახელებში (როგორც ეს იყო ძველ ქართულში და დღესაც არის ბევრ დიალექტში).

ეს არის და ეს!

ამ სამ კომპონენტზეა აგებული ეგ „რთული“ სტილი, რომელიც მართლაც თავისებურია, განუმეორებელია, ოღონდ „რთული“ იმად ხდება, რომ ხელოვნურია. ეს კი ღლის მკითხველს, აფრთხობს მას. თუ, ვთქვათ, რევაზ მიშველაძის მისაწვდომი სტილი მწერლობას მკითხველთა დასებს უმრავლებს, აქ საქმე პირიქითაა.

ამის შემდეგ გადავიდეთ ჩვენი მკვლევრის საქმიანობაზე.

პრიოფესორი ხედავს: აღნიშნულ რთულ მანერას ძირითადად აკრიტიკებენ, ავტორს ამუნათებენ; კრიტიკოსთა შორის არიან ლიტერატორებიც, ენათმეცნიერებიც, ფილოსოფოსებიც, ფსიქოლოგებიც...

არადა პროფ. გ. გოგოლაშვილი გრძნობს: აქ რაღაც მთლად კარგად ვერ არის. პაექრობის მტეები ძირითადად სწორად მსჯელობენ, ოღონდ დასკვნები არცთუ ისე დამაჯერებელია და აი, ცდილობს გახსნას „გორდიას კვანძი“. ვფიქრობ, ზოგ შემთხვევაში ამას მარჯვედაც ახერხებს.

პროფესორი ისსენებს ყბადაღებული მავრცობის საკითხთან დაკავშირებულ ერთ სასეირო ამბავს:

ტარიელ ჭანტურიას პროზაიკოსისათვის უკითხავს: – ბატონო ოთარ, აღარ უნდა მოეშვათ ამ ემფატიკურ „ა“-ს? – რას გიშლის, ტარიელ? – ნერვებს, ბატონო ოთარ! (57)

ამის შემდეგ მოყვანილია შ. ძიძიგურის, ნ. ნათაძის, თ. კოპლატაძის, ზ. ჭუმბურიძის, სხვათა უარყოფითი აზრი „ა“ მავრცობის ხმარებაზე პროზაიკოსის ტექსტებში (58-61). და, ბოლოს, სავსებით სამართლიანად შენიშნავს: „ემფატიკური „ა“ არ არის არალიტერატურული, დიალექტური მოვლენა. იგი სალიტერატურო ენის კუთვნილებაა“ (59). ბოლოს ეთანხმება ავტორს და აცხადებს: ამოშალეთ ემფატიკური ასო-ბგერა და ამით სტილი არ შეიცვლებაო (60).

სწორია, არ შეიცვლება! ოღონდ, თუ რატომ, მე ვიტყვი: პროზაიკოსის რთულ სტილს სამი კომპონენტის ერთიანობა ქმნის და მათ შორის ემფატიკური ბგერა ყველაზე უმნიშვნელოა. ამიტომ მისი ამოშლა ძირეულ სირთულეს ვერ გაამარტივებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გ. გოგოლაშვილს ყველაზე დიდ მიღწევად იმას ვუდასტურებ, რომ განაცხადა და იქვე დაამტკიცა კიდეც ბაჯაღლო სიმართლე: „ა“ ასო-ბგერა იხმარება შვიდიდან ხუთ ბრუნვაში და იგი საერთო ქართველური მოვლენაა; მისი მომარჯვება სტილისტური მნიშვნელობისაა; მავ-

რცობის ხმარება არავითარი ცოდვა არაა; ვერავინ ვერასოდეს დაადგენს, როდისაა მისი გამოყენება ზომიერი ან უსაზომო; უამრავი მაგალითია იმისა, თუ როგორ იყენებს მას ხალხური შემოქმედება, რუსთველი...

მოიცა, აქ შევჩერდეთ!

გ. გოგოლაშვილი ჩემს სფეროსა და სამანებში შემოიჭრა და მე, როგორც რუსთველოლოგს, მწადია, მას სიტყვა შევაწიო: რუსთველი წამდაუწუმ ხმარობს ამ საშუალებას და თან ისე ხშირად, ოთარ ჩხეიძეს არც კი დაესიზმრებოდა.

ასე რომ, მკვლევარმა კრიტიკოსთა ეს საბუთი გაანადგურა.

მერე კი გადავიდა „ზედმეტ“ ხმოვანზე „ი“ (67). გაარკვია მისი როლი და ფუნქცია დიალექტებში (და არა მარტო ქართლურში) და ამ ძიებისას დააყენა, ჩემი ფიქრით, მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა: **„დიალექტური სტილისტიკა ფაქტობრივად ხელუხლებელი უბანია“** (72) და მისი შესწავლა აუცილებელიაო. „ი“ ასო-ბგერის გამოყენების მაგალითებსაც ჩვენი მკვლევარი სალიტერატურო ქართულისათვის ცნობილ მოვლენად სამართლიანად მიიჩნევს. იგი **ქმნის საამდროოდ საჭირო მშვენიერ ფორმულას**: მწერალიო **„ქართლურ ენობრივ გარემოში დაგვატარებს სალიტერატურო ქართულით“** (74).

ჩემი შენიშვნა ოდენ ერთ საკითხს ეხება: კარგი იქნებოდა მკვლევარს მიეთითებინა, რომ, როგორც „ა“ ასო-ბგერის შემთხვევაში, ისე აქაც „ი“ ნიშანი დამახასიათებელია არა მარტო ქართლური, არამედ სხვა დიალექტების, მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, გურულისათვისაც (დედაი, მამაი, დაი, რაი...). მკვლევარს აქაც შეეძლო გაემეორებინა მისივე მშვენიერი ფორმულა: „ზედმეტი „ი“ ბგერის გამოყენების დროსაც

პროზაიკოსი **ქართლურ ენობრივ გარემოში დაგვატარებს სალიტერატურო ქართულით**".

პროფესორი მიმოიხილავს მწერლის პუნქტუაციას, შენიშნავს მის ამბოხებას „სქოლასტიკური პუნქტუაციის" წინააღმდეგ (74-75); იცავს კრიტიკოსთაგან დაწუნებულ ცალკეულ მწერალთა ორიგინალურ პუნქტუაციას, ფიქრობს, რომ ისინი პუნქტუაციასაც ემოციის გამოხატვის სამსახურში აყენებენ (ა. კალანდაძე, მ. მაჭავარიანი, გრ. რობაქიძე, ო. ჩხეიძე...).

ამ საკითხის ძიებაში გ. გოგოლაშვილი პიონერია და, ვფიქრობ, უნდა ვენდოთ. ამიტომაც მომყავს მისი საამრიგო დებადი: **ოთარ ჩხეიძეს სიტყვათაგან რომ მუსიკა ესმის, იმ მუსიკას კრებს, აერთებს და ქმნის თავის მუსიკას, თავის სტილს**... სწორედ ეგ მუსიკა მოითხოვს სასვენ ნიშანთა „ჩხეიძისეულ სისტემას" თუ „უცნაურ გრაფიკულ ვარიანტებს" (89).

გ. გოგოლაშვილს მოჰყავს კონკრეტული საპუნქტუაციო მასალები, ოღონდ რაიმე კანონზომიერებას ვერ (თუ არ?) ადგენს. არადა, ვფიქრობ, ეგ კანონზომიერებები ხელისგულზე დევს.

ერთგან ჩვენი ენათმეცნიერი პროზაიკოსს უქებს „ნახევარცოდნას": განკერძოებულებს მძიმეებით ცალი მხრიდან გამოყოფს და არა ორივე მხრიდან, როგორც ამას სასელმძღვანელოებში გვასწავლიანო (მიაჩნია, რომ ეს გრამატიკოსების „მოგონილი წესია"... (93).

ამან ერთი სატელევიზიო გადაცემა მომაგონა:

როგორღაც მომღერალ ეთერ კაკულიას ჰკითხეს: ორსულად თუ ხარო? უპასუხა: ცოტათი კიო!

გამეცინა (ალბათ სხვათაც): ან ხარ ორსულად, ან — არა, ნახევრად ორსულობა არ არსებობს!

ასეა განკერძოებულის შემთხვევაშიც: ის წინ და უკან მძიმეებით გამოიყოფა. ცალი მხრიდან გამოყოფა „ცოტათი ორსულობასა“ ჰგავს.

და აი, აგერ, მივადექით ო. ჩხეიძის „რთული“ სტილის მთავართ უმთავრეს კომპონენტს, რომელსაც მე შევარქვი **„აზრის ფორმობრივი წრებრუნვა“**. სხვათა შორის, გ. გოგოლაშვილი ამჩნევს, რომ ეგ მომენტი პირველად შენიშნა და მკაფიოდ გამოყო გ. ასათიანმა: „პირადად ჩემთვის ეს სტილი, უფრო ზუსტად ამ **სტილის მთავარი კომპონენტი (ტავტოლოგია)** მიუღებელია“ (102).

ამ „მთავარ კომპონენტს“ არ იღებს არც გამოჩენილი მწერალი და კულტუროლოგი სოსო სიგუა: „თვითონვე სპობს საკომუნიკაციო ფუნქციებს. მკითხველს უჭირს მის სამყაროში შეღწევა... ავტორი ამ ტრაგედიას ხელოვნურად ქმნის“ (103). შემდეგ ჩამოთვლილია ცნობილი ადამიანები, რომელთაც გულწრფელად აღიარეს, რომ პროზაიკოსის ტექსტები ბოლომდე ვერაფრით წაიკითხეს. და, ბოლოს, ჩემი ფიქრით, მკითხველთა განწყობილებისა და აზრის საბოლოო და საერთო გამოხატულება, ჯანსუღ ღვინჯილიას პირით გახმოვანებული: **„იმატა და იმატა ფრაზის ხელოვნურმა გართულებამ... თითქოსდა მწერალი თავის განძს იმ ხრამში ყრიდეს, სადაც ვერასოდეს ვერავინ ჩავა რაიმეს ამოსატანად“** (101).

ამასობაში ჩვენი მკვლევარი კარგად ხედავს, რომ უდიდესი სტილისტი სტენდალი დიამეტრალურად სხვას აკეთებს და ამბობს, ვიდრე ჩხეიძე: „საუკეთესო სტილიც ის არის,

რომელიც თვალში არ გეჩხირება“ (114), არადა სინამდვილეში ო. ჩხეიძის სტილი „ყელში ძვალივით გეჩრება“.

მკვლევარი იხილავს „იძულებითი სტილის“ თეორიასაც: აქაოდა, მეპროზე ცენზურის თვალის ასახვევად იყენებს მასო, ოღონდ არ აყენებს, ჩემი ფიქრით, ლოგიკურ კითხვას: თუ ანტისაბჭოთა სათქმელს სტილით დააბურუსებდა და ამას ცენზორები ვერ გაიგებდნენ, მაშინ როგორღა ჩაჰხვდებოდნენ ავტორის ნათქვამს უბრალო მკითხველები?! მით უფრო, რომ ცენზორებად განათლებული, ნაკითხი და გონიერი ადამიანები ისხდნენ?!

გ. გოგოლაშვილი ერთგვარად აქილიკებს კ. ლორთქიფანიძეს იმის გამო, რომ ო. ჩხეიძეს ნაწერი გაუსწორა. სინამდვილეში ასე მარტივად როდია საქმე. ჩემმა მეგობარმა შეიძლება არ იცოდეს, ოღონდ მე ხომ ვიცი: კონსტანტინე ლორთქიფანიძე ქართველ მწერალთა შორის ენობრივად ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ლიტერატორია, ფილიგრანული სტილისტია და ამ მხრივ (სხვა მხრივაც) მასზე ზედაპირულად საუბარი უჯეროა. (თუმცა ისიც ვთქვათ: მკვლევარი აქ „სოცრეალიზმის სტილზე“ აკეთებს.

კარგია, რომ მკვლევარს არ მიუყურისძირებია როსტომ ჩხეიძის გერგილიანი თქმა – „სტილის გვემის მრავალწლიანი გზა“ (110). იქვე მოყვანილია თავად პროზაიკოსის მოსაზრებები სტილზე: „სტილის წარმოება არ შეიძლება ხელოვნურადა“ (122); „სტილი გადახალისებას განიცდის“, „სტილი ბედისწერაა“ (131), მაგრამ არაა მითითებული, რომ ამ „ბედისწერამ“ ავტორს მკითხველი დაუფრთხო.

ერთმა ინტელიგენტმა (მწერლის მომხრემ და მოყვარულმა) განაცხადა: ბატონი ოთარის ნაშრომებს მე ლიტერა-

ტურულ-ენობრივად გავჩალხავ და მაშინ ნახავთ, რა დიდებული მწერალიცა გვყავსო!

ამ იდეას მკვეთრად დაუპირისპირდა გ. გოგოლაშვილი და სამართლიანადაც, რადგან, თუ მედუზას წყლიდან ამოიყვანთ და მშრალზე დასვამთ, იგი თავის თვისობრივ არსებას დაკარგავს. წყლიდან ამოყვანილი მედუზა მედუზა აღარაა! ამიტომაც მართებულია ამ რიგის დასკვნა: „ტავტოლოგიები ამოვყაროთ... შეუძლია ვინმეს ამის გაკეთება? მერედა რა დარჩება? იქნება კი ის ოთარ ჩხეიძე? ანდა, საერთოდ, მხატვრული ნაგებობა?“ (161)

აქ ჩვენმა კრიტიკოსმა ულმობელი სიმართლით გახადა ნათელი ის, რაიც ბევრს არ ესმის. მაშ, სრულიად უმეცრული და გაუაზრებელი იყო იზა ორჯონიკიძის იდეა, რომელსაც, რა თქმა უნდა, გიორგი გოგოლაშვილი კატეგორიულად ემიჯნება, სამაგიეროდ, ერთობ ენიაზება ნიჭიერი მწერლის ნაირა გელაშვილის ახსნა-განმარტებითი სტატია, სადაც მითითებულია, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ამ რთული სტილის შემოქმედს, როგორ შევეჩვიოთ, გავიშინაგანოთ მისი „წერის მანერა“ და როგორ გავიგოთ შემდგომ. ამ საგულისხმო წერილის ცალკეული ადგილების მოყვანის შემდეგ მკვლევარი გვიცხადებს: „მე რომ მკითხოს კაცმა, ამ ამონარიდს ოთარ ჩხეიძის ყველა გამოცემას დავურთავდი, ვითარცა „ინსტრუქციას“, რჩევას ოთარ ჩხეიძის მკითხველთათვის!“ (138)

როგორ არ მომაგონოს ამან ძველი ამბავი:

მე-15 საუკუნის ბოლოს სპარსულენოვანი პოეზია წალეკა ე. წ. **მუამებმა**. რა არის **მუამა**? ეს არის უკიდურესი ფორმალისტური სახეებითა და რთული მეტაფორებით გაჯერებული ტექსტი, რომლის გაგებაც ზოგჯერ თვითონ ავტორსაც

არ ძალუძს. მუამებმა ისე შეაწუხეს აბდ ალ-რაჰმან ჯამი, რომ საგანგებო ტრაქტატი შეთხზა მკითხველთათვის, სადაც ასწავლიდა, როგორ გაეგოთ და გაეშიფრათ მუამები. აი, სწორედ ამ ტრაქტატს ჩამოჰგავს ქ-ნი ნაირას ნაშრომი და ჩვენი მკვლევარიც ჯამისდარად მოითხოვს, გულაშვილის ახსნა-განმარტებითი გამოკვლევა პროზაიკოსის ყოველ წიგნს ინსტრუქციად დავურთოთ.

ო. ჩხეიძის მართებული გამონათქვამი – „არ შეიძლება დავარღვიო გრამატიკული წესები“ – ცალკე ქვეთავადაა გამოტანილი და განხილულია მწერლის მიერ გამოყენებული ზოგი ზმნა და სახელი (ზოგი სწორადაა მომარჯვებული, ზოგიც – უსწოროდ). ზოგნი უმართებულოდ იცავენ შემოქმედის უმოტივო შეცდომებს, ენობრივ ლაფსუსებს. იმათ აზრებს ალარ მოვიყვან, გაახლებთ ჩვენი მკვლევრის სწორსა და უნუჟრო გამონათქვამებს:

„დარღვევის გამართლება მხატვრული თვალსაზრისით ესთეტიკურად მოტივირებულიაო – მეტ სიცხადესა და კონკრეტულობას საჭიროებს“.

„კ. გამსახურდიამ აფორიზმი მოიშველია, „რაც იუპიტერს მიეტევება, ის ხარს არ ეპატიებაო“. ეს ყოველივე კარგი, მაგრამ ვინ განსაზღვრავს მწერლობაში ვინაა იუპიტერი?... „იუპიტერად“ ხომ არ იბადებიან?“

„სადავოა: ერთი კონკრეტული მწერლის შემთხვევაში „სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევა გამართლებულიაო“ (141).

რა თქმა უნდა, საკითხის ასე დაყენება ყოყლად მიუღებელია და პროფესორი ამგვარ მიდგომებს გმობს, ოღონდ იგი ნებას იძლევა, შემოქმედმა თამამად გამოიყენოს **ნორმატიული**

რეკომენდაცია, დასაშვები და პარალელური ფორმები, ენის კანონებისდა მიხედვით შექმნილი ახალი სიტყვები და ა. შ. აქაც მართებულად ირჯება ჩვენი სწავლული.

არ მომწონს წიგნის ბოლო, დასკვნითი, აბზაცი: „ოთარ ჩხეიძის შემოქმედების ენობრივ-სტილისტური ანალიზი მომავლის საქმეა“.

ამას წერს ავტორი ნარკვევის 162-ე გვერდზე!

გულუბრყვილო მკითხველმა შეიძლება წამოიძახოს: გამოჩენილი ენათმეცნიერი, აბა, მთელ 162 გვერდზე გაშლილი მსჯელობით რას აკეთებდაო?!

უნდა დავამშვიდო აღელვებული მკითხველი: ეგ დასკვნა თავმდაბლობისა და ეტიკეტის გამომხატველია. სინამდვილეში **ამ გამოკვლევით საკმაოდ სრულად დადგინდა ის ენობრივ-სტილისტური მიმართულება, რაც შემუშავებული ჰქონდა ნიჭიერ მწერალს; ამავე დროს, სტუდენტების წინაშე მკაფიოდ გამოიკვეთა ენისა და შემოქმედის ურთიერთობათა მთელი ალგებრა.**

* * *

„ენა და მწერალი“ — ეს ფართო და მრავლისდამტევი სერია გრძელდება. უკვე ხელთა გვაქვს მომდევნო ნაშრომი „რა ფერისაა სიტყვა“ (2022). დამაინტრიგებელია სათაური, რაკილა იგი უკვე ტოვებს ენათმეცნიერების ფარგლებს და შემოქმედების ფსიქოლოგიაში იჭრება. სინამდვილეში გასაკვირი არაფერია: როცა რეალისტურ ლიტერატურას გავსცდებით და მოდერნისტულ (ნამეტნავად სიმბოლისტურ) სფეროში შევაღწევთ, სიტყვა უკვე ფერსაც იღებს, გემოსაც და სხვა, ერთი

შეხედვით, მოულოდნელ თვისებებს. ეს იგრძნო ავტორმა და ამიტომაც მოიმარჯვა არაენათმეცნიერული სათაური. შეიძლება ითქვას, ამ წიგნში საუბარი გაშლილია მომიჯნავე („საარვისო“?) მიწაზე, სადაც ერთურთს ერწყმის ენათმეცნიერულ-რეალისტური, მოდერნისტულ-სიმბოლისტური და ფსიქოლოგიური ელემენტები. ეს კი უკვე რთული მსჯელობის კარიბჭეა. შინაარსობრივად მსჯელობა ეხება საკითხებს: სიტყვა, სათაური, პერსონაჟი; ენობრივი თავისუფლება; პოეტური ტექსტი ლინგვისტის თვალით, ხოლო თემის საშენ მასალად გამოყენებულია მ. მაჭავარიანის, ა. კალანდაძის, გ. დოჩანაშვილის, ო. ჩხეიძის, დ. კლდიაშვილის, რ. მიშველაძის, ვაჟა-ფშაველას, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, ვ. ჯავახაძის, გ. შატბერაშვილის, თ. ჭილაძის, აკაკის, ო. იოსელიანისა და სხვათა მხატვრული ტექსტები და შეფასებანი.

ახლა ფეხდაფეხ მივსდიოთ ავტორს და ვნახოთ, რა წარმატებებს მიაღწია აღნიშნული სერიის ამ მერვე წიგნში.

„სიტყვის დახასიათებისას ენათმეცნიერები არ საუბრობენ იმის შესახებ, რომ სიტყვას აქვს ფერი, გემო, სუნი, ხმა... დიახ, ენათმეცნიერნი ასე ფიქრობენ და, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი მოკვდავნიც“, ოღონც მწერალი? – ასე აყენებს საკითხს მკვლევარი და შემდეგ გვიჩვენებს სიტყვისადმი ორგვარ: ენათმეცნიერულ-რეალისტურსა და მხატვრულ დამოკიდებულებას; ერთმანეთს უღარებს სიტყვის ენათმეცნიერულ და მხატვრულ განსაზღვრებებს, საუბრობს მწერლისეულ ფართო საშუალებებზე, რომელსაც ძალუძს ის, რასაც ენათმეცნიერი ვერასოდეს შეძლებს: დაადინოს სიტყვას გემო, ფერი; შესძინოს მას სუნი, სიგლუვე ან ხორკლიანობა; ეფექტიანად მოჰყავს დოჩანაშვილის ტექსტი და გვიჩვენებს სიტყვის შინაარ-

სის გაზრდის ფაქტს, რასაც ვერაგინ უარყოფს: „ჩამოიარა იმან, ერთ დროს საცოლემ, ეჰ, საიდუმლონარევი, შორეული სილამაზით აღსავსემ, როგორიცაა სიტყვა... **„მოიისფრო“**, გვერდით კი მოჰყვებოდა კაცი, ისეთი უსიამო გამომეტყველებით სახეზე, როგორიცაა სიტყვა... **„გავძეხი“**, და მე კი განზე ვიდექ, ზედმეტი, როგორც სიტყვა... **„მაშასადამე“** (10).

ამის შემდეგ მკვლევარს საშუალება ეძლევა, ისაუბროს გაფართოებული შინაარსის მქონე სიტყვის ძალაზე, მომხიბვლელობაზე, სათქმელის გადმოცემის ამ ეფექტიან მიმართულებაზე. რა თქმა უნდა, ამ დროს ჩვენი ავტორი გამოდის ენათმეცნიერული სფეროდან და შედის მხატვრულ-შემოქმედებით სფეროში, პოეტიკის სამანებში. ამიტომაც იგი უნებლიეთ კრიტიკოს-ესთეტიკოსის მანტიითაც იმოსება. ასეა, საკითხი, რომელსაც ეხება, მომიჯნავე ელემენტებითაა დაყურსული. თემა „ენა და მწერალი“ ავტომატურად გულისხმობს ინტეგრაციულ კვლევას.

საინტერესოა სწავლულის დაკვირვებები, თუ როგორ უყურებენ, როგორ განიცდიან სიტყვას მწერლები; როგორ ასხვავებენ ისინი არამხატვრულ და მხატვრულ ფორმებს. ამ დროს უფრო საყურადღებო ჩანს იმ შემოქმედთა ნათქვამები, რომლებიც ერთდროულად პოეტებიც იყვნენ და ენათმეცნიერებიც. სწორედ ასეთნი არიან მაჭავარიანი და კალანდაძე. მოყვანილია ა. კალანდაძის ციტატა, სადაც ის ამტკიცებს, რომ „ფერი“ და „კილო“ ყოველ ქართულ დიალექტურ სიტყვას განსხვავებული აქვს (12), ხოლო, მაჭავარიანის აზრით, მას აქვს გემო, ფერი და სუნი (12). მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმას, რომ კ. გამსახურდია ბევრ იდუმალ თვისებას მიაწერს სიტყვას. იგი შეიძლება იყოსო **დაობებული, გაცვეთილი,**

ყრუ, ბლაგვი, ჟანგმოდებული, ხორკლიანი, გამოფიტული (12); მიხ. ჯავახიშვილის მიხედვით, სიტყვა შეიძლება იყოს **გამჭვირვალე, მკაფიო, გასაგები, მოქნილი**. კიდევ მეტი, იგი შეიძლება იყოს **ვაჟკაცური, ქალაჩუნა, დონდლო, უნდილი** (13). თუმცა ამ მხრივ სხვა ავტორთა მოსაზრებებიც მოყვანილია, მეტს არას ვიტყვი. ყველა ეს მასალა მკვლევარს რუდუნებით ამოუწერია და, როგორც ენათმეცნიერული, ისე მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით განიხილავს. აქვე დავსძენ: ავტორი მაინც უფრო თამამად მსჯელობს როგორც ენათმეცნერი, ხოლო როგორც ესთეტი, – უფრო ფრთხილად და შიშკრთომით. ალბათ სწორედ ამან გამოიწვია, რომ მე-16 და მე-17 გვერდებზე უშურველად დახვავებულია სააშრიგო სამარგალიტო მაგალითები, ოღონდ ესთეტიკურ-მხატვრული განზოგადება და ავტორისეული მსჯელობა აკლია. ნიმუშად ერთ ადგილს ავიღებ. წერია: „ისევ ანა კალანდაძე: „მახსოვს, მავანმა იუცხოვა „ბოშა ქალში" სიტყვა – „პორტი" („მხიარული, ფეხშიშველი ბოშა ქალი სტვენით მიდის პორტის სანაპიროზე"...), მაგრამ აღმოჩნდა, რომ სწორედ „პორტი" – ეს ფრანგული (და არა რუსული!) წარმომავლობის სიტყვა იყო იქ „საჭირო" და არა სხვა!" (17).

ეს არის და ეს!

ჩვენი ავტორი ამ მონაცემის (მასალის) გაანალიზებას არც კი ლამობს. არადა ვთქვათ, ლ. ბრეგაძე აქ მთელ განზოგადებულ ტრაქტატს დაწერდა: გამოავლენდა უსასრულო პოეტიკურ შესაძლებლობას იმ ფარული ბგერწერისა, რასაც შეიცავს სიტყვები: „**სტვენით მიდის პორტის სანაპიროზე**". გარდა ამისა, აქ შეიძლებოდა, გადაგვესინჯა ა. კალანდაძის მოსაზრებაც. პოეტი ქალი ემყარება ჭაბაშვილის ლექსიკონს, „პორტი"

ფრანგული სიტყვააო. სინამდვილეში კი თითქმის ყველა ფრანგული ე. წ. „საერთაშორისო“ სიტყვა ბერძნულია. სწორედ ბერძნული „პორტი“ იკვეთება ცნებებში: **პორტუგალია, პუერტო-რიკო** და არაერთი სხვა. სწორედ ბერძნული **პორტი** დაედო ფუძედ ქალაქ-ემფორიონს, სახელად **ფოთი** (პორტი — ფორტი — ფორთი — ფოთი)...

მკვლევარს მოჰყავს ო. ჩხეიძის მართებული თვალსაზრისი, როცა ის აქილიკებს იმ მწერლებს, რომლებიც აცხადებენ: ღამეებს ვათენებთ სიტყვების ძებნაშიო. ო. ჩხეიძე ბრძანებს: მწერალი თუ ხარ, სიტყვა საძებარი არ უნდა გაგიხდესო (17). მკვლევარს აქ თავისი თვალსაზრისი უთუოდ უნდა გაეძლიერებინა რუსთველის მსგავსივე აზრის მოყვანით და ეთქვა, რომ ო. ჩხეიძის ეს მართებული იდეა უკვე მე-12 ასწლეულში იყო გამოთქმული. რუსთველი აკრიტიკებს სიტყვამწირ კალმოსანს: „რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს **ლექსმან** ლევა“. აქ „ლექსმან“ ლექსიკასა ნიშნავს, სიტყვას გულისხმობს და არა ლირიკულ ლექსს. მომდევნო მთელი სტროფი სწორედ ამ იდეის განვითარებაა: „რა ველარ მიხვდეს **ქართულსა**, დაუწყოს **ლექსმან** ძვირობა“. აქაც „ქართული“, არც მეტი, არც ნაკლები, **სიტყვას** გულისხმობს, ისევე, როგორც იქვე ნახმარი ლექსემა „ლექსმან“; მომდევნო ტაეპიც ისევ იმასვე გვაუწყებს: „არ შეამოკლოს **ქართული**, არა ქმნას **სიტყვამცირობა**“. აქაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი „ქართულის“, ანუ სიტყვის, უქონლობას. და იქვეა სწორი გეზის მომცემი კიდევ ერთი ცნება — „სიტყვამცირობა“.

მაშ, ო. ჩხეიძის სწორზე სწორი თვალსაზრისი უკვე საუკუნეთა წიაღს შეგვიმუშავებია და გ. გოგოლაშვილმა აზრისა და იდეის განვითარების ეგ საშუალება ხელიდან გაუშვა.

მკვლევარმა სწორად შენიშნა და თავისი აუდიტორიის მსმენელსაც მიაქცევინა ყურადღება იმაზე, სოციალურ-პოლიტიკური გარემო ზოგჯერ როგორ უკარგავს ან უცვლის სიტყვას პროფილს. საამრიგო ნიმუშია: „სიტყვა „ამხანაგმა“ შეიძინა „პარტიული“ შინაარსი... ცუდ დღეში ჩააგდეს სიტყვა „ბატონი“ (19).

ვიმეორებთ, მითითება, მინიშნება, აღნიშვნა კარგია, ოღონდ უკეთესი იქნებოდა განმაზოგადებელი დასკვნა, ემპირიიდან დედუქციაზე გადასვლა.

წიგნის ავტორს შესანიშნავი მაგალითი მოუპოვებია **აღსანიშნავსა** და **აღმნიშვნელს** შორის კავშირის დასანახვებლად (მოჰყავს ო. იოსელიანის შენიშვნა), ოღონდ აქაც ვერ ხერხდება ფაქტის სიღრმისეული ანალიზი, ფსიქოლოგიურ-ესთეტიკური თვალმიდევნება (20).

დასმულია მნიშვნელოვანი კითხვა, სწორად ვკითხულობთ პოეტურ ტექსტს? (20) მოყვანილია ა. კალანდაძის მოსაზრება: „ხდება ხოლმე კრიტიკოსისა და ავტორის აზრთა ბედნიერი დამთხვევა. როცა ავტორს საკუთარ ნაფიქრსა და წარმოსახულს მიაწერ, ეს უკვე სიცრუეა... შენი გაჭედილი ხატის ამბავი შეიძლება შენსავით ვინმემ იცოდეს?“

ეგ გახლავთ მცდარი მოსაზრება და ჩვენი მკვლევარი მას იწონებს!

გავარკვიოთ ეს მომენტი.

ჯერ ერთი, ანა კალანდაძის მიერ „გამოჭედილ ხატს“, რა თქმა უნდა, გაცილებით უკეთ და კვალიფიციურად შეამოწმებენ, განიხილავენ და შეაფასებენ, ვთქვათ, აკაკი ბაქრაძე, გურამ ასათიანი და ლევან ბრეგაძე.

არა მგონია, ეს სადავო იყოს.

მეორეც, აქ უნდა მოვიშველიო აფორიზმი, აქამომდე არაერთგზის რომ გამომიყენებია: გენიოსის კალამი ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე თავად გენიოსი.

დიდი პოეტი, პლატონისა არ იყოს, „ბოდავს“ და „ბოდავს“ ღვთის შეწევნით. ამიტომაც მან არ იცის, ნათქვამი ისეთი გამოვა, მას რომ უნდოდა, თუ უკეთესი.

წარმოუდგენელია ეგარ პოს წინდაწინ სცოდნოდა, რომ „ყორანი“ მსოფლიოს №1 ლექსი გამოვიდოდა; რა თქმა უნდა, არ იცოდა ადამ მიცკევიჩმა, თუ მისი „ფარისი“ მსოფლიო ლექსთა ხუთეულში შევიდოდა; ასევე წარმოდგენა არა ჰქონია ბარათაშვილს, მისი „მერანი“ მსოფლიოს ლირიკულ ხუთ შედევრში თუ მოხვდებოდა.

შემდეგ: ყველამ კარგად იცის, რომ ვაჟა-ფშაველას „არწივი“ კონკრეტულ შემთხვევას ეხება. წარმოდგენაც კი არ ჰქონია ავტორს, თუ მკითხველი მასში სულ სხვა რამე ამოიკითხავდა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სიდიდით უფრო ყვავ-ყორნებსა ჰგავს, ხოლო არწივი — დიდ სპარსეთს, დიდ თურქეთსა და უზარმაზარ რუსეთს, ქართველმა მკითხველმა მაინც დაჭრილ არწივად საქართველო წარმოისახა, მის მტრებად კი — ყვავ-ყორნები.

ამიტომაც თუ თქვა ცნობილმა პოეტმა: მე სულ სხვა რამე მინდოდა მეთქვა, მაგრამ სხვას ამბობს წყეული ლექსიო.

მაშასადამე, ანა კალანდაძის ავტორიტეტის წნეხს არ უნდა დაეწნეხვინო და მისი მიუღებელი მოსაზრება თამამად გააკრიტიკო!

ამრიგად, მხატვრულ ლიტერატურაში ის კი არაა მთავარი, რას ფიქრობს ავტორი თავის „ბახალაზე“, არამედ ის, რას ფიქრობს მასზე მკითხველი.

გ. გოგოლაშვილი საინტერესოდ არჩევს მხატვრული ტექსტის (მინიატიურის) გაგების რ. ინანიშვილისეულ მაგალითს (23-24).

მოკირკიტე მკვლევრის საინტერესო დაკვირვებებია მიმობნეული იმ გვერდებზე, რომლებზედაც გაშლილია მსჯელობა ნაწარმოების სათაურზე, პერსონაჟთა სახელსა და გვარზე (28-30); ახსნილია ამა თუ იმ მწერლის დამოკიდებულება მათდამი, მოყვანილია კარგი ნიმუშები. მკითხველი, ნამეტნავად სტუდენტი, ბევრ რასმე საგულისხმოს გაიგებს ამ მსჯელობიდან. ცალკე აღნიშვნის ღირსია უსათაურო ლირიკულ გნომებზე საუბრები. ესენი მოუნათვლელ ბავშვებსა ჰგვანანო, — ბრძანებენ მკვლევარი და ერთი პოეტი. საინტერესო შეფასებაა, ოღონდ არა ახსნილი, თუ რამ გამოიწვია ამ ბოლო დროს წვრილ-წვრილი უსათაურო ლექსების მოძრავლება; საინტერესო დაკვირვებაა: დ. კლდიაშვილის ორსიტყვიან სათაურთა კომპონენტები თანაბარმარცვლიანებიაო: სამანიშვილის დედინაცვალი (5-5), ქამუშაძის გაჭირვება (4-4), დარისპანის გასაჭირი (4-4), ბაკულას ღორები (3-3), წრფელი გული (2-2), ოღონდ ამათ რიტმულ ღირებულებაზე მსჯელობას ავტორი გაურბის (38).

სერიის ამ წიგნშიაც ბევრი უკვე ნათქვამი (აქაც და სხვაგანაც) მეორდება (42), ოღონდ, როგორცა ჩანს, ამ ნაკლს ვერ ავშორდებით, რამეთუ ზოგი ძველი მოსაზრება ახალ მასალასთან მიმართებითაც უნდა გაიმეორო!

ყოველთვის იყო და ახლაც რჩება მწერლის ენობრივი თავისუფლების პრობლემა. ჩვენმა მკვლევარმა, როგორც ჟურნალის („ბურჯი ეროვნებისა“) რედაქტორმა, ამ საკითხზე აზრი გამოათქმევინა რამდენიმე მწერალს. ამჯერად ცდილობს ამ

მოსაზრებათა მიმოხილვას. პირველად მოყვანილია ვ. ჯავახაძის წინააღმდეგობრივი აზრი: მწერალთათვის ნორმები არ არსებობსო და იქვე ბრძანებს, ეს თავისუფლება ბოროტად არ უნდა გამოვიყენოთო. მაშ, არსებულა ნორმები, რომელთა გადალახვაც არ შეიძლება! ჩვენი მკვლევარი კი ამ წინააღმდეგობას არ ამხელს (46).

სამაგიეროდ გ. ფანჯიკიძე გამოდგა ამ მხრივ ფიცხელი: ვერ დავეთანხმები პოეტსო. თანაც მოითხოვს: „კარგი იქნებოდა, მოეტანა ის ნორმები, რომლებიც ამა თუ იმ მწერალმა შექმნა და დაამკვიდრაო“, რადგან იცის: ამგვარი ნორმები არ არსებობს; თვით რუსთველისეული სენსაციური მხატვრულ-ენობრივი მიგნებებიც კი ენობრივ ნორმად არ დამკვიდრებულა (მაგ., **„პირბოზი“**, „იგი ვარდობდეს, შენ – იე!“ **„დესი“**, **„უცხენშალე“** და სხვ.). აქ სწორედ რომ უპრიანი იყო მოეყვანა მ. ჯავახიშვილის იდეა: ვაჟა-ფშაველას ინდივიდუალური ენობრივი წიაღსვლები დარჩება მის მხატვრულ მონაპოვრად, ოღონდ ენაში მაინც ვერ დამკვიდრდებაო. არადა ეს თეზისი გ. გოგოლაშვილის ერთ-ერთ საამრიგო წიგნში თავის ადგილას ყელყელაობს. ამ მხრივ მართებული იდეა განავითარა ემზარ კვიტაიშვილმა: ეგ თავისუფლება უსამანო ვერ იქნება. გრამატიკული კანონებიდან გადახვევამ ხელოვნურობა არ უნდა გამოიწვიოსო; „უნაპირო ენობრივი თავისუფლების“ წინააღმდეგია უებრო ნოველისტი რევაზ მიშველაძეც (47). ამის შემდეგ მოყვანილია რუსთველისა და გალაკტიონის ენობრივ-მხატვრული მიგნებების ნაწილი, გაშლილია სარწმუნო მსჯელობა, ნაჩვენებია პოეტური ლიცენციის არსი, მისი მკაფიო ნიმუშები და საქმე ბუნებრივად მიდის ოკაზიონური ვითარების გარკვევამდე (51); რუსთველური ოკაზიონიზმი – „იგი ვარდობდეს,

შენ იე" — გამოწვლილვით გაანალიზდა და მიეედით დასკვნამდე, სავსებით მართებულ ენათმეცნიერულ-პოეტიკურ (ე. ი. სამიჯნაო) დასკვნამდე: „იე": ი — პრეფიქსია, ე — სუფიქსია; სადაა ძირეული მორფემა? ხელსა და ხელს შუა ხომ არ გაგვეპარა?! მკვლევარი დასძენს: „ვითომ ი („იე") „ითავსებს" ძირეული მორფემის (ია) მნიშვნელობასაც (ბიფონემურობა)?.. რთული ამბავია" (53).

გადაჭრით ვიტყვით: რა თქმა უნდა, აქ გვეძლევა ბედნიერი ბიფონემურობა!

აღნიშნული გეზით წარმართული კვლევა სრულდება ერთგვარი დასკვნა-განზოგადებით: „ენობრივი თავისუფლების" ფარგლებში განუსაზღვრელია მწერლის უფლება და შესაძლებლობა სიტყვათა ფორმაწარმოების თვალსაზრისით... პოეტური ნიჭი და ფანტაზია თავის ნებაზე „ატრიალებს" სიტყვას... თავისუფლების სივრცის სიფართოვეს პოეტის ნიჭიერება განსაზღვრავს" (58).

მაგრამ ამას იქით განზოგადება აღარ მიდის. მე დავამატებდი: **— ოღონდ ყოველივე ეს რჩება ოკაზიონურ ელემენტად, თვით ავტორის ვირტუოზულ ხელოვნებად, რომელიც ვერც არსებულ ენობრივ ნორმებს ცვლის და ვერც ახალ ნორმებს აკანონებს.**

დიახ, ისევ და ისევ შევიხსენოთ მ. ჯავახიშვილის ზემომოყვანილი განაჩენი ვაჟა-ფშაველას ოკაზიონიზმთან დაკავშირებით.

რაც კი ქართული სალიტერატურო ენა არსებობს, მუდამ აქტუალურად იდგა ჰ- და ს- პრეფიქსების საკითხი. ეს გახლავთ ურთულესი ამბავი. ამათი ხმარების პროცესში შეიმჩნევა დიდი არევ-დარევა. ფაქტობრივად მათი ხმარება არავითარ მყარ კანონს არ ექვემდებარება. მოყვანილია ამ გაუგებრობის

მაგალითები; მწერალთა და ენის მესვეურთა მცდელობები, რათა დაერეგულირებინათ ვითარება; ცალკეულ ავტორთა ნათქვამები. ჩვენი ავტორი მიდის იმ აზრამდე, რომ „ჰ“ და „ს“ ბგერებს, გარდა გრამატიკულისა, აქვს „რაღაც სხვა ფუნქციები“. მაშ, გარდა გრამატიკულ-ენათმეცნიერულისა, უნდა მოვიმარჯვოთო მიზანშეწონილობის კრიტერიუმიც (63).

ვფიქრობ, ეგ მიდგომა დროულია, პროგრესულია. ამის სამტკიცად ერთ ფაქტს მოგახსენებთ:

ერთპირიან ზმნებს „ჰ“ არა სჭირდებათ, რადგან იქ არ არსებობს ირიბობიექტური პირი. მაშ, სწორია: ქუხს (ის), წუხს (ის), დუღს (ის)... მაგრამ ამათ რიგში ვერ ჩავაყენებთ ერთპირიან ზმნას **ყვავის**. თანამედროვე წესებით, სწორია **ყვავის** (ის), ოღონდ, ავიღოთ სინტაგმა — **ყვავის გურია**. რა გამოგვივიდა? გამოგვივიდა, რომ გურია ყოფილა ყვავ-ყორნისა; მეორე ნიმუში (ეგ იაკობ გოგებაშვილის მაგალითია): პეტრეს ტვინი **ქონია**. გამოდის, პეტრეს ტვინის მაგიერ **ქონი** აქვს, ესე იგი, უტვინოა.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილობის პრინციპი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე — გრამატიკული.

ვრცელი და რთული მსჯელობის შემდეგ მკვლევარი მიდის იქ, სადაც ლოგიკურად უნდა მისულიყო: **საზოგადოდ უნდა მივსდიოთ გრამატიკულად დადგენილ ნორმებს, ოღონდ, სადაც მიზანშეწონილობა მოითხოვს, გადავუხვიოთ დადგენილ წესებსო.**

თითქოსდა, სასვენი ნიშნები რა დიდი ბედენაა! მაგრამ არც აგრე მარტივადაა საქმე და წიგნში უხვი საამრიგო მასალააა მიმობნეული. მკვლევარი განიხილავს მათ როლს, გვიჩვენებს ისტორიასაც, აანალიზებს ა. კალანდაძის, მ. მაჭავარიანის პუნქტუაციისადმი დამოკიდებულებას: დაგვისაბუთა ამ

ორი ლირიკოსის საგანგებო ძალისხმევა, ეგ ნიშნებიც ლირიკული ემოციის სამსახურში ჩააყენონ (80-83); საინტერესოა მსჯელობა იმის შესახებ, რომ მაჭავარიანი სიტყვათა დალაგებითაც ეხმარება მკითხველს სათანადო განწყობილების გაძლიერებაში (84). ამიტომაც რედაქტორ-გამომცემლებს აფრთხილებს: ა. კალანდაძისა და მ. მაჭავარიანის პუნქტუაციასა და გრაფიკას ჩვეულებრივი პრინციპებით არ უნდა მიუდგეთო!

ბილწსიტყვაობაც „ენობრივი თავისუფლებაა?“ — არა, დაასკვნის ავტორი. მისი აზრით, ეს არის უნიჭო მწერლების მაშველი რგოლი. მოყვანილია სათანადო მაგალითები და გამოტანილია შესაბამისი მსჯავრი, ოღონდ მკვლევარი სამართლიანად აკრიტიკებს „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“ იმად, რომ აქ არ არის შეტანილი სალანძღავი და უცენზურო სიტყვები. ამგვარ უკმაყოფილებას ამ გამოცემის გამო გამოხატავდა ჰანს ფოგტიც. ვეთანხმები გ. გოგოლაშვილს, რომ ამ მხრივ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა „ბებერი სულხან ორბელიანი“ (94).

ზოგიერთი ლიტერატორი ენობრივ სიბილწეს რეალიზმით ამართლებს (ისე, ჩემთვის უნდა ჩავიცინო: სულ მოდერნისტობაზე დებენ თავს და მაინცდამაინც სკაბრეზის გამოყენებისას გაუტკბათ რეალისტობა?): ასე ლაპარაკობენ დღეს ახალგაზრდები და, მე რომ სხვაგვარად ავასაუბრო, სიყალბე გამოვაო.

საინტერესო, დროული და მახვილგონივრულია გიორგი გოგოლაშვილის პასუხი: „როცა ამ თემაზე ვფიქრობ, „რეალური ცხოვრების“ ამსახველი არაერთი ნაწარმოები მაგონდება... თუნდაც „ოთარაანთ ქვრივი“ გავიხსენოთ, დედა რომ შეაგინა გიორგის მეჯინიბემ. „გმირები რომელ ენაზეც საუბრობ-

დნენ", „იმ ენაზე" თუ არ აალაპარაკა ილიამ, განა ამით „სიყალბეში გადავიდა"? მწერლის ნიჭიერება ბუნებრიობის გარანტიაა; სიყალბეს ნიჭიერება სძლევს" (100). ისიც დროული და მახვილგონივრულია, რომ სწორედ ამის შემდეგ მოყვანილია მ. მაჭავარიანის ცნობილი ტაეპი: „სიტყვა, რომელიც გეჩოთირება, ვცდილობ გაშორო, რაც შემიძლია".

მკვლევრის დასკვნა მოსალოდნელია: **„ბილწსიტყვაობა დანაშაულია და მის წინააღმდეგ ყველამ უნდა ვიბრძოლოთ".**

პროფესორს „ენობრივ თავისუფლებად" არ მიაჩნია ბოლოდროინდელი ენა და სტილი გ. დოჩანაშვილისა. პირველ დოჩანაშვილს (შემოქმედების I პერიოდი) პატივს მიაგებს, ოღონდ ბოლოდროინდელს სასტიკად აკრიტიკებს ქართული ენის დამცირებისა და შეურაცხყოფისათვის. იქვე მოჰყავს რებუსული ენის მაგალითები და აცხადებს: ამ ნიმუშთა კომენტირებაც კი შეუძლებელიაო.

დასკვნა აქაც გასაგებია: ყოველი ჩვენგანი უნდა ებრძოდეს ქართული ენის შელახვის ნებისმიერ გამოვლინებას (106).

წიგნის ავტორი გვთავაზობს ლეონიძის „მეცამეტე საუკუნის" თავისუფალ ორიგინალურ გააზრებას. ვფიქრობ, ამგვარად წაკითხული ქმნილებაც მისაღებია და აბიტურიენტსა და სტუდენტს კიდევაც წაადგება თვალსაწიერის გაფართოებაში (107).

იგივე შეიძლება ითქვას აკაკის „სულიკოზე". ახალი ანალიზი ამ შედევრისა მოიცავს სხვათა თვალსაზრისებსაც. ამ გზით, სხვათა და საკუთარი ნააზრევის შეპირისპირებითა და აწონ-დაწონით, გამოტანილია დასკვნები: „სულიკო არის ძვირფასი, უკვდავი სული საქართველოისა, რომელიც განსხე-

ულებულია ყოველივე იმაში, რასაც ქართული ჰქვია: ქართულ მიწაში, ქართულ მზისქვეშეთსა და ქართულ ზეცაში“ (118).

მ. მაჭავარიანის ერთი სტროფის პუნქტუაციურ ანალიზსაც კი გვთავაზობს წიგნის ავტორი. მისი დაკვირვებით, საანალიზო სტროფი განსხვავებული პუნქტუაციით გვხვდება. გაირკვა ამისი მიზეზიც: დასაბეჭდავად გამზადებულ ტექსტში ნორმალური, ბუნებრივი პუნქტუაციაა მომარჯვებული, წარმოსათქმელში – ორიგინალური, შეიძლება ითქვას, სპეციფიკური, მხოლოდ ორატორისთვის დამახასიათებელი (122).

მგონია, საინტერესო დაკვირვებაა, რამდენადაც მ. მაჭავარიანი გახლდათ კარგი ორატორი და საკუთარი ლექსების დეკლამატორი. სადეკლამაციო ტექსტში კი მას, უეჭველია, დასჭირდებოდა თავისებური, მუხრანული, პუნქტუაცია, რაც ცალკეულ სიტყვა-ცნებათა თუ სინტაგმათა გამოკვეთაში შეუწყობდა ხელს.

აღნიშნულ სერიასა და მკვლევრის მიერ იქ აღძრულ საკითხებს დადებითად არაერთი მოღვაწე გამოეხმაურა. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ ცნობილი მწერალი როსტომ ჩხეიძე. მან სერიას „ლინგვისტურ პორტრეტთა გალერეა“ უწოდა, ხოლო იქ განვითარებულ იდეებსა და მოსაზრებებს – ღრმააზროვანი და მახვილგონივრული.

სტატიათა ეგ კრებულიც თავისებურად ამდიდრებს სერიას „ენა და მწერალი“, რამდენადაც უხვი მასალა გაანალიზებულია დიდი დაგულისყურებით და გამოტანილია ენათმეცნიერულ-პოეტიკური და ზნეობრივი დასკვნები. ამავე დროს, წიგნი იკითხება ინტერესით, ხოლო ლექციებად დანაწევრებული ცოდნითა და ინტერესით აღავსებს სტუდენტებსა და ხარისხის მაძიებლებს.

აღნიშნულ წიგნს („რა ფერისაა სიტყვა“) ავტორმა მიაყოლა მისივე გაგრძელება, ოღონდ უკვე დიალექტოლოგიის განხრით, ანუ: შეეცადა, გაერკვია სიტყვის ფერი და გემო მაშინ, როცა იგი პროვინციული ფორმაა და პოეტი ან პროზაიკოსი თავისი მხატვრული ნაგებობის საშენ მასალად იყენებს.

თემა მარად აქტუალურია, რამეთუ სალიტერატურო ენაც არსებობს და მრავალფეროვანი პროვინციული მეტყველებაც ფაქტია. „სალიტერატურო ენა წიგნის ენაა; დიალექტი ზეპირმეტყველებაა“ (48). მათ შორის დიქოტომია. განსვლა, გამიჯვნა მუდამაც არსებობდა. პროფესორს მოჰყავს ძველი მწერლების: გ. მთაწმინდელის, გიორგი ხუცესმონაზონისა და სხვათა თხოვნა-ვედრება მომდევნო თაობის გადამწერ-გადამნუსხველთა მიმართ: როგორც მიწერია, ისე გადაწერეთ, ნუ გადაასხვაფერებთო! (48-49). მკვლევარი ფიქრობს, რომ გადასხვაფერება-გადაკეთებად მავედრებელი დიალექტური ფორმების შემოტანას გულისხმობს.

თუ მანამდე დიალექტიზმები არასოდეს გამოყენებულა სტილისტურ-მხატვრული ფუნქციით, მე-19 საუკუნის II ნახევრიდან ეს პროცესი დაიძრაო, – ფიქრობს მეცნიერი (50). მგონია, **ეგ არის კიდევ ერთი ღირებული დაკვირვება და სამეცნიერო თეზა.**

შემდეგ მოცემულია ფაქტები: როგორ იყენებენ მწერლები დიალექტს პერსონაჟთა ენობრივი პორტრეტის შესაქმნელად. მსჯელობა სწორად წარიმართება, ოღონდ უცნაურია, რომ ჩვენი ავტორი არსად ხმარობს აუცილებელ სამუშაო სინტაგმას **ენობრივი პორტრეტი.**

დაფიქსირებულია ის გარემოება, რაც დიდ დაკვირვებასა და სამეცნიერო ნიჭიერებას არ საჭიროებს: დიალექტიზმების

სამწერლობო ენაში გამოყენებაზე დისკუსიები მე-20 საუკუნის 30-50-იან წლებში გაიშალაო (51). მითითებულია იმხანად გამოყენებულ ტერმინებზე: **ენობრივი პარტიკულარიზმი, ენობრივი ნატურალიზმი, პოლიტიკური პარტიკულარიზმი, სანდო დიალექტიზმი, ენის დემოკრატიზაცია, პროვინციალიზმის გაიდეალება, ენის კლასობრივი ბუნება, ენობრივი რეალიზმი და სხვ.**

ყველა ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია და მათზე საკმაოდ სრული და დამაჯერებელი პასუხია გაცემული, რაც ამაღლებს აღნიშნულ საკითხებში მკითხველის გარკვეულობის დონეს.

მკვლევარს მოჰყავს ცალკეულ მწერალთა საწინააღმდეგო მოსაზრებები ამა თუ იმ გრამატიკულ ფორმაზე და გვიჩვენებს: ზოგ საკითხში დრომ ილია გააჭართლა, ზოგშიც – აკაკი, ზოგში – იაკობ გოგებაშვილი; არის მომენტი, როცა ო. ჩხეიძის პოზიცია გახლავთ მართალი, ოღონდ არის მომენტი, როცა იგივე პროზაიკოსი წინააღმდეგობრივ იდეებს წამოაყენებს.

მე-19 საუკუნეში ქართული ენის ნორმები კიდევ არ იყო დადგენილი. მაშინ ამის თაობაზე მხოლოდ მსჯელობდნენ, ცალკეულ საკითხებს განიხილავდნენ; მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან უკვე სისტემურად შეისწავლეს ეს საკითხი და ბევრი რამ საბოლოოდ დადგინდა. ამიტომ სწორია ავტორი, როს აცხადებს: „როცა არ არსებობს ერთიანი ნორმები, მაშინ ამ თემაზე საუბარი გაცილებით რთულია“ (56). ეს დებადი გულისხმობს შედეგს: მე-19 საუკუნეში გრამატიკულად სწორ ფორმებზე საუბარი ძნელი იყო, მე-20 ასწლეულის დამლევს და 21-ე საუკუნის დამდეგს გაცილებით იოლიაო.

მართალიც არის, რამეთუ დღეს ხელთა გვაქვს ათასგვარი ლექსიკონი, მეცნიერთა მთელი თაობების ნააზრევი, სისტემაშია მოყვანილი განმარტებითი ლექსიკონი, დადგენილია ორთოგრაფიული ნორმები და ა.შ.

საგულისყუროა სწავლულის დაკვირვება: ილიას აქვს ენის მახვილი გრძნობა. მან იცის, რომ ქალი კაცს ასე ეტყვის – **გენაცვალე**, ხოლო მამრი – მდედრს ასე: **გეთაყვანე**, და მოჰყავს შესატყვისი მაგალითი „კაცია ადამიანიდან“, როცა დარეჯანი ლუარსაბს სიტყვა **გენაცვალეთი** მიმართავს, ხოლო ლუარსაბი ცოლს – **გეთაყვანეთი** (65).

კარგი მიგნებაა!

მაგრამ მკვლევარი არ გვატყუებს, თვალს არ გვიბამს. ამ მიგნებამდე იგი მიუყვანია დიმიტრი ყიფიანს. დიმიტრის გოგებაშვილისთვის შენიშვნა მიუცია: შენს ნაწერებში **გეთაყვა** და **გენაცვა** არეულია. **გენაცვას** ქალი იტყვის და **გეთაყვას** ვაჟიო (64).

განხილულია დიალექტებისადმი მწერალთა დამოკიდებულება. უწინარეს ყოვლისა, ილიასი, რაკიღა ის პიონერია, ვინც პირველად მოიმარჯვა ენობრივი პორტრეტი ლელთ ღუნიას დასახატავად. ამ ეპიზოდს გამოწვლილვით განიხილავს ჩვენი ავტორი, ოღონდ არაფერს ამბობს იმაზე, რომ აქ ჭავჭავაძე დიალექტური ფორმების გამოყენებისას მეტისმეტად აჭარბებს, ზომას გადადის. რა თქმა უნდა, სულაც არ იყო საჭირო ასე ღრმა „მოხეურის“ გამოყენება. კოლორიტის შესაქმნელად რამდენიმე პროვინციული ფორმაც საკმარისი იქნებოდა.

ამავე დროს, მკვლევარმა წამოჭრა საკითხი: რამდენად მოხეურია ის ენა, რომელზედაც ლელთ ღუნია მეტყველებს?

აღმოჩნდა, რომ ეს არ არის სუფთა მოხეური, ეგ გახლავთ ერთგვარი ნაკრები მოხეურ-მთიულურ-ფშაურ-ხევსურულისა. მაშ, იგი ყოფილა ხელოვნური პროვინციალიზმი, ფორმალური, ილუზიური დიალექტიზმი.

მაშ, როგორც მასალა, ის მოხეური დიალექტის შესასწავლად არ გამოდგება, ოღონც აქ დგება სხვა საკითხი: რამდენად მისაღებია იგი მხატვრული თვალთახედვით? ამ მხრივ განხილულია მ. ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“ და გამოტანილია მართებული დასკვნები: **„მხატვრული სინამდვილის შესაქმნელად ნამდვილ და ფსევდოდიალექტურ ფორმებს თანაბარი ღირებულება აქვს... ლელთ ღუნიას საუბარი იქნება თუ „თეთრი საყელოს“ პერსონაჟებისა, იქ დიალექტური გარემოს ილუზია აშკარად იქმნება“** (76).

მაშ, მხატვრული სინამდვილის შექმნა მშვენივრად შეიძლება ფსევდოდიალექტიზმების მომარჯვებითაც, ოღონდ ზოგჯერ მწერალს მოსდის შეცდომა. შეცდომა კი გასაკრიტიკებელია, ხოლო ავტორმა იგი უნდა გამოასწოროს. სწორედ ასე დაემართა კ. გამსახურდიას. პროფ. ზურაბ ჭუმბურიძემ შენიშნა მძიმე ხარვეზი: შორენას ეუბნებიან: „განიძარცვე სამოსელი დედოფლისაი და **აღიძარცვე** სამოსელი მონაზვნისაი!“

აქ ილუზია დიახაც იქმნება ძველი ქართულისა, მაგრამ დაშვებულია სერიოზული უზუსტობა – **აღიძარცვე** ნიშნავს ძარცვას, გახდას, გაშიშვლებას, წართმევას...

მაშასადამე, აქ ამ სიტყვის უცოდინარობა მჭვირვალებს და მსგავსი შეცდომა რომანისტმა უნდა გაასწოროს. სწორედ ასე იქცეოდა მ. ჯავახიშვილი. თავადვე აცხადებს: „თეთრი საყელოს“ მეორე გამოცემაში კრიტიკოსთა შენიშვნების მოსმენის შემდგომ ბევრი რამ გავასწორეო.

იხილავს რა კლდიაშვილისა და ჭავჭავაძის დიალექტიზმებს, ერთგან გ. გოგოლაშვილი გამოხატავს გაოცებას და მე მომწონს ეგ გაოცება: „თითქოსდა უცნაურია — მავანთა თქმით, „მგზავრის წერილების“ ავტორი ზომიერებას იცავს დიალექტიზმების გამოყენებაში და დ. კლდიაშვილი — არა!“ (80)

ვეთანხმები მკვლევარს: **კლდიაშვილი სწორედ იმ ზომით იყენებს დიალექტურ ფორმებს, რაც დასაშვებია, ხოლო „მგზავრის წერილების“ ავტორი აშკარად დაუშვებელში გადადის.**

მკვლევარი ასევე დაუშვებლად მიიჩნევს ამ მხრივ დ. კლდიაშვილისა და ე. ნინოშვილის შედარებასაც კი!

მას საგანგებოდ შეუწამებია ერთმანეთისათვის ორი კლასიკოსის თანაბარი მოცულობის ტექსტები და მიუღია სავსებით ლოგიკური შედეგი: ნინოშვილთან რეალიზებულია გურული მეტყველების თითქმის 100%, ხოლო კლდიაშვილთან — იმერული დიალექტის მხოლოდ 18%. დასკვნაც შესაბამისია: არაა გამართლებული ასეთი დაწყვილება: კლდიაშვილი-ნინოშვილი. კლდიაშვილი საოცარ ზომიერებას იჩენს დიალექტიზმების გამოყენებისას და მასთან ყველა პროვინციულ ფორმას მხატვრული ფუნქცია ეკისრება, რასაც ვერ ვიტყვით ე. ნინოშვილზე.

ახალი და თანაც საინტერესო კუთხით განიხილავს ენათმეცნიერი ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, დ. მაჩხანელის დიალექტიზმებს. მისი საბოლოო დასკვნაც მართებულია: ჩვენს — კრიტიკულ ლიტერატურაში არასწორად, არათანაბრად არის ფაქტები შეფასებული. ი. ჭავჭავაძისა და ე. ნინოშვილის მეტისმეტად ჭარბი დიალექტიზმები გამართლებულია მაშინ, რო-

ცა გაკრიტიკებულია გაცილებით მსუბუქი დიალექტიზმები დ. მაჩხანელის, დ. კლდიაშვილისა და ვაჟა-ფშაველასი. არადა კლასიკოსთა შემოქმედება გვიდასტურებს: მწერლური ნიჭიერება და ოსტატობა მთავარი ფაქტორია დაილექტიზმების ჯეროვნად გამოყენების ვითარებაში.

სერიის „ენა და მწერალი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაკადია ახალი ციკლი „ენა და თარგმანი“. ვიტყოდი მეტსაც: ბევრი ერის ლიტერატურა სწორედ თარგმანებით იწყება. ყოველ შემთხვევაში – რომელიმე ლიტერატურული მოძრაობისა მაინც. მე მგონია, ვიდრე „შუშანიკის წამება“ დაიწერებოდა, მანამდე უნდა ყოფილიყო თარგმნილი მოწამეთა წიგნები. თვით პირველივე სალიტერატურო ძეგლი გვამცნევს ამას: „წარვიდა მათ თანა და თანა წარიტანნა ევანგელეი თვისი და **წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი**“.

მაშ, შუშანიკს ხელში მანამდელ მოწამეთა შესახებ შეთხზული ტექსტები სჭერია. უნდა ვიფიქროთ, თუ ყველა არა, იმათში ერთი-ორი მაინც იქნებოდა ქართული თარგმანი. ამას თუ ვვარაუდობ, ის კი დანამდვილებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ სწორედ თარგმანებმა დაუდეს სათავე ქართულ საერო ლიტერატურას. ჯერ იყო და გადმოიღეს „ამირანდარეჯანიანი“, მერმე – „ვისრამიანი“. ამათ შორის, ვინ იცის, რამდენი მსხვილი ან წვრილი თხზულება იყო კიდევ გადმოენებული. აი, სწორედ ამ საფუძველზე აღიმართა „ვეფხისტყაოსნის“ დიდებული მონუმენტი. ჩემს დიდ წიგნში „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“ (1991) მკაფიოდ და თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები „ვეფხისტყაოსნის“ ის მასალა, რომელიც ზემონახსენები თარგმნილი ლიტერატურიდან გამოუყენებია რუსთველს.

ამიტომაც თარგმანთან დაკავშირებული ენობრივი პრობლემები სერიის „ენა და მწერალი“ უმნიშვნელოვანესი უბანია და მწერლებისა და ენათმეცნიერების საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.

პროფესორმა გოგი გოგოლაშვილმა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე დისკუსია მწერლებთან სწორედ თარგმანის ენობრივ საკითხებზე გაშალა. პირველ მოსაუბრედ მას აურჩევია ცნობილი **მთარგმნელი პაატა ჩხეიძე**. მკვლევარი მოსაუბრეს შეახსენებს მ. ჯავახიშვილის სააფორიზმე ნათქვამს: სალიტერატურო გამარჯვებისთვის ჯერ კარგი ქართული საჭირო, მერეც კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართულიო.

მთარგმნელი და ლიტერატურის მკვლევარი ამ ფორმულას „მარადიულ შეგონებად“ ნათლავს. მისი ფიქრით, მწერალი, მთარგმნელი, ენათმეცნიერი – ყველა ცდილობს ემსახუროს მშობლიურ მეტყველებას; გარდა ამისა, ყველანი ვალდებული ვართ, კარგი სალიტერატურო ქართულით ვმეტყველებდეთ და ვწერდეთო.

მომდევნო კითხვაც არაა უინტერესო და უინტრიგო: რა აღებინებს მწერალს ხელში კალამს – მოვალეობა თუ ბედისწერა?

პასუხი მკითხველს კმაყოფილებას მოჰგვრის: ორივე, ერთიცა და მეორეც. თავდაპირველად – ბედისწერა, ოღონდ, როცა მწერალი ან მთარგმნელი საქმიანობას „გემოს გაუფცქვნის“ – მერმედ ამოქმედდება მოვალეობის შეგნება. ეგ ჯერ კიდევ მე-19 ასწლეულში დაასაბუთეს, როცა ბრძანეს: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“.

მომდევნო შეკითხვის პასუხში ორივე შეთანხმდა, რომ მთარგმნელობაც მოწოდებაა ისევე, როგორც პოეტობა, პროზაიკოსობა... გაიხსენეს ივანე მაჩაბელი, რომელმაც ილიასა და აკაკის თანაბრად გადაარჩინა ენა, ახალი ენერგია შემატა მას, ახალი სიცოცხლე შთაბერა პევრ ცნებას, სიტყვას, სინტაგმას. იქვე აღინიშნა სახიფათო ტენდენციაზე: როგორც მწერლობა, ისე მთარგმნელობა ბაზარმა ჩაყლაპაო. ამან, ამ ბაზრობანამ, ის გამოიწვია, რომ „ბევრი არაპოეტი პოეტობს; ბევრი არამთარგმნელი თარგმნის“ („ლიტ. საქ.“ 18 მარტი, 2022, 5).

აქ ისინი სათქმელს აღარ განავრცობენ, თორემ მივიდოდნენ კურიოზულ დასკვნამდე: კომუნისტური დიქტატურა იმას მაინც აკეთებდა, რომ სასტიკად ცხრილავდა პოეტებსა და მთარგმნელებს და ოდენ საუკეთესოებს აძლევდაო გასაქანს.

კითხვის დამსმელი ორ საკითხს მწყერივით წამოაფრენს: ილიას მთარგმნელობითი ღვაწლი მეტად ხომ არ უნდა წარმოვაჩინოთ ორი მიმართულებითო – ერთია თეორიული ტრაქტატი, რომელშიც რევაზ ერისთავის მთარგმნელობითი საქმიანობა თეორიულ-პრაქტიკული თვალთახედვით მიწასთან გაასწორა; მეორეაო ილიას პრაქტიკული მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

თანამოსაუბრე დასძენს: ამ ტრაქტატის წაკითხვისას ყოველთვის განცვიფრება გეუფლება. ცალკეული ამონარიდები დღევანდელ დღესაც ეხმიანება, თანაც ზედმიწევნითო.

მომდევნო საკითხი ეხება შემდეგს: სათარგმნელი ავტორისა და მთარგმნელის სულიერი ნათესაობა აუცილებელია თუ არა? დიალოგის წამომწყები ამ შეკითხვას რიტორიკულ შეკითხვად მიიჩნევს, ხოლო მოპასუხე ცდილობს, საკითხი გა-

შალოს და გააღრმაოს: „ზოგისთვის თარგმნა სახლიდან სახლში გადასვლაა... ჩემთვის დიალოგია... ლიტერატურული თარგმანი ლიტერატურაა. მხოლოდ მოწოდებით მთარგმნელს უჩნდება სურვილი, თავის ენაზე გადაიტანოს ის, რაც სხვა ენაზეა“. ამ დროს ბევრჯერ იგი არ ფიქრობს ფულზე, მოგებაზე, არც მშობლიურ ლიტერატურაზე, ოღონდ მაინც ამდიდრებსო მას.

კიდევ ერთი საგულისხმო მოსაზრება განავითარა ბატონმა პაატამ: არც მთლად სახამსოა, როცა მავანი პოეტი თავის გამორჩეულ ინდივიდუალურ ხმასა და სტილს თავს ახვევსო სულ სხვა სტილის შემოქმედს. ამდენზე ის არ უნდა წავიდეს, უნდა დარჩეს სათარგმნელი ავტორის სამყაროში არა ოდენ აზრობრივ-შინაარსობრივად, ფორმობრივ-სტილისტურადაც.

ცამდე მართალი დებულებაა!

შემდგომი სჯა შეეხო პრობლემას: რამდენიმე ერის პოეტურ ანთოლოგიას ერთი და იგივე კალმოსანი თარგმნის. პ. ჩხეიძე აქაც საგულისხმო იდეას გვთავაზობს: სჯობს ერთმა პოეტმა ერთი უცხო პოეტი აიღოს, იმის შემოქმედება შეისწავლოს, იმის სამყაროს ჩასწვდეს, გაითავისოს კარგად და მერე თარგმნოს; ერთი პოეტი ათის სულიერ სამყაროს ერთბაშად ვერ ჩასწვდება, ისინი ერთმანეთში აერევაო!

დიდი დომხალია ე. წ. „პწკარედული თარგმანის“ სფეროში. საკითხი საშურად მიაჩნია ენათმეცნიერს. თანამოსაუბრე გამოტეხილად აცხადებს: პწკარედის საკითხში ვერც მე გავრკვეულვარ. მაინც სწორად წყვეტს საკითხს ჩვენი მთარგმნელი, როცა აცხადებს: პოეტსა და მის შემოქმედებას თუ დედნის მიხედვით იცნობ და საკუთარი თავის დასარწმუნებლად ითხოვ პწკარედს, ეს გასაგებია, ოღონდ, თუ არ იცნობ პო-

ეტს, იგი დედნის მიხედვით არ მოგწონებია და მხოლოდ პწკარედით აპირებ ფონზე გასვლას, ეგ არასოდეს დასრულდება გამარჯვებითო.

ერთი სიტყვით, აქ სამართლიანად გააკრიტიკეს ერთიორი ენის მცოდნე ის პირები, რომლებიც 164 ენიდან თარგმნიან.

დაისვა საკითხი: პასუხისმგებლობის ტვირთი ვინ უნდა ზიდოს: პწკარედის გადმომღებმა თუ პოეტმა-მთარგმნელმა?

წინამდებარე დიალოგში ეგ საკითხი ვერ გადაწყვიტეს, ღიად დატოვეს.

საკითხი შეეხო იმას, თუ როგორ თავსდებიან „ორნი ერთ ნავში“, ანუ პაატა და როსტომ ჩხეიძეების ერთობლივ მთარგმნელობით მოღვაწეობას.

აქ საინტერესოა თანამოსაქმეთა პრაქტიკა: ადრე ვთარგმნიდით იმას, რაც მოგვწონდა; ამჟამად იმას, რაც მოგვწონს და, ამავე დროს, სჭირდება ჩვენს მწერლობას; არასოდეს ვთარგმნით იმას, რაც კარგად არის გადმოენებულიო.

საბოლოო დასკვნა ასე ჩამოაყალიბეს:

მთარგმნელი უნდა იყოს ორი ენის უებარი მცოდნე; ჰქონდეს მაღალი გემოვნება; გაწაფული იყოს მწერლობაში; იცოდეს ლექსის, მოთხრობის, რომანის, დრამის ხერხები და ილეთები; უნდა იყოს ნაცადი სტილისტი...

ერთ-ერთი დიალოგის სათაურია „მშობლიური ენის თავანკარობის დასაცავად“. იგი იდუმალი სახლის კარის სახელურსა ჰგავს. არადა სუფიური მიდრეკილების მოღვაწე საიბი წერს: „კარის სახელურმა არ უწყის, რა ინახება სახლში“. არც ჩვენ ვიცით, ამ სახელურს მიღმა რა იმალება. გავჩხრიკოთ იგი გულდასმით. ეგ სახელწოდება უგერგილოა, არცთუ

სუფთა ქართულია. შემდეგ, რა საჭიროა ოთხი სიტყვა იქ, სადაც სამიც საკმარისია?! მაშ, უნდა ყოფილიყო ამგვარად: **თავანკარა ქართულის დასაცავად.**

სათაურის ირგვლივ ამ ჩემს მსჯელობას წარსულში უსათუოდ მომიწონებდა მიხეილ ჯავახიშვილი, ხოლო დღეს მომიწონებს ჩემი ენობრივი ძუძუმტე, გამოჩენილი მწერალი გურამ გოგიაშვილი.

პ. ჩხეიძესთან მკვლევრის დიალოგი მომდევნო ნომერშიც გრძელდება. კითხვა საინტერესოა: თაობები გაიზარდა წიგნებზე — „ბიძია თომას ქოხი“, „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“... ხელმეორედ თარგმნილ წიგნებს კი ეწოდება „ბიძია ტომის ქოხი“, „ჰაკლბერი ფინის თავგადასავალი“... რამდენად სწორია ტრადიციის უარყოფაო?

მოპასუხის აზრით, უმჯობესია დასაფუძვლებულსა და შეჩვეულს არ შევეხოთ. ამას ნიკო ყიასაშვილიც მოითხოვდა. საერთოდ კი უკვე თარგმნილს (თანაც კარგად გადმოღებულს) ხელახლა აღარ უნდა ვთარგმნიდეთო. ისე კი, რა თქმა უნდა, დემოკრატიის პირობებში მთარგმნელს ვერ აუკრძალავ ძველი შეცდომების გასწორებას. არსებული ტრადიციის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო?!

ახალი ქართული ისე ძლიერ არაა შეცვლილი, რომ ძველი ლიტერატურა სათარგმნელი გაგვიხდეს. არადა „შუშანიკის წამებას“, „ვეფხისტყაოსანს“ თანამედროვე ქართულზე ხშირად თარგმნიან. რამდენად მისაღებია ეს ტენდენცია?

შემკითხველი ამ მოვლენას ხშირად დაპირისპირებია. ახლა ვნახოთ, რა პოზიციაზე დგას მთარგმნელი. მისი აზრით, ეს არის დედნის ჩასწორება, ხელყოფა, რაც დაუშვებელია.

უმჯობესია მკითხველი გავანათლოთ ისე, რომ ძველი ტექსტები აღარ ეძველოს, მშობლიურად განიცადოსო.

პირადად მე თავს მივიჩნევ დემოკრატად. ამიტომ ასე მტკივნეულად არ განვიცდი არც ძველი ტექსტების გათანამედროვებას, არც „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულად გადაღებას. „ყილოში ტყებამი“ ჩემს თაროზეც დევს. თუმცა მეგრული არ ვიცი, ოღონდ ზოგჯერ მაინც ვკითხულობ ამა თუ იმ სტროფს, რათა შევისმინო, როგორ ჟღერს მეგრულად. საერთოდ კი ვიტყვი: თუ ამ „ცოდვას“ სჩადიხარ, მაშინ ის მაინც მოახერხე, რომ უბადლო ქართულით და შეცდომების დაუშვებლად გადმოიღე ძველი ტექსტი. მაგ., ამ მხრივ სანიმუშოა მამია ებრალიძის „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო უქართულობა და სანიმუშო შეცდომები ზეიმობს თამარ ბარბაქაძის მიერ გადმოღებულ ტექსტში.

შემდეგ მოყვანილია კურიოზები ამგვარი „თარგმანებისა“. გადმოუენებიათ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სადაც ძველქართულად წერია: ნორჩობიდანვე მის პირს ხორცი არ გაჰკარებიაო. თანამედროვე ქართულში ეგ აზრი ასე გამართეს: „ბავშვობიდანვე ხორცი არ შესულა მის პირში“. საბოლოოდ დაასკვნეს, რომ ეგ შემთხვევა სუპერკურიოზია. ასევე იმსჯელეს „ბიბლიის“ ახალ თარგმანზე, მის პრაქტიკულ საჭიროებაზე, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაარკვია, თუ რამ გამოიწვია მზექალა შანიძის ამგვარი გამონათქვამი: ფსალმუნთა ძველი თარგმანი გაცილებითა სჯობს ახალს ენობრივი თვალსაზრისითაც და პოეტურადაცო. ამას თვითონ პ. ჩხეიძეც აღიარებს: „აღტაცებას უფრო ძველი მანიჭებსო“.

ამ მომენტს მე ავხსნი, უკეთ, ამ მომენტს მკაფიოდ გვიხსნის და გვითვალსაჩინოებს ჰეგელი, როცა ბრძანებს: არ-

ქაული მეტყველება გვაშორებს თანამედროვეობას და ამით მეტ ამაღლებულობასა და პოეტურობას იძენსო.

აი, თუ რა ყოფილა მზექალა შანიძის განცდების გასაღები.

საუბრის წარმმართველმა დააყენა პრობლემური საკითხი: უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიან უცხოურ ენებს, ოღონდ ქართულს კი – აღარ. მაშ, რა გამოგვივა ბოლოს? ეცოდინებათ უცხო ენა, ოღონდ არ ეცოდინებათ მშობლიური. ეს მთარგმნელობით საქმეს განა არ დააზარალებსო? ბატონი პაატა ამ აზრს სავსებით იზიარებს. თვითონვე დასძენს: ბევრი მინახავს, ინგლისური იცის, ოღონდ ამ ცოდნით ინგლისელს ვერა სჯობს. რისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცოდნა? იმისათვის, რომ თარგმნოს, ოღონდ თარგმნისას ქართული გაცილებით უკეთ უნდა იცოდეს, თუმცა სულ არ იცისო.

ბოლოს გადასწვდნენ მანქანურ თარგმანს და შეთანხმდნენ: კომპიუტერული პროგრამები დიახაც მოგებიანია ტექნიკური, მშრალი ტექსტების თარგმნისას, ოღონდ ვერაფერს გახდებიან მხატვრული ლიტერატურის გადმოღებისას. აქ უკვე ყოველთვის საჭირო გახდება მთარგმნელის გემოვნება, ერუდიცია, ემოცია, გამოცდილება და ა. შ.

დადგა მკითხველის პრობლემაც.

განმსჯელთა აზრები ერთმანეთს დაემთხვა: პოსტმოდერნიზმმა და ბაზარმა გზა გაუხსნა „დაბალ“ ლიტერატურას, ელიტკულტურიდან ჯოხი მკვეთრად გადაიხარა მასკულტურისაკენ. ამის გამო იწერება ის, რაც მკითხველს უნდა. მკითხველს კი სწადია მარტივი, პრიმიტიული და საყოველდღიურო ფრაზა და გამოთქმა, მოშიშვლებული რეალიზმი, სექსი

და ძალადობა, რაც ამაღლებულსა და ესთეტიზმს გამორიცხავსო.

ამ ორი მოღვაწის დიალოგში ერთგან ნახსენებია ცნობილი მთარგმნელის გურამ გოგიაშვილის ინიციატივა. მან ახალი სუნთქვა მიანიჭა ერთ ძველ სიტყვას. ესაა „გადმოაენა“ (გადმოთარგმნა). აქვე მ̇ევიხსენოთ კ. გამსახურდიას მითითება: მწერალმა ბევრი ძველი ან უკვე არქაიზმად ქცეული სიტყვა უნდა დაფეროს და მოიმარჯვოსო. გ. გოგოლაშვილმა ეს სიტყვა ხელოვნურ და მანერულ სიტყვათა მარაქას მიაკუთვნა და რაბლეს აღიარებულ მთარგმნელს იგი დაუწუნა; ფიქრობს, რომ ეგ ფორმა არ დამკვიდრდება ქართულში.

ამის თაობაზე უნდა მოგახსენოთ:

ეს „მკვდრეთით აღმდგარი“ სიტყვა უკვე იხმარა რამდენიმე მწერალმა. მათ შორისა ვარ მეც. არაერთ დაბეჭდილ სტატიაში გამოვიყენე იგი. მე ასე ვირჯები: ტავტოლოგია რომ არ დავუშვა, თავდაპირველად მივმართავ ფორმას **გადმოთარგმნა**, მეორედ – **გადმოიღო**, მესამედ – **გადმოაენა**. ერთმაორმა, გ. გოგოლაშვილის მსგავსად, მეც მიმითითა ზმნის ერთგვარ ხელოვნურობაზე, ოღონდ ასე გვეჩვენება პირველად. ბევრი უარყოფითად შეეგება ამ სპორტული ტერმინების გამოყენებას: ხელმკლავი, განმკლავი, ზემკვლავი... მაგრამ დღეს მათ აღარავინ უცხოობს.

რაბლეს მთარგმნელის რეპლიკაში („ლიტერატურული საქართველო“, 8 აპრილი, 2022) მითითებულია, სიტყვა ჯერ კიდევ იოანე პეტრიწმა მოიმარჯვაო. მოყვანილია სათანადო ციტატა.

ენათმეცნიერმა დიალოგი გამართა **პოეტ დავით შემოქმედელთან**. ჯერ შეეხნენ „ენის დაწმენდის“ საკითხს. გვახსოვს, მ. ჯავახიშვილი რომ მოითხოვდა, ენის დაწმენდის საქმის პირველი მეთაური მწერალი უნდა იყოსო. პოეტი გლობალიზაციის პროცესში ენის დიდ ამღვრევას მოელის. გარდა ამისა, მიაჩნია, რომ „საზიზღარი კომუნისტების“ ენობრივი პოლიტიკა გაცილებით ეროვნული იყო, ვიდრე დღევანდელი ეროვნული მთავრობისა. პოეტმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ კომუნისტების დროს ხალხი უფრო მეტად ირაზმებოდა ენის დასაცავად, ებრძოდა ბარბარიზმებს, ენის ნორმების დარღვევებს, აკონტროლებდა და აკრიტიკებდა ფირნიშნებს. მაშ, ცალკერძ საფრთხეები, ცალკერძ სახელმწიფოებრივი მზრუნველობის გაქრობა ენას კარგს არას უქადისო. აქ მკაფიოდ ითქვა: აუარებელი უცხოური ტერმინი მოგვეძალა. მათ გაცხრილვას, გადმოქართულებას ან შესატყვისის შექმნას უკვე ვეღარ აუდის ქართული მეცნიერება. გარდა ამისა, ვისაც სახელმწიფოებრივად ევალება ამ საქმის მოგვარება, იმან ინტერესი დაკარგა; გადასწვდნენ საკითხს, თუ როგორ უვლიან დედაენას უცხოეთში. „ჩვენ ერთად გვიცლია თელ-ავივისა თუ იერუსალიმის ქუჩებში; თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ქალაქებში და, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში „მისაბაძად“ ყველა გამოდგება“, — დასძენს მკვლევარი.

მძიმე განაჩენია!

დ. შემოქმედელი ფიქრობს, რომ მწერალს თავისი ფუნქცია გადაავიწყეს. ის ჩამოალაბორანტეს და დღეს უკვე აღარაა ერის მედროშე, მისი წინამძღოლი. იგი ჩაანაცვლეს „ენჯეოშნიკებმა“, დაუღვინებელმა, გამოუცდელმა გოგო-ბიჭებმა. მათ არც იციან და არც აინტერესებთ ენა. მათი მცდელობი-

თაც „მწერალი დამცრობილია და გაყვანილია სააზროვნო სივრციდან“; მწერალს აღარ ან თითქმის აღარ უშვებენ ფართო აუდიტორიასთან. მანაც ხელი ჩაიქნია, მოეშვა და ენის დაცვა ენათმეცნიერებს შეატოვა ხელში. ქართული მწერლობის ნეოლიბერალურ ფრთას მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე დიახაც მიუწვდება ხელი, ოღონდ ამ ადამიანებს ეროვნული ღირებულებების მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება აქვთ და ენის სიწმინდის პრობლემებზე ფიქრით თავს არ მოიკლავენ („ლ. ს.“, 8 აპრილი, 2022).

ეგ დიალოგი გაგრძელდა გაზეთის მომდევნო ნომერშიც.

ენათმეცნიერმა დააყენა ენობრივი კრიზისის სუბიექტური მიზეზის საკითხი. ნიჭიერი პოეტი დავით შემოქმედელი ასე ფიქრობს: განვითარებული ქვეყნების მწერლები მხოლოდ წმინდა შემოქმედებითი პროცესით არიან გატაცებული. პატარა საქართველოს სიტყვის მსახურებმაც მათ მიჰბაძეს და ენის მოვლა-პატრონობა მხოლოდ ენათმეცნიერებს შეატოვეს ხელში. ჩვენ ამისი ფუფუნება არა გვაქვს. ჩვენს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ყოფნა-არყოფნის საკითხი. ყოფნის მთავარი ქვაკუთხედი კი ენაა. ამიტომ მისი აქტიურად დაცვა სიტყვის ოსტატს ყველაზე მეტად მართებსო. და აქ მარტო ბეჭდვითი სიტყვა არა კმარა. კარგი მოქართულე შემოქმედი რომ აბ ცალ წიგნს გამოსცემს, ეს მასაზე დიდ ზემოქმედებას ვერ მოახდენს; საჭიროა ტელევიზიის, სოციალური ქსელის, სხვა პლატფორმების საამრიგოდ გამოყენებაცო.

გ. გოგოლაშვილის აზრით, გამოდის, რომ როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები ენის საწინააღმდეგოდ არის მიმართული.

შემდეგ ცალკეული **სიტყვის** არსსა და მნიშვნელობასაც გადასწვდნენ. კითხვის დამსმელს მოპასუხე დაეთანხმა: „მწერლისათვის სიტყვები აგურებია, რომლებითაც იგი თავისი სულის ნაგებობას აგებს“. ლექსში კი მას განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია. საჭიროა იუველირის სიზუსტით მისი შერჩევა და სხვათა შორის ფაქიზად ჩაყენება. პოეტურ ფრაზაში სიტყვა მუსიკალურ ბგერასა ჰგავსო.

თანამოსაუბრემ ო. ჩხეიძის ნასიბრძნიც ჩაურთო დიალოგში: „მხატვრული და არამხატვრული სიტყვები არ გამოიკვრის ერთ ბოხჩაშია, არა, არ გამოიკვრის“.

დ. შემოქმედელი ფიქრობს, რომ ზოგჯერ ჩვეულებრივმა სიტყვამაც შეიძლება ისეთი ადგილი მოძებნოს ფრაზაში, რომ სრულიად ახლებურად და მხატვრულად აელვარდეს. კიდევ მეტი, შესაძლოა, საპირისპირო მნიშვნელობაც კი შეიძინოს. თვით „სულელიც“ კი, მ. ჯგუბურიას დაკვირვებით, დავით შემოქმედელის ლექსში **სასურველის, ძვირფასის, საყვარლის** შინაარსით იტვირთება: „რატომ იცინის **ნუში სულელი**, რამ წამოჩიტა ასე ადრიან?!“

ერთ-ერთი მწერალი, რომელსაც მუდამ აინტერესებდა მშობლიური მეტყველებისა და მწერლური ენის ურთიერთობა და ვინც გამუდმებით ყურს უგდებდა ქართულის მაჯისცემას, გახლდათ **თამაზ ხმალაძე**. ამ საკითხზე მას არაერთ რადიო და ტელეგადაცემაში უმსჯელია, ჟურნალ-გაზეთებში საპოლემიკოდაც გამოსულა. ისიც საგულისხმოა, რომ თამაზ ხმალაძე „წარმოშობით“ ენათმეცნიერია — დედაუნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე სწავლობდა. ამიტომაც შემთხვევითი არჩევანი არ გაუკეთებია მკვლევარს, საენობრიო საკით-

ხებზე სასაუბროდ რომ ამ ცნობილ ჟურნალისტსა და მწერალს მიადგა. იგი კი მართებულად განსჯის: კარგი ჟურნალისტი კარგი მწერალიაო.

ენათმეცნიერი შეახსენებს ანა კალანდაძის აწ უკვე აფორიზმად ქცეულ ფრთიან გამოთქმას: „ენას პატრონი სჭირდება, ბატონი რომ არ გაუჩნდესო“.

პროზაიკოსი ეთანხმება ამ იდეას და აცხადებს: ქართულს რომ დღეს პატრონი არა ჰყავს, ნათელი და კანთიელია; **ბევრმა თავისი დასვრილი მეტყველება მშობლიურ ენას შეახოცაო.**

ეგ ბოლო ფრაზა დიახაც რომ მომეწონა. რა ზუსტადაა ნათქვამი: თავიანთი ჭირი მშობლიურ ენას მიაწერესო. მისივე აზრით, ყველაზე ბასრი დანა მშობლიურ ენას ისევ და ისევ მწერლობამ ჩასცა. და, ბოლოს, იქამდე მივიდა ორის მსჯელობა, რომ დადგინდა: დღეს ჩვენს მეტყველებას ბატონიც კი სანატრელი გახდომია, რამეთუ, რაკიღა ბატონი ბატონობდა, გარკვეულ მოვალეობასაც გრძნობდაო.

ამ ერთგვარად გადაკრულმა და მოარულად ნათქვამმა ბატონობის ხანა გამახსენა: სწორედ საბჭოთა დიქტატურის დროს ექცეოდა ყურადღება ტერმინოლოგიის, ლექსიკის საკითხებს; სწორედ მაშინ დაიბეჭდა უნიკალური წიგნები: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ორთოგრაფიული და უცხო სიტყვათა ლექსიკონები; სწორედ მაშინ გამოიყოფოდა საგანგებო შტატი სტილისტისა, რომელიც ყოველ რედაქციაში იჯდა და ყოველივე ამაში „საზიზღარი“ მთავრობა ფულს იხდიდა; სწორედ მაშინ იყო დაწესებული მკაცრი მეთვალყურეობა, რათა უცხოური ტერმინები და ჟარგონები არ შემოგვპარ-

ვოდა, რომ ისინი დროულად გადმოგვეენებინა, გაგვექართულებინა და ისე შემოგვეშვა მეტყველებაში.

ენათმეცნიერს აინტერესებდა, ენობრივ საკითხზე ხომ არ შეკამათებიან პერსონაჟები ავტორს? პროზაიკოსის პასუხი, უნდა ვიგულწრფელო, ჩემთვის იმთავითვე ნათელი იყო: თამაზ ხმალაძე კარგი მოქართულეა. გარდა ამისა, ზედმიწევნით იცის დიალექტიზმისა და პროვინციული მანერის გამოყენების თანამედროვე და მართებული წესები. ამის გამოისობით უნდა ეთქვა და კიდევაც აღიარა: ამ მხრივ ჩემს გმირებს ჩემთან და მე მათთან არავითარი კამათი არ მოგვსვლიაო.

დიალოგის მტე იმითაც დაინტერესდა, როგორ არჩევს პროზაიკოსი სახელგვარულ სინტაგმებს. ამას რომ ეკითხება, რა თქმა უნდა, გულისხმობს ჩვენს ეროვნულ გამოცდილებას (ე. ნინოშვილი, გ. წერეთელი, დ. კლდიაშვილი...).

ჩვენს პროზაიკოსსაც დ. კლდიაშვილისამებრ მიაჩნია, რომ სახელი და გვარი პერსონას „შემოწკეპილი“ უნდა ჰქონდეს. აქ ორ ფრიად საინტერესო აზრს ავითარებს სიტყვის ფალავანი: მენახირეს ქაიხოსროს ან ამირინდოს ვერ დაარქმევო; **როცა პერსონაჟს შენ მიერ დარქმეულ სახელს დაუძახებ და არ მოგხედავს, თავსაც კი არ შემოაბრუნებს, უნდა მიხვდე: ნათლიად ვერ ივარგეო.** მისივე აზრით, 1960-იანი წლების კალმოსნებმა ბევრი საინტერესო სახელი შემოიტანეს და ეს სახელები ხალხმა შემდეგ თავიანთ შვილებს დაარქვესო. კარგი იქნებოდა მობაასეთ აქ გახსენებოდათ შესანიშნავი პარადიგმა: „ვეფხისტყაოსნის“ ფარზე აზიდვის ხანებში (მე-17 საუკუნე, ქართული აღორძინების დასაწყისი) თითქმის მთელ საქართველოში გავრცელდა სახელები: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი... საგულისხმოა ამის

პარალელიც: მე-16 და მე-17 საუკუნეებში სერიოზულად ითარგმნა „შაჰ-ნამე". ამან გამოიწვია შემდეგი სახელებისა და გვარების მომრავლება: როსტომი და როსტომაშვილი, ზურაბი და ზურაბიშვილი, გივი და გივიშვილი, მანიჟე და მანიჟაშვილი...

პროზაიკოსი აღიარებს, რომ ზოგ პერსონაჟს ხუთჯერაც კი გამოუცვალა სახელი; ერთმა კი ყველაზე მეტად შეიშნოო დემნა.

დაისვა კითხვა მეტსახელებზეც; ჩემი აზრით, დიალოგის ეგ ნაწილი უფრო საინტერესო შეიძლება ყოფილიყო. სამუქფოდ, როცა საქმე შეეხო დიალექტიზმებს, მწერალი მათი გამოყენებისას ზომიერებას სამართლიანად მოითხოვს, თუმცა ცუდის ნიმუშებს არ ასახელებს. არც ის არის გამოკვეთილი მკვეთრად, თუ როდის და რატომ არის საჭირო ეს ხერხი.

სიტყვასა და ლექსიკაზე როცა მიდგა საქმე, მწერალმა ყურადღება გაამახვილა მის კონტექსტობრივ და ქვეტექსტობრივ მნიშვნელობაზე. ეგ, რა თქმა უნდა, მწერლობის (განსაკუთრებით პოეზიის) „არსობის პურია", ოღონდ აქაც შეიძლებოდა უფრო მარჯვე მაგალითის მოყვანა. რაიც ორმა ვერ გააკეთა, მე, მესამე, აღვასრულებ.

ავიღოთ პოეტური ტაეპები გალაკტიონისა:

ალპების მთებში იღებს სათავეს
ოცნება ჩემი, ყველა ფრთამალი.

სიტყვების ამდაგვარი წყობა „იწვევს" პოეზიას, რაკიღა ამით იქმნება რიტმი. საკმარისია, სიტყვათა აქ მოცემული ადგილმდებარეობა ავრიო, რიტმი დაიკარგება და ხელთ შეგვრჩება პროზა:

ყველა ჩემი ფრთამალი ოცნება

სათავეს ალპების მთებში იღებს.

ერთგან პროფესორი მწერალს იმას უწონებს, რომ იგი გამოიყენებს ისეთ უჩვეულო „დიალექტურ სიტყვებს", რომელთა შინაარსიც არც მთლად იოლად გასაგები შეიძლება იყოს მკითხველთა ფართო წრისათვის. მე ეს დებულება სადავო მგონია, მაგრამ ამჯერად აღარ გავაგრძელებ ამ თემაზე საუბარს...

აქ უნდა გავიხსენო ფაქტი: მიხ. ჯავახიშვილი სწორედ იმას უწუნებდა კ. გამსახურდიას, რომ ექსპრესიონისტის რომანებს საგანგებო ლექსიკონი სჭირდებოდა...

ფაქტობრივად იმავე საკითხებზე მსჯელობენ ჩვენი ენათმეცნიერი და ცნობილი მწერალი ლევან ბრეგაძე. შეკითხვის ადრესატიც ისე ფიქრობს, როგორც მიხ. ჯავახიშვილი: საშუალო ნიჭის პროზაიკოსი აჯობებს ნიჭიერს, თუ ზედმიწევნით იცის ქართული. აქ გაკრთება დასახსომებელი იდეა: „ნებისმიერი სიტყვის თავგადასავალი ოდისევსის თავგადასავალს არ ჩამოუვარდება". მართლაც, აი, ქართული ლექსიკის ოდისევსები: კოშკი (კიოსკი), ღვაჭიჭა (მყვარჭიჭე), კაჭიჭი (რქაჭიჭე), ოჯახი (ოთახი), ოძრხე (ოძურხე, ოდზურხე, ოზურხე, ოზურხეთი, ოზურგეთი) და ათობით სხვა; მეორე დამაინტრიგებელი აზრი ესეგვარია: ენის საკითხებით დღეს მწერლებზე მეტად მკითხველები არიან დაინტერესებულიო.

დიალოგის ინიციატორის შეკითხვამ გამოიწვია თითქოსდა მოულოდნელი, ოღონდ სავსებით მართებული, პასუხი: ყველა მწერლის ენაზე საგანგებოდ საუბარი საჭირო როდია. ეს მაშინ უნდა გაკეთდეს, როცა ავტორი ან ძალიან კარგად,

თვალშისაცემად კარგად წერს, ანდა მაშინ, თუ მისი ენა და სტილი აუტანელიაო.

ეგ მართალია, რამეთუ ზოგჯერ ესა თუ ის ნაწარმოები აუცილებლად მოითხოვს ენობრივ კრიტიკას ანდა ქებას.

გადასწვდნენ კრიტიკოსთა ენას. რა თქმა უნდა, ცნობილ მწერალს ვერ დაუპირისპირდები და ვერ გააკრიტიკებ, თუ ენობრივად მასზე უკეთესი არა ხარ. ლ. ბრეგაძე ფიქრობს, რომ ამ მხრივ ჩვენი კრიტიკოსები ცუდად არ გამოიყურებიან და მე ვეთანხმები ამ აზრს. ასევე მართებულია მოსაზრება, რომ ზოგი კრიტიკოსი თვალში ნაცარს გვაყრის და ლამობს უცხო სიტყვებითა და ტერმინოლოგიით თავი უფრო უკეთ მოგვაჩვენოს, ვიდრე სინამდვილეში არის. ეს შენიშვნა განსაკუთრებით მომხვდა გულზე, რამდენადაც ამგვარი შემთხვევები მეც არაერთგზის დამიგმია.

დაისვა საკითხი: მწერალი ვის უფრო უნდა ენდოს – კრიტიკოსის თუ ხალხის შეფასებას?

ვფიქრობ, ლევან ბრეგაძემ ამ კითხვას პასუხი ვერ ან არ გასცა. მე კი მოველოდი, უპირატესობას კრიტიკოსის აზრსა და გემოვნებას მიანიჭებდა.

ანა კალანდაძეზე დაწერილ წიგნში გ. გოგოლაშვილს არ დავეთანხმე, როცა პოეტ ქალს მოუწონა ფრთიანი გამოთქმა: „შენი გაჭედილი ხატის ამბავი შენზე უკეთ სხვას ვის ეცოდინება?!“ დიდად მესიამოვნა, რომ ლევან ბრეგაძემაც მართალი მოსაზრება გამოთქვა: „ჩვენი გაჭედილი ხატის ამბავი ჩვენზე უკეთ იცის ხელოვნებათმცოდნემ, ხოლო ჩვენი დაწერილი ლექსის ამბავი – კრიტიკოსმა, ლიტერატურისმცოდნემო“.

აქ მწერალი ლ. ბრეგაძე ბევრ საგულისყურო აზრს ავითარებს. ყველაფერი ეს კი მე არაერთგზის გამეორებული აფორიზმით გამოვხატე: **გენიოსის კალამი ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე თავად გენიოსი.** ამის განმარტება ლ. ბრეგაძეს, რა თქმა უნდა, არ დასჭირდება, მაგრამ მავანთათვის გავაცხადებ: გენიოსი იმად არის გენიოსი, რომ მისი კალამი ყოველთვის უფრო მეტს გამოხატავს, ვიდრე ავტორსა ჰქონდა ჩაფიქრებული. ამის მკაფიო დასტურია ვაჟა-ფშაველას „არწივი“, ედგარ პოს „ყორანი“, მიცკევიჩის „ფარისი“... ამიტომაც ანა კალანდაძის აზრი კატეგორიულად მიუღებელია!

ენათმეცნიერმა შეახსენა მწერალსა და კრიტიკოსს ოთარ ჩხეიძის გამოთქმა — „არ შეიძლება დავარღვიო გრამატიკული წესები“. ლევან ბრეგაძემ მოსალოდნელ პასუხს გვერდი აუქცია და მოულოდნელი კუთხით შეხედა საკითხს: „სიტყვის გამომსახველობითი ძალა ზოგჯერ ერთობ ძლიერდება იმით, რომ მას არასწორი ფორმით ვიყენებთ“. მერმე ამ აზრს ასე ავითარებს: თანამედროვე მწერლებიც ხშირად მიმართავენ ამ უცნაურ სიტყვაწარმოებას, გრამატიკულ და ორთოგრაფიულ ნორმებსაც არღვევენ მეტი ექსპრესიის მისაღწევად. ამას კი **ენობრივ ექსცენტრიკას** ვეძახით. იგი ფაქტობრივად სიტყვით თამაშის ხელოვნებააო.

შემდეგ ენათმეცნიერს მოჰყავს სიტყვათშემოქმედების ცნობილი ნიმუში: „იგი ვარდობდეს, შენ იე“, უწოდებს ამ შემთხვევას **„ოკაზიონალურ** ფორმას“ (შევნიშნავ ჩვენს ენათმეცნიერს: **ოკაზიონალური** რუსიციზმია. ქართულად იქნება **ოკაზიური**). როგორ გესმის ამგვარი „ენობრივი თავისუფლება?“ — ეკითხება იგი კრიტიკოსს.

პასუხი საინტერესოა: ამგვარი თავისუფლება არ საჭიროებს არავითარ შეღავათს. ენობრივი ექსცენტრიკა ახალისებს ტექსტს. ეგ სპეციფიკური ნიჭია. სიტყვათქმნადობის მიდრეკილება ქმნადობის მიდრეკილების ნიშანიაო.

მერმე ისაუბრეს მასმედიის ენაზე, დაადასტურეს: საქმე სავალალოდ იყო 20-30 წლის წინათ. ამჟამად კი უფრო უარესი ვითარებაა. არც ერთს არ აღუნიშნავს ამის მთავარი საფუძველი: წინათ რამდენიმე ტელევიზია და ჟურნალ-გაზეთი არსებობდა. მთავრობა მათ აკონტროლებდა. კონტროლი გულისხმობს მონოპოლიასაც და ვალდებულებასაც. ვალდებულება იმით გამოიხატება, რომ ყოველ რედაქციაში შტატით ირიცხებოდა სტილისტი. იგი ამოწმებდა გამოსაქეყნებელ მასალებს. მაშ, ასრულებდა ფილტრის ან მეკარის როლს. დღეს ათობით ტელევიზია და ჟურნალ-გაზეთია. მათ არა ჰყავთ არავითარი სტილისტ-რედაქტორი, რომელიც პასუხს აგებს მასალის ენობრივ სიწმინდეზე. ამას ზედ დაერთო ჟურნალისტთა უწიგნური თაობის მოსვლა, რომელსაც ფილოლოგიური წრთობა არ მიუღია. ერთი ამბავიც უნდა ითქვას: დემოკრატიისა და თავისუფლების არასწორი, შერყვნილი გაგებაც ხელს უწყობს „დემოკრატიული და თავისუფალი“ ორთოეპიისა და ორთოგრაფიის მოძალებას. აი, ყოველივე ეს იწვევს ლევან ბრეგაძის მიერ წამოკივლებასავით წამოძახებულ სიტყვას „კატასტროფა!“

გადასწვდნენ ბარბარიზმებსაც. ენათმეცნიერს ის აწუხებს, რომ პოლიტიკურად ანგაჟირებულ ქართველობას ბარბარიზმად მხოლოდ რუსიციზმი მიაჩნია, ვთქვათ, თვალში ეკლად ესობა **„ბუტკა“**, ხოლო **„ბუტიკს“** ეგრერიგად არა მტრობს! მწერალს კი უფრო მეტად შემდეგი აინტერესებს:

ზოგ შემთხვევაში უცხო სიტყვა ისეთ შინაარსობრივ ნიუანსს შეიძენს, არც ერთ ენაში რომ არ აქვს და „მერე მისი გასტუმრება ვეღარ ხერხდება“.

მაშ, მწერალმა მსჯელობა უფრო მნიშვნელოვანი გზით წარმართა და უფრო რთული ენობრივი პრობლემა წარმოაჩინა, ვიდრე ამას ადრესანტი გულისხმობდა. მოყვანილია ერთობ მრავალისმეტყველი მაგალითი: **პროგრესი**, შესაძლოა და უკეთესიცაა, ჩაანაცვლო ქართული **წინსვლით**, მაგრამ **პროგრესულს** ვერაფრით ჩაანაცვლებო.

ჟარგონზე საუბრისას მწერალმა შენიშნა: თარგმნისას ქართულში ზოგჯერ მაინცდამაინც ის ჟარგონი არა გვაქვს, დედანში რომაა, ოღონდ ამან არ უნდა შეგვაშინოს — ამ დროს დედანთან მიახლოებული აზრი უნდა მოვიმარჯვოთ, სამუქფოდ, მეორე შემთხვევაში, სადაც დედანში ნეიტრალური გამოთქმაა, ეფექტიან ქართულ ჟარგონს ჩავრთავთ და ამით მივაღწევთ კომპენსაციას. ამგვარ გერგილიანობას კი ნიჭიერება სჭირდებაო. ამით სათანადო და შესატყვისი ზოგადი შთაბეჭდილება შენარჩუნებულია. იმგვარი კაზუსი, როცა დანაკარგის კომპენსაცია შეუძლებელია, ბევრი როდიაო.

ამ ბოლო დროს ლიტერატურას მოეძალა ბილწსიტყვაობა, სკაბრეზი. კრიტიკოსის აზრით, „თანამედროვე ქართული მწერლობის ნიმუშების დათარიღება მაშინაც არ გაუჭირდებათ მომავალ მკვლევრებს, მათზე გამოცემის თარიღი მითითებულიც რომ არ იყოს. და ამას დაადგენენ ტექსტში მიმოფანტული ბილწსიტყვაობების მიხედვით“.

მრავლისმეტყველი განაჩენია!

ასევე საინტერესოა დასკვნა: „ჩვენს მწერლებს თურმე იმად უნდოდათ თავისუფლება, რომ გენიტალიების ხსენებით ეჯერებინათ გული!“

კრიტიკაზე მსჯელობისას ადრესანტმა ადრესატს საინტერესო აზრები გამოაწურვინა: ა) კრიტიკის მოტივი, შესაძლოა, პირადულიც იყოს, მაგრამ იგი ყველა შემთხვევაში სასარგებლოა; ბ) საეჭვო ღირებულების ორიგინალური ლექსი ან მოთხრობა დიდ ზიანს ვერ მოგვაყენებს (მათ არ წავიკითხავთ), ოღონდ „სამეცნიერო კრიტიკა და უხარისხოდ თარგმნილი მხატვრული ტექსტების შეფასება აუცილებელია; სხვანაირად მეცნიერება წინ ვერ წავა, ხოლო ცუდი ან მცდარი თარგმანი მკითხველისა და ავტორის უფლებებს ერთობლივად შელახავსო“.

როცა საკითხი წიგნის დასათაურებას შეეხო, კრიტიკოსმა ახსენა უბადრუკი ნიმუშები, მათ შორის არ მოიწონა თამაზ ბიბილურის რომანის ბუნდოვანი სათაური „ჟამი კითხულისა“ („ჟამი“ დროსაც აღნიშნავს და დაავადებასაცაო). საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 2011 წელს გამოცემულ „კრიტიკულ წერილებში“ (გვ. 28-90) სასტიკად გავკიცხე ეგ ტექსტი და ვუჩვენე მისი ავტორის ენობრივ-მხატვრული უმწეობა.

კიდევ ერთ ფაქტს მივაპყრობ ყურადღებას. კრიტიკოსის ფიქრით, ქართველობამ თავის არსებობას **„ორფა გალავანი“ შემოავლო — ესაა ენა და ანბანი**; მსჯელობისას ახსენა სამი ქართველური ენის უცნაური ფენომენი. ვფიქრობ, ამ საკითხზე მე გაცილებით უფრო შორს წავედი და, მგონია, გაცილებით ადრეც. კერძოდ, გახლავართ 1994 წელს ათიათასიანი ტირაჟით გამოცემული მეგრული სიტყვიერების კრებულის („ბჟა

დო თუთა") რედაქტორი. წინასიტყვაობაში ვამბობდი: „არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ ქართველურ მოდგმას სამი ენა მოგვანიჭა უფალმა: ქართული, მეგრული, სვანური. ესეც ჩვენებურ სიმღერასა ჰგავს — პირველ და მეორე ხმებს რომ ბანი აგვირგვინებს. ეგ წმინდა ტრიადა ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა. ესეც უდავოა; მათ შორის ნებისმიერი ერთი უდანარჩენებოდ ჰარმონიული მთელის ოდენ ნაწილს შეიძლება წარმოადგენდეს... წინაპართა საკადრისი შთამომავალნი რომ აღვზარდოთ, ზანურსა და სვანურს სკოლაშივე უნდა ვასწავლიდეთ. „დედაენაში" თუ ვერ ჩავრთეთ ხმატკბილი და მელოდიური მეგრული, ფოლადივით მრეკავი სვანური, მაღალ კლასებში მაინც უნდა შევძლოთ ეს. ვფიქრობ, უნდა ვეზიაროთ არა მარტო ჩვენი მეტყველების დედამდინარის — ქართულის — მშვენებას, არამედ უნდა მივუახლოვდეთ ჩვენი დედამდინარიდან განტოტვილ სამეტყველო შენაკადებს და მათი საამო რონინიც მშობლიურად გავიხადოთ" (გვ. 3-5).

ბრძოლა დედაუნივერსიტეტისათვის

2004 წელს სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა ძალადობის გამოყენებით ხელისუფლება მიიტაცეს. ავკაცობის გზაზე მათ სამი ძირითადი წინაღობა უნდა დაეძლიათ, ეროვნული ცნობიერების სამი მთავარი ბასტიონი უნდა დაენგრიათ: **დედაუნივერსიტეტი, მწერალთა კავშირი და ბეჭდური მედია.** ამიტომაც თუ იყო: ჟურნალ-გაზეთები გაყარეს კოსტავას 14-დან და მიმოფანტეს; მწერალთა კავშირს წაართვეს მაჩაბლის 13-ში, ისტორიულ სასახლეში, დადებული ბუდე და გალაკტიონის, ლეონიძის, გრიშაშვილის, გამსახურდიას ხელნაწერებიანი წიგნები და მემორიალური ნივთები ქუჩაში გამოყარეს; მიადგნენ ეროვნული ცნობიერების მთავარ სამჭედლოსაც — უნივერსიტეტს; დაიწყეს მისი დისკრედიტაცია, გამოჩენილ მოღვაწეთა შეურაცხყოფა, ბოლოს კი აწყობილი საქმიანობის ჩაშლის მიზნით ყველაზე ნიჭიერი და სახელოვანი პროფესორ-მასწავლებლები სამსახურს ჩამოაშორეს. მანამდე და მერმე თუ რაც მოიმოქმედეს, სწორედ ამაზე მოგვითხრობს ფართო ფორმატის 320-გვერდიანი წიგნი „დედაუნივერსიტეტის ძნელბედობის ჟამი (2004-2013)“. ავტორ-შემდგენელია გ. გოგოლაშვილი. მასში გამოწვლილვითაა აღნუსხული და კომენტირებული მოძალადე რეჟიმის „საქმენი საგმირონი“, ამავე დროს, ნაჩვენებია აქტიური პროფესურის, მათ შორის, გ. გოგოლაშვილის, ბრძოლა უნივერსიტეტის სახელისა და ღირსების დასაცავად, იმ მიღწევების შესანარჩუნებლად, რომლებიც ესოდენ დიდ სა-

ხელ-დიდებას სძენდა ამ სასწავლო დაწესებულებას და რაიც ავტომატურად ეწინააღმდეგებოდა და ძირს სცემდა ძალადობრივი გზით მოსული უკანონო ანტიეროვნული ხელისუფლების ავტორიტეტს.

ფოლიანტი ძირითადად ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ავტორთა (ძირითადად გ. გოგოლაშვილის) წერილები, რომლებიც გამოწვლილვით ასახავენ სავალალო პროცესის განვითარებას; მეორე განყოფილება „საუნივერსიტეტო დარბაზის“ საქმიანობას ეხება; მესამე ნაწილი მოგვითხრობს ყბადაღებული „ბოლონიის პროცესის“ ამბებსა და მის თანამდევ მოვლენებზე; მეოთხე ნაკვეთი „ხულიგანი პროფესორების“ სასამართლო პროცესსა და მის პერიპეტიებს წარმოგვიდგენს; მეხუთე მონაკვეთი კი გვითვალსაჩინოებს უნივერსიტეტის მცველთა თხოვნა-მუდარებს ახალი ხელისუფლების მიმართ.

ყველა წერილი იმდროინდელ პრესაში იყო გამოქვეყნებული და სიზუსტით ასახავს იმჟამად მიმდინარე მოვლენებს.

ერთი სიტყვით, სათაური — „დედაუნივერსიტეტის ძნელბედობის ჟამი“ — დასტურ ამართლებს და სრულად გამოხატავს შინაარსს.

ბოლომდე ჩავსდიოთ ფოლიანტს და გადმოვცეთ ძირითადი დებულებების არსი.

პირველი ვრცელი სტატიის ავტორი ძრახვას არ ერიდება, იხსენებს დიდი წინაპრის ტაეპებს — „მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“ — და თამამად ებმება კრიტიკისა და პოლემიკის ქარცეცხლში; ეგ ერთი! მეორეც, იცის: **განათლება გადაარჩენს ქვეყანას,** ხოლო განათლების მებაირაღე

გახლავთ უნივერსიტეტი. მისი გადარჩენა იგივეა, რაც **ქვეყნის გადარჩენა.** მაშ, აუცილებელია **უნივერსიტეტის გადარჩენა!**

ცნობილი ამბავია და ეს სადავოდ თითქოსდა არ გვეჩვენებოდა: **არც ერთ უნივერსიტეტს არც ერთი ქვეყნის ისტორიაში არ შეუსრულებია იმხელა როლი, რამხელაც დედაუნივერსიტეტს – საქართველოს ისტორიაში!**

ამ დამკვიდრებული აქსიომის წინააღმდეგ თავი გამოიდო, იცით, ვინ? ერთობ გაგიკვირდებათ – განათლების მინისტრის პირველმა მოადგილე **ა. დიდებულიძემ,** რომელმაც ერთ-ერთ შეხვედრაზე განაცხადა: რითი არის იგი უპირატესი თუნდაც აგრარულ უნივერსიტეტზეო?!

ამას რომ კაცი იტყვის, იმას წარმოდგენაც კი არ აქვს დედაუნივერსიტეტის როლსა და არსზე. არადა ერთი მრისხანე ჩეკისტისაგან ჩემი ყურით მომისმენია: **ამ უნივერსიტეტში რომ შემოვდივარ, მუხლები მიკანკალებსო!**

მაშასადამე, იმ ჩეკისტს უფრო მახვილი გაგება და გამჭრიახი გონება ჰქონია, ვიდრე განათლების მინისტრის მოადგილეს, ვინმე ა. დიდებულიძეს.

სწორედ ა. დიდებულიძისნაირთა მომრავლებამ განაპირობა დედაუნივერსიტეტის ძნელბედობა 2004-2013 წლებში.

ხსენებულ პერიოდში მომრავლდა უმაღლესი სასწავლებლები. დაახლოებით ორასს მიაღწია მათმა რიცხვმა. ვოლუნტარიზმისა და არეულობის ხანა იყო და გახშირდა ნაკლი და ხარვეზი. ეგ სენი გარკვეულწილად დედაუნივერსიტეტსაც გადაედო, თუმც კი სხვებზე უფრო გვიან და მსუბუქად, ოღონდ მის წინააღმდეგ საგანგებოდ დარაზმული შავრაზმელები ამას რას დაგიდევდნენ: დაიწყეს ფართო მასშტაბის შეტევა მხოლოდ ამ უნივერსიტეტზე, მის პროფესორ-მასწავლებლებზე, რექტორზე.

აძოძრავდა „შავი პიარი“ – ყველა უმაღლესი დაწესებულების ნაკლი ამ სასწავლებელს მიეწერა. მაშ, ასე: დედაუნივერსიტეტი არის განათლების სისტემის შემარცხვენელი დაწესებულება, სხვაგან კი ყველაფერი რიგზეა! დაიწყო სათანადო სატელევიზიო „დადგმების“ ჩვენება; შექმნეს და შეაკოწიწეს თსუ-ზე განაწყენებულ მშობელთა და აბიტურიენტთა კომიტეტი...

ზოგი ცალტვინა უფრო შორსაც წავიდა. გივი თარგამაძე წერდა: მისაღები გამოცდების ის წესები, რომლებიც უნივერსიტეტში არსებობს, შეურაცხმყოფელია, თუმცა არას ამბობს იმაზე, რომ ზუსტად ის წესები ჰქონდათ დანარჩენ სასწავლებლებსაც.

მაშ, დედაუნივერსიტეტი საგანგებოდ ამოიჩემეს. მის დასაცავად მუდამ ჩახმახივით შემართული გ. გოგოლაშვილი დაასკვნის: **„ეს იყო წინასწარ გამიზნული, კარგად ორგანიზებული, პრესითა და ტელევიზიით ზურგგამაგრებული კამპანია ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ“.**

ამრიგად, მათ საერთოდ არ აინტერესებდათ ბედი განათლებისა, თორემ მაშინ დანარჩენი 199 უნივერსიტეტითაც დაინტერესდებოდნენ.

ეს იყო დასაწყისი – 2002.

სწორედ 2002 წლის აგვისტოში გაიმართა პირველი სატელევიზიო დებატები უნივერსიტეტის თემაზე გ. გოგოლაშვილსა და გ. თევზაძეს შორის („რუსთავი-2“, ეკა ხოფერიას გადაცემა).

2003 წელს შეაკოწიწეს ახალი ძალა – „კმარა!“ თვით დედაუნივერსიტეტში გამოძებნეს იმგვარი სულისკვეთების სტუდენტები, რომლებიც ახალ პირობებში სიამოვნებით გაიმეორებდნენ 1930-იან წლებში ნათქვამს: „მე მოვკლავ დედას,

მე მოვკლავ მამას, თუკი პარტია მიბრძანებს ამას!“ ამასობაში ასპარეზზე გამოდის უნივერსიტეტის მაძაგებელი ამორძალი, სამარცხვინო გარეგნობისა და შინაგანი ბუნების **თეა თუთბერიძე**. ჩვენ არ ვიცით, რამდენს უხდიდნენ მას „თავისუფლების ინსტიტუტი“ და სოროსის ფონდი, ოღონდ კარგად ვიცით: „მისი დანაშაული აწეულია ცამდინა“. შენობაში საგანგებოდ მართავენ შეხლა-შემოხლებს, „ბუნტებს“... ყოველივე ამას გამოწვლილვით „აშუქებს“ ტელევიზია...

საქართველოში არის რამდენიმე ტაძარი, რომლებითაც ერი თავს იწონებს და რომლებიც ეპოქასთან გაიგივდება: XI საუკუნე და **სვეტიცხოველი**; XII საუკუნე და **გელათი**; XX საუკუნე და **თეთრი ტაძარი**.

ყოველ ამ ტაძარში ყოველთვის ყოფილა ნაკლი, ხარვეზი, შეცდომა, ჩაუდენიათ დანაშაულიც კი, ოღონდ ამის გამო არც სვეტიცხოველი დაუნგრევიათ, არცა – გელათი. აი, „თეთრ ტაძარს“ კი უგუნურებმა ნგრევა დაუწყეს.

რამ გამოიწვია ასეთი რეაქცია?

გ. გოგოლაშვილი საკითხის რკვევას შორიდან იწყებს: 1978 წლის აპრილში ეროვნულ მეტყველებას საფრთხე დაემუქრა. იგი აღარ უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ენა. ამ დამანგრეველი პროექტის წინააღმდეგ ენერგიულად გამოვიდნენ მწერალთა კავშირი და უნივერსიტეტი. იმპერიამ უკან დაიხია. ეროვნულმა ცნობიერებამ გაიმარჯვა. ქართული ისევ დარჩა სახელმწიფო ენად.

სააკაშვილის მთავრობა კი სწორედ ეროვნულ ცნობიერებასა სპობდა და ამიტომაც მთავარ სამიზნედ უნივერსიტეტი და მწერალთა კავშირი გაიხადა.

ეგ ერთი მინიშნება.

მეორეც საგულისხმოა: ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროს (1980-იანი წლები) ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ყველაზე ხშირად სწორედ ორ ეროვნულ ციხესიმაგრეში გამოდიან. ერთია უნივერსიტეტი, მეორე — მწერალთა კავშირი.

აი, თუ რატომ შეუტია სააკაშვილის ხელისუფლებამ ეროვნული ცნობიერების ამ ორ ციტადელს.

გარდა ამისა, სწავლულის აზრით, აქ საქმეში ჩაერია ეკონომიკური ფაქტორიც: თუ ხელისუფლება გამოაცხადებდა, რომ ჩვენი განათლებისა და მეცნიერების დონე დაბალია, ქვეყნის ეკონომიკის შესატყვისი, მაშინ მოგვანიჭებდნენ განვითარებადი ქვეყნის სტატუსს და ხელისუფალთა ჯიბეებში განუწყვეტლივ იღენდა გრანტებისა და დახმარებების ფული. მაშ, **„საზოგადოებაზე საკუთარი დიქტატის დამყარების სურვილი და განათლება-მეცნიერების განვითარების უდაბლესი დონიდან დაწყება არის მიზეზი ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ გამართული ომისა“**, — აცხადებს მკვლევარი (15).

სწორედ ამ მიმართულებით გადაიდგა სხვა ნაბიჯიც: **საშუალო სკოლები საჯარო სკოლებად** გადააქციეს.

მალე „კმარას“ დროშებით უნივერსიტეტს მოადგნენ **თეა თუთბერიძე, ჩიორა თაქთაქიშვილი** და სხვანი (გაიხსენეთ 1920-იანი წლები!). მათ რექტორის გადადგომა მოითხოვეს. დიდმა სამეცნიერო საბჭომ ეს მოთხოვნა უარყო.

გამოჩნდა სასწრაფოდ შეხანხლული უმაღლესი განათლების კანონპროექტი. უნივერსიტეტში იგი განიხილეს, დაადგინეს — **კანონი უვარგისია!** ამან აღაშფოთა განათლების უწიგნური მინისტრი **კ. ლომაია**. ეს სწორედ ის სამარცხვინო ლომაიაა, დაფაზე სწორად რომ ვერაფრით დაწერა **ბავშვი**.

იგი აკეთებს სატელევიზიო კომენტარს: უნივერსიტეტი არისო კორუმპირებული. აქ მომუშავეთ მან უწოდა **უსინდისო, უნამუსო, ისტერიული.** არადა კანონპროექტს განიხილავდნენ **თამაზ გამყრელიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, რისმაგ გორდეზიანი, ჯუმბერ ჭუმბურიძე, გიორგი გოგოლაშვილი და სხვანი.** გამოდის, რომ ცალტვინა კახა ლომაია იყო ბრძენი, მცოდნე, სინდისიერი და ეს კოჰორტა ბრწყინვალე სწავლულებისა – უჭკუო, უცოდინარი, უსინდისო... მალე მინისტრმა დარაზმა თავისი დამქაშები: გიგი თევზაძე, რატი ამაღლობელი, ლ. ბულაძე, ზ. სამადაშვილი (ისევ შევიხსენოთ 1920-30-იანი წლები!). ამ ჯგუფმა დაგმო უნივერსიტეტელთა „რეაქციული" მოქმედება. გარდა უწიგნური კახა ლომაიასი, ვინც უნივერსიტეტს დაუპირისპირდა, ყველა ამ სასწავლებლის აღზრდილი იყო. ამაზე გ. გოგოლაშვილი მარჯვე კომენტარს აკეთებს და მოჰყავს იეთიმ გურჯის შეგონება: „სირცხვილი იმ გუთნისდედას, თავის მამის საფლავს ხნავდეს!" (18).

წინაპართა საფლავების მხვნელებს მალე სააკაშვილიც შეუერთდა და უნივერსიტეტის „ზეპურ მამა-დედათ" უწოდა „წითელი პროფესორები", „მარქსიზმ-ლენინიზმის პროფესორები".

დღეს რომ ქართულ ცხენში ყელმოღერებული ზის, იმ სააკაშვილს მაშინ არც გახსენებია: სწორედ იმ „წითელი" პროფესორების მიგნება-აღმოჩენების მეოხებით მოხდა, რომ საბჭოთა კავშირმა პირველმა გაიყვანა კოსმოსში ადამიანი; არადა დღეს აქსიომადაა მიჩნეული: **განათლების საბჭოთა სისტემა საუკეთესო იყო მთელ მსოფლიოში!**

ამგვარი სამეცნიერო საბჭო ხელს არ აძლევდა მთავრობას. გადააყენეს რექტორი, დაითხოვეს საბჭო. ამიერიდან უნი-

ვერსიტეტის საკვანძო პოსტებზე ინიშნებიან სანდო კადრები, ვინღა აქცევდა ყურადღებას პროფესიონალიზმს, კომპეტენტურობას... ერთი სიტყვით, მთავრობის ხელდასხმით უნივერსიტეტში შეიქმნა დიდი ბაკქანალია! სტუდენტებს მოსყიდული სტუდენტები დაუპირისპირეს. გ. გოგოლაშვილი აღწერს ამ კოშმარულ ხანას და გვიჩვენებს, თუ როგორ იბრძოდნენ ახალი კომკავშირელები დედაუნივერსიტეტის წინააღმდეგ (20-35). იმჟამინდელი ადმინისტრაციულ-ორგანიზატორული ქაოსი რომ მკაფიოდ დაგვიხატოს, სწავლულს მოჰყავს ფაქტები, აანალიზებს მოვლენებს, იხსენებს წარსულ გამოცდილებას. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც სტაბილური იყო, შეარყიეს; ახალი კი ვერაფერი დაამყარეს, არასტაბილურობის გარდა.

ახლა რა დამართეს სამეცნიერო სექტორს: დაიწყეს მისი ლიკვიდაცია. უნივერსიტეტი სასწავლო ცენტრია და არა კვლევითი ინსტიტუტიო. ამით დანახარჯები შეამცირეს (1 800 000 ლარი). დაიგეგმა სამეცნიერო თემების დაფინანსება. აქაც დანერგეს რია-რია და გაუგებრობები. ამ გზითაც ბევრი მეცნიერი ჩამოიშორეს, უხელფასოდ დატოვეს; გააუქმეს ლაბორატორიები, კაბინეტები... და ვინ უწევს ამ პროცესს პროპაგანდას? ისევ უწიგნურები: თეა თუთბერიძე, დავით კირკიტაძე, გიგი თევზაძე და ეს მაშინ, როცა კაბინეტების დახურვა აკად. თ. გამყრელიძემ ივანე ჯავახიშვილის მესამე სიკვდილად შეაფასა (36).

მაშ, ასე: იავარქმნეს რუსთველის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, კრიტიკის ისტორიისა და სხვა კაბინეტები.

გ. გოგოლაშვილი მარჯვედ უდარებს ერთმანეთს 1930-იანი და 2000-იანი წლების დედაუნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს და მათ შორის არსებით სხვაობას ვერ პოულობს (37-38).

შემდეგ მიდის მსჯელობა აქ გამოცხადებულ კონკურსებზე, იმ მიუღებელ უკანონობებზე, რაც მათ თანა სდევდათ (38-44). შემდეგ მსჯელობა გაშლილია ერთიანი ეროვნული გამოცდების ავ-კარგზე (40-55). განათლების მაშინდელი პროგრამისა და კონცეფციის კრიტიკოსი ჩამოთვლის იმ სტატიათა სათაურებს, რომლებიც იმხანად დაიბეჭდა. ამ სათაურთა მიხედვითაც მიხვდება კაცი, რა სავალალო მდგომარეობა შეიქმნა: „ვინ ხელყოფს დედაუნივერსიტეტის დამოუკიდებლობას?“ „უნივერსიტეტი კოლეჯად არ უნდა გადავაქციოთ!“ „რეფორმა ჩიხში შევიდა“; „ვინც ამ ტაძარს გადაარჩენს“; „ბატონი უნივერსიტეტი იღვიძებს“; „ივანე ჯავახიშვილის მესამე სიკვდილი“; „სიკვდილი ბოლონიაში“; „ვივა ბოლონია, ვავა საქართველო!“ „ახალი ათინას წიწამური“ (ამ ბოლო პუბლიკაციებში ნაჩვენებია ბოლონიის პროცესის გაყალბება ახალი რეფორმატორების მიერ).

„არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს“, – ნათქვამია და გაცხადდა კიდეც: „რეფორმატორმა“ გივი თევზაძემ აღიარა: **უნივერსიტეტის საშინელ დღეში ჩაგდებას აფინანსებდა სოროსის ფონდი** (50-51).

ერცელ სტატიაში „ქართული უნივერსიტეტის „წიწამური“, ანუ ჟამი ახალი ბერბიჭაშვილების აღზევებისა“ (53-81), რომელსაც ხელს აწერენ გ. გოგოლაშვილი, მ. ცაცანაშვილი, ა. არაბული, გ. მახარაძე, გამოწვლილვით არის მოთხრობილი უნივერსიტეტის ცხოვრების „ხუბუას პერიოდზე“ (54). ავტორებმა აღნიშნეს: „საქართველოში არის რამდენიმე გვარი, რომლებიც ჩვენს ეროვნულ უბედურებასთან ასოცირდება. მაგალითად, **ყორღანაშვილი... ბერბიჭაშვილი...**“ ერთ ახალ ბერბიჭაშვილად მიიჩნიეს მათ რექტორად მოვლენილი **გ. ხუბუა** (54). შემდეგ წარმოჩენილია ახალი ბერბიჭაშვილის ზნეობრივი სახე.

მერე ნათქვამია: „იმ ტაძარში, სადაც ივანე ჯავახიშვილი ქუდმოხდილი შედიოდა, გ. ხუბუამ პოლიციის ასეულები შემოიყვანა და არაერთხელ დაარბევინა პროფესორები“ (55). მოყვანილია გ. ხუბუასათვის მომაკვდინებელი პარალელები: 2007 წ. ათენის ქუჩებში გამოსული სტუდენტობა პოლიციამ შეავიწროვა. ახალგაზრდებმა თავი უნივერსიტეტს შეაფარეს. პოლიციამ იქ შესვლა ვერ გაბედა; 1989 წ. 9 აპრილის ტრაგედიის დღეებში რუსეთის იმპერიის ჯალათებმა უნივერსიტეტის ეზოში შესვლა არ იკადრეს. ხუბუამ კი იკადრა და შეიარაღებული ხალხის მეშვეობით აიღო თეთრი ტაძარი (55).

მერე შენიშნულია:

ივ. ჯავახიშვილი მარტო დადიოდა. ხუბუა დაცვის დახმარებით გადაადგილდება. ვის სჭირდება ასეთი რექტორი?!

შემდეგ ნაჩვენებია ხუბუას ცრუპენტელობა და არაკომპეტენტურობა. იგი აცხადებდა, მე ვარ კანონიერად არჩეული პირველი რექტორიო. არც იმისი შერცხვენია, ვინ იდგნენ მის წინ:

ალექსანდრე ჯანელიძე,
გიორგი ძოწენიძე,
ნიკო კეცხოველი,
ვიქტორ კუპრაძე,
ევგენი ხარაძე,
ილია ვეკუა...
როინ მეტრეველი...

და ამ სიას აგვირგვინებს სამარცხვინო **გ. ხუბუა**! იგი სინამდვილეში შავი საქმეების საკეთებლად დანიშნეს, და არ აურჩევიათ. პროფ. გ. შარაძემ მას უჩივლა. მას უკან უნივერსიტეტში მოსამართლეთა თანხლებით დადიოდა... (57). კათა-

ლიკოსმა მას სწორ გზაზე მიუთითა, მაგრამ უწმინდესს არ დაუჯერა და მაინც თავისი უკეთური გზა გააგრძელა (57). იურისტმა ხუბუამ ყალბისმქმნელობაც იკადრა და „სააღმსრულებლო ფურცელი“ შეაცვლევინა (58).

გ. ხუბუას არც კი აინტერესებდა, თუ რატომ მოხდა, რომ სხვა უნივერსიტეტებში 5 პროცენტით შემცირდა აკადემიური შემადგენლობა, დედაუნივერსიტეტში კი – მთელი 80 პროცენტით! ამ პროცესის ერთ-ერთი აქტიური ხელშემწყობი თვითონვე აღმოჩნდა. ის „პირნათლად“ ასრულებდა არაეროვნული მთავრობის გეგმას (61). შემდეგ აღწერილია, თუ როგორ დაატყვევა (სააქტო დარბაზში გამოკეტა) გ. ხუბუამ პროფესორთა ერთი ჯგუფი (62). მოგვიანებით მისი ტყუილები ამხილეს მზექალა შანიძემ და სხვებმა (63), მაგრამ მან იხტიბარი მაინც არ გაიტეხა. ბოლოს იქამდეც კი მივიდა, რომ რამდენიმე პროფესორს, რომლებიც მის გადადგომას მოითხოვდნენ, სასამართლოში უჩივლა, ხოლო პროცესზე გამოცხადება ვერ გაბედა (65).

ყველაფრიდან ჩანდა, ხუბუა ცუდად დაასრულებდა თავის საავკაცო გზას. აკი ასეც მოხდა: **გ. ხუბუას სახელი სამარადისოდ დაუკავშირდა დედაუნივერსიტეტის შავბნელ ხანას.**

ამ კაცის პირველი ბრძანება **იყო ქართული ენის ინსტიტუტის გაუქმება** (68-69). სასწავლო პროცესის „რეფორმა“, უწინარეს ყოვლისა, ქართულ ენას შეეხო; ხუბუა თავგამოდებით ებრძოდა ქართულს... მან არ ჩაატარა ი. ყიფშიძის, აკ. შანიძის იუბილეები; სხვა კათედრებს რომ ოთხი პროფესორის შტატი მიარგუნა, ქართული ენის ორ კათედრას – ერთი (70).

ამრიგად, ანტიეროვნულ პროცესებს დიდი ავალა მიეცა და ამ „რეფორმებს“ სათავეში ჩაუდგა გ. ხუბუა.

წიგნში ნაჩვენებია იურისტი რექტორის კანონსაწინააღმდეგო ქმედებები (72-73). იქვე აღწერილია მის მიერ ჩატარებული კონკურსის მთელი უსამუსობა და უსამართლობა. ერთგან მოყვანილია ხუბუას ნაშრომის ადგილი: **„უნდა შესრულდეს ზემდგომი თანამდებობის პირის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მითითებებიც“** (78).

ასევე არივ-დარია ხუბუამ საკადრო პოლიტიკის, სასწავლო გეგმების, პროგრამების საკითხები (80).

გ. გოგოლაშვილი და მისი თანამოკალმენი დარწმუნებული არიან: მათ მიერ გაკრიტიკებული პირი დააგვირგვინებს ცნობილ ვაირექტორთა სიას: **თედო ღლონტი, კარლო ორაგველიძე... გია ხუბუა.**

წიგნში შეტანილია გ. გოგოლაშვილის წერილები, გამოქვეყნებული სხვადასხვა ორგანოში. მათი სათაურებიც კი იძლევა წარმოდგენას საქმის არსზე: „ჯავახიშვილის უნივერსიტეტი თუ ხუბუას დაწესებულება?“ (82) „ტყუილი გ. ხუბუას პროფესიულ ჩვევად გადაექცა“ (83), „დადგა დრო, დავიბრუნოთ უნივერსიტეტი“, „უნივერსიტეტი ისევ იმ რელსებზე დგას, ლომაიამ რომ შეაყენა“, „უნივერსიტეტი შველას ითხოვს ხელისუფლებისაგან“, „დანგრეული უნივერსიტეტი და გაყიდული სინდისი“...

საერთოდ კი გ. გოგოლაშვილს ამ თემაზე სულ ცოტა ოცდაათი პუბლიკაცია ეკუთვნის.

ამავე წიგნში მოთავსებულია სხვადასხვა ორგანოში დაბეჭდილი წერილები, შენიშვნები, რეპლიკები მითითებულ თემაზე. განსაკუთრებით საქმიანია „საუნივერსიტეტო დარბაზის“

შეკრებები (ამ დარბაზის შექმნის ინიციატორი და თაყვაცი გ. გოგოლაშვილი იყო) და იქ გაჟღერებული მოთხოვნები (123, 126, 129, 132, 134, 145, 148, 151...); აქვე იბეჭდება ინტერვიუები გ. გოგოლაშვილთან (160), მარიამ ცაცანაშვილთან (165); გ. გოგოლაშვილის, კ. ჯანდიერის (193), თ. ნანეიშვილის (197), გ. შურღაიას (204) წერილები თუ მოსაზრებანი; წიგნში გამოქვეყნებულია პრესრელიზები, დანართები, სასამართლოს დადგენილებანი, სასამართლო სხდომათა ოქმები...

ამ ფოლიანტის წამკითხველი რწმუნდება:

ნაცისტურ მთავრობას, გ. ხუბუასა და მათ დამქაშებს მიზნად დაუსახავთ უნივერსიტეტის ნგრევა. ამ პროცესის წინააღმდეგ ამხედრებულთა შორის ერთ-ერთი აქტიური პიროვნებაა პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი. ამ ორი მხარის ურთიერთშებრძოლების პერიპეტიები გამოწვლილვით არის გაანალიზებული სქელტანიან წიგნში, რომელიც გ. გოგოლაშვილმა საბრალდებო დასკვნად დაუტოვა ანტიეროვნულ ძალებსა და შთამომავლობას; ნათლად იკვეთება პროფესორის ორმაგი ღვაწლი: ა) აქტიური ბრძოლა ანტიუნივერსიტეტული ძალების წინააღმდეგ; ბ) უნივერსიტეტის ძნელბედობის ხანის (2004-2013) მოდასტურე ფაქტების, დოკუმენტების, მოვლენების აღწერა, გაანალიზება და გამომზევება, ისტორიისათვის შემონახვა.

„დაე, იცოდეს ისტორიამ!“ – ასე განსაზღვრა ავტორმა ამ წიგნის გამოცემის მიზანი.

საზოგადოებრივი მოღვაწეობა

ა) „ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება“

გიორგი გოგოლაშვილი 40-ზე მეტი წიგნისა და 400-ზე მეტი სტატიის ავტორია. იგი ერთ-ერთი მეტად ნაყოფიერი მკვლევარია, ოღონდ გაგაოცებთ ერთი რამ: მისი წიგნების სიას თუ გადავხედავთ, შევამჩნევთ – 1992-დან 2000 წლამდე მხოლოდ ერთი წიგნი აქვს გამოცემული.

რატომ გამოდგა ეგ პერიოდი ასე არაპროდუქტიული?

საქმე ისაა, რომ 1993 წელს გარდაიცვალა გ. გოგოლაშვილისა და ყველა ფილოლოგოსის გულითადი მეგობარი, წესიერებითა და პატიოსნებით გამორჩეული პროფესორი, ბევრი ჩვენგანის მასწავლებელი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ბესიკ ჯორბენაძე.

ბ-ნი ბესარიონი გ. გოგოლაშვილის მასწავლებელიც იყო და უფროსიც. იმხანად გოგოლაშვილი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გახლდათ.

ყველას ახსოვს ის დრო: ბესიკ ჯორბენაძის სიკვდილი დიდ დანაკლისად შეფასდა... მთელი თბილისი გლოვობდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა პროფესორმა 10 სოლიდური მონოგრაფია დატოვა, ხოლო მისი „ქართული დიალექტოლოგია“ დღემდე რჩება შეუცვლელ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოდ. ამ ფაქტმა გულის ძირამდე შეძრა ყოფილი სტუდენტი. იგი, როგორც დირექტორის მოადგილე, განსვენებული მეცნიერის მოწაფეთა, მეგობართა და გულშემატკივართა თანადგომით

აარსებს „ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოებას“. მას მრავალი მიზანი დაუსახეს. მათ შორის ერთი მთავარი იყო ადრე წასული მეცნიერის ნაშრომების მოვლა-პატრონობა, დასისტემება და გამოცემა. აქ უნდა გაერთიანებულიყო უკვე გამოცემული და ხელნაწერული მემკვიდრეობა. გაიშალა სათანადო მუშაობა: აღიწერა განსვენებულის არქივი, თავი მოეყარა და დასისტემდა ხელნაწერები, გადაიბეჭდა და მომზადდა გამოსაცემად. ასე და ამგვარად, ენათმეცნიერება გამდიდრდა პირველხარისხოვანი სამეცნიერო შრომებით:

1. 1995 წელს რედაქტორის ხარჯით გამოვიდა „ქართული ენის მორფოლოგია; პროგრამა-პროსპექტი“ (80 გვ.). აღსანიშნავია: ეს პროსპექტი ბ. ჯორბენაძემ შეადგინა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დავალებით, რაკიღა განზრახული იყო „ქართული ენის მორფოლოგიის“ აკადემიური კურსის შექმნა, მისთვის ბ. ჯორბენაძეს უნდა ეხელმძღვანელა... ეგ სამუშაო შემდგომ გ. გოგოლაშვილს დაევალა და აი, 2011 და 2016 წლებში ის კიდევაც გამოიცა. „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“, ტ. I, სალიტერატურო ენა, 830 გვ. გამოვიდა 2011, ხოლო ტ. II, დიალექტების მორფოლოგია, 916 გვ. გამოიცა 2016 წელს.

2. 1995 წელსვე გამოვიდა მონოგრაფია „ქართველურ ენათა დიალექტები“ (448 გვ.). ფაქტობრივად ეს გახლავთ პირველი კრებსითი მონოგრაფია ქართველური ენების დიალექტების ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის საკვანძო საკითხებზე...

3. 1997 წელს დაიბეჭდა „ენა და კულტურა“ (202 გვ.). სხვათა შორის, 1991-1992 წლების უნივერსიტეტში

სწორედ ბ. ჯორბენაძე კითხულობდა აღნიშნულ კურსს. გ. გოგოლაშვილს ბევრი ეუბნებოდა: კარგ სამადლო საქმეს აკეთებ, ოღონდ შენს შემოქმედებასაც მიხედეო! ოღონდ პირმართალმა შეგირდმა ოსტატის ხსოვნას ვერ უღალატა... კეთილ მრჩევლებს კი ღიმილით უპასუხებდა: ბესიკი ჩემზე უკეთეს წიგნებსა წერდაო...

4. 1998 წ. დაისტამბა ჯორბენაძის „ქართული დიალექტოლოგიის“ II ტომი (675 გვ.). ამ ტომის მომზადება და გამოშვება გამოდგა ერთობ მძიმე სამუშაო რედაქტორ-გამომცემლებისათვის. მსგავსი პიონერული საქმე პირველად შესრულდა ჩვენში. აქ ქართული ენის დიალექტების ფონეტიკის კრებსითი ანალიზია მთავარი.

5. 1999 წელს გამოჩნდა „პოეზიის ენა“ (104 გვ.). ეს ბ. ჯორბენაძის ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი უნდა იყოს. ავტორის ფიქრით, მხატვრული ტექსტის წარმატებით შესწავლა სამი დარგის: ესთეტიკის, ლიტთეორიისა და ენათმეცნიერების მონაცემთა მომარჯვებითაა შესაძლებელი.

6. ცოტა მოგვიანებით, 2014 წელს, დაისტამბა „სახელური ფუძეების ლექსიკონი“ (866 გვ.). მისი რედაქტორია გ. გოგოლაშვილი. ფოლიანტზე თავდადებით იმუშავეს თანაავტორებმა ნანა ლოლაძემ და მარინე კიკონიშვილმა.

7. გარდა ამ წიგნებისა, დღემდე განსვენებული მეცნიერის 20-მდე სტატია მოიძიეს, აღადგინეს, შეავსეს, დააზუსტეს, გამოაქვეყნეს და ყველა მათგანს თვალი შეავლო, ხელი შეაშველა და გული გააყოლა ავტორის მოსწავლემ, თანამოსაგრემ და მიმდევარმა.

8. პროფ. გოგოლაშვილმა „გადმოიბარა“ ბ. ჯორბენაძის რამდენიმე ასპირანტი და მათ ბოლომდე უხელმძღვანელა, სწორედ ისე, როგორც ამას აღასრულებდა თავად განსვენებული.

9. ბ. ჯორბენაძისა და გ. გოგოლაშვილის ინიციატივით ტრადიციად იქცა თელავის უნივერსიტეტთან ერთად სამეცნიერო კონფერენციების („კლასიკოსთა გაკვეთილები“) გამართვა. ამ საქმეში იაქტიურეს თელაველმა კოლეგებმა როინ ჭიკაძემ და ივანე ქეშიკაშვილმა. ორი კონფერენცია თვით ბ. ჯორბენაძის სიცოცხლეშივე მოესწრო. 1993 წლიდან კი ამ საქმეს თავკაცობენ გ. გოგოლაშვილი და რ. ჭიკაძე. უკვე 30-მდე კლასიკოსის „გაკვეთილი“ ჩატარდა.

მსგავს კონფერენციას საქართველოში ანალოგი არ მოეძებნება!

საგულისხმოა, რომ გ. გოგოლაშვილმა გამოსცა „კლასიკოსთა გაკვეთილების“ ბიბლიოგრაფია. აქ კარგად გამოჩნდა ღონისძიებათა მასშტაბები და საინტერესო თემატიკა...

10. პროფესორმა დააფუძნა და „ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების“ სახელით გამოსცემს სამეცნიერო კრებულს „საენათმეცნიერო ძიებანი“ (მთავარი რედაქტორი და გამომცემელია გ. გოგოლაშვილი).

1994 წლიდან დღემდე გამოსულია 43 ნომერი.

11. „ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება“ აქტიურად მუშაობს. აქ ჩატარდა 12 სამეცნიერო კონფერენცია; საზოგადოების გრიფით დაარსდა „აბიტურიენტის ბიბლიოთეკა“; მომზადდა და გამოქვეყნდა 30-მდე ბროშურა ქართულ ენასა და ლიტერატურაში...

ამავე საზოგადოების გრიფით გამოვიდა რამდენიმე წიგნი. ისინი მიეძღვნა ბ. ჯორბენაძის ხსოვნას.

2003 წელს გ. გოგოლაშვილმა შეადგინა და გამოსცა წიგნი „ბესარიონ ჯორბენაძე – პიროვნება, მეცნიერი, მოღვაწე“ (334 გვ.). აქ საკმაოდ სრულად არის წარმოჩენილი ამ ნათელი პიროვნების სამეცნიერო, საორგანიზაციო, საზოგადოებრივი საქმიანობა.

„ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება“ აგრძელებს თავის საქმიანობას და, როგორცა ჩანს, მას მანამდე არ მოაკლდება კეთილი თვალი, მზრუნველი ხელი და მხურვალე გული, ვიდრე პროფესორ გიორგი გოგოლაშვილს სული უდგას.

ბ) იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება

ზემოთ ვთქვიო, რომ იაკობის „დედაენას“ თავგამოდებით ებრძოდნენ საგანმანათლებლო ასპარეზზე გამოჩენისთანავე. ეს ბრძოლა გაგრძელდა მე-20 საუკუნეშიც; განსაკუთრებით გამწვავდა 90-იან წლებში და ამ საუკუნის დასაწყისში. ბრძოლის საფუძველი თავად იაკობმა განმარტა: „სახსრის ტრფიალი და კუჭის პრინციპი“. სახელმძღვანელოების ბიზნესი ძალიან სარფიანი იყო ყოველთვის; ამიტომ გამომცემლები „ქირაობდნენ“ „ავტორებს“, იწყებდნენ იაკობის შედევრის ჭრაკერვას, (ანუ: მიტაცებასა და წახდენას)... შეშფოთდნენ ეროვნული სკოლის გულშემატკივრები, იაკობისა და მისი „დედაენის“ ქომაგები და დაიწყო იაკობის „დედაენის“ გადარჩენის გზების ძიება.

სწორედ ამ პერიოდში პროფესორი გოგოლაშვილი გაეცნო დეკანოზ კონსტანტინე გიორგაძეს, იაკობ გოგებაშვილის

ღვაწლის ჭეშმარიტ შემფასებელსა და დამფასებელს. გადაწყვიტეს, დაეარსებინათ იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება, რომელიც იზრუნებდა წარმოქმნილი პრობლემების მოსაგვარებლად. მათ შემოიკრიბეს თანამოაზრეები, მიიღეს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, **ილია II-ის** ლოცვა-კურთხევა და **2007 წელს** დააარსეს **„იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება“**. საზოგადოების დამფუძნებლები იყვნენ:

ანა კალანდაძე,
ეპისკოპოსი სტეფანე კალაიჯიშვილი,
დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე,
ავთანდილ არაბული,
გიორგი გოგოლაშვილი,
მიხეილ ქურდიანი,
იოსებ ჯუმბურიძე.

მამა კონსტანტინეს სურვილი იყო, გ. გოგოლაშვილი ყოფილიყო საზოგადოების თავმჯდომარე, მაგრამ გოგოლაშვილის წინადადებამ გაიმარჯვა: „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების“ თავმჯდომარედ მამა კონსტანტინე აირჩიეს; გ. გოგოლაშვილი – თანათავმჯდომარეობას დასჯერდა... ისინი, როგორც ღიმილით იტყოდნენ ხოლმე, „საზოგადოებას „ჯვრითა“ და „მახვილით“ მიუძღოდნენ „ბრძოლის ველზე“...

გოგებაშვილის საზოგადოებამ უმთავრეს მიზნად დაისახა იაკობის „დედაენის“ (და შეძლებისდაგვარად იაკობის მემკვიდრეობის) მოვლა-პატრონობა; **სკოლას უნდა დაბრუნებოდა „დედაენა“ იაკობის ავტორობით;** წერტილი უნდა დასმოდა ი. გოგებაშვილის ინტელექტუალური საკუთრების მითვისებას, გენი-

ოსის შემოქმედების მწვერვალის ხელყოფას... რთული იყო არსებული წინააღმდეგობის დაძლევა; ამისათვის საჭირო გახდა „ზურგის შემაგრება“ და დაიწყეს საამისო გზების ძიება...

2007 წელს საქართველომ ხელი მოაწერა **იუნესკოს კონვენციას** „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“... გოგებაშვილის საზოგადოებამ ისარგებლა ამ ფაქტით და მიმართა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, „დედაენისათვის“ (საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდისათვის) **მიენიჭებინა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი**; ეს იქნებოდა მეტ-ნაკლები გარანტია „დედაენის“ ხელუხლებლობისა: საერთაშორისო კონვენცია დაავალდებულებდა კონვენციაზე ხელისმომწერ სახელმწიფოს, ეზრუნა ძეგლის დაცვასა და სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცებაზე.

მაგრამ გაჭირდა „დედაენისათვის“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოპოვება. მიუხედავად გოგებაშვილის საზოგადოების გამუდმებული მცდელობისა, აქტიურობისა, ექვსი წლის განმავლობაში კულტურის სამინისტრო „დედაენისკენ“ ვერ გამოახედეს...

არადა გამრავლდა „დედაენები“... სკოლებში სრული ქაოსია. საჭირო იყო მოქმედი „დედაენების“ ავ-კარგის წარმოჩენა, რომ გოგებაშვილის შედევრზე „ნადირობა“ შეეჩერებინათ. გ. გოგოლაშვილის ინიციატივით ამისათვის 2008 წელს გოგებაშვილის საზოგადოებამ მოამზადა და ჩაატარა **სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია**, რომლის თემა იყო „იაკობის „დედაენა“ და თანამედროვე ქართული სკოლა“... კონფერენცია კლასიკურ გიმნაზიაში ჩატარდა. საქმეში ჩართეს ფსიქოლოგე-

ბი, ფილოლოგები, მწერლები და ოფთალმოლოგიც კი... გოგოლაშვილმა კონფერენციაზე სამი მოხსენება წაიკითხა: „დედაენა – იაკობის სიტყვაშემოქმედების ნაყოფი“, „შენიშვნები „დედაენათა“ საანბანე ნაწილის თაობაზე“ და „ვისია „დედაენა“?

განხილვის საგნად იქცა (კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს) იმ დროს არსებული „ი. გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით“ შედგენილი 10-ზე მეტი საანბანე წიგნი (ყველას „დედაენა“ ერქვა!). კონფერენციის შედეგი ის იყო, რომ არსებობა შეწყვიტა რამდენიმე „მიხედვით შედგენილმა“ „დედაენამ“...

ეს იყო ნაბიჯი გამარჯვებისაკენ, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი.

განათლების სამინისტრომ 2009 წელს გამოაცხადა კონკურსი საანბანე სახელმძღვანელოზე. გოგებაშვილის საზოგადოების მიერ შექმნილმა ჯგუფმა მოამზადა და საკონკურსოდ წარადგინა იაკობის „დედაენა“; გ. გოგოლაშვილი კონსულტანტი იყო ამ გამოცემისა. სამინისტრომ კონკურსს ვერ გაართვა თავი და სკონკურსოდ წარდგენილ ათივე სახელმძღვანელოს (!) მიანიჭა გრიფი... ასე თუ ისე, იაკობის „დედაენა“ 2010 წელს სკოლაში შევიდა...

არჩევანი სკოლებს უნდა გაეკეთებინათ... აქ კვლავ პრობლემამ იჩინა თავი – ისევ ამოქმედდა „სახსრის ტრფიალისა და კუჭის პრინციპი“; დატრიალდნენ „ავტორ“-გამომცემლები და... დეკანოზი კონსტანტინე და პროფესორი გოგოლაშვილი იძულებული გახდნენ, ჩარეულიყვნენ ამ პროცესში: „ჯვრითა და მახვილით“ მთელი საქართველო შემოიარეს და

სკოლებს გოგებაშვილის წიგნის უპირატესობაში არწმუნებდნენ...

მაგრამ... მომდევნო წელს მინისტრის (დ. შაშკინის) გადაწყვეტილებით იაკობის „დედაენა“ ხმარებიდან ამოაგდეს...

გ. გოგოლაშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა მთელი ძალისხმევა იქითკენ მიმართეს, რომ იაკობის „დედაენისთვის“ მოეპოვებინათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ეს დააჯალდებულებდა სახელმწიფოს, ეზრუნა მის დაცვაზე...

საბედნიეროდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა სასიკეთო ცვლილებანი... როგორც იქნა, შვიდწლიანი ბრძოლის შემდეგ მიზანს მიაღწიეს:

2013 წლის 12 მარტს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის – **გურამ ოდიშარიას** – ბრძანებით **„დედაენას“** (ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ი. გოგებაშვილისეულ მეთოდს) მიენიჭა **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი;**

2014 წლის 14 აპრილს **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს** – **„დედაენას“** (ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ი. გოგებაშვილისეულ მეთოდს) საქართველოს მთავრობის დადგენილებით **განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია** (გოგებაშვილის საზოგადოების თხოვნით, დასკვნა მოამზადა და მთავრობასთან იშუამდგომლა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ); ასეთი სტატუსი ეროვნული ძეგლისა იმჟამად ხუთიოდეს ჰქონდა!..

ეს სერიოზული გამარჯვება იყო, მაგრამ არასაკმარისი – „სახსრის მოტრფიალეთ“ არ ეთმობათ ძარცვით მოპოვებული

სხვისი ნაშრომ-ნაჯაფი... „დედაენის“ დაცვისათვის საჭირო გახდა მეტი გარანტია და დაიწყო ბრძოლა ახალი იდეის განსახორციელებლად: რადგან ანბანის შესწავლის მეთოდი ძეგლად აქციეს, დაიწყეს იმაზე ზრუნვა, რათა ქართული ანბანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადებულიყო; ოცნებობდნენ, მოეპოვებინათ იუნესკოს მხარდაჭერაც... იგულისხმებოდა, რომ „დედაენა“ ამ ნომინაციის ძირითადი ელემენტი იქნებოდა. მავანნი უიმედოდაც კი უყურებდნენ ამ ინიციატივას... მაგრამ გოგებაშვილის საზოგადოების ძალისხმევამ, მხადამჭერთა (ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საპატრიარქო, ხელნაწერთა ინსტიტუტი...) თანადგომამ შედეგი გამოიღო:

2014 წელს ი. გოგებაშვილის საზოგადოებამ ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად ინიციატივით მიმართა კულტურის სამინისტროს, **„ქართული ანბანის სამი საუკუნის ცოცხალი კულტურისათვის“** მიენიჭებინა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

2015 წელს „ქართული ანბანის სამი საუკუნის ცოცხალ კულტურას“ მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია (**„დედაენა“ ამ ნომინაციის ერთი ძირითადი ელემენტია!**); ამავე წელს ეს ეროვნული ძეგლი წარდგენილ იქნა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში ნომინირებისათვის.

2016 წლის 30 ნოემბერს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამთავრობათაშორისო

კომიტეტმა მე-11 სესიაზე ადის-აბებაში (ეთიოპია) „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ **საკაცობრიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა და შეიტანა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში.** დღემდე ასეთი პატივი მსოფლიოს არცერთ ანბანს არ ღირსებია (შესაბამისად, არც საანბანე წიგნს!).

„სახსრის ტრფიალითა და კუჭის პრინციპით“ აღგზნებული გამომცემლები და ფსევდოავტორები გაცოფებულები გააქტიურდნენ – რეალურად მათ ეკრძალებოდათ „ძეგლის“ გადაკეთ-გადმოკეთება... ნაცმოძრაობის დეპუტატები დაიყენეს გვერდით და თავიანთი ნაცოდვილარის (ნაალაფარის) დასაცავად შეუტიეს გოგებაშვილს. ამ დროისათვის სკოლებში ორი სახის ცრუდედაენებია; ერთნი – შეცვლილ-დამახინჯებული ვარიანტი გოგებაშვილისა და მეორენი – ორიგინალურნი. ეს უკანასკნელია საინტერესო: ერთი პირველ გაკვეთილად „აკვარიუმს“ სთავაზობს მოზარდს; მეორე – „ასკილს“, მესამე – „აი მე“-ს!.. არ ვხუმრობ, ესენი ებრძვიან „აი იას“... და, სამწუხაროდ, კერძო ინტერესებით შეპყრობილი პედაგოგები „აი იას“ „ასკილს“ და „აკვარიუმს“ ამჯობინებენ და იჩაგრება მოზარდი... თურაშაულის პატრონები ეძებენ პანტას, ხოლო გოგოლაშვილი და ძმანი მისნი იცავენ „თურაშაულს“... ბრძოლა უფრო გამწვავდა... ვთქვით, პოლიტიკოსები დაიყენეს გვერდით; ერთნი ნაძარცვის შენარჩუნებას ცდილობენ, მეორენი – საარჩევნოდ ხმების მოპოვებას და იწირება ბავშვის ინტერესი.... ამიტომაც „გოგებაშვილისტებმა“ გადაწყვიტეს, ეზრუნათ „დე-

დაენის“ დაცვის საკანონმდებლო უზრუნველყოფაზე. ისევ ფაქტები:

2019 წლის აპრილში გოგებაშვილის საზოგადოების ინიციატივით პარლამენტმა დაამტკიცა **ცვლილება „ზოგადი განათლების“ კანონში** იმის შესახებ, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საფუძველზე სახელმძღვანელოს შეიმუშავებს და გრიფირებისათვის წარადგენს **სპეციალიზებული კომისია;** კომისია იქნება მუდმივმოქმედი და კომპლექსური (ამ ცვლილებას „დედაენის“ კანონის სახელითაც მოიხსენიებენ). კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საფუძველზე შედგენილი ნებისმიერი სახელმძღვანელო მხოლოდ ამ კომისიის დასკვნის საფუძველზე გადაეცემა გრიფირებისათვის...

2019 წლის აპრილში განათლების მინისტრ მიხეილ ბატიაშვილის ბრძანებით შეიქმნა სპეციალიზებული კომისია (თავმჯდომარე – განათლების მინისტრი, მოადგილე – ა. არაბული, წევრები – დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე, გ. გოგოლაშვილი და სხვ...); კომისიამ ი. გოგებაშვილის „დედაენის“ 1912 წლის გამოცემის საფუძველზე მოამზადა ახალი სახელმძღვანელო „დედაენისა“: მოსწავლის წიგნი (I და II ნაწილი), მოსწავლის რვეული, წერის დედანი და მასწავლებლის წიგნი... და ამ წლიდან საქართველოს ყველა საჯარო სკოლის პირველკლასელი საჩუქრად იღებს სახელმძღვანელოს – **„დედაენა“, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ.** უკანასკნელად 1925 წელს გამოვიდა ასეთი „დედაენა“... იაკობის სული ზეიმობს...

იაკობის „დედაენა“ გადარჩა! – ღიმილით იხსენებს გიორგი გოგოლაშვილი ამ „ბრძოლის“ პერიპეტიებს და სიამა-

ყით ამბობს, რომ ეს გამარჯვება არის გვირგვინი ამ სფეროში მისი მოღვაწეობისა...

ჭეშმარიტად, გ. გოგოლაშვილისა და ძმათა მისთა მიერ დაფუძნებული გოგებაშვილის საზოგადოების სასახელოდ ესეც იკმარებდა!..

გ) ორგანო „ბურჯი ეროვნებისა“:

1995 წლიდან გ. გოგოლაშვილის ინიციატივით შეიქმნა სრულიად ახალი გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“. ეგ საინტერესო სინტაგმა, რომელიც **ქართულ ენას** გულისხმობს, იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის. ყოველ გაზეთს თავისი დევიზი ამშვენებს, მის მიმართულება-სულისკვეთებას რომ გვიჩვენებს. ამ ორგანოს დევიზიც იაკობის ცნობილი ციტატაა: „უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა“.

ამრიგად, ამ მედიასაშუალების მიზანი ნათელია: სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობა; მისი ნორმების დადგენა-დაცვა; ენის სიწმინდეზე ზრუნვა; ენის ამაგდართა წარმოჩენა, მათთვის პატივის მიგება; სანიმუშო წერა-მეტყველების წახალისება. გაზეთი აქტიურად თანამშრომლობდა პროფესორ-მასწავლებლებთან, საუკეთესო მოქართულეებთან; აქვეყნებდა რეცენზიებს, გამოხმაურებებს, შენიშვნებს, რეპლიკებს... სულ გამოვიდა 29 ნომერი. 1998 წ. იანვრიდან იგი გადაკეთდა ყოველთვიურ ჟურნალად; გამოდიოდა 2006 წლამდე. სულ გამოიცა 96 ნომერი. იმ დროისათვის ხელისუფლებაში მოსულმა ანტიეროვნულმა ძალებმა მ. სააკაშვილის ძეთაურობით დიდი პრობლემები შეუქმნეს და, ბუნებრივია, ეროვნული ხაზის გამტარებელი ჟურნალიც წყვეტს არსებობას. ეს სწორედ ის

დროა, როცა თავიანთი ბუდეებიდან გამოყარეს დაუმორჩილებელი ორგანოები: „საქართველოს რესპუბლიკა“, „რეზონანსი“, „ასავალ-დასავალი“...

ამ მედიასაშუალებამ რაც იაქტიურა, რაც გააკეთა, ასე შეაფასა იოსებ ჭუმბურიძემ: „ბურჯი ეროვნებისა“ მოურიდებლად ამხელს ქართული ენის სიწმინდის, მისი სახელმწიფოებრივი სტატუსის შებღალვის, იაკობის „დედაენის“ უღვთოდ გადაკეთების ფაქტებს; არ ერიდება ავტორიტეტებს, რადგან ქართულ ენაზე დიდი ავტორიტეტი მისთვის არ არსებობს. ასე იბრძოლა მან საქართველოში (ბაზალეთში) თურქული უნივერსიტეტის გახსნის წინააღმდეგ; სასკოლო პროგრამებში ქართული ენის კანონიერი უფლებების აღსადგენად; დედაქალაქსა და მთელს საქართველოში ესოდენ მომრავლებულ რეკლამებზე ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის ასახვისათვის...“

ჟურნალი და მისი „პატრონი“ დიდხანს და მედგრად აკრიტიკებდნენ სატელევიზიო გადაცემათა სათაურებს, რომლებიც აგებული გახლდათ პირწმინდად უცხო ენათა ყაიდაზე ანდა უცხოურ სიტყვათა ერთობლიობაზე...

ამ ეროვნულ საქმეთა აღსრულებისას ჟურნალს არაერთი ორგანო გამოექომაგა, მხარი დაუჭირა, ქების სიტყვა არ დაიზარა. მათ შორისაა „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელშიც მე, მურმან თავდიშვილს, მიმყავს რუბრიკა „ვაიმე, ენავ!“ კერძოდ, ჩვენი კორესპონდენტი ლალი ქინქლაძე წერდა: ჟურნალი საჭირბოროტო თემებზე მოგვითხრობს, კეთილ თესლსა თესავს, მის საქმიანობას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვსო.

საგულისხმოა: ამ ორგანოს გავლენა არ შემოფარგლულა თბილისის რეგიონით. „ახალ ქუთაისში“ აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანის მოადგილე ლუკა დვალიშვილი ბრძანებდა: „ბურჯი ეროვნებისა“ არისო ქართული ცნობიერების ციტადელი. მასვე ეკუთვნის ფრაზა: „ბურჯი ეროვნებისა“ გიორგი გოგოლაშვილის კაცობის ლამპარია“; თავისებურად საინტერესოა ეკა ბუჯიაშვილის წერილის თვით სათაურიც კი – „წაღმართული საქმე უკუღმართობათა ფონზე“. იგი „თბილისში“ დაიბეჭდა. მასში ავტორი მხარს უჭერს ჟურნალსა და მის რედაქტორს, რომ ძველ ქართველ კლასიკოსთა თანამედროვე ქართულზე „თარგმნა“ მიუღებელია. ჟურნალს გამოეხმაურნენ სიღნაღში, ფოთში, გორში... ყველგან მიმოიხილავდნენ აქ დასტამბულ მასალებს, მსჯელობდნენ მშობლიური ენის შველის გზებსა და საშუალებებზე, ამართლებდნენ და მოსწონდათ ამ მედიასაშუალების გეზი და მიმართულება. გამომსვლელთა შორის გახლდათ ბევრი ცნობილი პიროვნება: პროფ. გენადი ბურჭულაძე, პროფ. შოთა ქურდაძე, პროფ. ვენერა სომხიშვილი და სხვები. პროფ. გ. წიბახაშვილმა რედაქტორს „ბურჯის ბურჯი“ უწოდა...

ყველგან და მუდამ დადებითად აფასებდნენ პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის, როგორც საზოგადო მოღვაწის, საქმიანობას, ამ მხრივ მის ორგანიზატორულ უნარს.

ჯუთისოფლის საინტერესო სტუმარი

მომავალი ენათმეცნიერი დაიბადა 1948 წლის 24 ივლისს სოფ. კურსებში.

კურსები შუა იმერეთშია, ოკრიბაში, ქუთაისიდან ათიოდე კილომეტრში. აი, ავტომანქანა სწრაფად გაივლის ქუთაისს, მოწამეთას, გელათსა და კურსების სანახებიც გამოჩნდება. გიორგი გოგოლაშვილი როცა გაჩნდა, მაშინ ეს სამი სოფელი ერთ სასოფლო საბჭოს შეადგენდა.

წყალწითელა — რა ლამაზი სახელია, ოღონდ არა მარტო სახელი. იგი წელიწადის ყოველ დროს ტურფა და ლამაზია. სოფელი კურსები კი სწორედ წყალწითელას ხეობაშია. ზაფხულობით აქ გადასარევი ნიავი იცის. მსოფლიოს დედაქალაქ პარიზში რომ ნიავების გამოფენა მოეწყოს, იქ პირველ ადგილს უსათუოდ წყალწითელას ხეობის ნიავი აიღებდა.

გოგოლაშვილთა გვარი ტრადიციულია: გოგოლასშვილი. იგი ისტორიულ წყაროებში ჩნდება XVI საუკუნიდან. კურსებიც ისტორიული სახელია.

მამით, დედით, უახლოესი წინაპრებით სუფთა იმერელი ყმაწვილი და მისი დაი ამ სამოთხისდარ მხარეში იზრდებოდნენ.

ყმაწვილი საკუთარი გვარით მუდამ ამაყობდა. ეს ერთგვარი პატრიოტიზმია, გენში ჩაკირული. უამგრძნობოდ ქართული ფენომენი მყარი ვერ იქნება. მოგვიანებით გულისგულში ჩასწვდა მწერლის დაკვირვება: „ზოგჯერ ბავშვისათვის მიკით-

ხავს, ვისი ხარ-მეთქი, და ისეთი სიამაყით უპასუხია, ძაღლიყბაანთი ან ბრანძოაანთიო, თითქოს ბიზანტიის კეისრის ჩამომავალი ყოფილიყოს, რაც, რაღა დაგიმალოთ და, ძალიანაც მომწონებია“ (თამაზ ხმალაძე).

გოგოლაშვილი სათანადო ლიტერატურაში საშუალო სიდიდის გვარად არის აღრიცხული, ოღონდ, თუ გოგოლაძე-გოგოლაურებსაც მივათვლით, საშუალოზე დიდიც გახდება... იმერელი გოგოლაშვილები ძირითადად წვრილი აზნაურები იყვნენ ან სასულიერონი. ზოგ წყაროში გელათის მემკვიდრე აზნაურები ჩანან; ყოფილა ვინმე გელათელი მეღვინეთუხუცესი სიმონ გოგოლაშვილი.

თუ კარგად გამოვიძიებთ, შესაძლოა, ჩვენი მკვლევარი გელათის მეღვინეთუხუცესის შთამომავალიც კი გამოდგეს.

საქართველოს კათალიკოსმა ილია მეორემ ეს ისტორიული გვარი სამების ტაძარში 2009 წლის 19 ივნისს დალოცა.

4-5 წლის ნორჩი უკვე კარგად კითხულობდა.

გაუმართლა, რომ წინამძღვრად გამოუჩნდა მკვიდრი ბიძაშვილი, მერმე საკმაოდ ცნობილი პოეტი **ვახტანგ გოგოლაშვილი**, ავტორი გახმაურებული სიმღერებისა: **„კართან მოდგა შემოდგომა“, „გურიაში რა გინდოდა უსიყვარულოდ“**...

კურსებში დაწყებული სწავლა განასრულა ქუთაისის რკინიგზის მე-11 სკოლაში და იმავე წელს თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტიც გახდა.

მისი ხელმძღვანელები იყვნენ საქვეყნოდ გასმენილი ენათმეცნიერები: არნოლდ ჩიქობავა, ქეთევან ლომთათიძე, ივანე ქავთარაძე... ამავე დროს, პირველად ახლოდან გაეცნო სრულიად საქართველოს. ეს მოხდა სტუდქალაქში, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, სწავლობდნენ, საქმია-

ნობდნენ, კამათობდნენ, თამაშობდნენ და ჩხუბობდნენ კიდეც აჭარელნი და კახელები, ინგილონი და მეგრელები, გურულები და იმერლები, ქართლელნი და ხევსურ-თუშნი, მთელი საქართველო. ტყუილად კი არ ბრძანებს რომან „კეისარში“ ადამ ბოლდუელი: რუსეთის იმპერიაზე მეტად ქართველობა შეკრა და გააერთიანა ვაკეში არსებულმა სტუდენტურმა ქალაქმა, სადაც მთელი საქართველოს ახალგაზრდობას მოეყარა თავიო. სწორედ აქ ხდებოდა ის, რაც არასოდეს არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა: დაუვიწყარი სტუდენტი მიშა ჩაგუნავა მივიდოდა მავან კახელთან, ეტყოდა: იმერელმა გოგოლაშვილმა პურმარილი ჩამოიტანა. ახლა კახური რქაწითელი შენზეა; მერე იმერელს მიაკითხავდა – ამა და ამ კახელმა ძადლიანი რქაწითელი ჩამოიტანა, ახლა პურმარილი შენზეაო. ასე შეკრებდა ხალხს, დადგებოდა თამადად და ქება-დიდებით ცაში აჰყავდა ცალკე კახეთი, ცალკე – იმერეთი.

რამდენი ასეთი პურმარილი უჭამია!

გარდა ამისა, ექსკურსიით მთელი ქვეყანა მოიარა: სვანეთი და ხევსურეთი, მესხეთი და ჯავახეთი, ქართლი და კახეთი...

პატარაა საქართველო, მაგრამ ვრცელია და დაუსრულებელი.

ქართველმა ხალხმა ორფა გალავანი შემოავლო საქართველოს – ქართული ენა და ორიგინალური ანბანი (ლევან ბრეგაძე).

მუდამ და მარად სწორედ ამ **ორფა გალავანს** უვლიდა ირგვლივ ფხიზელი მეციხოვნე და ამ სამსახურში გალია მთელი სიცოცხლე.

ამიტომაც აქტიურობდა სამეცნიერო კონფერენციებზე. ეს იყო სტუდენტთა, ასპირანტთა, მეცნიერთა თავყრილობები.

აქვეყნებდა წერილებს, მოხსენებებს, გამოკვლევებს სამეცნიერო კრებულებში, ცალკე ბროშურებად, წიგნებად...

უნივერსიტეტი წარჩინებით დაასრულა. სამხედრო სამსახურიც ხვდა წილად. ყოფნა მოუწია ლენინაკანში, ბაქოში, ერევანში...

ზოგიერთი ჭირი მარგებელიაო: კვალიფიკაცია დიახაც დაკარგა ერთგვარად, მაგრამ გაეცნო რეალურ ცხოვრებას, შეიცნო ამიერკავკასია და კავკასიის ხალხები.

1973 წლიდან ისევ უნივერსიტეტშია; ისევ კონფერენციები, სამეცნიერო მუშაობა, ლექციების კითხვა.

სწორედ ამ წელს ბაბუა გიორგის (გიორგი პირველის) წაბლის სახლი დაშალეს და აგურის უფრო დიდი შენობა წამოჭიმეს ბიძაშვილებმა გიორგიმ და ვახტანგმა. ამ უკანასკნელმა ამ ფაქტს შესანიშნავი ლირიკული გნომა მოაყოლა, მიძღვნილი გიორგი მეორისადმი (გიორგი მესამე მისი შვილიშვილია):

ეს სიმართლეა, არ არის იჭვი,
ყოველი ბედი ცაზე სწერია:
არც შენი ბიჭი, არც ჩემი ბიჭი,
აღარ გაყოფენ მშობელ კერიას.
დარჩება ასე, ნებივრად მდგარი,
როგორც ბოდიში, თქმული ზრდილობით,
გაუყოფელი ეზო და კარი
და კიდევ — მადლი ბიძაშვილობის.

აქეთ, ქალაქში, ცხოვრების ჩარფუზანა მედგრად დატრიალდა: პროფესორმა ბესიკ ჯორბენაძემ და ახალბედა მკვლევარმა ჩამოაყალიბეს მუდმივმოქმედი სემინარი „საენათმეცნიერო საუბრები“. სხდომები ხშირად იმართებოდა. სწორედ აქ წაიკითხეს მოხსენებები ბ. ჯორბენაძემ, რ. ენუქაშვილმა, გ. გოგოლაშვილმა, სხვებმა... პერიოდულად გამოდიოდა ენათმეცნიერული კრებულები: „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“, „ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან“, „საენათმეცნიერო ძიებანი“... და აი, 2022 წელს უკვე გამოიცა „საენათმეცნიერო ძიებათა“ 43-ე წიგნი. თანამოაზრეთა მიერ დაწყებულ ამ საშურ საქმეს 1993 წლიდან გ. გოგოლაშვილი უძღვება.

1978 წლიდან მკვლევარი ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი-თანამშრომელია. მოგვიანებით გახდა თსუ ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი, მერე ძველი ქართული ენის კათედრის პროფესორი, ძველი ქართული ენის კათედრის გამგე, ქართული ენის ინსტიტუტის დირექტორი...

2006 წელს, როგორც ყველა აქტიური და გამორჩეული სწავლული, სააკაშვილმა ისიც გამოაძევა უნივერსიტეტიდან (სწორედ ამ წელს მეც, მურმან თავდიშვილი, „მუქთახორობის“ გამო დამითხოვეს კრიტიკის ისტორიის შემსწავლელი ლაბორატორიიდან, ხოლო 2 თვის შემდეგ გამოვიდა ჩემი – (მუქთახორა კაცის) – სამტომიანი – (ათასგვერდიანი) – წიგნი „კეისარი“, ოცდაათწლიანი მუდმივი შრომის შედეგი).

რა თანამდებობა აღარ სჭერია ამ წლების ენათმეცნიერების ინსტიტუტში: იყო დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, სწავლული მდივანი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, განყოფილების ხელმძღვანელი...

და ყველაზე „საპატიო თანამდებობა“: ბრალდებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მეამბოხე პროფესორთა“ (ზოგი „წყაროს“ მიხედვით, „ხულიგან პროფესორთა“) საქმეში...

ლირიკული გადახვევა:

ახალბედა მკვლევარმა, როგორც იქნა, 1984 წელს პირველი წიგნი გამოსცა, თავისთვის სანიაზო, მოსაფერებელი — „დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში“. მოგეხსენებათ პირველი წიგნის სიხარული რა მგზნებარეა! ჩაიტანა სოფელში, აჩუქა დედას დიდის რუდუნებით.

მეორედ რომ ჩავიდა, მშობელმა ახარა, შენი წიგნი წავიკითხეო!

ქიმიკოს დედას ნაშიერმა მაღვალაკურად შეჰღიმილა: მერედა მანდედან რა გაიგეო?!

გულდაწყვეტილმა დედამ შეხედა და უმცროსის ირონია ასე მოიგერია:

— სუნთქვა მესმოდა შენი, შვილო!

მკვლევარი მიხვდა თავის შეცდომას და თავი მწუხარედ ჩაქინდრა...

მეორე ლირიკული გადახვევა, უფრორე ნაღვლიანი:

როცა მხცოვანი დედა სოფელში ჩასული შვილის მანქანას მოჰკრავდა თვალს, შესძახებდა: — მოხვედი, შვილო?! და, ვიდრე ნაშიერი ჭიშკარს შეაღებდა, უკვე იქვე იყო მისული. არადა ვრცელია იმერული ეზო — სახლიდან ჭიშკრამდე „კაი სამოყვრო მანძილია“...

მერე ეს მანძილი თანდათან მოკლდებოდა: ჯერ შუა ეზოში ხვდებოდა, ბოლოს — ზედ კიბესთან, სახელურზე ჩამოყრდნობილი.... ერთხელაც იყო და.... სულ ველარ მიეგება.

წინ და უკმო მიწევ-მოწევა გიორგი მერჩულესაც ახასიათებს და ამით მეც არა დამიშავდება რა. ამიტომ აქ რამდენიმე წინაუკმო ფაქტს გავიხსენებ:

გამოცდას იბარებს არნოლდ ჩიქობავა.

გიორგის შეხვდა ენათა კლასიფიკაციის საკითხი, სტადიური განვითარების თეორია. ყველაფერი ეს ბ-ნი არნოლდის წიგნის მიხედვითა ჰქონდა გაზუთხული, ჰოდა, პირწმინდად „გაანადგურა“ ნიკო მარი.

არნოლდმა თავისებურად ჩაიღიმა, ურჩია:

— სხვისი აზრებია... როცა დაღვინდები და საკუთარი აზრი შეგიმუშავდება, აგრე დარწმუნებით მაშინ უნდა ისაუბრო!

ეჭვი არაა, ეს შემთხვევა ერთი უნივერსიტეტის გავლად ულირდა ბუნდოვანი მომავლის ზღურბლზე მდგარს.

მეორე ამბავი წინაზე მნიშვნელოვანია:

პროფ. ილია ცერცვაძეს ხუნძურ ენაში საკურსოსა და სადიპლომო ნაშრომის თემები თავად სტუდენტმა შესთავაზა.

პროფესორს ეგ ჟესტი მოეწონა, თან გაუკვირდა.

ჩვეულებრივ ასე ხდება: სტუდენტი ან ხარისხის მაძიებელი მიდის ხელმძღვანელთან და თემასა სთხოვს. მე ეგ ყოველთვის მიკვირდა და თან მაბრაზებდა: რა მეცნიერი უნდა დადგეს შენგან, თუ საკვალიფიკაციო თემა თავად ვერ შეგირჩევია და სხვამ უნდა მოგიძებნოს-მეთქი?!

ასე მგონია:

ჩემთვის რომ საკვალიფიკაციო თემა ვინმეს შემოეთავაზებინა, თავს გავუტეხდი.

ვფიქრობ, ეს შემთხვევაც ერთი უნივერსიტეტის კურსის გავლად უნდა ჩაეთვალა მაძიებელ ახალგაზრდას.

გაუვლია მესამეც:

მიხეილ ჭაბაშვილი განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულს ამზადებს. დროა, მასალა გამოსაცემად წარმოადგინოს. ინსტიტუტის დირექტორმა ქეთევან ლომთათიძემ ეს შეახსენა. ბ-ნმა მიხეილმა იწყო თავის მართლება: ესაა გასაკეთებელი, ისაა დასაზუსტებელიო. ატყდა ამაზე კამათი. ბ-ნი არნოლდი დაქანცა ამათმა დიალოგმა, აწია თავი, სელში ჯოხი შეათამაშა, დაჰკრა იატაკს და დაიქუხა:

— ლექსიკონ'ზე მუშაობა არასოდეს მთავრდება, მაგრამ უნდა შეძლოთ წერტილის დასმა!..

მალე სიტყვარი სასტამბოდ მზად იყო.

„დროზე წერტილის დასმის“ შეგონება არაერთხელ გახსენებია ცხოვრებაში მეცნიერს...

გიორგი გოგოლაშვილს მრავალი ამგვარი უნივერსიტეტი გაუვლია და არა ოდენ თეთრი ტაძრისა.

რაც მთავარია, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცხადლივ გრძნობდა: გიორგი რომ დაარქვეს, ამით დიდი ვალდებულებაც დააკისრეს. მეორე მხრივ, მხრებს უმძიმებდა თეთრი ტაძრის რაინდის ვალდებულებაც.

და ეწეოდა ამ ვალდებულებათა ჭაპანს.

და არა მარტო როგორც მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ოჯახის თავკაცი, არამედ როგორც გამორჩეული თამადა.

კარგი თამადობა საქართველოში ერთ რამედა ღირს და ისიც ჩაბმულია იმ წრეში, რომელშიც მეწინავეობენ გულბაათ ჭავჭავაძე და სიმონიკა სხირტლაძე, დემურ ბაშელეიშვილი და რევაზ მიშველაძე...

საქმეს ის უადვილებს, რომ კარგი ხმა აქვს და მიკროფონი არა სჭირდება.

გონივრულ სადღეგრძელოებში ალაგ-ალაგ ლილოჭრილოსავით გაურევს იუმორს:

– ერთი კოვზიც მომიტანეთ, შაქარი მთლად კარგად არ არის გახსნილი ამ ღვინოშიო!

მუხრან მაჭავარიანის საიუბილეო სუფრის თამადობაც მას ანდეს. ნდობა გაამართლა – საქმეს თავი წარმატებით დაადგა. ნასიამოვნებმა პოეტმა „ტორი“ მხარზე დაჰკრა, უთხრა:

– ეგ იუბილე შენ გამილამაზეო!

ეს ნათქვამი, შესაძლოა, კიდევაც განვაზოგადოთ:

გიორგი გოგოლაშვილმა, თვით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ 1988 წლის 22 ნოემბერს დალოცვილმა, ქართველი ხალხის ცხოვრება მავანივით კი არა დააუშნოვა, არამედ გაალამაზა და დაამშვენა. იგი თავაწეული ეგებება თავისი ცხოვრების ლამაზ თარიღს – 75 წელს.

აგვისტო, 2022

გიორგი გოგოლაშვილის წიგნები

წიგნები

1. დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1984, 120 გვ.
2. ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1988, 176 გვ.
3. ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1989 (თანაავტორები ც. კვანტალიანი, დ. შენგელია), 340 გვ.
4. ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1991 (თანაავტორები ც. კვანტალიანი, დ. შენგელია), 408 გვ.
5. ფიქრები დედაენაზე, ბ. ჯორბენაძის საზ., თბ., 1997, 88 გვ.
6. ერთხელ საქართველოში, ბ. ჯორბენაძის საზ., თბ., 2000 (თანაავტორი თ. ხმალაძე), 116 გვ.
7. მარადიული თანამედროვენი, ბ. ჯორბენაძის საზ., თბ., 2000, 140 გვ.
8. „დედაენა“ – წიგნთა წიგნი, ბ. ჯორბენაძის საზ., თბ., 2001, 320 გვ.
9. ქართული – ენად შემკული და კურთხეული, ბ. ჯორბენაძის საზ., თბ., 2004, 380 გვ.
10. ბედი ქართული უნივერსიტეტისა ათასწლეულის კარიბჭესთან, ჯორბენაძის საზ. თბ., 2006, 74 გვ.
11. ასოციაციები, ვარდისფერი პარადოქსები, ბ. ჯორბენაძის საზ., თბილისი, 2009, 68 გვ.

12. ბედი ქართული ენისა ათასწლეულთა მიჯნასთან, ბ. ჯორბენაძის საზ., თბილისი, 2009, 92 გვ.
13. ქართული სალიტერატურო ენა (ისტორია და თანამედროვეობა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2009, 170 გვ.
14. ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010, 520 გვ.
15. „დედაენა“ – ძეგლი სამარადისო, გამომცემლობა „დედაენა“, თბილისი, 2011, 240 გვ.
16. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, I, (სალიტერატურო ენა), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 832 გვ. – პროექტის ხელ-ლი, რედაქტორი და თანაავტორი.
17. იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი და ცხოვრების გზა, გამომცემლობა „დედაენა“, თბილისი, 2011, 48 გვ.
18. „არა ცილი სწამო“ (პასუხად ედიშერ ჭელიძეს), გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, თბილისი, 2011, 30 გვ.
19. ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2012, 100 გვ.
20. ქართული – ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2013, 108 გვ.
21. „დედაენა“ – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო, 2014, 50 გვ.
22. საცნობლად თავისადაო, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015, 284 გვ.
23. „დედაენის“ თავგადასავალი, გამომცემლობა „ციცინათელა“, თბ., 2015, 48 გვ.
24. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, (დიალექტების მორფოლოგია), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016, 818 გვ. – პროექტის ხელ-ლი, რედაქტორი და თანაავტორი.

25. დეიაუნივერსიტეტის ძნელბედობის ჟამი (2004-2013), თსუ გამომცემლობა, 2016, 316 გვ.
26. ახალი ქართული ენა, ტ. I, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, ზოგადი სახელი, თსუ გამომცემლობა, თბ., 2016, 404 გვ. — (იდეის ავტორი, პროექტის ხელ-ლი, რედაქტორი და თანაავტორი).
27. ახალი ქართული ენა, ტ. II, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, ზმნა, თსუ გამომცემლობა, თბ., 2016, 480 გვ. (იდეის ავტორი, პროექტის ხელ-ლი, რედაქტორი და თანაავტორი).
28. ახალი ქართული ენა, ტ. III, დიალექტების მორფოლოგია, კრებსითი ანალიზი, თსუ გამომცემლობა, თბ., 2017, 480 გვ. (იდეის ავტორი, პროექტის ხელ-ლი, რედაქტორი და თანაავტორი).
29. ახალი ქართული ენა, ტ. IV, დიალექტების მორფოლოგია, პარადიგმები, თსუ გამომცემლობა, თბ., 2017, 510 გვ. (იდეის ავტორი, პროექტის ხელ-ლი, რედაქტორი და თანაავტორი).
30. „დედაენა“ — კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლი, გამომცემლობა „დედაენა“, თბ., 2018, 80 გვ.
31. „შვენებით სავსე ქართული“ (ფიქრები დაყით კლდიაშვილზე), (სერია „ენა და მწერალი“; წიგნი 1), თსუ გამომცემლობა, 2019, 72 გვ.
32. „ქართული ქართველთ რწმენაა“ (ფიქრები მუხრან მაჭავარიანზე), (სერია „ენა და მწერალი“; წ. 2), თსუ გამომცემლობა, 2019, 72 გვ.
33. „ენა — ბედისწერა“ (ფიქრები ანა კალანდაძეზე), (სერია „ენა და მწერალი“; წ. 3), თსუ გამომცემლობა, 2019, 96 გვ.
34. „მეოხად ჩუენდა“... ილია და აკაკი, იაკობი, თსუ გამომცემლობა, 2020, 112 გვ.
35. „ერი დედაა ენისა“ (ფიქრები ვაჟა-ფშაველაზე), (სერია „ენა და მწერალი“; წ. 4), თსუ გამომცემლობა, 2020, 168 გვ.

36. ქართული ენის წუთისოფელი, თსუ გამომცემლობა, 2021, 152 გვ.
37. „ენა მწერლის ბალავარია“ (ფიქრები მიხეილ ჯავახიშვილზე), (სერია „ენა და მწერალი“; წ. 5), თსუ გამომცემლობა, 2021, 195 გვ.
38. „ენა ერის თავდაცვის იარაღია“ (ფიქრები კონსტანტინე გამსახურდიაზე), (სერია „ენა და მწერალი“; წ. 6), თსუ გამომცემლობა, 2021, 142 გვ.
39. „მწერალი სტილია... სტილი არსებაა...“ (ფიქრები ოთარ ჩხეიძეზე), (სერია „ენა და მწერალი“; წ. 7), თსუ გამომცემლობა, 2022, 164 გვ.
40. რა ფერისაა სიტყვა? (ესეები) (სერია – „ენა და მწერალი“; წ. 8), თსუ გამომცემლობა, 2022, 174 გვ.
41. „ენა – ულმობელი მსაჯული“ – დიალოგები, (სერია „ენა და მწერალი“; წ. 9), თსუ გამომცემლობა, 2022, 146 გვ.

ჯილდოები

2005 წელს დაჯილდოვდა **იაკობ გოგებაშვილის მედლით** (ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგთა საზოგადოებისაგან) – „პედაგოგიურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის“;

2012 წელს მიენიჭა **პრემია „საგურამო“** (ილია ჭავჭავაძის სახელობის ფონდისა და შ.პ.ს. კალასისაგან) – ნომინაციაში „ჰუმანიტარული მეცნიერებანი“;

2013 წელს მიენიჭა **არნოლდ ჩიქობავას სახელობის სამეცნიერო პრემია** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისაგან) – მონოგრაფიებისათვის: „ქართული ზმნა“ (2010), „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, I“ (2011); „ქართული სალიტერატურო ენა – ისტორია და თანამედროვეობა“(2009);

2015 წელს მიენიჭა **იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია** (ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან) – წიგნებისათვის: „სიბრძნე იაკობისა“ (2015), „ქართული სალიტერატურო ენა – ნარკვევები“ (2013), „ქართული – ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“ (2013);

2018 წელს დაჯილდოვდა **ივანე ჯავახიშვილის მედლით** (ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან) – დაბადების 70 წლისთავზე...

2022 წელს „მუხრან მაჭავარიანის შემოქმედების შესწავლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“ დაჯილდოვდა **დიპლომით** (საჩხერის მუნიციპალიტეტისა და მ. მაჭავარიანის სახლ-მუზეუმისაგან“)